# ეკონომიკა და ბიზნესი
# ECONOMICS AND BUSINESS

თბილისის უნივერსიტეტი ∴ UNIVERSITAS TPHILISENSIS ∴ 1918

ტომი XVI VOLUME

№ 1, 2024

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი
საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

Refereed and Reviewed International Scientific and Analytical Journal
of the Faculty of Economics and Buziness,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

გამოდის 2008 წლის იანვრიდან ორ თვეში ერთხელ,
2015 წლიდან – კვარტალურად
Publish since January 2008 once in two months,
since 2015 – Quartertly

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2
თსუ-ის მაღლივი კორპუსი, III სართული, 316-317
ტელ. +995 32 2 25 04 84
მთ.რედაქტორი: ტელ – 599794949, მოადგილე – ტელ: 599103816,
პ/მდ. – ტელ: 599218384, მთ.სპეც. – ტელ: 577970280.

Adress: Tbilisi University str. #2. *Tel: **+995 32 2 25 04 84 –** 9781, 9763, 9724.*
*Chief editor – Tel: 599794949, Deputy Chief Editor – Tel: 599103816,*
*Responsible Secretary – Tel: 599218384, Chief Specialist – Tel: 577970280*
www.eb.tsu.ge e-mail: ebf.journal@tsu.ge

## სარედაქციო კოლეგია

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები:* ***იური ანანიაშვილი, გივი ბედიანაშვილი, თეიმურაზ ბერიძე, სიმონ გელაშვილი, რევაზ გველესიანი, რევაზ გოგოხია*** *(რედაქტორის მოადგილე),* ***თამაზ ზუბიაშვილი*** *(პასუხისმგებელი მდივანი),* ***ნუგზარ თოდუა, ირაკლი კოვზანაძე, მურთაზ მაღრაძე, ელგუჯა მექვაბიშვილი*** *(მთავარი რედაქტორი),* ***დავით ნარმანია, ნუგზარ პაიჭაძე, ლევან საბაური, ლემურ სიჭინავა, მირიან ტუხაშვილი, გიორგი ღაღანიძე, თეიმურაზ შენგელია, ეთერ ხარაიშვილი, იოსებ ხელაშვილი;*** *პროფესორები:* ***რამაზ აბესაძე –*** *პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი,* ***ანზორ აბრალავა*** *– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,* ***იოსებ არჩვაძე*** *– ქუთაისის უნივერსიტეტი,* ***გიორგი თურქია*** *– საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი,* ***მერაბ კაკულია*** *– საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი,* ***მურმან კვარაცხელია –*** *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,* ***პაატა კოღუაშვილი*** *– საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,* ***შალვა მაჭავარიანი –*** *ევროპული უნივერსიტეტი,* ***ვლადიმერ პაპავა*** *– საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი,* ***ლალი სეხნიაშვილი*** *– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,* ***ავთანდილ სილაგაძე*** *– საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი,* ***ვლადიმერ ღლონტი*** *– ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,* ***ნიკოლოზ ჩიხლაძე*** *– აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,* ***მიხეილ ჯიბუტი*** *– საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.*

## სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები

***მიხეილ ალტმანი –*** *ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტის პროფესორი (აშშ);* ***ოლენა ბაჟენოვა –*** *კიევის ტარას შევჩენკოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი (უკრაინა);* ***გორდონ ბრეილი –*** *სამხრეთ ფლორიდას კოლეჯის თავისუფალი მეწარმეობის ცენტრის უფროსი მკვლევარი (აშშ);* ***ჯუზეპე დე ლუკა*** *– მილანის უნივერსიტეტის პროფესორი (იტალია);* ***ვოლფგანგ ვენგი*** *– ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (გერმანია);* ***როსვიტა მ. კინგი*** *– ოსტფოლდის უნივერსიტეტის პროფესორი (ნორვეგია);* ***დმიტრო ლუკიანენკო*** *– კიევის ვადიმ ჰეტმანის სახელობის ნაციონალური ეკონომიკური უნივერსიტეტის პროფესორი (უკრაინა);* ***ირაკლი მანაგაძე*** *– სილქროუდ ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, J. Stern&Co Investment ოფისის კონსულტანტი, დოქტორი (დიდი ბრიტანეთი);* ***გრეგორი ნ. მენქიუ*** *– ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი (აშშ);* ***იან მიხალეკი*** *– ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი (პოლონეთი);* ***ლარი ნილი –*** *ილინოისის უნივერსიტეტის ემერიტუს–პროფესორი (აშშ);* ***ამეზიან ფერგუინი*** *– გრენობლის ალპების უნივერსიტეტის პროფესორი (საფრანგეთი);* ***ელიზაბეთ ჩაკო*** *– ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორი (აშშ);* ***ტოომას ჰალდმა*** *– ტარტუს უნივერსიტეტის პროფესორი (ესტონეთი).*

EDITORIAL BOARD

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University Professors:* ***Ananiashvili Iuri, Bedianashvili Givi, Beridze Teimuraz, Gaganidze George, Gelashvili Simon, Gvelesiani Revaz, Gogokhia Revaz*** *(Deputy Redactor),* ***Kharaishvili Eter, Khelashvili Ioseb, Kovzanadze Irakli, Maghradze Murtaz, Mekvabishvili Elguja*** *(Editor-in-Chief),* ***Narmania Davit, Paichadze Nugzar, Sabauri Levan, Shengelia Temur, Sichinava Demur, Todua Nugzar, Tukhashvili Mirian, Zubiashvili Tamaz*** *(Executive Secretary); Professors:* ***Abesadze Ramaz*** *– Paata Gugushvili Economic Institute,* ***Abralava Anzor*** *– Georgian Technical University,* ***Archvadze Ioseb*** *– Kutaisi University,* ***Chikhladze Nikoloz*** *– Akaki Tsereteli State University,* ***Glonti Vladimer*** *– Batumi Shota Rustaveli State University,* ***Jibuti Mikheil*** *– Georgian National Academy of Sciences Academician,* ***Kakulia Merab*** *– Georgian Institute of Public Affairs (GIPA),* ***Kvaratskhelia Murman*** *– Sukhumi State University,* ***Koguashvili Paata*** *– Georgian Academy of Agricultural Sciences Academician,* ***Machavariani Shalva*** *– European University,* ***Vladimer Papava*** *– Georgian National Academy of Sciences Academician,* ***Sekhniashvili Dali*** *– Georgian Technical University,* ***Silagadze Avtandil*** *– Georgian National Academy of Sciences Academician,* ***Turkia George*** *– Georgian Institute of Public Affairs (GIPA).*

FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD

***Altman Michael A.*** *– Director, Hospitality and Tourism Management Program, Meredith College School of Business, North Carolina University, professor (USA);* ***Bazhenova Olena*** *– Professor of Economic Cybernetics Department, Taras Shevchenko Kyiv National University (Ukraine);* ***Brady Gordon*** *– Senior Research Fellow at the Center of Free Enterprise at Southern Florida College (USA);* ***De Luca Giuseppe*** *– Professor of Milan University (Italy);* ***Ferguéne Ameziane*** *– Professor of Economics at Grenoble Alps University (France);* ***Chaco Elizabeth*** *– Professor of Geography and International Relations, George Washington University (USA);* ***Haldma Toomas*** *– Professor of Tartu University (Estonia);* ***King Roswitha M.*** *– Leader of Research Group 'Applied Economics,' Faculty of Economics and Social Sciences, Ostfold University College, professor (Norway);* ***Lukianenko Dmytro*** *– Rector of Vadym Hetman Kyiv National Economic University, Professor (Ukraine);* ***Managadze Irakli*** *– Chairman of Silk Road Bank Supervisory Board, Senior Advisor and Consultant at J.Stern & Co Investment Office Acad. Doctor (UK);* ***Mankiw Gregory N.*** *– Professor of Harvard University (USA);* ***Mikhalek Jan*** *– Professor of Warsaw University, (Poland);* ***Neal Larry*** *– Emeritus Professor of Illinois University (USA);* ***Weng Wolfgang*** *– Professor of Berlin Technical University (Germany).*

# ს ა რ ჩ ე ვ ი

**ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი** – 2024 წ. საშობაო ეპისტოლე ....................9

## ეკონომიკური თეორია ◊ ეკონომიკური პოლიტიკა

**მიხეილ ჯიბუტი** – დავოსი – 2024 მოსალოდნელი მომავლის შესახებ (ეტიუდები)....................17
**სოლომონ პავლიაშვილი, ზურაბ გარაყანიძე** – რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა ევროკავშირის გაზის სპოტ-ბაზარზე....................32
**პაატა კოღუაშვილი, ეთერ ხარაიშვილი, ნინო შენგელია** – ტრადიციული სოფლის მეურნეობიდან ინდუსტრიულ (ციფრულ) სოფლის მეურნეობამდე....................55
**ლელა თავდგირიძე, გიორგი ქათამაძე, მაია ბოლქვაძე** – ეკონომიკური ცნობიერება და ადრეული განათლება....................72
**იუსიფი ნაჯაფზადე** – ჩინეთის ქ. შენჟენის სპეციალური ეკონომიკური ზონა (SEZ) – გაკვეთილები აზერბაიჯანისთვის....................92

## ბიზნესი ◊ მენეჯმენტი

**მირონ ტუღუში** – მწვანე მენეჯმენტი – მწვანე ეკონომიკის აღორძინების უმნიშვნელოვანესი პირობა....................107
**ლეილა ქადაგიშვილი** – კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა დაინტერესებული მხარეების კონტექსტით....................125

## ფინანსები და საბანკო საქმე ◊ აღრიცხვა, აუდიტი

**ლევან საბაური, ნადეჟდა კვატაშიძე** – მმართველობითი ანგარიშგების მომზადების საკითხები ....................141
**მაია გოგოხია** – ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთკავშირის საკითხისათვის....................153
**მარინა ტაბატაძე** – საქართველოში სახელმწიფო საბიუჯეტო ფონდების გამოყენების ოპტიმიზაციის საკითხები ....................168
**თენგიზ ვერულავა** – პირველადი ჯანდაცვის დაფინანსების მეთოდები საქართველოში: გამოწვევები და პერსპექტივები....................185
**თამარ ბარბაქაძე** – საქართველოში საგადასახადო სისტემის მიმართ გადასახადის გადამხდელების ცნობიერების დონის განსაზღვრა....................203

## ჩვენი იუბილარები

პროფესორი მიხეილ ჯიბუტი – 70 ....................................................................................221

## სახელოვანი მეცნიერის გახსენება

პროფესორი გივი ჭანუყვაძე - 100 ................................................................................224

## ხსოვნა ნათელი

პროფესორი გედევან ხელაია ..........................................................................................229

## ინფორმაცია

ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ 2023 წლის # 1-4 (ტ.XV) შინაარსი.................231

CONTENTS

2023 Christmas Epistle of the Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II .................9

ECONOMIC THEORY ◊ ECONOMIC POLICY

Mikhail Jibuti – Davos 2024 – Envisioning the Anticipated Future.................................17

Solomon Pavliashvili, Zurab Garakanidze – The Impact of the Russia-Ukraine War on the EU Gas Spot Marke ..........................................................................................32

Paata Koghuashvili, Eter Kharaishvili, Nino Shengelia – From Traditional Agriculture to Industrial (Digital) Agriculture ........................................................................55

Lela Tavdgiridze, Giorgi Katamadze, Maya Bolkvadze – Economic Awareness and Early Childhood Education ..........................................................................................72

Yusif Najafzade – Shenzhen's Special Economic Zon (SEZ) – Lessons for Azerbaijan ..........................................................................................................................92

BUSINESS ◊ MANAGEMENT

Miron Tugushi – Green Management – the Most Important Condition for the Revival of Green Economy.........................................................................................107

Leila Kadagishvili – Corporate Social Responsibility in the Context of Stakeholders.............................................................................................................................125

FINANCE and BANKING ◊ ACCAUNTING, AUDIT

Levan Sabauri, Nadejda Kvatashidze – Management Reporting Preparation Issues...................................................................................................................................141

Maya Gogokhia – On the Issue of the Mutual Connection between the Securities Market and Economic growth.........................................................................................153

Marina Tabatadze – Issues of optimizing the use of state budget funds in Georgia......................................................................................................................................168

Tengiz Verulava – Primary Health Care Financing Methods in Georgia: Challenges and Prospects..............................................................................................................................185

Tamar Barbakadze – Examining the Degree of Awareness Among Taxpayers Regarding the Tax System in the Context of Georgia.........................................................203

QUR  ANNIVERSARIES

Professor Mikhail Djibuti – 70 ......................................................................................201

MEMORY of FAMOUST SCIENTIST

Professor Givi Chanukvadze – 100 ..........................................................................224

BRIGHT MEMORY

Professor Gedeon khelaia.........................................................................................231

INFORMATION

The Content of the Journals “Economics and Business” in 2023 #1-4. (T. XV)...............231

## სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია II-ის

# საშობაო ეპისტოლე



საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის წევრთ, მკვიდრთ ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეთ:

„იხარებდით მართალნი, მხიარულ იყვენით ცანი, იმღერდით მთანი, მეუფე იშვა, ქრისტე, ქალაქსა დავითისსა, ბეთლემს ჰურიასტანისასა" (უძველესი იადგარი).

მოვედით ერნო, რათა მადლიერებით მოვიხსენოთ ადამიდან დღემდე ყველა, ვინც სათნო ეყო ღმერთს, – წმინდა მამანი და დედანი, ის ოჯახები, რომელთა მემკვიდრეობაშიც ინება უფალმა განხორციელება, მოვიხსენოთ წმინდანები, რომელთაც წინასწარ გვიქადაგეს ღვთის სიტყვის ხორცშესხმა და ის უცნობი მოძღვარნი და ერისკაცნი, რომელნიც ქრისტეს მოსვლის მოლოდინს სასოებით გადასცემდნენ თაობებს.

ესენი ძირითადად იყვნენ იმ პერიოდის მსოფლიოში ჭეშმარიტი ღვთის მადიდებელი ერთადერთი ერის, ისრაელის, შვილნი. მართალია, იშვიათად სხვა ხალხებშიც არსებობდნენ სულიერებით გამორჩეული პიროვნებები, მაგრამ მხოლოდ ამ წიაღმა შეძლო უწყვეტად შეენარჩუნებინა კავშირი ღმერთთან და ჩირაღდნად ქცეულიყო მთელი წარმართული კაცობრიობისთვის; იმ კაცობრიობისათვის, რომელმაც არაერთი ცივილიზაცია შექმნა და რომელსაც საოცარი მიღწევები ჰქონდა ფილოსოფიაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, მწერლობაში, ხელოვნებაში...

მაინც რით შეძლო, ერთი შეხედვით, უბრალო ერმა გამორჩეული ყოფილიყო ასურეთის, ბაბილონის, სპარსეთის, ეგვიპტის, კრეტა-მიკენის, ბერძენთა, რომაელთა და სხვა იმპერიებთან შედარებით?

ამ იმპერიებში დაკარგული იყო უმთავრესი, – ჭეშმარიტი ღვთის ცოდნა. ამა თუ იმ სფეროში გამოვლენილი დიდი განვითარების მიუხედავად, წარმართული საზოგადოება უდიდესწილად იყო ძალადობრივი, ჩაგვრითი, ეგოცენტრული, – თავის თავზე ორიენტირებული.

ჩვეულებრივი ამბავი იყო, რომ ძლიერი ხელისუფალი თუ პიროვნება იმონებდა სუსტს; იმპერატორებს სხვათა ტერიტორიებისა და მათი ძალაუფლების ხელში ჩაგდების დაუოკებელი სურვილი ამოძრავებდათ; იყო გაუთავებელი ომები, შური, ღალატი, ვერცხლისმოყვარეობა, აღვირახსნილი ცხოვრება და გაუკუღმართებული ურთიერთობები; ადამიანის ღირსება – გათელილი და გაუფასურებული, დაბალი ფენის მამაკაცები და, განსაკუთრებით, ქალები – მოხმარების საგნად ქცეულნი.

ყოველივე ამას კიდევ უფრო ამძაფრებდა ის გარემოება, რომ წარმართული „ღმერთებიც" მიწიერნი იყვნენ, რომელთათვისაც, უცხო არ იყო ადამიანური ვნებანი. სულიერი ხსნა კი არსად ჩანდა და სიცოცხლესაც არ ჰქონდა აზრი.

ასეთ მძიმე გარემოში, მართალია, დიდი დაცემებით, მაგრამ მაინც ახერხებდა იაკობის მოდგმა თავის წიაღში დაეცვა ცხოვრების საღვთო, სარწმუნოებრივი წესი, მოყვასის სიყვარული, შეენარჩუნებინა მესიის მოსვლის მოლოდინი, მოლოდინი გადარჩენისა და განცდა იმისა, რომ ამქვეყნადაც ყველაფერი და თვით სამეფო საყდარიც ზეციურ უფალს უნდა ეკუთვნოდეს და იგი უნდა იყოს ერის წინამძღოლი; რომ ხელისუფალნიც, მოძღვარნიც, წარჩინებულნიც და რიგითი მოქალაქენიც, თავისი მოვალეობისამებრ, მის ნებას უნდა აღასრულებდნენ.

ეს ყოველივე მთელი სისავსით მეფეთა შორის ყველაზე ნათლად წმინდა დავით წინასწარმეტყველს ჰქონდა გაცნობიერებული.

როდესაც იგი შაბათობით აღთქმის კიდობნის წინ ლოცვად დგებოდა, სამღვდელოებისა და ერის წინაშე ხმამაღლა შეჰღაღადებდა ხოლმე შემოქმედს:

„შენი მეფობა (ღმერთო), მეფობაა ყველა საუკუნეზე და შენი სუფევაა ყველა თაობაზე" (ფს.144,13) „უფალს ეკუთვნის მეფობა და ის არის ხალხთა მბრძანებელი" (ფს.21,29) და სხვა.

მან ეს ლოცვები, რომლებიც ზეციური მეუფისა და მისი სასუფევლისადმი იყო მიმართული, სავალდებულოდ დაუწესა თავის შთამომავალ მეფეებსაც და ხალხსაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ საუკუნეთა მანძილზე რომელ ქვეყანასაც ისრაელის მცირერიცხოვან ერთან ჰქონდა შეხება, თუნდაც იგი დამპყრობელი ყოფილიყო, ისრაელი ჭეშმარიტი სარწმუნოების მქადაგებლობით მაინც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მასზე და საყოველთაო გადარჩენის მოლოდინს აღვიძებდა ყველაში.

შეგახსენებთ ერთ მონაკვეთს ბაბილონის ცნობილი მეფის ცხოვრებიდან:

ბაბილონის იმპერიის ზეობის პერიოდში მას ნაბუქოდონოსორი განაგებდა. მან მრავალი სამეფო დაიმორჩილა, მათ შორის, იუდეაც და დაპყრობილი ქვეყნებიდან მძევლად წაიყვანა ხელისუფალთა შვილები და ნიჭიერი ახალგაზრდები. ყმაწვილებს შორის იყო დანიელიც იუდეადან, წინასწარმეტყველური ნიჭით დაჯილდოებული, გონიერი, მოსეს სჯულის მტკიცე დამცველი ჭაბუკი.

ერთხელ ნაბუქოდონოსორმა უცნაური და მრავლისმთქმელი სიზმარი ნახა. შეძრწუნებულს გამოეღვიძა და მის ასახსნელად თავისი სამფლობელოს ყველა მისანს, ქურუმს, მოგვსა და ვარსკვლავთმრიცხველს უხმო. უნდოდა, მათგან სიმართლე მოესმინა, ამიტომაც, მეტად უცნაური რამ მოსთხოვა: მათ უნდა გამოეცნოთ, თუ რა სიზმარი იხილა მბრძანებელმა, და აეხსნათ მისი მნიშვნელობა; წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას სიკვდილი და სახლ-კარის გადაწვა ემუქრებოდა.

სასახლის შეშინებულმა ბრძენკაცებმა შეჰბედეს მეფეს და უთხრეს: მსგავსი რამ არავის არასდროს მოუთხოვია. თქვენს სურვილს კაცთაგან ვერავინ შეასრულებსო.

ნაბუქოდონოსორმა ყველას წამება ბრძანა.

ვიდრე მისი განკარგულება აღსრულდებოდა, წინასწარმეტყველმა დანიელმა ითხოვა მეფესთან შეხვედრა და, სიკვდილმისჯილთა გათავისუფლების სანაცვლოდ, სიზმრის ახსნა აღუთქვა, რადგან მან და მისმა მეგობრებმა ზეციური ღმერთისგან გამოითხოვეს შემწეობა ამ საიდუმლოს გასაგებად და უფალმაც დანიელს გაუცხადა დაფარული.

ჭაბუკმა უთხრა მეფეს, რომ სიზმრით უფალმა აუწყა იმ დღეთა და ხელმწიფებათა შესახებ, რომლებიც მის შემდეგ იქნებოდნენ. კერძოდ, იხილა დიდი და საოცრად ელვარე, მაგრამ საშინელი შესახედაობის ქანდაკება, კერპი, რომელსაც თავი ოქროსი ჰქონდა, ხელები და მკერდი, – ვერცხლის, მუცელი და თეძოები – სპილენძის, ხოლო ქვედა კიდურები, – რკინისა და, ნაწილობრივ, თიხის. შორიახლოს იყო მთა, საიდანაც თავისით, ხელისუკვრელად, ლოდი დაგორდა, კერპს რკინისა და თიხის ფეხებზე დაეცა და იგი ერთიანად შემუსრა. შემდეგ ეს ლოდი დიდ მთად იქცა და მთელი დედამიწა აღავსო.

ჭაბუკმა წინასწარმეტყველმა ისიც განუმარტა მბრძანებელს, რომ ნანახი კერპი ოთხი იმპერიის სიმბოლო იყო. ოქროს თავი მას და ბაბილონს განასახიერებდა, დანარჩენები კი, შედარებით ნაკლებნი, იმ იმპერიებს, რომლებიც ბაბილონის შემდეგ აღორძინდებოდნენ (იგულისხმება სპარსეთის, საბერძნეთის, რომის) და რომ მეოთხე იმპერიის ზეობისას ამქვეყნად მოიწეოდა მეუფება მარადიული და ჭეშმარიტი, რომელიც შემუსრავდა ყველა სამეფოს დედამიწაზე, თვითონ კი უკუნისამდე იარსებებდა.

ნაბუქოდონოსორი გაოცებული და შეძრული იყო მოსმენილით. იგი დაემხო მიწაზე და აღმოთქვა: „ჭეშმარიტად, ღმერთთა ღმერთია თქვენი ღმერთი და მეფეთა მეუფე." შემდეგ კი დანიელი დანიშნა თავის კარზე მთავარ მრჩევლად.

მართალია, მეფემ აღიარა ძლიერება ჭეშმარიტი ღვთისა, რომლის სიდიადე სხვა დროსაც კიდევ რამდენიმეჯერ იხილა, მაგრამ წინაპრების კერპებს მაინც ვერ განეშორა, თუმც იუდეველთა რწმენის პატივისმცემელი გახდა და აღარ აიძულებდა მათ ბაბილონის პანთეონისთვის ეცათ თაყვანი.

ამ ამბებზე მთელი ბაბილონი საუბრობდა, – ხალხიც, სიკვდილს გადარჩენილი მოგვებიც და სხვა ბრძენნიც ისტორიებს თაობიდან თაობებს გადასცემდნენ.

მათ წინასწარმეტყველ დანიელისგანვე იცოდნენ, რომ ის სიზმრისეული ლოდი შვიდ შვიდათეულში, ანუ 490 წელიწადში განეცხადებოდა სამყაროს; ამიტომაც, როდესაც ეს დრო დადგა და იხილეს უჩვეულო ვარსკვლავი, მოგვებმა იგრძნეს ჟამის მოახლოება; სამეფო ძღვენი, – გუნდრუკი, ოქრო და მური, თანაწარიღეს და ვარსკვლავს გაჰყვნენ დასავლეთისკენ მიგებებად მესიისა.

და მართლაც, ნაბუქდონოსორის სიზმრის მეოთხე სამეფოს, რომის იმპერიის, ბატონობის პერიოდში, I საუკუნეში, იუდეაში, დავით მეფის ქალაქად წოდებულ ბეთლემში, კაცობრივი ბუნების მიღებით, ადამის მოდგმის გადასარჩენად მოგვევლინა ძე ღვთისა. იგი სიმბოლურად დანიელ წინასწარმეტყველის სიზმრის ლოდია (დან. 2.45), რომელიც თავისთავად მოსწყდა მთას (იგულისხმება მისი უბიწოდ შობა ღვთისმშობლისგან) და დედამიწა აღავსო.

ქვაბულში, პირუტყვის ბაგაში, მწოლი ჩვილი – უფალი იესო ქრისტე საოცარი სიმდაბლით წარუდგა მსოფლიოს, რათა თავისი ხორციელი მყოფობის პირველივე წუთებიდან კაცობრიობისთვის მიეცა მაგალითი თავმდაბლობისა, უბრალოებისა და თავისი ქმნილებისადმი განუზომელი სიყვარულისა.

იესოს ამქვეყნად მობრძანებით, ერთი მხრივ, აღსრულდა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველება, მეორე მხრივ კი, გარკვეული აზრი მიეცა თვით წინაქრისტიანულ ეპოქათა მიღწევებსაც, რადგან ღმერთთან მარადიული თანამყოფობის შესაძლებლობის მოტანით, აზრი მიეცა სიცოცხლეს; ამასთან, ქრისტეს ეკლესიის სახით, სათავე დაედო მაცხოვნებელ წიაღს, რომელსაც მიწიერი წარმომავლობა არა აქვს, ზეციურია, ღვთისგანაა დაფუძნებული და წარუვალი, თუმცა ამქვეყნად მყოფობს.

მისი წევრი შეიძლება გახდეს ყველა, ვინც სამოთხეში ჩადენილი ცოდვით შებღალულ შემოქმედის ხატებასა და მსგავსებას თავის თავში განაახლებს, ანუ ღვთისა და ადამიანის ჭეშმარიტი სიყვარულით აღვსილი (იგულისხმება ნებისმიერი ადამიანი და არა მხოლოდ თავისი ერის წარმომადგენელი, როგორც ეს ძველ აღთქმაში იყო), ყოვლადწმინდა სამების სახელით მონათლული და აღსარებითა და ზიარებით მასთან დაკავშირებული, მაცხოვრის მცნებებით ახალ ცხოვრებას დაიწყებს.

„არა არს ჰურიაება, არცა წარმართება, არა არს მონება, არცა აზნაურება, არა არს გარჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქვენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესოს მიერ" (გალ.3,28), – აი, ყოვლად აღმატებული სწავლება, რომელმაც მახვილივით განკვეთა ძველი სამყარო.

შეიყვარე მოყვასი, ვითარცა თავი თვისი და შეიყვარე მტერიც! შეუნდე მონანულს, „არავის მიაგოთ ბოროტი ბოროტისა წილ, კეთილს ცდილობდეთ ყველა ადამიანის წინაშე; თუ შესაძლებელია, თქვენის მხრივ, ყველა ადამიანთან მშვიდობით იყავით (რომ.12, 17-18).

თუ გსურს პირველობა ან უპირატესად ყოფნა, გახდი ყველას მსახური (ანუ – თავმდაბალი ყველას მიმართ), დაიცავი გულის სიწმინდე, ნუ გააკეთებ სიკეთეს საჩვენებლად და გაეცი მოწყალება უშურველად, სამაგიეროს მიღების სურვილის გარეშე; იცხოვრე სხვისთვის, როგორც ცხოვრობ საკუთარი თავისთვის, ხოლო ვინც შეძლებს თავი გაწიროს სხვისთვის, იგი უმაღლეს სათნოებას მოიპოვებს – ასეთი რამ მანამდე არ სმენია კაცობრიობას.

ეს იყო მაცხოვრისგან ადამიანთა აზროვნების რადიკალურად შემობრუნების შეთავაზება, შეთავაზება სულ სხვა სიმაღლისა, სულ სხვა დიდებისა; გაცხადება მისთვის ჭეშმარიტი ღვთისა და ჭეშმარიტი ადამიანობისა.

კაცობრიობას ეს რომ გაეცნობიერებინა და თითოეულ ჩვენგანს ამისთვის მიეღწია, იესო გახდა სრული ადამიანი (ცოდვის გარეშე), რათა ჩვენ გავმხდარიყავით მადლით ღმერთნი;

ეს ურთულესი პროცესია და დიდ ძალისხმევას ითხოვს, რადგან ცხოვრების გზაზე ნებისმიერ ადამიანს მრავალი დაბრკოლება ხვდება, მითუმეტეს – მართლმორწმუნეს.

შეიძლება თქვენ დიდ ცოდვაშიც ჩავარდეთ და მძიმე ვითარებაში აღმოჩნდეთ, მაგრამ იცოდეთ, გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს!

არასდროს იფიქროთ თვითმკვლელობაზე, არ მისცეთ სულს ამ დამღუპველი სისუსტის დაშვების უფლება. ჩვენ სიცოცხლე იმიტომ მოგვეცა, რომ წარმავალი სიცოცხლიდან მარადიულ სიცოცხლეში გადავინაცვლოთ! გახსოვდეთ, სინანულს უდიდესი ძალა აქვს და მას სასწაულის მოხდენა ძალუძს.

ამიტომაც, არ შეეგუოთ დაცემას და ღვთის იმედი მუდამ გქონდეთ.

გწამდეთ, უფალი ყოველგვარ ტკივილს სიკეთედ და ჩვენი სულიერი წინსვლის საშუალებად აქცევს, თუ ლოცვითა და სინანულით დავითმენთ განსაცდელს და მაცხოვრის სწავლებით წარვემართებით.

* * *

ქრისტიანულმა სარწმუნოებამ უდიდესი წვლილი შეიტანა და გადამწყვეტ ფაქტორად იქცა მრავალი ქვეყნის ისტორიაში, მათ შორის, ევროპის და სხვა სახელმწიფოთა ფორმირებაში; მაგრამ უფლის მეორედ მოსვლამდე, ანუ მარადიული სასუფევლის დამყარებამდე, მუდმივად იქნება ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის, მუდმივად დაგვჭირდება სულ უფრო მეტი ძალისხმევა სიწმინდის დასაცავად, რადგან ეს დაპირისპირება თანდათან უფრო მასშტაბურ ხასიათს იღებს.

ავიღოთ თუნდაც ჩვენი დრო.

სამყარო ყოველთვის წინააღმდეგობრივი იყო, მაგრამ დღევანდელ კონფლიქტებსა და ომებს თან სდევს რეალური საშიშროება იმისა, რომ ნებისმიერი მათგანი მსოფლიო კატასტროფად იქცეს და მთელი კაცობრიობა გაანადგუროს. ამიტომაც ყველას, ჩვენი შესაძლებლობებისამებრ, გვმართებს ზრუნვა მშვიდობისთვის. ღმერთმა მშვიდობით აკურთხოს უკრაინა, ახლო აღმოსავლეთი და მთელი მსოფლიო.

მოგეხსენებათ ისიც, რომ ბოლო საუკუნეებში შესუსტდა ჭეშმარიტი რწმენა და იმძლავრა უღმერთობამ; შემოქმედის ადგილი ადამიანმა თავისი თავით ჩაანაცვლა. წინ წამოიწია პრინციპმა, – ჩემი მორალი და შეხედულება განსაზღვრავს ჩემს რწმენას; მაშინ, როდესაც სწორედ რწმენა ღვთისა და მისმიერი მცნებები განსაზღვრავს მორალსაც და შეხედულებებსაც.

დღეს, როგორც არასდროს, გაჩნდა რეალური საშიშროება იმისაც, რომ ადამიანის ეგოცენტრულობამ საფრთხე შეუქმნას იმ მიზანს, რისთვისაც საერთოდ დავიბადეთ, რადგან მსოფლიო ტექნოლოგიურად ვითარდება, მაგრამ მას ჩვენი სულიერი წინსვლა ჩამორჩება და ვდგებით მრავალი ფსიქოლოგიური და ბიოეთიკური გამოწვევის წინაშე.

ჩვენს ცხოვრებაში უკვე განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ხელოვნური ინტელექტიც, რასაც სამეცნიერო წრეებში მანქანური სწავლებით მიღებული ხელოვნური ინტელექტის მოდელს უწოდებენ.

ცნობილია, რომ ხელოვნური ინტელექტი არის კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის ჯამი, კოლექტიური ცოდნა, რომელიც ალგორითმებით იძლევა შესაბამის ინფორმაციას. ამ საშუალებით ადამიანს ექნება წვდომა მრავალგვარ მონაცემებზე მისთვის სასურველ ნებისმიერ სფეროში, რაც ტექნოლოგიურ წინსვლას კიდევ უფრო დააჩქარებს.

ხელოვნურ ინტელექტს აქვს პოტენციალი, უდიდესი გარდატეხა შეიტანოს ჩვენს ცხოვრებაში და მთლიანად შეცვალოს ჩვენი ყოველდღიურობა, თუმცა, ადამიანის სულიერი განვითარების გარეშე, მოსალოდნელი უარყოფითი შედეგებიც აუცილებლად გასათვალისწინებელია.

უფრო და უფრო მკვეთრად დგება კითხვა: შეძლებს ადამიანი, გააერთიანოს ქრისტიანული ცხოვრების წესი და თუნდაც ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები და ღვთის სადიდებლად მიმართოს იგი? თუ თავის თავში დაჯერებული, თავისივე ქმნილებით მოხიბლული და მასზე მიჯაჭვული ადამიანი ღმერთს კიდევ უფრო განეშორება?

ვფიქრობ, მეტად მნიშვნელოვანია ფსიქოლოგების და იმ სპეციალისტების შეხედულებების გაცნობა, რომლელთაც ხელოვნურ ინტელექტთან აქვთ შეხება, რადგან უახლოეს მომავალში ყველა ამ ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდება და აუცილებელია, ჩვენი საზოგადოება მომზადებული შეხვდეს მას.

ერთი რამ კი ცხადია: თითოეული ჩვენგანი უნდა ისწრაფვოდეს პიროვნული სრულყოფილებისკენ, რაც უპირველეს ყოვლისა, ღვთის შეცნობის და მისი ჭეშმარიტების წვდომის სურვილს გულისხმობს.

ღმერთი ლოგიკურ კატეგორიებზე მაღლა დგას, ადამიანური გონება მას ვერ მისწვდება ვერც კაცობრივი ცოდნის მთლიანი ჯამით და ვერც ინფორმაციის სისავსით, ამიტომაც, ცოდნასთან ერთად, საჭიროა რწმენა და ღვთიური მადლით აღვსება, რომ ადამიანი წარმართულ მდგომარეობას არ დაუბრუნდეს.

* * *

ღვთის ერში, ძველი აღთქმის წიაღში, დაიბადა დედათა შორის კურთხეული, ყოვლადწმინდა ქალწული, რომლის მიერაც იშვა მაცხოვარი სოფლისა, – ადამისა და ევას ცოდვათა და ცრემლთა აღმხოცველი.

უფალი მოვიდა ამქვეყნად, რათა კვლავ გაეგრძელებინა განსწავლა კაცობრიობისა, როგორც ამას ედემში, ჩვენს პირველმშობლებთან მიმართებაში იქმოდა.

ქრისტიანობის ისტორია სავსეა ჭეშმარიტად განსწავლული ადამიანებით, რომელთა შრომები სიბრძნის ულევი წყაროა.

გავიხსენოთ მოციქულები, აგრეთვე, წმინდა მამები: ბასილი დიდი, გრიგოლი ღვთისმეტყველი, იოანე დამასკელი, იოანე ოქროპირი, ეფრემ ასური და სხვანი მრავალნი.

გავიხსენოთ სოლომონ ბრძენიც და მისი სიტყვები: „მან (ღმერთმა) მომცა მე არსებულთა უტყუარი ცოდნა, რათა შემეცნო სამყაროს წყობა და სტიქიათა მოქმედება, დასაბამი, დასასრული და შუახანი, მზებუდობათა მონაცვლეობა და არეთა შენაცვლებანი, წელიწადის ბრუნვა და ვარსკვლავთა განლაგება, ცხოველთა ბუნება და მხეცთა თვისება, ქართა ქროლვა და კაცთა ზრახვანი, მცენარეთა მრავალფეროვნება და ფესვების ძალა. ყოველივე შევიცანი, დაფარულიც და განცხადებულიც, რადგან სიბრძნემ განმსწავლა, ყოველთა შემოქმედმა“ (სიბრძნე სოლომონისა 7, 17- 21).

მოვიხსენოთ ადამიც, რომელსაც, ყველსაგან განსხვავებით, სამოთხისეული განსწავლა, შემდგომ კი, ჩადენილი ცოდვის გამო, ღრმა სინანული ჰქონდა.

ამიტომაც მან და მისმა შვილმა, სეითმა, მთელი ცოდნა და ძალისხმევა ღმრთის სათნოყოფისთვის და მარადიულ ნეტარებაში დაბრუნებისკენ მიმართეს; განსხვავებით კაენისა და მისი შთამომავლებისაგან, რომელთაც ღმერთი დაივიწყეს და თავისი მონდომება ამქვეყნიური კეთილდღეობისკენ წარმართეს; აღარ ზრუნავდნენ სულზე და სიკვდილის შემდგომი მდგომარეობაც აღარ აინტერესებდათ.

კაცობრიობაც მთელი თავისი განვითარების მანძილზე ამ ორ გზას შორის მერყეობდა და მერყეობს.

როგორი იქნება ჩვენი არჩევანი?

თუ შევძლებთ სწორი ურთიერთობები ვიქონიოთ ღმერთან, ადამიანთან, ბუნებასთან, მიკრო და მაკრო კოსმოსთან, ვერავითარი ტექნოლოგიური მიღწევა ვერ გაგვაუცხოებს შემოქმედისგან, არამედ მათი მართებულად გამოყენების შემთხვევაში, იგი იქცევა ჩვენი გონებრივი და სულიერი წინსვლის დიდ საშუალებად.

ამიტომაც დღეს ყველაზე მეტად გვესაჭიროება მაცხოვრის შობის საიდუმლოს გაცნობიერება, რადგან დედამიწაზე განხორციელებული ქრისტე ყოველ დროს და ყველა ეპოქაში გვწინამძღვრობს, გვიჩვენებს სწორ გზას და გვანიჭებს ხსნას.

იგია სრული სიყვარული და სიკეთე, სრული ცოდნა, მშვიდობა და სიბრძნე, რომელიც მარადიულად და დაუსრულებლად განაახლებს, განაბრძნობს და განწმენდს მის თანაზიართ.

ყველას, ვინც მაცხოვრის შობის სიხარულით ცოცხლობს, ვულოცავ ამ დიდებული დღის შემობრძანებას. ვულოცავ ზეციურ და მიწიერ სამყაროს, სრულიად საქართველოს, თითოეულ თქვენგანს; ვულოცავ ხელისუფალთ, უცხოეთში მყოფ თანამემამულეთ, ჩვენს ერთგულ მრევლსა და სასულიერო პირებს! ვულოცავ ჯარისკაცებს, სპორტსმენებს, მეზღვაურებს, ექიმებს და ქვეყნის კეთილდღეობისათვის ყველა სხვა დამაშვრალს; ვულოცავ მოხუცებსა და ახალგაზრდებს, სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებელბს, მოსწავლეებს, განსაკუთრებით კი, ბავშვებსა და ახალშობილებს; ვულოცავ პატიმრებს, სნეულებაში მყოფთ და მშობლების მზრუნველობას მოკლებულთ...

ყველას გლოცავთ და გახარებთ მხსნელის მოვლინებას!

სულიერად განმტკიცდით და გაძლიერდით, და არაფრის შეგეშინდეთ!

უფალთან არ დაგეკარგებათ თუნდაც ერთი გულითადი ლოცვა და სინანულის ცრემლის ერთი წვეთიც კი.

გწამდეთ, ყველაფრის მიუხედავად, იესო ქრისტეს ყოველთვის ჩვენთვის მაცხოვნებელი გზით მივყავართ; ამიტომაც მუდამ იყავით მადლიერნი მისი და გქონდეთ სასოება.

ვინც ღმერთი ჰპოვა, უმთავრესი შეიძინა; ღმერთს განშორებული სული კი კვდება, როგორც სულს გაყრილი სხეული.

და კიდევ, – ყველა და ყველაფერი უძლურია იქ, სადაც უფალი თავის ძალას ავლენს.

„უპირატეს ჟამთა მამისგან შობილსა ძესა და ქალწულისაგან ხორცშესხმულსა, ყრმანი აქებდით, მღვდელნი უგალობდით და ერნი უფროისად აღამაღლებდით უკუნისამდე“ (ძლისპირი), ამინ!

ბეთლემში შობილი იესოს სიყვარულით თქვენთვის მლოცველი,

**ილია II**
**სრულიად საქართველოს**
**კათოლიკოს-პატრიარქი**

**თბილისი, ქრისტეშობა, 2024**

ეკონომიკა და ბიზნესი, 2024, №1, 17-31
Economics and Business, 2024, №1, 17-31

## ეკონომიკური თეორია ◊ ეკონომიკური პოლიტიკა
## ECONOMIC THEORY ◊ ECONOMIC POLICY

# დავოსი 2024 – მოსალოდნელი მომავლის შესახებ (ეტიუდები)

doi.org/10.52340/eab.2024.16.01.01

**მიხეილ ჯიბუტი**
*აკადემიკოსი*
*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია*
*პროფესორი*
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*
*m_djibuti@yahoo.com*

*ნაშრომში, 2024 წლის 15-19 იანვარს დავოს-კლოსტერსის (შვეიცარია) რიგით 54-ე მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მუშაობაა განხილული. გამახვილებულია ყურადღება ისეთ საკითხებზე, რომლებიც ქართული პოლიტიკური და სამეცნიერო წრეების ყურადღებას იმსახურებს. დავოსის ფორუმიდან ეკონომიკური და პოლიტიკური დასკვნების გარდა, მნიშვნელოვანია სიტუაციური, სოციალურ-საზოგადოებრივი დასკვნების გამოტანა რეალობის შესაფასებლად და გასათვალისწინებლად. გადაუდებელია საქართველოსათვის Covid-19-ის პანდემიის გაკვეთილების შესწავლა, პოსტპანდემიური სიტუაციის შეფასება და მომზადება მსგავსი ახალი განსაცდელისათვის, რომლის შესახებ გაფრთხილება ე.წ. „ავადმყოფობა X"-ზე გაკეთდა ფორუმზე. რუსეთ-უკრაინის და ისრაელ-„ჰამაზის" ომებმა შექმნა სიტუაცია, როდესაც მნიშვნელოვნად იზრდება შუა დერეფნის როლი მსოფლიო გადაზიდვებში და საქართველოს პასუხისმგებლობაც. ამ პროცესს შეხვდეს ლირსეულად. მემარცხენეობა მოდა გახდა დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში. მისმა მასშტაბებმა ფორუმზე არგენტინის ლიბერტარიანელ პრეზიდენტს ათქმევინა ფრაზა – „დასავლეთის სამყარო – საფრთხეშია!" ეს გაფრთხილება ყურადსაღებია საქართველოსთვისაც, რომელიც ეხლა გადის უთვალავ ტრანსფორმაციის პროცესს – სოციალდემოკრატებმა და კომუნისტებმა ორჯერ ააცდინეს ქვეყანა ბუნებრივი განვითარების გზას და მესამედ, ეს ქვეყანამ არ უნდა დაუშვას, როგორიც არ უნდა იყოს მსოფლიო პოლიტეკონომიური მოდა.*

***საკვანძო სიტყვები:*** *დავოს- კლოსტერსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, „ავადმყოფობა – X", ნარატივი თეორიის ნაცვლად, დეზინფორმაცია.*

## შესავალი

ფორუმის სათაური არ შეესაბამება შინაარსს: შვეიცარიაში დავოსის, უფრო სწორად დავოს – კლოსტერსის, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (შემდგომში: ფორუმი) დიდი ხანია თავისი შინაარსით დაშორდა თავის დასახელებას და ის მოიცავს ადამიანური ურთიერთობების ყველაზე მწვავე საკითხს მსოფლიოსათვის. ამ ფორუმზე მსჯელობენ თუ რა გამოწვევები დგას და როგორია ამ გამოწვევებზე საპასუხოდ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უმსხვილესი ბიზნესის სამომავლო ხედვები და მოქმედების გეგმები. 2024 წელს გაგრძელდა 2023 წელს ფორუმზე დაწყებული პანდემიის შემდგომი პერიოდის ახალი რეალობის განზოგადება, რაც ხასიათდება, ერთი მხრივ, პოსტპანდემიური და მეორე მხრივ, მასშტაბური სამხედრო – ტერორისტული აქტივობით, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის ფედერაციის აგრესიით. დავოსის ფორუმი არ იღებს რაიმე გადაწყვეტილებებს და არ გამოდის შემაჯამებელი რეკომენდაციებით. მიუხედავად ამისა, ეს ფორუმი საუკეთესო საშუალებაა იმის გასაგებად, თუ როგორია არსებულ სიტუაციაში მთავარი ვექტორები მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაში. ყველაზე კონცენტრირებულად ეს შეიძლება განხორციელდეს დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მუშაობის შესწავლით. ამასთან, ეკონომიკის, ან ეკონომიკური თეორიის შესახებ მსჯელობა დავოსის კონტექსტით მოითხოვს მის მასალებში მიმოფანტული ამ საკითხების თავმოყრასა და ანალიზს.

### ვისთვის არის და ვისთვის არ არის დავოსში ჩასვლა საჭირო?

დავოსის ფორუმი კერძო ინიციატივაა. მისი მუშაობა წარიმართება გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და ტექნოლოგიური სადისკუსიო პანელების მეშვეობით. ყველა ინფორმაცია არის ღია და ხელმისაწვდომი მიმდინარე რეჟიმში. ამდენად, ანალიტიკური მუშაობისათვის იქ ყოფნა არაა საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ დავოსის 2024 წლის ფორუმში მონაწილეობის გადასახადი მნიშვნელოვნად გაიზარდა, დავოსში მაინც მიდიან. დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმში მონაწილეობისათვის გადასახადი 2023 წლის 70 ათასი დოლარიდან, წელს გაიზარდა 250 ათას დოლარამდე! ამ ფულს საჯარო მოხელეებისათვის იხდის მათი ქვეყნის ბიუჯეტი, ხოლო კერძო სექტორისათვის – ფირმები. მონაწილეობის ფასის ზრდის გამო ბიზნესის ბევრმა წარმომადგენელმა უარი განაცხადა მონაწილეობაზე, მაგრამ არ გამხდარა ცნობილი, რომელიმე სამთავრობო დელეგაციის პროტესტი ამის გამო. ეს ერთგვარი ფინანსური ბარიერი მიანიშნებს, რომ დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი განიცდის ტრანსფორმაციას ღიაობიდან ჩაკეტილობისკენ, მაგრამ არა ინფორმაციული, არამედ კომუნიკაციური თვალსაზრისით. ფორუმის შიგნით ურთიერთობა დემოკრატიულია, არის შესაძლებლობა ნებისმიერი მონაწილის

ნებისმიერ მონაწილესთან შეუფერხებელი ურთიერთობისათვის, ხელის ჩამორთმევისა და სურათის გადაღებისათვის! ამიტომ, ყველა მონაწილემ უნდა იცოდეს „რა მიაქვს“ და „რისი წამოღება“ სურს დავოსის დერეფნებიდან, სხვანაირად, მასში მონაწილება გამართლებული არაა. ეტყობა ფორუმის ორგანიზატორები ფიქრობენ მის კლუბად გადაქცევას, რაც რეალობის ფორმალიზება იქნება. ასეთი კლუბები მადრიდის (საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრები), რომის (მთავრობათა ყოფილი ხელმძღვანელები და სხვა ცნობილი ადამიანები) კლუბის სახით ცნობილია. ყველა ამ კლუბს აქვს წევრობისათვის ასაკობრივი ცენზი, ხოლო დავოსის ფორუმისათვის შერჩევის პრინციპი ეფუძნება ფინანსურ შესაძლებლობებს. საქართველოს ხელისუფლება ფორუმში ხშირად მონაწილეობს, თუმცა, საჯარო არაა ამ მონაწილეობისათვის ხარჯების თანაფარდობა მიზანსა და შედეგიანობასთან.

## ფორუმის მუშაობის ჩარჩოები

2024 წელს დავოსში (შვეიცარია) 15-19 იანვარს, მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმი რიგით 54-ე შეკრება, იყო დევიზით – „ნდობის აღდგენა“ და მთავარი თემა: – „ლაბორატორიიდან ცხოვრებაში: მეცნიერება მოქმედებაში“. მისი დამფუძნებელი და უცვლელი პრეზიდენტია გერმანელი ეკონომისტი, პროფესორი კლაუს შვაბი (დაბ.1938, 30 მარტი). დავოსის მუშაობა ოთხ ბლოკად იყო სისტემატიზებული: უსაფრთხოების მიღწევა და თანამშრომლობა დანაწევრებულ მსოფლიოში; ახალი ერისათვის ზრდისა და სამუშაო ადგილების უზრუნველყოფა; ხელოვნური ინტელექტი, როგორც ეკონომიკისა და საზოგადოების მამოძრავებელი ძალა; ხანგძლივვადიანი სტრატეგია კლიმატის, ბუნებისა და ენერგეტიკის სფეროში. ორგანიზატორების თქმით, ფორუმის მთავარი კითხვა, პასუხის გასაცემად იყო: „პოლიკრიზისს“ (2023 წლის ფორუმის ტერმინი) შეცვლის „პერმაკრიზი“, თუ 2024 წელი სიტუაციის განმუხტვის, მდგრადობისა და აღდგენის წელი იქნება?

2024 წლის 18 იანვარს, დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე, პირველი ბლოკის – „უსაფრთხოების მიღწევა და თანამშრომლობა დანაწევრებულ მსოფლიოში“ ფარგლებში, სესიაზე სახელწოდებით – „რეგიონის შესაძლებლობების რეალიზება, თუ ქვეყნები შეძლებენ ინვესტიციების მოზიდვას“- სერბეთის პრეზიდენტთან ალექსანდრე ვუჩიჩთან ერთად, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი მონაწილეობდა ერთ-ერთ პანელზე – „ევრაზიის ახალი განთიადი?“. პრემიერის გამოსვლაში მთავარი აქცენტი შუა დერეფანზე გაკეთდა და აღინიშნა, რომ უმნიშვნელოვანესია შუა დერეფნის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის საქართველოს მცდელობები (ანაკლიის პორტის, ახალი აეროდრომის მშენებლობა) და ამ დერეფანში ჩინეთის ინტერესების გათვალისწინება.

## დასკვნები ფორუმიდან

დავოსის ფორუმიდან ეკონომიკური და პოლიტიკური დასკვნების გარდა, მნიშვნელოვანი სიტუაციური, სოციალურ – საზოგადოებრივი დასკვნების გამოტანა შეიძლება რეალობის შესაფასებლად და გასათვალისწინებლად.

ერთზე უკვე ითქვა – საქართველოსა და მცირე ეკონომიკის ქვეყნების მთავრობათა მონაწილეობა ამ ფორუმში საბიუჯეტო სახსრების გაუმართლებელი ხარჯვაა, ან საზოგადოებას უნდა წარედგინოს საფუძვლიანი დასაბუთება ასეთი ვიზიტის აუცილებლობის შესახებ.

დავოსი ფორუმის დღეებში გადაჭედილია პოლიტიკური და ფინანსური ძალის მქონე პირებით. ქალაქი მათ კომფორტულად მისაღებად მზადაა. საოცარი ბუნება და სრულყოფილი ინფრასტრუქტურა. თუმცა, შვეიცარიელებიც კი ვერაფერს შველიან იმ შეცდომებს, რაც ამ ქალაქის განაშენიანების დროსაა დაშვებული ქალაქის მესვეურებისა და არქიტექტორების მიერ. დავოსი რჩება ერთ-ერთ ყველაზე არასასიამოვნო დასახლებად შვეიცარიაში. ამის საპირისპიროა, მისი პარტნიორი სოფელი კლოსტერსი, სადაც, როგორც ელიტური ქრონიკებიდანაა ცნობილი, ყოველ ზამთარს დასასვენებლად ჩადიან დიდი ბრიტანეთის სამეფო სახლის წარმომადგენლები. ეს კარგი მაგალითია საქართველოსათვის. ის, რაც ფუჭდება თბილისის ქალაქთმშენებლობაში, აგრეთვე ბათუმში, გუდაურში, ბაკურიანში, მისი გამოსწორება თაობებისათვის შეიძლება შეუძლებელი გახდეს. ქალაქმშენებლობაში საქართველოში გაფუჭება უფრო მომგებიანია, ვიდრე გაკეთება. გადაუდებელია ამ თანმიმდევრობის შეცვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გასაფუჭებელი კიდევ ბევრია: ბახმარო, გომის მთა, წყალტუბო, აბასთუმანი და სხვა. მმართველობის დეცენტრალიზაციის პროცესის ბოლომდე მიყვანა გადაუდებელი აუცილებლობაა ქვეყნის სივრცობრივ – ტერიტორიული მოწყობის სამომავლო პერსპექტივისათვის.

დავოსის ფორუმის სტუმრები ჩამოდიან ძირითადად ციურიხში თვითმფრინავებით და აქედან მიემგზავრებიან შვეულმფრენებით დავოსში.

ძირითადი სტუმრები ჩამოდიან თვითმფრინავით ციურიხში და იქედან ვერტფრენებით დავოსში. ციურიხის აეროპორტი ამ დროს გადაჭედილია ბიზნეს – ჯეტებითა (რეაქტიული) და სამთავრობო თვითმფრინავებით. შვეიცარიაში ამ საკითხს უყურებენ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. ფინანსურად სიტუაცია მოითხოვს ციურიხის აეროპორტის გაფართოებას, მაგრამ იზრდება გარემოსადმი მიყენებული ზიანის სიდიდე. ციურიხის მოსახლეობამ კენჭისყრით უარი თქვა ციურიხის აეროპორტის გაფართოებაზე.

დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე მონაწილეთა გამოსვლებიდან და ფორუმისადმი მომზადებული კვლევებიდან ჩანს, რომ 2024 წელი მსოფლიოსათვის ვერ იქნება უკეთესი 2023 წელზე, ვერ იქნება დაძლეული ინფლაციის არსებული დონე, ეგზისტენციალურ საფრთხეს ეკოლოგიურთან ერთად, ზოგიერთის აზრით, უფრო მეტად, შექმნის ხელოვნური ინტელექტი. ფო-

რუმის შინაარსი, როგორც ითქვა, დაშორდა მის სათაურს და ის ეკონომიკაზე კი არა, არამედ გლობალიზაციაზეა და მოიცავს საკითხთა კონგლომერატს. ამ ფორუმზე „გეოპოლიტიკა" „გეოეკონომიკის" გვერდით, თანაბარძალოვნად იქნა გამოყენებული. ეკონომიკური საკითხებიდან ყველაზე მეტი ინტერესი დაეთმო ციფრულ ეკონომიკასა და ცირკულარულ ეკონომიკას. დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე „სენსაცია" არის საფრთხეების რანჟირებაში: მომავალი ორი წლისათვის მთავარ საფრთხედ მოკლევადიანი პერიოდისათვის ფორუმზე დასახელდა „დეზინფორმაცია"! ეს დასკვნა დაეფუძნა ხელოვნური ინტელექტის გავრცელებასა და 2024 წლისათვის მსოფლიოს ნახევარი მოსახლეობის (4,5 მლრდ კაცის) მონაწილეობას საპარლამენტო არჩევნებში. საპარლამენტო არჩევნები 2024 წელს ჩატარდება აშშ-ში, ინდოეთში, რუსეთში, ტაივანსა და სხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. ყველაზე დიდი რისკი დაემთხვა ყველაზე სამარცხვინო საქმეს – ტყუილს, რომელიც ყველაზე მეტია არჩევნების დროს! თანაც, კითხვაზე, რაში შეიძლება ხელოვნურმა ინტელექტმა აჯობოს ადამიანს (ბუნებრივ ინტელექტს), გამოჩნდა პასუხი – ტყუილსა და დეზინფორმაციაში, თანაც მნიშვნელოვნად და მასშტაბურად!

## მთავარი სენსაცია – მოსალოდნელი „X დაავადება"

ჯამრთელობის თემატიკიდან ყველაზე სკანდალური აღმოჩნდა მსჯელობა X დაავადებაზე. ყველა საკითხი, რაც დასმული იყო დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე ატარებდა გლობალურ ხასიათს, მაგრამ ყველა მათგანი გამომდინარეობდა მიმდინარე პროცესებიდან. X დაავადებაზე საუბარი კი იყო ჰიპოთეტურად შესაძლო პათოგენსა და მის ასევე შესაძლო პანდემია/ეპიდემიაზე, რომლისთვისაც უნდა ემზადოს მსოფლიო. ესაა ჯანმრთელობის სფეროში კრიზისების დაგეგმვის სისტემა. დავოსში გაჟღერებული იდეების უკან თუ რა დგას, ეს ცალკე მეცნიერების თემაა. თუმცა, აღნიშნულ მსჯელობას, რომელიც სათავეს იღებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციიდან (ჯმო) მოჰყვა სკანდალი, რომელშიც მონაწილეობდა ყველა: დაწყებული იმით, ვინც თვლის რომ დავოსში მტკიცდება მსოფლიო გლობალური დღის წესრიგი და დამთავრებული, ვინც ამტკიცებს რომ ადგილი აქვს ფარმაკოლოგიური ფირმების ლობირებას, თანაც ისეთი საშიშროების შექმნით, რომელიც არ არსებობს. ზოგადად ვირუსოლოგია, ბაქტერიოლოგია, ეპიდსამსახურები ხომ ამას ისედაც აკეთებენ? დაიწყო იმის კვლევა, ხომ არაა ეს ახალი პანდემიისათვის მოსამზადებელი ფონის შექმნის მცდელობა. დავოსში ამ საკითხებზე მსჯელობა გაიმართა პანელზე – „ავადმყოფობა X-ისათვის მომზადება" („Preparing for Disease X"). დასახელება „ავადმყოფობა X", ჯამრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ 2018 წელს მოიფიქრა (Goldin 2024). მიზანი იყო, ჯანმრთელობის სისტემაში მზადყოფნა, გლობალური კვლევების, ვაქცინების, ტესტების, კვლევის პროტოკოლების შემუშავება. ეჭვები სწორედ იმან წარმოქმნა, რომ ჯმო ამის შესახებ

2018 წელს მსჯელობდა და მსოფლიო ასეთი მოუმზადებელი შეხვდა კოვიდ-პანდემიას. 2018 წელს ჯმო-მ გამოაქვეყნა დოკუმენტი საზოგადოებრივ ჯანდაცვაში კვლევებისა და გამოგონებებისათვის ავადმყოფობათა გაპრიორიტეტების შესახებ საგანგებო სიტუაციაში. ამ ინსტრუმენტით განისაზღვრა ეპიდემიური პოტენციალის მქონე და საკმარისი საწინააღმდეგო ღონისძიებების არმქონე დაავადებათა ჩამონათვალი: COVID 19; ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება; ებოლას ვირუსული დაავადება და მარბურგის ვირუსული დაავადება; ლასას ცხელება; ახლო აღმოსავლეთის რესპირატორული სინდრომის კორონავირუსი (MERS-COV) და მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომი (SARS); ნიპა და ჰენიპავირუსული დაავადებები; რიფტის ველის ცხელება; ზიკა; „დაავადება X" (დაავადებების პრიორიტეტი კვლევისა და განვითარებისთვის საგანგებო კონტექსტით). 2018 წელს COVID-19 ამ ჩამონათვალის სათავეში იყო. ფაქტი ისაა, რომ COVID-19 2019 წელს გამოჩნდა, 2020 წელს მსოფლიოზე გაბატონდა და დღემდე რჩება, არსად არ წასულა. ჯმო-მ პანდემია დასრულებულად გამოაცხადა 2023 წლის 5 მაისს, ანუ მისი გამოცხადებიდან (11 მარტი 2020წ.) 3 წლის ერთი თვისა და 24 დღის შემდეგ, რა თქმა უნდა, დათქმით, რომ აღნიშნული არ ნიშნავს ვირუსის უვნებლობას.

ჯმო-ს მონაცემებით, 2023 წლის 11 დეკემბრიდან 2024 წლის 7 იანვრამდე, კოვიდის 1,1 მლნ შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის 8700 შემთხვევა დამთავრდა სიკვდილით.

COVID-19 პანდემიასა და მის დასრულებას შორის საქართველომ ორი პრემიერ -მინისტრი გამოიცვალა: გიორგი გახარია (8 სექტემბერი, 2019 – 18 თებერვალი ,2021) და ირაკლი ღარიბაშვილი (22 თებერვალი, 2021 – 29 იანვარი, 2024). 2022 წლის 24 თებერვალს, როდესაც რუსეთმა ომი დაიწყო უკრაინის წინააღმდეგ, პანდემია მასშტაბურად არსებობდა. მისი დასრულება ერთი წლისა და ორი თვის შემდეგ გამოაცხადა ჯმო – მ. 2020 წლის პირველ ნახევარში (1-ლი ივლისის მდგომარეობით) საქართველოში დაფიქსირებული იყო ახალი კორონავირუსით დაინფიცირების სულ 800 და მათ შორის გარდაცვალების 13 შემთხვევა. ასეთივე წარმატებით ვერ მოხერხდა ეკონომიკის განვითარების უზრუნველყოფა და ეკონომიკური რეცესიისა და კრიზისის თავიდან აშორება. 2020 წლის პირველ კვარტალში რეალური მშპ-ის ზრდამ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან, მართალია, შეადგინა 1,5%, მაგრამ მარტში მშპ 2,7%-ით შემცირდა. მეორე კვარტალში მშპ შემცირდა 12,6 %-თ (თვეების – აპრილი, მაისი, ივნისი – მიხედვით შემცირებამ შეადგინა შესაბამისად, 16,6%; 13,5%; 7,7%). შემდგომ თვეებში, ივნისიდან ეკონომიკის აღდგენის პროცესი დაიწყო. თუმცა, ის ვერ დასრულდა სექტემბერში, პანდემიის მეორე ტალღის დაწყების გამო (ჯიბუტი 2020, 3). 2020 წლისათვის რეალური GDP შემცირდა 6,3 %-ით. გახარიას პრემიერ-მინისტრობის დროს (2021 წლის 18 თებერვლამდე) სულ დაავადებული იყო 267 313 კაცი. კოვიდპოლიტიკა ქვეყანაში განხორციელდა ორი გამოკვეთილი სცენარით: პირველი, უსაფრთხოების და მეორე, ეფექტიანობის პრიმატით. მკაცრი ლოკ-

დაუნის პერიოდის შედეგი 2020 წლის პირველ ნახევარში, იყო მინიმალური მსხვერპლი და ეკონომიკის ვარდნა. 2020 წლის სექტემბრიდან და განსაკუთრებით 2021 წლის თებერვლიდან, ეკონომიკა თავისუფალ რეჟიმში გადავიდა. დპ-რეალურმა ზრდამ 2021 წლისათვის შეადგინა 10,6%, 2022 წელს 11,0%. ამავე პერიოდში კოვიდით დაღუპულთა რიცხვმა შეადგინა 16 332 ადამიანი.

2024 წლის 7 იანვრის მდგომარეობით მსოფლიოში სულ დარეგისტრირებულია დაავადების 774 მლნ მეტი შემთხვევა, მათ შორის 7 მლნ მეტი გარდაცვალების (https://www.who.int/publications).

საქართველოში დადასტურებული 1 855 289 შემთხვევა, მათ შორის გარდაცვალების – 17 132 ფაქტი (http//www.who.int/countries/geo);

მეზობელ ქვეყნებში, შესაბამისად: აზერბაიჯანში – 834 241 და 10361 (https://www.who.int/countries/aze/); სომხეთში – 451 272 და 8 775 (https://www.-who.int/countries/arm/); თურქეთში-17 004 677 და 101 419 (ttps://www.who.int/countries/tur/); რუსეთში კი -23 479 653 და 400 771 (https://www.who.int/countries/rus/).

**დაავადებულთა და გარდაცვლილთა წილი 2024 წ. 5 იანვრის მდგომარეობით.**

| | მსოფლიო | საქართველო | სომხეთი | აზერბაიჯანი | თურქეთი | რუსეთი |
|---|---|---|---|---|---|---|
| მთლიან მოსახლეობაში დაავადებულთა წილი,% | 9,68 | 50,0 | 16,17 | 8,23 | 20.06 | 16,37 |
| მთლიან მოსახლეობაში გარდაცვლილთა წილი,% | 0,09 | 0,46 | 0.31 | 0,10 | 0,12 | 0,28 |
| დაავადებულთა შორის გარდაცვლილთა წილი,% | 0,90 | 0.92 | 1,95 | 1,24 | 0,60 | 1,71 |

***წყარო :*** *ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ.*

ქვეყნის ეკონომიკის ზრდის უკუპროპორციული კორელაცია დაავადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობასთან სახეზეა. ამ საკითხებს სჭირდება ჩაღრმავებული კვლევა ახალი X-ავადმყოფობისათვის მზადების პერიოდში. მითუმეტეს, რომ მონაცემები კარგად გამოხატავს პანდემიის დროს გამოვლენილ სისუსტეებს: მოსახლეობის ნახევარის დაავადება პრევენციული სისტემის უმდაბლესი დონის მაჩვენებელია! გამოსავალი არის საკითხის

მეცნიერული შესწავლა და პოლიტიკის გათავისუფლება ალტერნატიული აზროვნებისაგან: „ან, ან“ მიდგომისაგან. აუცილებელია მრავალვარიანტიანი პოლიტიკის შემუშავება, მათ შორის მოსამზადებელი, სარეზერვო საქმიანობის წარმართვა. ეპიდემიოლოგიური სისტემა პანდემიის შემდეგ კი არ უნდა შეიქმნას, არამედ მანამდე ზრუნავდეს მის პრევენციაზე და საჭიროების შემთხვევაში, ჩაქრობისთვის იყოს მუდმივ მზადყოფნაში.

კოვიდ-პანდემიამ, ადამიანების, როგორც ბიოლოგიური სახეობის ჰეგემონის კოლაფსის უმარტივესი, ვირუსული შესაძლებლობა წარმოაჩინა. აჩვენა ყველა ეკონომიკური, მათ შორის კოვიდ-პანდემიის წინა პერიოდში გაბატონებული თეორიის დაუსრულებლობა და ცალმხრივობა.

### მსოფლიო – თეორიულ-ეკონომიკური პარადიგმის ძიებაში

ეკონომისტ-მეცნიერთა უმრავლესობა თანხმდება, რომ ლიბერალური თეორიის, განსაკუთრებით საბჭოთა სოციალიზმის კრახის შემდგომი წარმატებული განვითარების ეპოქა, დამთავრდა. შესაბამისად, ეს აისახა იმ ქვეყნების ეკონომიკების განვითარებაზე, რომელთა ეკონომიკური პოლიტიკა ლიბერალური თეორიის პრინციპებს ეყრდნობოდა. ამან გამოიწვია მემარცხენე თეორიების წარმომადგენელთა გააქტიურება, რომელიც უფრო ნიშნის მოგების ფორმით ვითარდება და სთავაზობს საზოგადოებას პრინციპებს, ლიბერალიზმის პრინციპების ალტერნატივის სახით. მემარცხენეობის ზეიმისათვის განსაკუთრებით ნაყოფიერი ნიადაგი შექმნა COVID-19 პანდემიის პერიოდმა. როდესაც ვირუსმა, პირდაპირი მნიშვნელობით, რამდენიმე დღეში დაიპყრო მსოფლიო და დაამყარა „ვირუსის მსოფლიო იმპერია“. ქვეყნები, მათ შორის ყველაზე განვითარებულები და ლიბერალიზმის ლიდერები, არ აღმოჩნდნენ მზად ლიბერალიზმის ფარგლებში ეწარმოებინათ ომი პანდემიის წინააღმდეგ და დაიწყეს კარჩაკეტილობის გამოყენება ეპიდემიის დასაძლევად. ომის ეკონომიკის ნაცვლად, ქვეყნები გადავიდნენ ციხის ეკონომიკაზე. ლოკდაუნები, ფულის ჩასხმა ეკონომიკაში და სხვა იყო ღონისძიებები არალიბერალური არსენალიდან. ლიბერალიზმისა და გლობალიზაციის პრინციპებზე უარის თქმამ, შექმნა შთაბეჭდილება, რომ კარჩაკეტილობა არის წარმარტების საფუძველი. უფრო მეტიც, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბებული წესრიგისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების მასობრივი დარღვევის შესაძლებლობამ, წარმოშვა ცდუნება სამხედრო ძალის გამოყენებისა.

### საბჭოთა კავშირის აღდგენისათვის ბრძოლა

საბჭოთა კავშირის აღდგენისათვის ბრძოლა დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლის დღიდან და მისი დაშლის გამოცხადების ადგილიდან. 1991 წლის 8 დეკემბერს ხელი მოეწერა ბელოვეჟსკის ხელშეკრულებას. საბჭოთა კავში-

რის დაშლასთან ერთად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) შექმნის შესახებ. მრავალწლიანი ჰიბრიდული და ირიბი ომის კრახით დამთავრების შემდეგ, რუსეთის ფედერაცია გადავიდა ღია სამხედრო აგრესიაზე. ყველაფერი ეს დაიწყო რუსეთის აგრესიით საქართველოს წინააღმდეგ. რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომს (2008წ.) და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ე.წ. „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოების" ფორმირებას, მოჰყვა რუსეთის ფედერაციის მიერ, ყირიმისა და სევასტოპოლის, ხოლო შემდეგ ლუგანსკისა და დონეცკის ოლქების დაპყრობა და აქ ლუგანსკისა და დონეცკის სახალხო რესპუბლიკების შექმნა. 2014 წლის 27 თებერვალს დაიკავა რუსეთმა ყირიმი და სევასტოპოლი, 16 მარტს ჩაატარა რეფერენდუმი რუსეთისადმი მათი მიერთების შესახებ და რეფერენდუმის „შედეგების" შესაბამისად თავის შემადგენლობაში შეიყვანა ყირიმი და სევასტოპოლი. 2022 წლის 24 თებერვლის შეჭრის შემდეგ უკრაინაში რუსეთმა დაპყრობილ ზაპოროჟიესა და ხერსონის ტერიტორიებზე, აგრეთვე ლსრ და დსრ (ლუგანსკის და დონეცკის ოლქები) ტერიტორიებზე 2022 წლის 23-27 სექტემბერს ჩაატარა რეფერენდუმები ყირიმის სცენარით, მოახდინა ოკუპირებული ტერიტორიების ანექსია და ოკუპირებული ტერიტორიები გამოაცხადა 30 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში არსებულ ლუგანსკის, დონეცკის, ზაპოროჟიესა და ხერსონის ოლქებად. ლსრ და დსრ, რომლებიც თავს 2014 წლის 12 მაისიდან უკრაინიდან დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აცხადებდნენ, გადაიქცნენ რუსეთის ფედერაციის ოლქებად. ნიშანდობლივია, რომ რუსეთის დელეგაცია დავოსის ფორუმში მონაწილეობდა 1992 წლიდან 2020 წლის ჩათვლით. არც ერთი, ზემოთ აღნიშნული აგრესიის გამო რუსეთს დავოსის ფორუმზე დისკომფორტი არ განუცდია. ჭეშმარიტების მომენტი მხოლოდ 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის უკრაინაში შეჭრის გამო დადგა. 2022 , 2023, 2024 წელს რუსეთის ფედერაცია არ მოუწვევიათ ფორუმზე. რუსეთ – უკრაინის თემა განმსაზღვრელი იყო უსაფრთხოების საკითხებზე მსჯელობისას, ისევე როგორც 2023 წლის ფორუმზე.

რუსეთ-უკრაინის ომის გარდა, ფორუმმა იმსჯელა 2023 წლის 7 ოქტომბერს პალესტინელთა სამხედრო დაჯგუფების – „ჰამაზის" მიერ ჩადენილი ტერორისტული აქტის საპასუხოდ და მძევლად აყვანილი პირების გასათავისუფლებლად ღაზას სექტორში ისრაელის საომარი მოქმედებების დასრულებასა და შედეგებზე. ფორუმის მუშაობის პროცესში უსაფრთხოების თემატიკა გაამწვავა აშშ-ის მიერ იემენში, წითელ ზღვაში საზღვაო გზის ბლოკირების ხუსიტების აგრესიის შემაჩერებელი დაბომბვებით (11 იანვრიდან), ირან-პაკისტანის ურთიერთდაბობვებით (19 -20 იანვარი), ირანის მიერ სირიის დაბომბვით შექმნილმა ახალმა კონტექსტმა. სამხედრო ესკალაციამ დაადასტურა, რომ დავოსის 2024 წლის ლოზუნგი ნდობის აღდგენის შესახებ, მნიშვნელოვანი გამოწვევაა უახლესი პერიოდისათვის.

ხუსიტების მოქმედება წითელ ზღვაში, მათი თქმით, ღაზას სექტორის პალესტინელების დასაცავადაა მიმართული, რომ ისინი ისრაელის დამხმარე გემებს ებრძვიან. ხუსიტების მოქმედება მხარდაჭერილია ირანის მიერ, აფერხებს მოძრაობას წითელ ზღვაში, აძვირებს ევროპისათვის აზიურ საქონელს და პირიქით, არღვევს იმპორტის ჯაჭვს, ზრდის სადაზღვევო მომსახურების ფასს საომარი რისკების გამო და სხვ. მას ექნება აშშ-ის ინფლაციური ზეწოლა და იმოქმედებს საპროცენტო განაკვეთებზე. შექმნილი მდგომარეობა, კიდევ უფრო ზრდის საქართველოზე გამავალი შუა დერეფნის მნიშვნელობას და მოითხოვს შესაბამის ასახვას საქართველოს ლოჯისტიკის პოლიტიკაში. ამასთან, ყურადსაღებია მეგობრობის ფენომენი ქვეყნებს შორის: რამდენი მხარდამჭერი ჰყავს პალესტინას და რამდენი მეგობარი ჰყავს ისრაელს, შეადარეთ რუსეთისა და უკრაინის მეგობრები. რუსეთის ყველა მეგობარი, ვიღაცის წინააღმდეგ, ან რუსეთიდან იაფი ენერგომატარებლების მიღების ინტერესებითაა მოტივირებული.

### „დასავლეთის სამყარო – საფრთხეშია!“

კოვიდ-პანდემიის დროს მმართველი ელიტების ქმედებამ ეკონომიკის სფეროში, ყოველგვარი კანონზომიერების დარღვევით, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების უგულებელყოფამ და „ძლიერი – მართალიას“ განგსტერული ნორმებით მოქმედებამ, გამოიწვია საზოგადოებრივი მეცნიერებებისადმი მოთხოვნილების შემცირება, მათი დევალვაცია. მეცნიერების ადგილი დაიკავა ნარატივმა. ყველაზე რელიეფურად ეს გამოჩნდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვ.პუტინის ისტორიულ ნარატივებში საქართველოსა და უკრაინასთან მიმართებით, ამ სახელმწიფოთა ტერიტორიების ოკუპაციისათვის „ისტორიული ბაზის“ შესაქმნელად. პუტინი აყალიბებს ისტორიას ისე, როგორც მას აწყობს და უარყოფს მეცნიერულ ფაქტებს. ნარატიული მიდგომის მაგალითი იყო დავოსის ფორუმზე ევროპის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელის კრისტინ ლაგარდის გამოსვლა, როდესაც მან ეკონომისტებისადმი ნდობის აღდგენაზე ისაუბრა. მისი აზრით, XX საუკუნის 80-90-იანი წლების ეკონომიკა, გლობალიზაციისა და თავისუფალი ბაზრის განვითარების გზით, გამოდიოდა რა ამ ცნების არსიდან (ეკონომიკა -ანაწილებს არასაკმარის რესურსებს), რესურსებს ანაწილებდა ეფექტიანობის კრიტერიუმით. თანამედროვე პირობებში ეფექტიანობამ დაუთმო პირველობა უსაფრთხოებას. მაგალითად, კლიმატური ცვლილებების, ენერგიისა და მიწოდებათა ჯაჭვის საკითხებში ყველა ქვეყანა ცდილობს დაიცვას თავი კლიმატური ცვლილებებისგან, ენერგიის იარაღად გამოყენებისა და მიწოდების ჯაჭვის წყვეტისაგან, ისე რომ ეფექტიანობაზე საუბარი არაა. ამის მიზეზი, ლაგარდის აზრით, თანამედროვე ეკონომისტების ქცევების მოდელში, მათ ტომობრივ აზროვნებასა და საკუთარ ეკონომიკურ ბუშტში ჩაკეტილობაშია (https://forbes.ua/). დასავ-

ლეთის საზოგადოება მოიცვა კაპიტალიზმის კრიტიკამ ელიტების, უთანასწორობის, ქონებრივი დიფერენცირების და სხვა „პოპულისტურმა ნარატივებმა“ (მაიკლ სენდელი). მემარცხენეობა კარგი ტონი გახდა. ის პოპულარულია უნივერსიტეტებში, კამპუსებში, კულტურის სფეროში, მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში. დავოსის ფორუმზე ამ საკითხებზე გამორჩეული გამოსვლა ჰქონდა არგენტინის პრეზიდენტს ხავიერ მილეის (Javier Milei). ის არის პირველი ლიბერტანიელი პრეზიდენტი ისტორიაში. ის არის ეკონომისტი – ავსტრიული სკოლის მიმდევარი. მან თავისი მოხსენება დაიწყო სიტყვებით: „მე დღეს აქ ვარ, რათა თქვენ გითხრათ, რომ დასავლეთის სამყარო საფრთხეშია. და ის იმყოფება საფრთხეში იმიტომ, რომ ისინი, ვინც უნდა იცავდნენ დასავლეთის ფასეულობებს, ჩართულები არიან მსოფლიოს ისეთ ხედვაში, რომელსაც მივყავართ სოციალიზმისკენ და, მაშასადამე, სიღარიბისკენ“ (Milei, 2024). სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფისათვის ნეომარქსისტები აყენებენ წარმოების საშუალებების განსახელმწიფოებრიობის იდეას, კოლექტივიზმს ინდივიდუალიზმის ნაცვლად. მილეის აზრით, დასავლეთის ქვეყნებში უმრავლესი იდეოლოგია კოლექტივისტურია და სრულებით არ ჭირდება დღეს სახელმწიფოს წარმოების საშუალებები მილიონობით ადამიანის ბედისა და ცხოვრების საკონტროლოდ. ეს შესაძლებელია ისეთი ინსტრუმენტებით, როგორიცაა ფულის ბეჭდვა, სავალო ვალდებულებები, ფასების კონტროლი, სუბსიდიები, საპროცენტო განაკვეთის კონტროლი, ე.წ. ბაზრის ჩავარდნის გამოსწორების წესები და სხვა. მსოფლიო ფიზიკურადაც და აზრობრივადაც დიდი გამოწვევების წინაშეა. ეს ეხება საქართველოსაც. მისთვის დიდ პრობლემას ქმნის საქართველოს კონსტიტუციაში არსებული ეკლექტიზმი, რომელიც მისი მიღების დღიდან იყო მასში მოცემული და კიდევ უფრო გაღრმავდა კონსტიტუციის შემდგომი რედაქტირების დროს. საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში წერია, რომ საქართველოს მოქალაქეები ღვთისა და ქვეყნის წინაშე აცხადებენ ნებას, რომ დაამკვიდრონ „დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო“. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლი ეძღვნება „სოციალურ სახელმწიფოს“, ხოლო მე-6 თავი „ეკონომიკურ თავისუფლებას“. სოციალური სახელმწიფო – სოციალ-დემოკრატიული პარტიების პოლიტიკის ქვაკუთხედია და გულისხმობს ეკონომიკის, უპირველეს ყოვლისა, მსხვილი ბიზნესის სახელმწიფო რეგულირებას. ეკონომიკური თავისუფლება – ლიბერალური წარმოშობის ცნებაა, რომელიც ემყარება თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას, ეკონომიკის დერეგულირებას. გამოსავალი, მეცნიერთა და პოლიტეკონომიის მეცნიერების უფლებებში დაბრუნებაშია.

ლიტერატურა:


- ჯიბუტი მ.(2020) COVID-19-ის პანდემიის გავლენა მუნიციპალურ ბიუჯეტებსა და შემოსავლებზე საქართველოში , თბილისი.
- Jibuti M.(2020) Impact of the COVID-19 Pandemic on Municipal Budgets and Revenues in Georgia// Impact of the COVID-19 Pandemic on Georgian Municipalities. Tbilisi
- „Preparing for Disease X“ https://www.weforum.org/events/world-economic-forum-annual-meeting-2024/sessions/preparing-for-a-disease-x/
- Goldin M. (2024) A Panel of Healthcare Experts Discussed 'Disease X' at Davos. But It's Only a Hypothetical Illness https://apnews.com/article/fact-check-disease-x-davos-world-economic-forum-496804566435 , January 19.
- Prioritizing Diseases for Research and Development in Emergency Contexts. https://scholar.google.com/scholar?q=3.+Prioritizing+diseases+for+research+and+development+in+emergency+contexts&hl=de&as_sdt=0&as_vis=1&oi=scholart
- https://www.who.int/publications
- https://www.who.int/countries/geo/
- https://www.who.int/countries/aze/
- https://www.who.int/countries/arm/
- https://www.who.int/countries/tur/
- https://www.who.int/countries/rus/
- https://forbes.ua/ru/svit/vsesvitniy-ekonomichniy-forum-u-davosi-den-chetvertiy-18012024-18612
- Milei J. (2024). https://www.weforum.org/agenda/2024/01/special-address-by-javier-milei-president-of-argentina/, Jenuary18.


References:


- Jibuti M. (2020) COVID-19-is pandemiis gavlena municipalut biujetebsa da shemosavlebze Sakartveloshi,Tbilisi. [Impact of the COVID-19 Pandemic on Municipal Budgets and Revenues in Georgia, Impact of the COVID-19 pandemic on Georgian Municipalities. Tbilisi.] in Georgian
- Jibuti M. (2020) Impact of the COVID-19 Pandemic on Municipal Budgets and Revenues in Georgia// Tbilisi
- „Preparing for Disease X“ https://www.weforum.org/events/world-economic-forum-annual-meeting-2024/sessions/preparing-for-a-disease-x/
- Goldin M. (2024) A Panel of Healthcare Experts Discussed 'Disease X' at Davos. But it's Only a Hypothetical Illness https://apnews.com/article/fact-check-disease-x-davos-world-economic-forum-496804566435 , January 19.
- Prioritizing Diseases for Research and Development in Emergency Contexts. https://scholar.google.com/scholar?q=3.+Prioritizing+diseases+for+research+and+development+in+emergency+contexts&hl=de&as_sdt=0&as_vis=1&oi=scholart
- https://www.who.int/publications
- https://www.who.int/countries/geo/
- https://www.who.int/countries/aze/
- https://www.who.int/countries/arm/
- https://www.who.int/countries/tur/
- https://www.who.int/countries/rus/

- https://forbes.ua/ru/svit/vsesvitniy-ekonomichniy-forum-u-davosi-den-chetvertiy-18012024-18612
- Milei J.(2024) https://www.weforum.org/agenda/2024/01/special-address-by-javier-milei-president-of-argentina/, Jenuary18.


## Davos 2024 – Envisioning the Anticipated Future


**Mikhail Jibuti**

*Academician*

*Georgian National Academy of Sciences*

*Professor*

*Grigol Robakidze University*

*m_djibuti@yahoo.com*



*Top of Form This report offers an overview of the proceedings of the 54th World Economic Forum (referred to hereafter as the ~Forum~) convened in Davos-Klosters, Switzerland. It delves into topics of interest to Georgian political and academic spheres. Beyond economic and political insights, extracting situational and socio-public implications from the Davos Forum holds significance in comprehending and accommodating prevailing realities. Davos Forum 2024 seamlessly continued the trajectory set in motion in 2023, encapsulating the synthesis of a post-pandemic new reality, characterized by both the aftermath of the pandemic and widespread military-terrorist activities, notably Russia's aggression in Ukraine. This, coupled with the mounting exclusivity in social-humanitarian and economic sciences and national strategies, has led to a pervasive sense of uncertainty, encapsulated in the Forum's overarching theme of "Rebuilding Trust." As articulated by the Forum's organizers, the pivotal question at hand is whether permacrisis will supersede polycrisis (as termed in the Davos 2023 Forum), or if 2024 will mark a year of tension alleviation and the restoration of sustainability.*

*Based on the surveys and presentations carried out for and delivered at the Davos 2024 forum, it's evident that the outlook for the year ahead mirrors the challenges of 2023. Persistent inflationary pressures remain unresolved, and there's growing concern over the role of artificial intelligence in exacerbating existential and environmental crises. The forum's discussions transcended traditional economic concerns, delving into the complexities of globalization and the interconnected web of global issues. Geopolitical considerations were accorded as much importance as economic factors, reflecting a holistic approach to global challenges. Within the economic discourse, particular emphasis was placed on the digital and circular economies, highlighting their potential for transformation and sustainable development.*

However, a notable revelation came in the form of threat rankings, with disinformation identified as the foremost challenge in the short term. This conclusion stemmed from the intersection of AI proliferation and the unprecedented engagement of over half the global population, including participation in the 2024 parliamentary elections, notably in regions like Georgia.

Perhaps most alarming was the alignment of the gravest risk with a profoundly disconcerting reality: the pervasiveness of falsehoods during electoral processes. Moreover, when contemplating on where AI can overcome human beings, the unsettling truth emerges – its capacity to propagate deceit and disinformation on a significant, even global scale.

In essence, the discourse at Davos 2024 underscored the imperative for proactive measures to navigate the intricate challenges of the modern age, where technological advancements intersect with societal vulnerabilities in unprecedented ways.

Examining the aftermath of the Covid-19 pandemic, assessing the current post-pandemic landscape, and fortifying against future analogous challenges stand as imperative tasks for Georgia. This urgency is heightened by the alarming revelation discussed at Davos 2024 – the specter of "Disease X."

The Covid-19 pandemic has illuminated a fundamental vulnerability in the prevailing human hegemony, highlighting the fragility of human dominance as a biological species. Furthermore, it has underscored the limitations inherent in prevailing economic theories, including those predominant prior to the pandemic era, exposing their unilateral perspectives and inadequacies in addressing multifaceted global challenges.

The conflicts between Russia and Ukraine, as well as Israel and Hamas, have created the realm in which the role of the middle corridor is significantly increasing. Consequently, this development heightens the imperative for Georgia to prepare for ensuing adjustments in its logistical policy.

The underlying motivation driving the conflict between Russia and Ukraine is rooted in aspirations for the restoration of the former Soviet Union, a sentiment that emerged immediately following its dissolution and the announcement thereof. Concurrent with the Belovezhski Agreement of December 8, 1991, which marked the formal disbandment of the USSR, was the establishment of the Commonwealth of Independent States (CIS). Following a protracted period of hybrid warfare culminating in significant setbacks for Russia, the Russian Federation embarked upon overt military aggression. This trajectory commenced notably with the 2008 conflict against Georgia, which saw the occupation of Georgian territories. Subsequently, the annexation of Crimea and Sevastopol transpired, followed by the incursion into the Donetsk and Lugansk regions in 2014.

Even the most advanced states and proponents of liberalism found themselves unprepared to combat the Covid-19 pandemic within the confines of liberal ideology,

*resorting to lockdown measures as a means to navigate the crisis. Rather than adopting a wartime economic footing, governments transitioned to what can be termed a "prison economy." Lockdowns, infusion of capital into the economy, and other interventions emerged from a non-liberal toolkit. Departures from liberal and globalist principles fostered the perception that success lay in isolation. Furthermore, widespread disregard for post-World War II norms and international legal standards created a temptation to resort to military intervention.*

*The surge in left-wing ideologies within Western developed nations, allowed Javier Milei, libertarian president of Argentina, to state at the Forum – "Western world is in danger". Georgia, undergoing a rigorous process of transformation, characterized by a political and economic environment that is notably eclectic, would be prudent to heed this warning. The preamble of the Georgian Constitution articulates the collective desire of its citizens to establish a democratic social order, economic freedom, and a legal and social state. Within this framework, the notion of a social state stands as a foundational tenet championed by social-democratic parties, while the principle of economic freedom traces its roots to liberalism, emphasizing a free-market economy, the sanctity of private property, and judicious economic regulation. It is noteworthy that Georgia has veered off its natural developmental trajectory twice due to interventions by social-democrats and communists.*

*Keywords:* *Davos-Klosters World Economic Forum, Disease X, narrative instead of theory, disinformation, eclectic politics.*

*JEL Codes:* *P24, P41, P44, P48*

ეკონომიკა და ბიზნესი, 2024, №1, 32-54
Economics and Business, 2024, №1, 32-54

# რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა ევროკავშირის გაზის სპოტ-ბაზარზე[1]

doi.org/10.52340/eab.2024.16.01.02

**სოლომონ პავლიაშვილი**
*აკადემიკოსი*
*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,*
*გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის*
*მინისტრის მოადგილე*
*pavliashvilisolomon@yahoo.com*

**ზურაბ გარაყანიძე**
*ასოცირებული პროფესორი*
*დავით აღმაშენებლის სახელობის*
*ეროვნული თავდაცვის აკადემია*
*z_gara@yahoo.com*

*რუსეთ-უკრაინის ომამდე სამიოდე თვით ადრე, 2021 წის დეკემბრის დასაწყისში, ევროკავშირის ენერგო კომისარმა კადრი სიმსონმა განაცხადა, რომ ევროკავშირი შექმნიდა თავის საკუთარი გაზის მარაგებს, რათა თავი დაეზღვია რუსული გაზის მიწოდების შეფერხებებისგან (ხშირად პოლიტიკური მიზეზებით). იმავდროულად, ევროპულმა საბჭომ, ენერგეტიკის მინისტრების შეხვედრაზე დაადგინა, რომ ევროკავშირი შეიმუშავებდა გაზის და წყალბადის ბაზრების რეგულირების პაკეტს, რათა მანამდე არსებული პირდაპირ, ხანგრძლივ კონტრაქტებზე დამყარებული, ნავთობის ფასებზე „მიბმული“, „გაზპრომის“ მონოპოლიური კონტრაქტები ჩანაცვლებულიყო ევროპის გაზის ჰაბების და თხევადი გაზის ტანკერებით (LNG) ვაჭრობით ჩამოყალიბებული უფრო მოქნილი, მოთხოვნა-მიწოდებით განპირობებული სპოტ-ფასებით. ამით ევროკავშირი ცდილობდა თავი დაეღწია რუსულ „გაზპრომთან“ გაფორმებული პირდაპირი, ხანგრძლივი კონტრაქტებისგან, რაც მოსკოვის ხელში XXI საუკუნის „ენერგო იარაღად“ იქცა.*

*ამ სტატიაში ჩვენ ვამტკიცებთ ჰიპოთეზას, რომ ომის პირობებში, 2024 წელს გაგრძელდება „გაზპრომის“ მილსადენებით ევროპის მონოპოლიური გაზმომარაგების ჩანაცვლება გაზის სპოტ-ბაზრებზე ვაჭრობით. ეს კი, სანქცირებული რუსული ენერგოგიგანტებისთვის 2023 წლის დასაწყისში ნავთობის ფასის ზედა ზღვრის (Price Cup) დაწესებაზე გაცილებით დიდი გამოწვევა აღმოჩნდება. ამას, სავარაუდოდ, რფ-ს ენერგოპოლიტიკაში, მათ შორის სამხრეთ კავკასიაში, ცვლილებები მოჰყვება.*

[1] სპოტ-ბაზარი ყალიბდება სპოტ-ვაჭრობისთვის. ტერმინი მომდინარეობს ინგლისური სიტყვიდან „სპოტ“, რაც ნიშნავს „ადგილზე“. ტრანზაქცია გულისხმობს, რომ მხარეები ახდენენ ორმხრივ ანგარიშსწორებას დაუყოვნებლივ, ამ ტიპის თამასუქების, გრძელვადიანი კონტრაქტების და სხვა წარმოებული საბაზრო ინსტრუმენტების გამოყენების გარეშე. გაზით ვაჭრობის სპოტ-ბაზარი გაზის ჰაბია, სადაც გაზი დამოუკიდებელი პროდუქტია და მისი ფასი განისაზღვრება არა შესაძლო შემცვლელების (ნავთობის ფასის) მიხედვით, არამედ ავტონომიურად. ჰაბზე გაზიც სასაქონლო პროდუქტად იქცევა და ფასები მხოლოდ მოკლე ვადით დგინდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ესაა გაზის მოკლევადიანი კონტრაქტების ბაზარი (https://neftegaz.ru/tech-library/finansy/146486-spot-spot/). ამასთან გაზის ფასი ჯერჯერობით გლობალურად არ ყალიბდება და რეგიონულ ჰაბებზე ფორმირდება (აშშ – „ჰენრი ჰაბი“, ავსტრიის – „ბაუმგარტენი“, ჰოლანდიის – TTF, ; დიდი ბრიტანეთის – NBP და ა.შ.).

*საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, მონოპოლია, სპოტ-ბაზარი, „გაზპრომი“, თხევადი გაზი, ენერგო კრიზისი, ნავთობის ფასი, ემბარგო, მილსადენები, ჰაბები, გაზის ტერეფანი, LNG ტანკერები,დივერსიფიკაცია.*

## შესავალი

ბუნებრივი აირი, ისტორიულად „სულ ახლახან“, XX საუკუნის 70-იანი წლებიდან, გადაიქცა საწვავის ერთ-ერთ მთავარ სახეობად. ამ საუკუნის დასაწყისში, ბუნებრივი აირის დაახლოებით 88-90%, მონოპოლისტების მილსადენებით მიეწოდებოდა უშუალოდ კონკრეტული მიმწოდებლიდან კონკრეტულ მომხმარებელს, დანარჩენი – ტანკერებით თხევადი (LNG) სახით (Garakanidze Z., Garakanidze N. 2013). უკვე 2021 წელს, LNG გლობალური იმპორტი, საერთაშორისო LNG იმპორტიორთა ჯგუფის (GIIGNL) ანგარიშის მიხედვით, წინა წელთან შედარებით გაიზარდა 4,5%-ით და 513,7 მლრდ კუბ.მეტრი შეადგინა (ანუ 372,3 მლნ ტონა). 2021 წელს LNG-ზე უკვე მოდიოდა გაზის გლობალური ბაზრის დაახლოებით 40%, დანარჩენი – კვლავ მილსადენების გაზზე (Катков М.2022).

2015 წლის მაისში ევროკავშირის ენერგეტიკული ქარტიის „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ მიღების შემდეგ, ჩრდილოეთ ევროპის მომხმარებლების ნაწილი „გაზპრომთან“ პირდაპირი, ხანგრძლივი კონტრაქტებიდან თანდათან გადავიდნენ ჰაბებიდან გაზის შესყიდვაზე.

ამავდროულად, წევრი ქვეყნების ვალდებულება, რომ 2022 წლის 1 ნოემბრამდე, გაზსაცავების მოცულობის არანაკლებ 80%-ით შეევსოთ, გადაჭარბებით შესრულდა. 2022 წლის ბოლოს კი, საკმაოდ თბილმა ამინდებმა ევროკავშირს საშუალება მისცა ხელახლა შეევსო მარაგები.

ზემოაღნიშნულის შედეგად, ექსპერტების გათვლებით, ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა დაზოგეს 70 მლრდ დოლარი, მაგრამ, მათ თითქმის იმდენივე იზარალეს COVID-19 პანდემიისა და 2022 წელს დაწყებული რუსეთ-უკრაინის ომის გამო, მას შემდეგ რაც ფასები სპოტ-ბაზარზე გაიზარდა და ათას კუბურ მეტრზე თითქმის 2000 დოლარი შეადგინა. ეს დაახლოებით ათჯერ მეტია, ვიდრე ადგილობრივ სპოტ-ბაზრებზე გაზის საშუალო ფასი იყო 2021 წლის დასაწყისში (https://neftegaz.ru/tech-library/finansy/146486-spot-spot/). ასევე პარადოქსია, მაგრამ რუსულ-თურქული გაზსადენი „თურქული ნაკადი“ (TurkStream), რომელიც 2020 წლის 8 იანვარს გაიხსნა, იცავს მისი მარშრუტის გასწვრივ, შავი ზღვის მიმდებარე ევროკავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთის და ცენტრალური რეგიონების ქვეყნებს საფასო შოკისგან.

2024 წლისთვის ენერგო კრიზისი, ყველაზე რელიეფურად, ევროკავშირის წევრ სკანდინავიის ქვეყნებში იგრძნობოდა, რომლებმაც თავის დროზე სწრაფად გაატარეს ენერგეტიკული რეფორმები და უმეტესწილად გადავიდნენ სპოტ-ვაჭრობაზე; ევროპის სამხრეთის და ცენტრის ბევრმა ქვეყანამ კი, „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, შეინარჩუნეს გრძელვადიანი კონტრაქტები „გაზპრომთან“ და ომის წინ აღმოჩნდნენ უკეთ დაცულები ჰაბებზე სპოტ-ფასების რყევებისგან. 2024 წლის დასაწყისში სკანდინავიის

რეგიონი ე. წ. „ენერგეტიკული ტრილემის“ წინაშე დადგა – ესაა სამი გამოწვევა: უსაფრთხო, ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგომომარაგება. აშკარაა, რომ ენერგორესურსებზე უპრეცედენტო ფასებისა და გეოპოლიტიკური რისკის გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მიწოდების ჯაჭვები, ელექტროქსელები, ნედლეული და დამზოგავი ტექნოლოგიები, რათა დაკმაყოფილდეს საზოგადოების მოთხოვნები გრძელვადიან პერსპექტივაში.

შვედი ექსპერტების 2023 წლის ბოლოს გამოქვეყნებულ კვლევაში „ჩრდილოეთის ენერგო ტრილემა“, განხილულია ფაქტორები, რამაც გამოიწვია ბოლო პერიოდის ყველაზე მძიმე ენერგეტიკული კრიზისი ევროპის ჩრდილოეთში. მასში იდენტიფიცირებულია ენერგეტიკული გადასვლის რისკები და შეფასებულია ზომები ამ რისკების შესამცირებლად იქ, სადაც ასეთი ზომები არ არსებობს (იქვე Chapter 6-8). ასევე შემოთავაზებულია ქმედებები ხარვეზების აღმოსაფხვრელად. აღნიშნული რეკომენდაციები განსაზღვრავს ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო ქმედებებს ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებისადმი მზადყოფნის გაზრდის მიზნით, რათა სკანდინავიური საზოგადოებები მზად იყვნენ მომავალი ენერგეტიკული კრიზისებისთვის. აღნიშნული კვლევის მე-6 თავში, სადაც რისკებია განხილული აღნიშნულია, რომ „...ევროპაში რუსული ენერგიის ექსპორტის შემცირება მიუთითებს ერთი ქვეყნიდან ენერგომომარაგებაზე ზედმეტად დამოკიდებულების მოწყვლადობაზე. მსგავსი სიტუაციები შეიძლება განიხილებოდეს მომავალში და ხდებოდა წარსულში“.

მონოპოლიური მილსადენის გაზის პარალელურად, ევროპულ ჰაბებშიც შეიმჩნეოდა ფასების რყევა. მაგალითად, ამ პერიოდში საორიენტაციო ევროპული კონტრაქტი, რომელიც ჰოლანდიური გაზის ჰაბის – Title Transfer Facility (TTF)-ის ფიუჩერსია, იყიდებოდა $55,81-ად მეგავატ საათში. ერთი წლით ადრე, 2022 წლის აგვისტოში, ფიუჩერსებმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია – დაახლოებით 343 ევროს მეგავატ საათში! თუმცა ევროპამ, რომელიც სერიოზულად დაზარალდა კონფლიქტის გამო რუსეთიდან გაზმომარაგების შეწყვეტით, როგორღაც მოახერხა 2023 წლის ცივ სეზონზე მიწოდების მნიშვნელოვანი შეფერხების გარეშე გადარჩენა. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ევროპული ბუნებრივი გაზის ბალანსის სტრუქტურული დეფიციტი ჯერ კიდევ არ არის აშკარა. ისინი 2025 წლამდე არ ელიან, რომ ევროპის ენერგეტიკული კრიზისი იმდენად გამწვავდება, რომ ისევ, როგორც 2014 წელს ყირიმის ანექსიის შემდეგ, დაიწყება გლობალური თხევადი ბუნებრივი გაზის (LNG) დეგაზაცია-რეგაზაციის ტერმინალების მასობრივი მშენებლობების ახალი ტალღა.

თუმცა, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, ევროპულმა ქვეყნებმა აშშსა და სპარსეთის ყურის ქვეყნებთან გააფორმეს LNG იმპორტის რამდენიმე ხელშეკრულება. კერძოდ, 2023 წლის ნოემბერში, QatarEnergy-მ გააფორმა რამდენიმე ხელშეკრულება გერმანიაში წელიწადში 2 მლნ ტონა LNG-ის მიწოდებაზე. ასევე, აშშ-ში იგეგმება გაზის გათხევადების გიგანტური ქარხნის მშენებლობა, რომელსაც ექნება დღეში თითქმის 2,1 მლრდ კუბური ფუტი ბუნებრივი აირის გადამუშავების და წელიწადში 15 მლნ ტონა LNG-ის ექსპორტის წარმადობა.

ზემოაღნიშნული მონაცემებიდან ირკვევა, რომ არამხოლოდ მილსადენის გაზის იმპორტზე დამოკიდებულება იწვევს ბუნებრივი აირის ფასების რყევას მთელ ევროპაში, არამედ ჰაბების ფასების რყევაც, რაც გაზზე გლობალური ბაზრის ფასის არარსებობის და რეგიონულ ჰაბებზე დამოუკიდებელი ფასწარმოქმნის შედეგია.

ბუნებრივი გაზის ევროპული ფასები ყველაზე მეტად გაიზარდა 2022 წლის მეორე ნახევრის განმავლობაში, განსაკუთრებით აგვისტოში, მაგრამ რუსული მილსადენი გაზის ემბარგო ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმეტესობამ მხოლოდ 2023 წლიდან დაიწყო.

ევროპის მრავალი ქვეყანა, 2023 წლამდე, დიდწილად ეყრდნობოდა გაზის იმპორტს აღმოსავლეთის მეზობლისგან. რუსულ გაზზე დამოკიდებულება ყველაზე მაღალი იყო აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში. შედეგად, თუ ბუნებრივი გაზის საშუალო ყოველთვიური ფასი 2023 წლის ოქტომბერში აშშ-ში გაიზარდა მხოლოდ 2.99 აშშ დოლარამდე მლნ ბრიტანულ თერმულ ერთეულზე (BTU), აღმოსავლეთ ევროპაში ბუნებრივი გაზის ფასებმა დაახლოებით ხუთჯერ გადააჭარბა აშშ-ის ფასებს. ზოგადად, ევროპის კონტინენტზე ფასები, როგორც წესი, უფრო მაღალია ვიდრე აშშ-ში, რადგან ეს უკანასკნელი 2013 წლიდან, ამ ნახშირწყალბადის მთავარი მწარმოებელია მსოფლიოში. 2023 წლიდან ბევრმა ქვეყანამ დაიწყო ალტერნატიული წყაროების ძებნა, რის გამოც შემცირდა რუსული მილსადენი გაზის იმპორტი ევროკავშირში, რამაც კიდევ უფრო გაზარდა იქ გაზის ფასი (იხ. გრაფიკი). FRED-ის მონაცემები გვაჩვენებს ბუნებრივი აირის ფასების საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტატისტიკას 1991 წლიდან, როცა ეს მონაცემები პირველად აიღეს ევროკავშირსა და აშშ-ში (წითელი).

**ბუნებრივი აირის ფასები 1991-2020 წწ.**




***წყარო:*** *საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტატისტიკა (ლურჯი -ევროკავშირი, წითელი-აშშ)*

გრაფიკზე ჩანს, რომ ამ დროიდან 2008 წლამდე გაზის ფასი თითქმის იდენტური იყო ატლანტის ოკეანის ორივე მხარეს. 2008 წლიდან 2020 წლის შუა პერიოდამდე შესამჩნევი იყო არათანაბარი და შედარებით მცირე განსხვავება ფასებში. ამის შემდეგ, ევროკავშირსა და აშშ-ს შორის, უკვე საგრძნობი განსხვავება შეინიშნება გაზის ფასებში. ეს განსხვავება იმის გამოა, რომ ბუნებრივი გაზის უმეტესობის მიწოდება თავის ბუნებრივ, აიროვან მდგომარეობაში ხდება რეგიონული მილსადენებით და მისი ტანკერებით ტრანსპორტირება გლობალურად არ ხდება, როგორც ეს ნავთობის შემთხვევაშია. ასე რომ, ძნელია მისი მსოფლიო ფასის დადგენა და ფასები, ჯერ-ჯერობით, რეგიონული გაზის ჰაბებზე ყალიბდება. მაგრამ მსოფლიო ბაზარი ნელ-ნელა მაინც იქმნება თხევადი ბუნებრივი აირის (LNG) წარმოების და მისი სპოტ-ვაჭრობის ზრდის კვალობაზე.

ამიტომაა, რომ 2022 წლის თებერვლის ბოლოს, უკრაინაში რუსეთის შეჭრიდან დღემდე, ბუნებრივი აირის ფასს აშშ-ში დიდი ცვლილება არ განუცდიათ. ამის საპირისპიროდ, ევროპაში ენერგომატარებლების ფასები სტაბილურად იზრდებოდა; 2024 წლისთვის ის 70%-ით მაღალია, ომის დაწყებისას არსებულ ფასებთან შედარებთ. თუმცა, ბუნებრივი აირის ახალი მიმწოდებლების კომბინაციამ და შედარებით შემცირებულმა მოთხოვნამ, შეცვალა სიტუაცია ევროპაში და დაასტაბილურა ამ საქონლის ფასი. მაგრამ, ყველა პროგნოზით, 2024 წელს ევროპაში ბუნებრივ გაზზე მოთხოვნა კვლავ გაიზრდება და სამხედრო კონფლიქტი, რომელშიც ევროპის სანქცინირებული ყოფილი მთავარი მიმწოდებელი – რუსეთი მონაწილეობს, გაგრძელდება (https://www.powerinfotoday.com/oil-gas/european-natural-gas-prices-to-go-beyond-double-by-2024/).

## რუსული მილსადენი და გათხევადებული გაზის (LNG) ექსპორტის შემცირება

მიუხედავად „ევროკავშირის მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ მოთხოვნით წევრი ქვეყნების არასაკმარისი ტემპით, გაზის სპოტ-ბაზრებზე ვაჭრობაზე გადასვლისა, ექსპერტების უმრავლესობას მაინც მიაჩნია, რომ ევროპის გაზის ბაზრის დემონოპოლიზაცია – მილსადენების გაზის გრძელვადიანი კონტრაქტების შეზღუდვა, დროის მოთხოვნაა. „როიტერის“ მონაცემებით, უკვე 2023 წელს რუსული მილსადენის გაზის ექსპორტი ევროპაში 56%-ით შემცირდა. რა მოხდება, თუ მოსკოვი მთლიანად შეწყვეტს ევროპაში გაზის მიწოდებას?

უკრაინაში ომამდე, რუსული გაზი ევროპის გაზზე მოთხოვნის 35%-დან 40%-მდე ფარავდა, მაგრამ განსხვავდებოდა ცალკეული ქვეყნების დამოკიდებულების ხარისხი „გაზპრომზე“. კერძოდ, დიდი ბრიტანეთი და ესპანეთი, თითქმის არ იღებდნენ რუსულ გაზს, სხვები – გერმანია, იტალია და ნიდერლანდები, ყიდულობდნენ ამ გაზის მნიშვნელოვან რაოდენობას. ამ სამმა ქვეყანამ 2020 წელს იყიდა შესაბამისად – 56,3 მლრდ, 19,7 მლრდ და 11,2 მლრდ კუბური მეტრი რუსული გაზი.

მნიშვნელოვანია არამარტო იმის გათვალისწინება, თუ რამდენად დიდია რუსული გაზის წილი მოცემულ ბაზარზე, არამედ ისიც, თუ რამდენად ხელმისაწვდომია მათთვის ალტერნატივები. მაგალითად, გერმანია რუსულ გაზზე მოთხოვნის თითქმის ნახევარს იკმაყოფილებდა, ბულგარეთი – 100%-ს, იტალია კი – მოთხოვნის 46%-ს. Reuters-ის მონაცემებთ, 2023 წელს რუსული ენერგეტიკული გიგანტის, გაზპრომის (GAZP.MM) მიერ ევროპისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდება 55,6%-ით შემცირდა და 28,3 მლრდ კუბურ მეტრამდე (მლრდ კუბ.მ) დაეცა, ამ სტატისტიკით, რომელიც ეფუძნება ევროპული გაზის გადამცემი ჯგუფის Entsog-ისა და „გაზპრომის" ყოველდღიურ მონაცემებს უკრაინის გავლით გაზის ტრანზიტის შესახებ აჩვენა, რომ რუსული გაზის საშუალო დღიური ექსპორტი ევროპაში შემცირდა 77,6 მლნ კუბურ მეტრამდე (მლნ. კუბ.მ) 2023 წელს, 2022 წლის 174,8 მლნ კუბ.მ-დან. „გაზპრომის" მონაცემებით და როიტერის გათვლებით, 2022 წელს რუსეთმა სხვადასხვა მარშრუტით ევროპას სულ დაახლოებით 63,8 მლრდ კუბური მეტრი მილსადენის გაზი მიაწოდა. „გაზპრომს" არ გამოუქვეყნებია საკუთარი სტატისტიკა 2023 წლის დასაწყისიდან. ასევე, კომპანიის წარმომადგენელმა არ უპასუხა როიტერის კომენტარის მოთხოვნას.

სავარაუდოდ, „გაზპრომში" მოერიდნენ ჟურნალისტების ისეთ კითხვებზე პასუხს, როგორიცაა ინფორმაცია რფ-ს „ენერგეტიკული სტრატეგიის" შესაბამის თავში დასახული გაზის მოპოვებისა და ექსპორტის ამოცანის ფაქტობრივად შესრულების შესახებ, სადაც წერია: ...გაზის მსოფლიო ბაზრის დინამიკაზე მოქნილი რეაგირების ამოცანის გადაწყვეტის ინდიკატორია – გაზის ექსპორტში მსოფლიო ლიდერების სამეულში დამკვიდრებული ადგილი:

2018 წ. – 1 ადგილი;

2024 წლისთვის 1 ან მე-2-ე ადგილი;

2035 წლისთვის 1 ან მე-2-ე ადგილი. ...გაზის ინდუსტრიის ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს 2024 წლამდე გაზის მოპოვების შენარჩუნებას 795 – 820 მლრდ კუბური მეტრის ფარგლებში (Энергетическая стратегия Российской Федерации на период до 2035 года).

ამ დროს, 2023 წლისათვის ოფიციალური მონაცემებით, რუსეთში გაზის მოპოვება შემცირდა 9,6%-ით 2022 წლის ათ თვესთან შედარებით და „სტრატეგიაში" დასახულ ამოცანაზე თითქმის 2-ჯერ ნაკლები – 430 მლრდ კუბ. მეტრი შეადგინა. https://neftegaz.ru/news/dobycha/805127-za-10-mesyatsev-2023-g-dobycha-gaza-v-rf-upala-na-9-6-v-godovom-sravnenii-i-sostavila-430-mlrd-m3/). ამრიგად, რუსული გაზის ექსპორტი ევროპაში, რომელიც მისი ძირითადი ბაზარი იყო, მკვეთრად შემცირდა უკრაინის კონფლიქტის პოლიტიკური შედეგების გამო. ანალოგიური მდგომარეობაა გათხევადებული რუსული გაზის (LNG) ევროპასა და აზიის ბაზრებზე ექსპორტის თვალსაზრისითაც.

კერძოდ, LSEG-ის მონაცემებით რფ-დან LNG ექსპორტი შემცირდა არამარტო ევროპის არამედ აზიის ბაზრებზეც. რუსული თხევადი ბუნებრივი გაზის (LNG) ექსპორტი ევროპაში 2023 წელს 1,9%-ით დაეცა და 15,8 მლნ ტონა შეადგი-

ნა, ხოლო აზიაში LNG-ის ექსპორტი შემცირდა 11%-ით და 14,9 მლნ ტონა იყო. 2023 წელს ევროპამ გაზარდა LNG-ის შესყიდვები სხვა გლობალური მწარმოებლებისგან მას შემდეგ, რაც მკვეთრად შეამცირა რუსული მილსადენი გაზის იმპორტი უკრაინაში კონფლიქტის საპასუხოდ. მთლიანად LNG-ის რუსეთიდან ექსპორტი 2023 წელს 6%-ით შემცირდა და 31 მლნ ტონა შეადგინა. თავიდან ამის მიზეზი ზაფხულში ქარხნებში გეგმური რემონტი იყო. ამის შემდეგ, 2023 წლის დეკემბერში, რუსეთის LNG ექსპორტმა მიაღწია რეკორდულ დონეს – 3.2 მლნ ტონას, საიდანაც 1.9 მლნ ტონა Yamal LNG-ს პროდუქცია იყო. ექსპორტის ძირითადი ნაწილი LNG-ს რუსეთის უმსხვილესმა კერძო მწარმოებელმა, Novatek-მა (NVTK.MM) უზრუნველყო. LSEG-ის წინასწარი მონაცემებით, Novatek-მა 18,7 მლნ ტონა გადაზიდა Yamal LNG პროექტიდან არქტიკის გზით და 800,000 ტონა – კრიოგაზ-ვისოცკის ქარხნიდან ბალტიის ზღვით.

რუსეთის წყნარი ოკეანის რეგიონში – „გაზპრომის“ ხელმძღვანელობით მოქმედმა სახალინ-2 პროექტმა 2023 წელს ასევე შეამცირა LNG-ის ექსპორტი 10%-ით – 10,1 მლნ ტონამდე. 2022 წლის სექტემბერში დაწყებულმა, საშუალო ტონაჟის Gazprom LNG Portovaya პროექტმა 2023 წელს გაიტანა 1,4 მლნ ტონა LNG, ძირითადად თურქეთსა და საბერძნეთში, და მერე სამი პარტია გადატვირთა ჩინეთში, მათგან ერთი – არქტიკის გავლით (იხ.ცხრილი).

**2023 და 2022 წლებში Novatek-ის და Gazprom-ის LNG საექსპორტო პროექტებიდან გადაზიდვები რეგიონების მიხედვით (მლნ ტ.)**

| | 2023 წ | 2022 წ |
|---|---|---|
| Yamal LNG | 18.7 | 20.8 |
| -ევროპა | 13.9 | 15.1 |
| -აზია | 4.6 | 5.2 |
| სახალინი-2 (აზია) | 10.1 | 11.2 |
| კრიოგაზ-ვისოცკი | 0,8 | 0,7 |
| -ევროპა | 0,8 | 0,7 |
| LNG Portovaya | 1.4 | 0.4 |
| -ევროპა | 1.1 | 0.3 |
| -აზია | 0,2 | 0,0 |
| სულ აზია | 14,9 | 16,7 |
| სულ ევროპა | 15.8 | 16.1 |
| სულ LNG ექსპორტი | 31.0 | 33.0 |

***წყარო:*** *Reuters January 2, 2024. Russian LNG exports to Europe fell 1.9% in 2023 – LSEG data.*

პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, ცხრილში აღნიშნული მიწოდების შემცირებაზე, ჟურნალისტების კომენტარის თხოვნას, არც „გაზპრომის“ და არც „ნოვატეკის“ წარმომადგენლებმა არ უპასუხეს. სავარაუდოდ, ენერგოკომპანიებში მოერიდნენ ჟურნალისტების ისეთ კითხვებზე პასუხს, როგორიცაა ინფორმაცია რფ-ს „ენერგეტიკული სტრატეგიის“ შესაბამის თავში დასახული LNG-ს წარმოების და ექსპორტის ამოცანის შესრულების შესახებ. იქ გარკვევით წერია: თხევადი ბუნებრივი აირის წარმოებისა და მოხმარების განვითარების პრობლემის გადაჭრის ინდიკატორი, რომ რუსეთის ფედერაცია გახდეს ერთ-ერთი მსოფლიო ლიდერი მის წარმოებასა და ექსპორტში საშუალოვადიან პერსპექტივაში, არის თხევადი ბუნებრივი გაზის წარმოების მოცულობა: 2018 წ. 18,9 მლნ ტონა; 2024 წლისთვის – 46-65 მლნ ტონა; 2035 წლისთვის – 80-140 მლნ ტონა (Энергетическая стратегия Российской Федерации на период до 2035 года). ამ დროს, 2023 წლის ათი თვის ოფიციალური მონაცემებით, რუსეთში გათხევადებული გაზის წარმოება შემცირდა 4%-ით 2022 წლის ათ თვესთან შედარებით (https://neftegaz.ru/news/dobycha/805127-za-10-mesyatsev-2023-g-dobycha-gaza-v-rf-upala-na-9-6-v-godovom-sravnenii-i-sostavila-430-mlrd-m3/). ზემოაღნიშნული მონაცემები იძლევა საშუალებას, რომ დავასკვნათ:

- აშშ-ის სანქციები დიდ დაბრკოლებას უქმნის რუსეთის გეგმებს გაზარდოს საზღვაო გზით თხევადი ბუნებრივი აირის (LNG) ექსპორტი, რათა აინაზღაუროს ევროპაში მილსადენის გაზის ექსპორტის შემცირება;
- რფ-ს „სტრატეგიიდან“ ჩანს, რომ მსოფლიოში მეოთხე უმსხვილეს LNG-ს მწარმოებელს აშშ-ის კატარისა და ავსტრალიის შემდეგ, რუსეთს აქვს ამბიცია გაზარდოს თავისი წილი გლობალურ ბაზარზე გამოშვების გასამმაგებით, დაახლოებით 8%-დან 20%-მდე, ანუ 140 მლნ ტონამდე 2030-35 წლისთვის.
- მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვმა წარმატებით გადაიტანა 2022 წლიდან ნავთობის და ნავთობპროდუქტების საექსპორტო ფასის შეზღუდვა (Price Cup), LNG-ზე შეზღუდვების გავლენა უფრო მძიმე იქნება გაზის ტანკერების შედარებით მცირე რაოდენობის, ასევე ტექნოლოგია-ფინანსების ხელმისაწვდომობის გამო;
- რუსული გაზის, აშშ-ის შემდეგ, მსოფლიოში მეორე უმსხვილესი ენერგომომხმარებლისკენ – ჩინეთისკენ გადამისამართების მცდელობები ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა. მიმდინარე გაჭიანურებული მოლაპარაკებები ჩინეთში გაზის გაყიდვების გაორმაგებაზე ახალი რუსული „ციმბირის ძალა 2-ის“ (Power of Siberia 2) მილსადენის მეშვეობით, არ დასრულებულა. აშკარაა, რომ რუსეთ-ჩინეთის გაზის ახალი კონტრაქტის გაფორმება ჯერ ვერ ხერხდება;
- ამავდროულად, ღია წყაროებში გავრცელებული გადაუმოწმებელი ინფორმაციით, Arctic LNG 2, რომელსაც აკონტროლებს Novatek, რუსეთის უმსხვილესი LNG მწარმოებელი, სანქციების სენსიტიურობის გამო, შეფერხების წინაშეა. ამ წყაროების ცნობით, კომერციული LNG მიწოდება ამ პროექტიდან მოსა-

ლოდნელია არა უადრეს 2024 წლის მეორე ნახევრისა ან კიდევ უფრო გვიან. მაშინ როცა Novatek აცხადებდა, რომ ის პირველ კვარტალში დაიწყებდა პროდუქციის გადატვირთვას. ამ კომპანიის Arctic LNG 2 ქარხნის წლიური სიმძლავრე (სამი ტერმინალით), უნდა ყოფილიყო 19,8 მლნ ტონა LNG და 1,6 მლნ ტონა სტაბილური გაზის კონდენსატი;

- ეს Novatek-ს აქცევდა რფ-ს ენერგეტიკულ შემოსავლებში ლიდერად, მას შემდეგ, რაც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული „გაზპრომის" მილსადენის გაზის ექსპორტი ევროპაში განახევრდა და 2023 წელს 100 მლრდ. კუბ.მ-ზე ცოტა მეტი შეადგინა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილება იქნებოდა, ვინაიდან 2023 წელს რუსეთის მთლიანი საექსპორტო შემოსავლების 57% და მშპ-ის 27% ნახშირწყალბადების ექსპორტმა უზრუნველყო (RUSSIA FACES MIGHTY OBSTACLE IN WESTERN LNG SANCTIONS Dec 28, 2023).
- თუმცა, აშშ-ის სანქციები, რაც რუსული წყაროების ცნობით, ასახავს ვაშინგტონის სურვილს, გახდეს ლიდერი LNG-ის ექსპორტში, Novatek-ის ფორსმაჟორულ მდგომარეობას დაემთხვა. კერძოდ, გამოცხადდა, რომ რუსულ კომპანიას არ შეუძლია შეასრულოს სახელშეკრულებო ვალდებულებები. ამავე დროს, სანქციების შიშით, Novatek-ის უცხოელმა აქციონერებმა შეაჩერეს პროექტში მონაწილეობა. მათ უარი თქვეს პასუხისმგებლობაზე Arctic LNG 2 ქარხნის დაფინანსებასა და კონტრაქტებზე. Arctic LNG 2 მდებარეობს გიდანის ნახევარკუნძულზე, რომელიც შეჭრილია კარის ზღვაში, ციმბირის ჩრდილოეთით და უცხოური დახმარების გარეშე, ასეთ რთულ პირობებში, მისი ფუნქციონირება ნაკლებად სავარაუდოა. სწორედ Novatek, რომელიც „გაზპრომის" ალტერნატივად ყალიბდებოდა, ფლობს Arctic LNG 2 კონსორციუმში 60%-იანი წილს. ჩინეთის ნავთობის სახელმწიფო კომპანიებიდან, CNOOC Ltd და China National Petroleum Corp (CNPC) თითოეული ფლობს 10%-იან წილებს, ისევე როგორც საფრანგეთის TotalEnergies, იაპონური Mitsui and Co და JOGMEC;
- გარდა ამისა, თავდაპირველად Novatek-მა განაცხადა, რომ Arc7 ყინულის კლასის 15 LNG ტანკერი, რომელთაც შეუძლია 2 მეტრის სისქის ყინულის გაჭრა, მალე აიგებოდა რუსეთის „ზვეზდას" ვერფებზე Arctic LNG 2-ისთვის. მაგრამ, ფრანგულმა საინჟინრო ჯგუფმა Gaztransport & Technigaz (GTT) 2024 წლის იანვრიდან შეაჩერა კონტრაქტი რუსულ გემთმშენებელ კომპანია „ზვეზდასთან". კიდევ ექვსი Arc7 კლასის ტანკერი უნდა აეშენებინა კორეულ კომპანიას Hanwha Ocean, ყოფილ Daewoo Shipbuilding & Marine Engineering-ს, მაგრამ ეს კონტრაქტიც გაუქმდა. დასავლური წყაროების ცნობით, ასეთ პირობებში რუსეთს გაუჭირდება LNG პროექტებში GTT-ის ჩანაცვლება (იქვე).

## ვინ შეიძლება ჩაენაცვლოს მაღალტექნოლოგიურ დასავლურ კომპანიებს რფ-ს ენერგეტიკაში

სანქციების გამო, რუსეთში შესაძლოა დასავლური კომპანიების ენერგო აქტივების ნაციონალიზაცია მოხდეს ან ჩინელი და ინდოელი ინვესტორები შემოვიდნენ რუსეთის ბაზარზე. საერთაშორისო ნავთობკომპანიებმა, რომლებიც რუსეთში ათწლეულების განმავლობაში ოპერირებენ, უკრაინაში მოსკოვის შეჭრის შემდეგ გამოაცხადეს, რომ ან შეამცირებენ დაბანდებებს, ან დატოვებენ ქვეყანას. ჩნდება კითხვა, ვინ შეცვლის მათ?

Equinor-მა, Eni-მ, BP-მ, ExxonMobil-მა და Shell-მა 2023 წლის ბოლო თვეებში განაცხადეს რუსეთიდან გასვლის შესახებ. სხვებმა, როგორიცაა TotalEnergies, OMV და Wintershall განაცხადეს, რომ თავს შეიკავებენ ქვეყანაში შემდგომი ინვესტიციებისგან.

ამის საპასუხოდ, რუსეთის მთავრობამ დააწესა დროებითი აკრძალვა ყველა შერწყმისა და შესყიდვის (M&A) გარიგებაზე, რათა თავიდან აიცილოს უცხოური მაღალტექნოლოგიური ენერგო კომპანიების მიერ ქვეყნის სწრაფად დატოვება. ეს კეთდება იმისთვის, რომ არ მოხდეს მათი წასვლის შედეგად წარმოების შეფერხება და კომპანიებსა და ბიზნესის მფლობელებს მიეცეთ დრო, შეაფასონ არსებული ბაზრის მდგომარეობა და აწონ-დაწონონ თავიანთი გადაწყვეტილებები, რასაც კრემლი პოლიტიკურ ხასიათს აძლევს.

თუ შერწყმისა და შესყიდვის (M&A) გარიგებებზე აკრძალვა დაწესდება, უცხოური კომპანიების წასვლა რუსეთიდან შეიძლება გარკვეული ხნით შეჩერდეს, მაგრამ წილების და აქციების გაყიდვები, სავარაუდოდ, გაგრძელდება, რაც სხვა უცხოელ ინვესტორებს გაუხსნის შესაძლებლობებს.

სავარაუდოა, რომ უცხოელების საკუთრებაში არსებული თითქმის ყველა აქცია გაიყიდება რეალურ ღირებულებასთან შედარებით უზარმაზარი ფასდაკლებით. ასევე, აქციების ნაწილი შეიძლება სახელმწიფოს მიერ იქნეს შეძენილი და ამ გზით ნაციონალიზებული. კრემლმა ზოგიერთი ინვესტორი გააფრთხილა კიდეც, რომ არაა გამორიცხული იმ უცხოურ კომპანიებს, რომლებიც მას არ დაემორჩილებიან, შეიძლება აქტივები ჩამოერთვათ. ექსპერტები მსჯელობენ, თუ რომელი კომპანიები შევლენ რუსეთის ენერგეტიკულ სექტორში.

პირველ რიგში, ალბათ, ჩინური ენერგო გიგანტები. მოსკოვის უკრაინაში ომამდე რამდენიმე კვირით ადრე, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი პეკინში იმყოფებოდა თავის ჩინელ კოლეგა სი ძინპინთან მოლაპარაკებებზე. ორივე მხარე ცდილობდა ხაზი გაესვა ერთიანობაზე, დასავლეთთან დაძაბულობის ესკალაციის პირობებში. სავარაუდოდ, ახლა როდესაც რუსეთი საერთაშორისო საზოგადოებისგან უპრეცედენტო იზოლაციის წინაშე დგას, მისი დამოკიდებულება ჩინეთზე, როგორც პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოკავშირეზე, მხოლოდ გაიზრდება. ბოლო ათწლეულის განმავლობაში რუსეთი სტაბილურად აფართოებს ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირებს ჩინეთთან და ენერ-

გოკონტრაქტებმა ამ ცვლილებებში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ათ წელზე მეტი ხნის წინ, „აღმოსავლეთ ციმბირი – წყნარი ოკეანის“ (ESPO) ნავთობსადენის აგების შემდეგ რუსეთი, რომელიც იბრძვის საუდის არაბეთთან ჩინეთის იმპორტში პირველი ადგილისთვის, გახდა ჩინეთში ნავთობის ერთ-ერთი უმსხვილესი მიმწოდებელი. რუსული LNG გაზის ტერმინალები ასევე აგზავნიან თხევად გაზს ჩინეთში, ხოლო 2019 წლის ბოლოს „გაზპრომმა“ დაიწყო ამ ქვეყანაში გაზის იმპორტი „ციმბირის ძალის“ (Power of Siberia) მილსადენით, რომლის წლიური საპროექტო სიმძლავრეა 55 მლრდ კუბური მეტრი. ვ. პუტინის პეკინში ვიზიტის დროს, „გაზპრომი“ და ჩინეთის CNPC შეთანხმდნენ მეორე ხელშეკრულებაზე, „ციმბირის ძალის“ მილსადენით დამატებით წლიურად 10 მლრდ კუბური მეტრი გაზის მიწოდებაზე.

ექსპერტები ასევე მსჯელობენ ინდოელი ინვესტორების ინტერესების გაფართოების პოტენციალზე. კერძოდ, ONGC Videsh Ltd (OVL)-ს აქვს წილი Sakhalin-1 პროექტში, საიდანაც ამერიკული ExxonMobil გავიდა. OVL ასევე Rosneft-ის ინვესტორია Vankor-ის საბადოში Oil India-სთან, Indian Oil-თან და Bharat PetroResources-თან ერთად. ეს ინდური კომპანიები ასევე დაინტერესებულნი არიან Taas-Yuryakh პროექტით, რომელსაც BP ტოვებს.

მიუხედავად იმისა, რომ 2014 წელს დაწესებულმა სანქციებმა არ შეაჩერა ჩინელი და ინდოელი ინვესტორების ექსპანსია რუსეთის ენერგეტიკაში, ბევრ ექსპერტს მიაჩნია, რომ ამჯერად გარემოებები შეიცვალა. რუსეთში ინვესტირებასთან დაკავშირებული ყველა რისკის ზუსტ შეფასებას გარკვეული დრო დასჭირდება. მაგრამ მას შემდეგ, რაც უფრო მკაფიო სურათი გამოჩნდება, შესაძლოა რუსეთში აზიური ბიზნესი მნიშვნელოვნად გააქტიურდესე ე. წ. შერწყმის და შესყიდვების (M&A) გარიგებებში და არაა გამორიცხული, რომ ძირითად პროექტებში აზიურმა მოთამაშეებმა დასავლური კომპანიები ჩაანაცვლონ.

დაბოლოს, რუსეთი, სავარაუდოდ, შეეცდება თურქეთის მიმართულებით შეცვალოს ევროპის სატრანზიტო მარშრუტები და იქ რუსული გაზის ჰაბი გახსნას.

## შეუძლია თუ არა რუსეთს ე.წ. თურქული ჰაბით გაზის ევროკავშირში ფარულად შეტანა

„გაზპრომში“ იმედოვნებენ, რომ მონოპოლია ირიბად შეინარჩუნებს ევროპაში თავისი ყოფილი ბაზრის ნაწილს. ამიტომ, რუსეთი ხელს უწყობს თურქეთს, რომ ის ჩამოყალიბდეს როგორც ევროპაში მისი გაზის მიწოდების „ჰაბი“. ანალიტიკოსები კითხულობენ, არის თუ არა ეს ანტირუსული სანქციების თავიდან აცილების ხრიკი და ფარულად გაგრძელდება თუ არა რუსული გაზის ექსპორტი ევროკავშირის წევრებისთვის, რომლებიც ცდილობენ თავი დააღწიონ რუსეთზე ენერგო-დამოკიდებულებას. ევროკავშირის ბევრმა წევ-

რმა ქვეყანამ ხომ პირობა დადო, რომ უახლოეს წლებში მთლიანად შეაჩერებს რუსული გაზის იმპორტს!

პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა პირველად 2022 წლის შემოდგომაზე შესთავაზა თურქეთს მის ტერიტორიაზე ევროკავშირისთვის გაზის მიწოდების ჰაბის შექმნა. ეს წინადადება გაჟღერდა მას შემდეგ, რაც 2022 წლის 26 სექტემბერს ბალტიის ზღვის ფსკერზე მომხდარმა აფეთქებებმა გაანადგურა „ჩრდილოეთ ნაკადის" გაზსადენის ოთხიდან სამი მილი.

„გაზპრომს" აქვს დარჩენილი რამდენიმე ვარიანტი ევროპაში მილსადენის გაზის გასაგზავნად. რუსეთისა და პოლონეთის მიერ დაწესებულმა ურთიერთ სანქციებმა და კონტრსანქციებმა ხელი შეუშალა რუსული გაზის დასავლეთის მიმართულებით მიწოდებას წლიურად 33 მლრდ კუბური მეტრის წარმადობის „იამალი-ევროპის" მილსადენით, რომელიც კვეთს რუსეთიდან ბელარუსს და უკავშირდება პოლონეთს.

რუსეთის მიერ უკრაინაში პროვოცირებულმა ომმა შესაძლოა ყოველ წუთს გამოიწვიოს ჯერ კიდევ დარჩენილი 100 მლრდ კუბური მეტრის რუსული გაზის ტრანზიტის შეწყვეტა რუსეთ-უკრაინის მარშრუტით. ამდენად, სტაბილური გაზმომარაგება ევროპას რჩება მხოლოდ წელიწადში 31,5 მლრდ კუბური მეტრის წარმადობის მილსადენით „თურქული ნაკადით", რომელიც გადის შავი ზღვის ფსკერზე, როგორც გაზის მოქმედი სატრანსპორტო მარშრუტი. თუმცა, ახლა მისი სიმძლავრის მხოლოდ ნახევარი გამოიყენება გაზის ევროპაში გადასატანად, დანარჩენი კი თურქეთის ბაზარს ეთმობა და ჯერ კიდევ 2003 წელს აგებული, ასევე რუსეთიდან თურქეთში, შავი ზღვის ფსკერზე გამავალი 16 მლრდ კუბური მეტრის წლიური წარმადობის მილსადენით „ცისფერი ნაკადი".

პრეზიდენტ ვ. პუტინის წინადადებაა, რომ კიდევ ორი მილი დაემატოს „თურქულ ნაკადს", რათა გაორმაგდეს მისი სიმძლავრე. თავად თურქეთის ბაზარი გაზით უკვე გაჯერებულია, მაგრამ მას აქვს წვდომა არამხოლოდ აზერბაიჯანულ და ირანულ გაზზე, არამედ თხევად გაზზეც (LNG), რასაც ყატარიდან და ალჟირიდან ყიდულობს. ასევე, თურქეთი მიზნად ისახავს საკუთარი ბუნებრივი აირის მოპოვებას ოფშორული „საკარიას" საბადოდან – 2024 წელს, რომელიც სავარაუდოდ დაფარავს მის მზარდ მოთხოვნას გაზზე მომდევნო წლების განმავლობაში. თეორიულად, თურქეთს შეუძლია ევროპაში გადაამისამართოს მთელი რუსული, აზერბაიჯანული და ირანული გაზი, რომელიც ევროპის მილსადენების სისტემაში კონტინენტის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან იქნება გადატუმბული.

კრემლს სურს თურქეთში რუსული გაზის გაგზავნა ევროპაში შემდგომი ტრანსპორტირებისთვის, რადგანადაც მოსალოდნელია, რომ ევროკავშირის სულ უფრო მეტი წევრი ქვეყანა და კომპანია ეტაპობრივად შეწყვეტენ მილსადენებით რუსული გაზის მოხმარებას მომდევნო წლების განმავლობაში. რუსეთის გეგმა, როგორც ჩანს, არის ჭარბი გაზის მიწოდება თურქეთისთვის,

რომელიც შემდგომში ევროპელ მყიდველებზე ფარულად, როგორც თურქული გაზი, ისე იქნება გადაყიდული. მომავალ თურქულ ჰაბში მოხვედრილი გაზის მოლეკულები არ განსხვავდება ერთმანეთისგან. და იმის გადაწყვეტა, თუ რა რაოდენობისაა რუსული წარმოშობის გაზი, რომელსაც ევროპა თურქეთიდან იღებს, რთული გასარკვევი იქნება. მაგალითად, უკრაინამ წლების წინ შეწყვიტა გაზის იმპორტი რუსეთიდან და მისი იმპორტის დიდ ნაწილს პოლონეთიდან და სლოვაკეთიდან იღებს; თუმცა, ეს გაზი საბოლოო ანგარიშით, ხომ რუსული წარმოშობისაა!

თურქეთში ჰაბის შექმნის გეგმები ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა და მის ხორცშესხმას წლები დასჭირდება. არც მოსკოვს და არც ანკარას არ გაუკეთებიათ კომენტარი მისი შექმნის ზუსტ ვადებზე, ან ახალი მილსადენის ინფრასტრუქტურის ხარჯთაღრიცხვაზე. მაგრამ თუკი „თურქული ნაკადის“ (TurkStream) აგება ღირდა დაახლოებით 12 მლრდ დოლარი, ექსპერტების ვარაუდით, მისი სიმძლავრის გაზრდა წელიწადში 63 მლრდ კუბურ მეტრამდე, 7 მლრდ დოლარამდე დაჯდება.

საინტერესოა, რომ „თურქული ნაკადის“ წარმადობა თავდაპირველად გათვალისწინებული იყო 60 მლრდ კუბური მეტრის ოდენობით, მაგრამ მოსკოვმა გადაწყვიტა მისი სიმძლავრის განახევრება 2015 წლის ოქტომბერში, რადგან თურქეთმა, ადრე შეპირებულთან შედარებით, უფრო ნაკლები ინტერესი გამოხატა რუსული გაზის შესყიდვაზე. რამდენიმე თვით ადრე „გაზპრომმა“ და მისმა ევროპელმა პარტნიორებმა ასევე წარადგინეს „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის (Nord Stream 2) გეგმა, რომელიც ითვლებოდა უკეთეს გზად, ტრანზიტული ქვეყნების გვერდის ამქცევი მარშრუტით ევროპაში რუსული გაზის გასაგზავნად, განსაკუთრებით იმის გამო, რომ მაშინ მოსალოდნელი იყო გერმანიასთან ენერგეტიკული კავშირების გაძლიერება. ამ გაზსადენის აფეთქებამ რუსეთს მხოლოდ თურქეთის მარშრუტის იმედი დაუტოვა.

აშკარაა, რომ რუსეთს გაუჭირდება აზერბაიჯანის გარეშე „თურქული ნაკადის“ ძვირადღირებული გაფართოების სამუშაოების განხორციელება დასავლეთის მიერ მისი ეკონომიკური იზოლაციის ფონზე – სწორედ საერთაშორისო დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობაა მისი მთავარი დაბრკოლება. მაგრამ მოსკოვს შეიძლება ასევე ჰქონდეს იმედი, რომ ევროკავშირი იაფი გაზისთვის რაღაცას მაინც გააკეთებს.

ურსულა ფონ დერ ლაიენი – ევროკომისიის პრეზიდენტი, პირადად გაემგზავრა ბაქოში 2022 წლის ივლისში, რათა ხელი მოეწერა შეთანხმებისთვის, რომელიც აორმაგებს აზერბაიჯანის გაზის ევროპაში მიწოდებას. ევროკავშირი ითხოვს 2027 წლისთვის წელიწადში 20 მლრდ კუბური მეტრი აირის შეძენას. ამის გაკეთებას დასჭირდება კასპიის ზღვის საბადოების შემდგომი განვითარება და „სამხრეთის გაზის დერეფნის“ (SGC) მილსადენის ქსელის გაფართოება, რომელიც თურქეთიდან სამხრეთ ევროპაში გადის. მიუხედავად იმისა, რომ ბრიუსელ-ბაქოს შეთანხმება, როგორც ზემოთ აღინიშნა, მიზნად

ისახავს რუსული გაზის მიწოდების ჩანაცვლებას, მან შესაძლოა მოსკოვს გარკვეული შესაძლებლობაც მისცეს. შესაბამისად, ევროპაში იმპორტის სანქცირების გამო, რუსეთს შეუძლია უფრო მეტი გაზი მიჰყიდოს აზერბაიჯანს, ვიდრე 2022/23 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მას მიაწოდა, დაფაროს მისი შიდა მოთხოვნის უმეტესი ნაწილი, და ეს, თავის მხრივ, აზერბაიჯანს აირის უფრო მეტ მოცულობას გაუთავისუფლებს ევროკავშირში გასაგზავნად. ეს, რა თქმა უნდა, ძირს უთხრის ევროკავშირის ძალისხმევას, ჩამოერთვას რუსეთს გაზის გლობალური ბაზრის წილი – რუსული გაზი უბრალოდ სხვაგან გაიყიდება...

მსგავს სქემას რუსეთი ახორციელებს ნავთობზე საუდის არაბეთის სამეფოსთან (KSA): რუსეთი მასზე ყიდის ნავთობს, რომელსაც ეს უკანასკნელი ამუშავებს თავისი შიდა საჭიროებისთვის, და ამით ათავისუფლებს მეტ არასანქცირებულ ნავთობს საექსპორტოდ. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანისთვის მეტი გაზის მიყიდვის სტრატეგია და თურქეთის გამოყენება ევროპაში გაზის უწყვეტი, მაგრამ არაპირდაპირი მიწოდების გამტარად, მოსკოვის ლოგიკური პასუხი ევროკავშირის ვალდებულებაზე იქნება, გაწყვიტოს ენერგეტიკული კავშირები რუსეთთან, მაგრამ ეს სქემა ასევე შეიცავს **რისკებს,** კერძოდ:

- ეს თურქეთს, უპირველეს ყოვლისა, უაღრესად ხელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენებს, რომელსაც შეუძლია შეწყვიტოს რუსული გაზის დიდი მოცულობის ევროპაში ექსპორტი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების შესაძლო გაწყვეტის შემთხვევაში. ბოლო პერიოდში რუსეთსა და თურქეთს არასახარბიელო ურთიერთობა ჰქონიათ – განსაკუთრებით 2015 წლის ბოლოს, როდესაც თურქეთის საჰაერო ძალებმა ჩამოაგდეს რუსული გამანადგურებელი, რომელიც სირია-თურქეთის საზღვართან მიფრინავდა. მომდევნო წლებში მხარეებმა მიაღწიეს დაახლოებას;
- გაზის ტრანზიტი თურქეთის გავლით ანკარას დიდ სატრანზიტო შემოსავლებს მისცემს. სწორედ არასატრანზიტო სტატუსმა გახადა „ჩრდილოეთის ნაკადი 1 და 2“ მილსადენები (Nord Stream 1,2) რუსეთისთვის ყველაზე სასურველ მარშრუტად – სატრანზიტო გადასახადები ამ მილებით გაზის გადატუმბვისას არ იყო საჭირო და იაფი რუსული გაზი ევროპის შუაგულში, რუსული ვიბორგიდან გერმანულ გრეიფსვალდში, ტრანზიტული ქვეყნების გვერდის ავლით – ბალტიკის ფსკერით შედიოდა. მაგრამ, თუ რუსული გაზი ევროპაში თურქეთის გავლით, ფარული გზით გაიყიდება, მაშინ ტრანზიტის საფასური გაიზრდება, ვინაიდან თურქეთი იყიდის გაზს საბაზრო ტარიფით, შემდგომში საკუთარი ჰაბიდან კიდევ უფრო მაღალ ფასად გასაყიდად.

## აზერბაიჯანში რუსული გაზის მიწოდების აღდგენა

თურქეთში გაზის ჰაბის შექმნის გაჭიანურების პირობებში, რუსულმა „გაზპრომმა“ თავის დაზღვევის მიზნით 2022 წლის 18 ნოემბერს გამოაცხადა, რომ

აზერბაიჯანს 1 მლრდ კუბურ მეტრამდე ბუნებრივ აირს აწვდის 2022 წლის დეკემბრიდან 2023 წლის მარტამდე, ამ რუსული მონოპოლიის, სახელმწიფო ენერგოკომპანია SOCAR-თან გაფორმებული ახალი კონტრაქტით (Relaunch of Russian gas supplies to Azerbaijan raises questions about Baku-Brussels deal. 22/11/22).

როგორც ცნობილია, სწორედ „გაზპრომი" იყო აზერბაიჯანისთვის გაზის მიმწოდებელი 2000-2006 წლებში, მაგრამ შემდეგ ქვეყანამ სწრაფად გააფართოვა საკუთარი გაზის წარმოება BP-ის მიერ ოპერირებად „შაჰ-დენიზის" საბადოზე, რაც მას საშუალებას აძლევდა დაეფარა არამხოლოდ საკუთარი გაზის საჭიროება, არამედ საქართველოსა და თურქეთში განეხორციელებინა ექსპორტი. როდესაც მისი გაზის დიდი ნაწილი უკვე უცხოურმა კომპანიებმა შეისყიდეს, აზერბაიჯანი ისევ დაუბრუნდა რუსეთიდან გაზის მიღებას 2017-2018 წლებში, მაგრამ შესყიდვები კვლავ შეწყვიტა მას შემდეგ, რაც „შაჰ-დენიზის" განვითარების მეორე ეტაპის გაზი 2019 წელს თურქეთში გაიგზავნა.

აზერბაიჯანი დიდი ხანია პრიორიტეტს ანიჭებს თავისი გაზის საზღვარგარეთ გაყიდვას, ვიდრე შიდა საჭიროებებს, რათა მაქსიმალურად გაზარდოს საექსპორტო შემოსავლები. „გაზპრომთან" ახალი შეთანხმება გაფორმდა მაშინ, როდესაც აზერბაიჯანი ემზადებოდა 2023 წლის ზამთრის შუა პერიოდში პიკისთვის. თუმცა, რუსული გაზის იმპორტის განახლება ახლა დამატებით კითხვებს აჩენს იმის გათვალისწინებით, რომ აზერბაიჯანმა ახლახანს აიღო ვალდებულება მეტი გაზის გადატუმბვაზე ევროპაში.

აზერბაიჯანული საინფორმაციო სააგენტო APA-სთვის გაკეთებულ განცხადებაში, SOCAR-მა აღნიშნა, რომ მას აქვს „გაზპრომთან" თანამშრომლობის ხანგრძლივი ისტორია და რომ ორი კომპანია „...ცდილობს თავიანთი ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაციას, გაზის ნაკადების ურთიერთგაცვლის ორგანიზებით".

აზერბაიჯანული გაზის მიწოდება ევროპაში 2020 წლიდან ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის" (SGC) გავლით ხორციელდება, რათა ხელშეკრულებით შეთანხმებული წლიურად 10 მლრდ კუბური მეტრი ბუნებრივი აირი მივიდეს ევროპელ მომხმარებლებთან. ბაქოსა და ბრიუსელს შორის 2022 წლის ივლისში გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის მიხედვით, აზერბაიჯანულმა მხარემ პირობა დადო, რომ 2022 წელს ექსპორტს 12 მლიარდ კუბურ მეტრამდე გაზრდის. როგორც ბრიუსელმა, ასევე ბაქომ მოიწონა ეს ახალი შეთანხმება, როგორც ევროკავშირსა და აზერბაიჯანს შორის ენერგეტიკული ურთიერთობების გაფართოება. ევროკომისიამ შეთანხმებას უწოდა გამარჯვება ევროკავშირის გაზის მიწოდების დივერსიფიკაციის მცდელობებში. მაგრამ არასოდეს არ დაკონკრეტებულა, რა იქნებოდა დამატებითი მიწოდების წყარო. ფაქტობრივად ხომ ბაქომ ევროპაში არა 12-ის, არამედ 18 მლრდ კუბმეტრი აირის მიწოდება შეძლო! ამასთან, უკვე 2024 წლის დასაწყისიდან, აზერბაიჯანი აწარმოებს მოლაპარაკებებს ევროპის რამდენიმე ქვეყანასთან გაზის მიწო-

დებასთან დაკავშირებით. „სამხრეთის გაზის დერეფანი (SGC) ამჟამად მუშაობს სრული სიმძლავრით და თუ გვინდა მისი მეშვეობით გაზის დამატებითი მოცულობის ექსპორტი, ის უნდა გაფართოვდეს. აქ გარკვეული თანხებია საჭირო, დამატებითი სატუმბი სადგურები უნდა დამონტაჟდეს. არის ჩვენი გაზის საჭიროება“, – განაცხადა პრეზიდენტმა ი. ალიევმა. მან აღნიშნა, რომ აზერბაიჯანული გაზი უკვე მიეწოდება ბულგარეთისა და რუმინეთის ბაზრებს. სერბეთი შესაძლოა ამ ქსელს უახლოეს მომავალში შეუერთდეს (Азербайджан ведет переговоры со странами Европы по экспорту газа. 10 января, 2024). Eurasianet-ის ცნობით, „შაჰ-დენიზის“ კონსორციუმთან დაახლოებულ წყაროზე დაყრდნობით (რომელიც პასუხისმგებელია აზერბაიჯანული გაზის ექსპორტზე), დამატებითი საექსპორტო გარიგებები საბადოდან გაზის გაყიდვის შესახებ, უკვე შეთანხმებული წლიურად 10 მლრდ კუბური მეტრი გაზის ზემოთ, არ არის შეთანხმებული საოპერაციო კონსორციუმთან. გარდა ამისა, აზერბაიჯანი რუსული გაზის დამატების გარეშე, ერთ წელიწადში ვერ შეძლებდა გაეზარდა გაზის მოპოვება 10 მლრდ კუბმეტრიდან 18 მლრდ კუბმეტრამდე შემდეგი ობიექტური მიზეზების გამო:

- აზერბაიჯანის „სოკარი“ გაზის თითქმის ყველა საბადოს – „აბშერონს“, „კარაბახს“, „შაჰ-დენიზ 3“-ს, „უმიდს“. „ბაბეკს“ და ა.შ. დასავლურ კომპანიებთან ერთად ამუშავებს. მაგრამ აზრბაიჯანში მოქმედ ამ დასავლურ კომპანიებში (BP, Total, Equinor, Statoil და ა.შ.) ბოლო წლებში, ეკოლოგიური მიზეზებით, თითქმის განახევრდა ინვესტიციები წიაღისეული საწვავის მოპოვებაზე და გაიზარდა ალტერნატიული ენერგოპროექტების დაფინანსება;

- ასევე ეკოლოგიური მოსაზრებებით, შემცირებულია „დერეფნის“ ტრადიციული დამკრედიტებელი ბანკების – EIB, EBRD და სხვ. წიაღისეული საწვავის მოპოვების საკრედიტო პორტფელები;

- კასპიის ახალი გაზის საბადოები ურთულეს გეოლოგიურ მასივებში მდებარეობს. მაგალითად, ახლადაღმოჩენილი ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული გაზის საბადო მდებარეობს „აზერი-ჩირაღი-გიუნეშლის“ ნავთობის საბადოს ფსკერის ქვეშ, რაც მის ექსპლოატაციას, ნავთობის სრულად ამოღებამდე, თითქმის შეუძლებელს ხდის. ურთულესი გეოლოგია აქვს აზერბაიჯანის სიდიდით მეორე გაზის საბადოს „უმიდს“ და იმავე ტექტონიკურ ბლოკზე განლაგებულ „ბაბეკს“, აგრეთვე „ზაფარს“ და „მაშალს“.

ეს აჩენს ლეგიტიმურ კითხვას: ჩუმად ხომ არ იყიდება რუსული გაზი როგორც აზერბაიჯანული, ევროკავშირ-აზერბაიჯანის 2022 წლის ივლისის მემორანდუმის გადაჭარბებით შესასრულებლად?

ერთი მხრივ, აზერბაიჯანისთვის რუსული გაზის მიწოდების განახლება შეიძლება უბრალოდ იმაზე მიუთითებდეს, რომ ბაქო საკმაოდ შეშფოთებულია თავისი შიდა მოთხოვნის გაზრდით. და მართლაც, აზერბაიჯანისა და ევროკავშირის შეთანხმება მხოლოდ მემორანდუმია და, შესაბამისად – არასა-

ვალდებულო. მაგრამ შეთანხმების გაფორმების დრო ბადებს ეჭვს და ვარაუდს, რომ რაც უფრო გაგრძელდება უკრაინაში ომი, მით მეტად შეეძლება აზერბაიჯანს გამოიყენოს იაფი რუსული გაზი თავისი შიდა მოთხოვნის დასაფარავად, რათა მეტი კასპიური გაზი გამოათავისუფლოს ევროპაში ექსპორტის გასაზრდელად.

მეორეს მხრივ, აზერბაიჯანს, რა თქმა უნდა, თავისუფლად შეუძლია შეისყიდოს იმდენი რუსული გაზი, რამდენიც უნდა, მაგრამ გამოდის, რომ ის იყენებს რუსულ გაზს ევროპაში კასპიური აირის მეტი მოცულობების გასაგზავნად (ფაქტობრივად ეს გარიგება „სვოპ" მიწოდებაა). ამდენად, გაზის რუსეთიდან აზერბაიჯანში იმპორტი გარკვეულწილად, ძირს უთხრის ბაქო-ბრიუსელის 2022 წლის ივლისის შეთანხმების სულისკვეთებას. ეს ასევე იქნება კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ რამდენად უჭირს ევროპას რუსული გაზის ალტერნატივის უზრუნველყოფა უახლოეს პერსპექტივაში, და რამდენად შეეცდება მოსკოვი ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის" (SGC) გაზსადენების თავისი მიზნებისათვის გამოყენებას.

სავარაუდოდ, რუსეთი შეეცდება ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის" მილებში, საბჭოთა კავშრის დროიდან არსებული აზერბაიჯან-რუსეთის მილსადენით, მოახვედროს რუსული გაზი და ის, როგორც აზერბაიჯანული, ისე გაყიდოს ევროპაში. საქმე ისაა, რომ რუსეთის წინადადება, თურქეთში რუსული გაზის ჰაბის აგების შესახებ, „გაზპრომის" დასაფინანსებელია. ამ უკანასკნელს კი, ევროკავშირში ექსპორტის განახევრების გამო, ამისათვის საჭირო თანხა არ აქვს. ეს ჩანს „გაზპრომის" 2023 და 2024 წლების გამოქვეყნებული საინვესტიციო პროგრამებიდან, რაც ღია დოკუმენტებია(https://www.gazprom.ru/press/news/2023/december/article570587/). ამავე დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ „გაზპრომს" არც „თურქული ნაკადის" მეორე რიგის – ორი პარალელური მილსადენის შავი ზღვის ფსკერზე გაყვანისთვის საჭირო 7 მლრდ დოლარი არ აქვს გამოყოფილი!

იმავდროულად ნათელია, რომ აზერბაიჯანის გაზის ბაზარი რუსეთს არ შესთავაზებს ისეთივე მაღალ ანაზღაურებას, რასაც ევროპა უზრუნველყოფს. თუმცა, მიმდინარე ომის ფონზე, ევროპაში „გაზპრომის" საბაზრო წილის უმეტესი ნაწილის შეუქცევადი დაკარგვის საპირწონედ, აზერბაიჯანულ-ქართულ-თურქული მარშრუტებით ექსპორტი შეიძლება იყოს საუკეთესო ვარიანტი მოსკოვისთვის, განსაკუთრებით იმის გამო, რომ რუსეთს გაცილებით მეტი დრო დასჭირდება აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიის – ჩინეთის და ინდოეთის მიმართულებით გაზის დამატებითი საექსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის.

## დასკვნა

ამრიგად, დამტკიცდა ჩვენ მიერ სტატიის შესავალში გამოთქმული ჰიპოთეზა, რომ ომის პირობებში, 2024 წელს გაგრძელდება „გაზპრომის" მონოპოლიური მილსადენებით ევროპის გაზმომარაგების ჩანაცვლება გაზის სპოტ-ბაზრებზე ვაჭრობით. ზემოთ განხილული გეოეკონომიკური პროცესებიდან ჩანს, ევროკავშირი მეტ ძალისხმევას მიმართავს არა თურქეთის ე.წ. ჰაბის განვითარებაზე, არამედ ენერგომომარაგების დივერსიფიკაციასა და გაზის სპოტ-ვაჭრობის ხელშეწყობაზე, რაც საქართველოს მხრივაც შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას საჭიროებს. მიგვაჩნია, რომ 2022 წლის ნოემბერში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიცირებული წინადადებები საქართველოს შავი ზღვის სანაპიროდან ევროკავშირისკენ თხევადი გაზის ტანკერებით ტრანსპორტირების პროექტის რეანიმაციის შესახებ, ძალიან დროულია.

2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ, ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი – „თეთრი ნაკადის" გაზსადენის და თხევადი გაზის ტრანსპორტირების – AGRI(LNG)-ის პროექტირება შეწყდა. ეს იყო ყველაზე პერსპექტიული პროექტები საქართველოსა და აზერბაიჯანისთვის, რადგან ორივე გვერდს უვლიდა არამარტო რუსეთს, არამედ თურქეთსაც, და შესაბამისად, ანეიტრალებდა მათ სატრანზიტო ჰეგემონიას.

სწორედ ამ ჰეგემონიის დასაძლევად განაცხადა საქართველოს ვიცე--პრემიერმა, საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა 2022 წლის 21 ნოემბერს გამართულ ბრიფინგზე, რომ საქართველოს მთავრობა მუშაობს კასპიის ზღვის სანაპიროდან ევროპისთვის გაზის საქართველოზე გავლით მიწოდებაზე. მანვე აღნიშნა რომ პროექტი, რომელშიც ასევე მონაწილეობენ აზერბაიჯანი, რუმინეთი და უნგრეთი, უკვე დაწყებული იყო და ითვალისწინებდა გეგმას, რომლითაც „...გაზი გათხევადდება საქართველოს ტერიტორიაზე, შემდეგ კი რუმინეთში მისი ხელახალი გაზიფიცირება მოხდება. სამწუხაროდ, ეს პროექტი შეჩერდა და შემდგომი განვითარება არ ჰქონია", – განაცხადა მან და დასძინა, რომ „... ევროპა განსაკუთრებით დაინტერესებულია გაზის მიწოდების ალტერნატიული წყაროებით, როცა ყველა საუბრობს ენერგომომარაგების დივერსიფიკაციაზე. ამ პროექტმა განსაკუთრებული აქტუალურობა წელს მოიპოვა". ბატონმა ლ. დავითაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო-აზერბაიჯანის ტერიტორიაზე პროექტის და ინფრასტრუქტურის შეფასება მიმდინარეობს. „ეს არ მოხდება არც ერთ დღეში და არც ერთ წელიწადში", – თქვა მან და დასძინა, რომ „...პირველ რიგში, ჩვენ უნდა გამოვსახოთ სრული სურათი... შემდეგ უნდა ჩამოვაყალიბოთ დეტალური სამოქმედო გეგმა და დავიწყოთ მისი ეტაპობრივად განხორციელება, ინვესტიციების მოზიდვის ჩათვლით."

ლიტერატურა:


- Спот-торговля газом (2008). https://neftegaz.ru/tech-library/finansy/146486-spot-spot/
- ევროკომისარი (2022). სამხრეთის გაზის დერეფანი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროკავშირის ბუნებრივი აირის მიწოდების დივერსიფიკაციაში https://europetime.eu/ka/article/27777-samxretis-gagis-derefani-mnishvnelovan-rols-asrulebs-evrokavshiris-bunebrivi-airis-mishodebis-diversifikaciashi---evrokomisari
- Garakanidze Z., Garakanidze N. (2013). INFLUENCE OF THE MIDDLE EAST TENSION ON THE EU'S SOUTHERN GAS CORRIDOR (co-author). (2013). THE Caucasus & Globalization. Journal of Social, Political and Economic Studies. Volume 7, Issue 1-2, http://www.ca-c.org/c-g/2013/journal_eng/c-g-1-2/07.shtml
- Катков М. (2022). Чем и когда ЕС хочет заменить газ из России. 8 Июня, https://www.vedomosti.ru/business/articles/2022/06/08/925631-chem-es-zamenit-gaz
- THE INTERNATIONAL ENERGY CHARTER. CONSOLIDATED ENERGY CHARTER TREATY with Related Documents. Last Updated: 15 January 2016. Part II: Policy Principles Article 3 Basic Principles (f). p.158. https://www.energycharter.org/fileadmin/DocumentsMedia/Legal/ECTC-en.pdf
- The Nordic Energy Trilemma. Security of Supply, Prices and the Just Transition. https://www.nordicenergy.org/wordpress/wp-content/uploads/2023/03/Final-report-Energy-Trilemma.pdf Author: Ramboll Publish date: 2023-03-10
- EU Natural Gas TTF https://tradingeconomics.com/commodity/eu-natural-gas
- FRED, https://fredblog.stlouisfed.org/2023/01/unnatural-gas-prices-in-Europe/?utm_source=series_page&utm_medium=related_content&utm_term=related_resources&utm_campaign=fredblog
- European Natural Gas Prices to go beyond Double By 2024. https://www.powerinfotoday.com/oil-gas/european-natural-gas-prices-to-go-beyond-double-by-2024/
- Russian Pipeline Gas Exports to Europe Down 56% in 2023 – Reuters Calculations. https://www.reuters.com/business/energy/russian-pipeline-gas-exports-europe-down-56-2023-reuters-calculations-2024-01-02/
- ПРАВИТЕЛЬСТВО РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ (2020). ЭНЕРГЕТИЧЕСКАЯ СТРАТЕГИЯ Российской Федерации на период до 2035 года. РАСПОРЯЖЕНИЕ от 9 июня. № 1523-р Газовая отрасль. http://static.government.ru/media/files/w4sigFOiDjGVDYT-4IgsApssm6mZRb7wx.pdf
- За 10 месяцев 2023 г. добыча газа в РФ упала на 9,6% в годовом сравнении и составила 430 млрд м3. https://neftegaz.ru/news/dobycha/805127-za-10-mesyatsev-2023-g-dobycha-gaza-v-rf-upala-na-9-6-v-godovom-sravnenii-i-sostavila-430-mlrd-m3/
- Russian LNG Exports to Europe Fell 1.9% in 2023 – LSEG data. Reuters January 2, 2024; https://www.reuters.com/business/energy/russian-lng-exports-europe-fell-19-2023-lseg-data-2024-01-02/

- RUSSIA FACES MIGHTY OBSTACLE IN WESTERN LNG SANCTIONS Dec 28, 2023; https://www.naturalgasworld.com/russia-faces-mighty-obstacle-in-western-lng-sanctions-108966?utm_medium=email&utm_campaign=Daily%20Newsletter%202023%20-%
- Relaunch of Russian Gas Supplies to Azerbaijan Raises Questions about Baku-Brussels Deal. 22/11/22, https://www.intellinews.com/relaunch-of-russian-gas-supplies-to-azerbaijan-raises-questions-about-baku-brussels-deal-263151/
- Азербайджан ведет переговоры со странами Европы по экспорту газа. 10 января, 2024; 23:39 / Бизнес https://www.vedomosti.ru/business/news/2024/01/10/1014528-azerbaidzhan-peregovori-evropi-eksportu-gaza
- Совет директоров «Газпрома» утвердил инвестиционную программу и бюджет на 2023 и 2024 годы в новых редакциях https://www.gazprom.ru/press/news/2023/october/article568674/; https://www.gazprom.ru/press/news/2023/december/article570587/
- Gov't Talks Plans for Caspian Sea Gas Pipeline through Georgia to Europe. Civil.ge Send an email22/11/2022 – 09:48. https://civil.ge/archives/515867


References:


- Spot-torgovlia gazom (2008). [Spot-Trade the Gas] https://neftegaz.ru/tech-library/finansy/146486-spot-spot.] in Russian
- European Commissioner (2022). Samxretis gazis derefani Tamashobs mnishvnelovan rols evropis gazmomaragebis diversifikaciaSi – [Southern Gas Corridor Plays an Important Role in Diversifying EU Natural Gas Supply.] in Georgian https://europetime.eu/ka/article/27777-samxretis-gagis-derefani-mnishvnelovan-rols-asrulebs-evrokavshiris-bunebrivi-airis-mishodebis-diversifikaciashi---evrokomisari]
- Garakanidze Z., Garakanidze N. (2013). The Impact of Middle East Tensions on the Southern Gas Corridor / [http://www.ca-c.org/c-g/2013/journal_eng/c-g-1-2/07.shtml.
- Katkov M. (2022). Kak i chem cmenit evropa Rossiskii gas? [What and When Should the EU Replace Russian Gas? https://www.vedomosti.ru/b usiness/articles/2022/06/08/925631-chem-es-zamenit-gaz] in Russian
- THE INTERNATIONAL ENERGY CHARTER. CONSOLIDATED ENERGY CHARTER TREATY with Related Documents. Last Updated: 15 January 2016. Part II: Policy Principles Article 3 Basic Principles (f). p.158. https://www.energycharter.org/fileadmin/DocumentsMedia/Legal/ECTC-en.pdf
- Northern Energy Troilemma Security of Supply (2023). Pricing and Conversion. https://www.nordicenergy.org/wordpress/wp-content/uploads/2023/03/Final-report-Energy-Trilemma.pdf Author: Ramboll p. 16.
- EU Natural Gas TTF https://tradingeconomics.com/commodity/eu-natural-gas
- FRED, https://fredblog.stlouisfed.org/2023/01/unnatural-gas-prices-in -Europe/?utm_source=series_page&utm_medium=related_content&utm_term=related_resources&utm_campaign=fredblog

- European Natural Gas Prices to go Beyond Double by 2024. https://www.powerinfotoday.com/oil-gas/european-natural-gas-prices-to-go-beyond-double-by-2024/
- Russian Pipeline Gas Exports to Europe Down 56% in 2023 – Reuters Calculations. https://www.reuters.com/business/energy/russian-pipeline-gas-exports-europe-down-56-2023-reuters-calculations-2024-01-02/
- PRAVITELSTVO ROSSIYSKOY FEDERATSII (2020). ENERGETICHESKAYA STRATEGIYA RF na period do 2035 goda. [GOVERNMENT OF THE RUSSIAN FEDERATION (2020). ENERGY STRATEGY of the Russian Federation for the Period until 2035. Gas Field.] in Russian http://static.government.ru/media/files/w4sigFOiDjGVDYT4IgsApssm6mZRb7wx.pdf
- Za 10 mesiacev rf gas proizvodstvo umenshilos na 9.6% I dostbg 430 BCM (2023), [In 10 Months, Russian Gas Production Decreased by 9.6% Annually and Amounted to 430 Billion Cubic Meters.] in Russian https://neftegaz.ru/news/dobycha/805127-za-10-mesyatsev-2023-g-dobycha-gaza-v-rf-upala-na-9-6-v-godovom-sravnenii-i-sostavila-430-mlrd-m3/
- Russian LNG Exports to Europe Fell 1.9% in 2023 – LSEG Data. Reuters January 2, 2024; https://www.reuters.com/business/energy/russian-lng-exports-europe-fell-19-2023-lseg-data-2024-01-02/
- RUSSIA FACES MIGHTY OBSTACLE IN WESTERN LNG SANCTIONS Dec 28, 2023; https://www.naturalgasworld.com/russia-faces-mighty-obstacle-in-western-lng-sanctions-108966?utm_medium=email&utm_campaign=Daily%20Newsletter%202023%20-%
- Relaunch of Russian Gas Supplies to Azerbaijan Raises Questions about Baku-Brussels Deal. 22/11/22, https://www.intellinews.com/relaunch-of-russian-gas-supplies-to-azerbaijan-raises-questions-about-baku-brussels-deal-263151/
- Azerbaydzhan vedet peregovory s yevropeyskimi stranami po eksportu gaza. 10 yanvarya 2024 g. [Azerbaijan is Conducting Negotiations with European Countries on Gas Export.] In Russian https://www.vedomosti.ru/business/news/2024/01/10/10-14528-azerbaidzhan-peregovori-evropi-eksportu-gaza
- Sovet direktorov PAO «Gazprom» utverdil investitsionnuyu programmu i byudzhet na 2023 i 2024 god v novykh redaktsiyakh. [The Board of Directors of Gazprom Approved the Investment Program and Budget for 2023 and 2024 in New Editions] in Russian https://www.gazprom.ru/press/news/2023/october/article568674/ https://www.gazprom.ru/press/news/2023/december/article570587/
- Gov't Talks Plans for Caspian Sea Gas Pipeline through Georgia to Europe. Civil.ge Send an email22/11/2022 – 09:48. https://civil.ge/archives/515867

# The Impact of the Russia-Ukraine War on the EU Gas Spot Market

**Solomon Pavliashvili**
*Academician*
*National Academy of Sciences ofGeorgia,*
*Deputy Minister of Agriculture and Environment Protection*
*pavliashvilisolomon@yahoo.com*

**Zurab Garakanidze**
*Associate Professor,*
*Davit Agmashenebeli Defence Academy*
*z_gara@yahoo.com*

*Ahead of the Russia-Ukraine war, global natural gas production in 2021 rose nearly 5 percent to a record 4.04 trillion cubic meters. In 2021, Russian natural gas exports were 202 billion cubic meters of pipeline gas and 39.6 billion cubic meters of liquefied natural gas (LNG). [Russia Struggles to Make Up for Europe's Gap in Natural Gas Exports. https://www.aa.com.tr/en/europe/russia-struggles-to-make-up-for-europes-gap-in-natural-gas- exports/2717651]. Because of the war in Ukraine, Russia stopped exporting essential volumes of natural gas to Europe, which used to account for 40 percent of the EU's supply, causing gas prices in Europe to rise. Georgia, with its strategic location on the eastern coast of the Black Sea, has the potential to create a liquefied natural gas (LNG) hub for transporting gas to European markets bypassing Russia – using existing port facilities in Anaklia, Poti, Batumi, Kulevi (owned by Sokar BST LLC);*

*Recent developments show the Russian government's interest in the idea of a Turkish gas hub. At the end of September 2022, two days after the explosion of the "North Stream 1 and 2" gas pipelines on the bottom of the Baltic Sea, Presidents R.-T. Erdogan and Vladimir Putin agreed to add two more new gas pipelines along the TurkStream pipeline, which is apparently a rival project to the EU's Southern Gas Corridor (SGC). The SGC goes through Azerbaijan, Georgia and Turkey to the Balkans, and the TurkStream pipeline from Russia through the Black Sea and Turkey enters in the same region of Europe, where the European SGC also goes – namely, South-Eastern Europe.*

*Natural gas has recently become one of the main types of fuel since the 70s of the last century. At the beginning of this century, about 88-90% of natural gas was supplied to consumers by pipelines, long-term economic contracts, and the rest by tankers, in the form of liquefied natural gas (LNG). Global LNG imports in 2021, according to the report of the International Group of LNG Importers (GIIGNL), increased by 4.5% compared to the previous year and reached 513.7 billion cubic meters (372.3 million tons). The Group's research notes that in 2021, LNG will already account for approximately 40% of the global gas market, with the rest coming from gas pipelines. In 2021, about 73% (375 billion cubic meters, or 271.8 million tons) of LNG was imported by Asian countries. In addition, only 36.6% of the world's LNG volume was sold on the spot market, i.e. in small lots – the rest was sold through long-term contracts, thereby neglecting the market mechanism of free price formation. Due to the Russia-Ukraine war, gas supplies*

*to the EU through Gazprom pipelines have been almost completely cut off since the beginning of 2023, and Brussels is desperately looking for alternative routes.*

*For the first time, the idea of such an alternative in the form of the Trans-Caspian gas pipeline was put forward by then US President Bill Clinton in 1996. However, due to the uncertainty of the status of the Caspian Sea – the lack of delimitation of its shelf boundaries, the conflicting position of Azerbaijan, Iran and Turkmenistan, etc., this project was not implemented. Now Russia tries to use old Russia-Azrbaijan gas pipeline to connect his gas with EU SGC pipelines. Georgian government suggested in late 2022 to use his black sea Anaklia or Kulevi ports for constraction of LNG terminals and export the LNG tankers with Azeri (and Russian ?!) gas to the Balkan ports.*

***Keywords:*** *European Union, monopoly, spot market, "Gazprom", liquefied gas, energy crisis, oil prices, embargo, pipelines, hubs, Gas Corridor, LNG tankers, diversification.*

***JEL Codes:*** *E44, G15, O13, P28*

ეკონომიკა და ბიზნესი, 2024, №1, 55-71
Economics and Business, 2024, №1, 55-71

# ტრადიციული სოფლის მეურნეობიდან ინდუსტრიულ (ციფრულ) სოფლის მეურნეობამდე

doi.org/10.52340/eab.2024.16.01.03

**პაატა კოღუაშვილი**
*პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
*paata_koguashvili@hotmail.com*

**ეთერ ხარაიშვილი**
*პროფესორი*
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*eter.kharaishvili@tsu.ge*

**ნინო შენგელია**
*დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
*ninooshengelia@gmail.com*

*„სოფლის მეურნეობა მეცნიერებაზე დამყარებული ინდუსტრიაა“*
*FAO -ს დეკლარაციიდან*

*ინდუსტრიულმა რევოლუციამ მსოფლიოში დიდი ცვლილებები განაპირობა. ახალი ტექნოლოგიები სწრაფი ტემპით ვითარდებოდა და ინერგებოდა, რამაც სამუდამოდ შეცვალა ადამიანთა ცხოვრებისა და მუშაობის სტილი. უმნიშვნელოვანესი სფერო, რომელმაც ინდუსტრიული რევოლუციის შედეგად არსებითი ცვლილებები განიცადა, სწორედ სოფლის მეურნეობაა, რომელიც ადამიანის მიერ ბუნების გამოყენებისა და მიწათსარგებლობის ერთ-ერთი ყველაზე უძველესი და ტრადიციული დარგია.*

*ტრადიციულ სოფლის მეურნეობასა და ეკონომიკის თანამედროვე ინდუსტრიულ სექტორებს შორის ურთიერთდამოკიდებულება გადამწყვეტია ქვეყნის საერთო ეკონომიკური განვითარებისთვის. სოფლის მეურნეობის სექტორის ზრდა დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე სამრეწველო მოთხოვნის ზრდაზე. ანალოგიურად, სამრეწველო სექტორის ზრდა დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის სექტორის მიერ სამრეწველო პროდუქტებზე მყიდველობითუნარიანობის გაზრდასა და გადასამუშავებელი ნედლეულის მიწოდების ზრდაზე. ბევრმა განვითარებადმა ქვეყანამ გააცნობიერა რა აგროსასურსათო სექტორის ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელობა და როლი ქვეყნის ეკონომიკაში, უზრუნველყო ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება, საგარეო სავაჭრო ბალანსის ოპტიმიზაცია და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ინდუსტრია 4.0, სოფლის მეურნეობა 4.0, გაციფრება, ინდუსტრიული სოფლის მეურნეობა, „ჭკვიანი“ მიწათმოქმედება.*

## შესავალი

ინდუსტრიულმა რევოლუციებმა მოახდინა სოფლის მეურნეობის სექტორის ცვლილება ტრადიციულიდან მექანიზებულ სასოფლო-სამეურნეო წარმოებამდე და თანამედროვე „ჭკვიან“ მიწათმოქმედებამდე. მეოთხე ინდუსტრიულმა რევოლუციამ სტიმული მისცა ახალი ტექნოლოგიებისა და მეთოდების განვითარებას, რაც ცვლის წარმოების გლობალურ სისტემას. ინდუს

ტრია 4.0-მა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა გარდაქმნა კიბერ-ფიზიკური სისტემების, ნივთების ინტერნეტის, ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური სწავლების, დიდი მონაცემების ანალიზისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-მოწყობილობებში ღრუბლოვანი ტექნოლოგიის ინტეგრაციის გამოყენებით. სოფლის მეურნეობა 4.0 წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ციფრულ მოდელს, რომელიც ეფუძნება მაღალეფექტიან საწარმოო პროცესს და ხანგრძლივი ტექნოლოგიური განვითარების შედეგია. ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის ამჟამინდელი მდგომარეობის (ინდუსტრიული სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოდელი, წარმოების პროცესი, მიწოდების ჯაჭვი) განხილვა შესაძლებლობას იძლევა რელიეფურად წარმოჩინდეს სექტორის ძლიერი და სუსტი მხარეები, ციფრული სოფლის მეურნეობის შესაძლებლობები და გამოწვევები, მისი მნიშვნელობა ინდუსტრიულ სოფლის მეურნეობაში არსებული რიგი მწვავე საკითხების აღმოფხვრაში (Zambon I., Cecchini M., Egidi G., Grazia M. Saporito, Colantoni A. 2019).

ინდუსტრიული რევოლუციები XVIII საუკუნის ბოლოს დაიწყო და დღესაც ვითარდება. მთლიანობაში, ის ხუთ ეტაპს მოიცავს. საკითხის რეტროსპექტივის სახით, თავდაპირველად განვიხილავთ პირველ სამ ინდუსტრიულ რევოლუციას, მის ძირითად არსსა და მიღწევებს.

### ინდუსტრიალიზაციის პირველი სამი ეტაპის რეტროსპექტივა

1. **ინდუსტრია 1.0** – პირველი ინდუსტრიული რევოლუცია მიმდინარეობდა 1760 წლიდან 1830 წლამდე, დაიწყო დიდ ბრიტანეთში და სწრაფად გავრცელდა მთელ ევროპაში. ამ რევოლუციამ განაპირობა მნიშვნელოვანი სოციო-კულტურული ცვლილებები, რადგან აღნიშნულ პერიოდში შემუშავებულმა ინოვაციებმა გაზარდა ქარხანა-ფაბრიკული წარმოება და შექმნა უფრო სწრაფი გადაადგილებისა და კომუნიკაციის მეთოდები. ამან, თავის მხრივ, გაზარდა საშუალო კლასის შემოსავალი და ცხოვრების დონე; ქალაქებს უფრო სწრაფი განვითარების საშუალება მისცა, ვინაიდან ხალხი ტოვებდა სასოფლო დასახლებებს და ქარხანა-ფაბრიკებში ეძებდა სამუშაოს. გასაგებია, რომ ინდუსტრიული რევოლუციები დაიწყო ეკონომიკურად უკვე განვითარებულ, უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების მქონე ქვეყნებში, რომლებმაც გააფართოვეს თავიანთი ეკონომიკა, ხოლო ზოგიერთი მათგანი მსოფლიო ვაჭრობის ჰეგემონადაც იქცა. მაგალითად, ეს იყო ინგლისი, რომლის უახლესი ტექნიკა და ტექნოლოგია აძლევდა ქვეყანას სტაბილური ხარისხის მქონე სტანდარტიზებული პროდუქციის (იარაღი, შალისა და ბამბის ტექსტილი, თოფის წამალი და სხვა) გამოშვების საშუალებას. სწორედ ამან აქცია დიდი ბრიტანეთი მსოფლიო ვაჭრობის 300-წლიან ჰეგემონად და ლიდერად. ინდუსტრიულ ქვეყნებში განვითარდა უკვე ჩასახული კაპიტალისტური ურთიერთობები, გამძაფრდა და გაღრმავდა გლობალური უთანასწორობა, ჩაისახა სამართლიანობის, სოციალიზმისა და მარქსიზმის იდეები. ამის საპირისპიროდ, არაინდუსტრიალიზებული

ქვეყნები იძულებულნი იყვნენ, ქცეულიყვნენ სანედლეულო დანამატად და შეგუებოდნენ ჩამორჩენას, რომლისთვისაც ობიექტურად იყვნენ განწირულნი (Peter P. Groumpos, 2021).

პირველი ინდუსტრიული რევოლუციის უმთავრეს მონაპოვარს განეკუთვნება ისეთი ეკონომიკური ცნებები და კატეგორიები, როგორიცაა: მექანიზაცია, ორთქლის ენერგია, საფაბრიკო სისტემა, სოციალურ-ეკონომიკური გავლენა საზოგადოებაზე (Ragazou K., Garefalakis A., Zafeiriou E., Passas I. 2022).

2. **ინდუსტრია 2.0** – მეორე ინდუსტრიული რევოლუციის (1860-1910 წწ.) დროს საწარმოებმა დაიწყეს ისეთი მასალების გამოყენება, როგორიცაა მსუბუქი ლითონები, იშვიათი მიწაელემენტები, ახალი შენადნობები, სინთეტიკური პროდუქტები (მაგ., პლასტმასი) და ახალი ენერგიის წყაროები. მეორე ინდუსტრიული რევოლუციის დაწყებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ელექტროტექნოლოგიების და მასობრივი წარმოების მეთოდების გამოყენებამ. ინოვაციურმა ტელესაკომუნიკაციო საშუალებებმა (ტელეგრაფი, რადიო, გაზეთი) შესაძლებელი გახადა იდეებისა და ახალი ამბების მყისიერი გავრცელება მთელ მსოფლიოში. ამავე პერიოდს განეკუთვნება შრომის მწარმოებლურობაში რევოლუციური გარღვევა: (i) საამწყობო მოძრავი ლენტის – კონვეიერის გამოგონება (ჰენრი ფორდი) და (ii) ტოიოტას კონცერნის მენეჯერის მიერ შემოთავაზებული უდანაკარგო წარმოების (Lean Manufactoring) ინოვაციური სისტემა. მეორე ინდუსტრიული რევოლუციის მიერ შემოტანილმა ორიენტირებმა ახლებურად განსაზღვრა ადამიანთა ცხოვრების, მუშაობისა და ურთიერთობის წესები. პირველი მსოფლიო ომის შემდგომმა დაჩქარებულმა გლობალიზაციამ კი საფუძველი ჩაუყარა დღევანდელ მსოფლიო ეკონომიკას (Romania I. de Alcantara, João Guilherme Araújo Schmidt, Eduardo C. de Freitas Vian, Belardo G. 2021).

3. **ინდუსტრია 3.0** – მესამე ინდუსტრიული რევოლუცია (1960-2010 წწ.) ცნობილია ბირთვული ენერგიის აღმოჩენით, ინტერნეტის გამოგონებით და გაციფრების პროცესით. ეს ეტაპი კოსმოსისა და ბიოტექნოლოგიების შესწავლის და გლობალიზაციის ახალ ხანას წარმოადგენს. გლობალიზაციის მასშტაბი იზრდება; ინტერნეტი სულ უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკაზე; ჭკვიანი ციფრული ინფრასტრუქტურა განუწყვეტლივ ვითარდება; თვითმფრინავებისა და საზღვაო გზების შემდგომი განვითარება აიაფებს ტვირთის გადაზიდვის ღირებულებას, რაც აჩქარებს ეკონომიკის განვითარებას. მესამე ინდუსტრიულმა რევოლუციამ წინა პლანზე წამოწია კლიმატის ცვლილების საფრთხე; გლობალური ნახშირბადული კვალის შემცირების აუცილებლობა და მოახდინა ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენების პოპულარიზება. ამასთანავე, ამავე პერიოდში გაიზარდა უმუშევრობის მაჩვენებლები და გლობალური უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის.

განვიხილოთ, თუ როგორ ვითარდებოდა ამ პერიოდში სოფლის მეურნეობა და რა გავლენა იქონია მასზე პირველმა სამმა ინდუსტრიულმა რევოლუციამ.

სოფლის მეურნეობამ განვითარების გრძელი გზა განვლო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველაზე პრიმიტიული ფორმებიდან პოსტინდუსტრიულ მოდელამდე. ტრადიციული სოფლის მეურნეობა დაფუძნებული იყო ინტენსიურ ფიზიკურ შრომაზე და ხასიათდებოდა დაბალი პროდუქტიულობით. სურსათის წარმოების პროცესში მთელი მოსახლეობის თითქმის მესამედი იყო ჩართული; აგრარული მეურნეობის განვითარების ამ ეტაპს „1.0"-ით აღნიშნავენ. სოფლის მეურნეობა 1.0-ის (1950 წლებამდე) მახასიათებლებია: დაბალი ენერგოინტენსივობა, დაბალი პროდუქტიულობა, მაღალი შრომატევადობა და მიწების ექსტენსიური გამოყენება. ტექნოლოგიებზე დაბალი ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, მიწის მოსამზადებელი სამუშაოებისათვის როგორც სათეს/სარგავად, ასევე მოსავლის ასაღებად ფართოდ გამოიყენებოდა ხელის იარაღები. ყველაზე გამოყენებადი იარაღები იყო: თოხი, ხელის გუთანი, ფიწალი, ფოცხი და ცელი (Peter P. Groumpos, 2021).

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან, სოფლის მეურნეობის განვითარების მეორე „მწვანე რევოლუციის" ეტაპი – დაიწყო და აღინიშნება „2.0"-ით (1960-80-იანი წწ.). ამ პერიოდში, შეიქმნა სათესი, სარწყავი, მოსავლის ასაღები და სხვა მრავალფეროვანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. შიდაწვის ძრავაზე მომუშავე ტრაქტორებმა, რომლებიც საწვავად იყენებდნენ ბენზინს ან დიზელს, ორი სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს შესრულება დაიწყეს: 1) ითავსებდნენ ენერგიის სტაციონარული წყაროს ფუნქციას (მაგალითად, მოძრაობაში მოჰყავდათ მარცვლეულის გადამამუშავებელი დანადგარები); 2) ჩაანაცვლეს პირუტყვის ძალა გუთანსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობაში. ამგვარად, შიდაწვის ძრავაზე მომუშავე ტრაქტორებმა, მათი გამოყენების უნივერსალურობიდან გამომდინარე, მსოფლიო აღიარება მოიპოვა. ამავე პერიოდში, განვითარდა აგროზოოვეტერინარია; მემცენარეობასა და მეცხოველეობაში დაინერგა მექანიზაციის სისტემები; შემუშავდა ახალი სასუქები, აგროქიმიკატები და პესტიციდები. ზოგადად, სასოფლო-სამეურნეო ცოდნის სისტემამ ძირეული ცვლილებები განიცადა, რაც დადებითად აისახა მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის ზრდაზე.

„ინდუსტრია 2.0"-ის პერიოდში ორთქლის ძალა ჩანაცვლდა ნავთობითა და გაზით. ენერგიის ახალმა წყაროებმა, სატრანსპორტო ინდუსტრიაში განხორციელებულ ინოვაციებთან ერთად, დიდი წვლილი შეიტანა აგრო-სასურსათო პროდუქციის მიწოდების ჯაჭვის განვითარებაში და სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიწოდება საკმაოდ შორ მანძილებზე გახდა შესაძლებელი. შედეგად, გაჩნდა ახალი სასოფლო-სამეურნეო ბაზრები. ამასთანავე, კონვეიერულმა მასობრივმა წარმოებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ეფექტიანობა და პროდუქტიულობა. გადამმუშავებელ მრეწველობაში არსებული მასობრივი წარმოების მოდელი გამოყენებულ იქნა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში, სადაც ტრადიციული მეცხოველეობა შეიცვალა ფართომასშტაბიანი ინტენსიური მეცხოველეობით.

„ინდუსტრია 3.0“-ის ეტაპზე, ინტეგრირებული სისტემების, პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიის და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებამ კიდევ უფრო გააუმჯობესა სამრეწველო მოწყობილობების ავტომატიზაციის შესაძლებლობა. განხორციელდა ქარის, მწვანე განახლებადი ენერგიისა (მზის ფოტოელექტრული ენერგია) და ჰიდროელექტროენერგიის შესწავლა. ამას მოჰყვა სასოფლო-სამეურნეო რევოლუცია, რომელიც ცნობილია, როგორც „სოფლის მეურნეობა 3.0“ (1990-2000-იანი წწ). აგრარულ სფეროში ის მიზნად ისახავდა მაღალი სიზუსტის მიღწევას და ამისათვის იყენებდა საინფორმაციო ტექნოლოგიებს ისეთ ოპერაციებში, როგორიცაა მოსავლიანობის მონიტორინგი, ცვლადების ნორმების შეტანა და მიწათმოქმედების მართვის სისტემები. „სოფლის მეურნეობა 3.0“ ან „ჭკვიანი მიწათმოქმედება“ ("Precision farming") დაიწყო მას შემდეგ, რაც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მართვაში დაინერგა გეოლოკაციის სისტემებზე დაფუძნებული ტელემექანიკის სისტემა. „სოფლის მეურნეობა 3.0“-ს ახასიათებს ბიოტექნოლოგიებისა და გენეტიკური ინჟინერიის ინტენსიური განვითარება, მონაცემთა ანალიზზე დაფუძნებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების დიფერენციაცია, დანახარჯების შემცირება და წარმადობის ზრდის მეშვეობით სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოპტიმიზაცია. ამ ეტაპზეა შემუშავებული ცნებები „ბიოეკონომიკა“ და „მდგრადი განვითარება“. სოფლის მეურნეობის განვითარების სამივე ეტაპის ძირითადი მახასიათებლები შეჯამებულია ცხრილში 1. (Zambon I., Cecchini M., Egidi G., Grazia M. Saporito, Colantoni A., 2019) .

**სოფლის მეურნეობის განვითარების სამი ეტაპის ძირითადი მახასიათებლები**

*ცხრილი 1.*

| სოფლის მეურნეობა 1.0 და 2.0 | სოფლის მეურნეობა 3.0 |
|---|---|
| ადამიანური რესურსები | ადამიანური კაპიტალი |
| მანქანა-დანადგარი | ინფორმაცია |
| ფიზიკური სამუშაო | ინტელექტუალური სამუშაო |
| ფიზიკური ძალა | ემოციური ინტელექტი |
| რეალური და ფაქტობრივი | სიმბოლური |
| რას ვაწარმოებთ | როგორ ვაწარმოებთ |
| ნივთები | კონცეფციები |
| მექანიკური სამუშაო | კრეატიული სამუშაო |
| დადგენილი და რეგულირებადი | ექსპერიმენტული |
| ხისტი და იერარქიული ორგანიზაციები | მოქნილი და ჰორიზონტალური ორგანიზაციები |
| ავტოკრატია | ურთიერთდაკავშირებული და ღია |
| გადაწვეტილებების მიღება „ზემოდან-ქვემოთ“ პრინციპით | გადაწვეტილებები მიღება „ზემოდან-ქვემოთ“, „ქვემოდან-ზემოთ “ პრინციპებით |
| რეაქტიული გადაწყვეტილებები | პროაქტიული გადაწყვეტილებები |
| წრფივი დინამიკა | არაწრფივი დინამიკა |
| შიში უცნობის მიმართ | გამოწვევის მიღება |
| კონტროლირებადი რისკი | საბაზო გაურკვევლობა |

***წყარო:*** *შედგენილია ავტორების მიერ Zambon I., Cecchini M., Egidi G., Grazia M. Saporito, Colantoni A., 2019 დაყრდნობით.*

პირველმა სამმა ინდუსტრიულმა რევოლუციამ თანდათან შეცვალა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ფორმა. ტრადიციული, ინტენსიურ შრომაზე დაფუძნებული სოფლის მეურნეობა ჩაანაცვლა ინდუსტრიულმა სოფლის მეურნეობამ, რაც სოფლის მეურნეობაში სამრეწველო წარმოების შაბლონების, სამრეწველო წარმოების პროცესებისა და სამრეწველო მიწოდების ჯაჭვების მართვის დანერგვით განხორციელდა. ამჟამად, გლობალურ სოფლის მეურნეობაში სურსათის ინდუსტრიული წარმოება და დისტრიბუცია დომინირებს, რადგან ეს მეთოდი უფრო პროდუქტიული და ეკონომიკურად ეფექტიანია.

ინდუსტრიული რევოლუციის პერიოდში სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელებული ძირითადი ცვლილებებია:

- ახალი ტექნოლოგიების განვითარებამ, სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის განვითარება და, შესაბამისად, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის ზრდა გამოიწვია;
- ტრანსპორტირების ახალმა მეთოდებმა, გაამარტივა საქონლის გადაადგილება ქვეყნისა და მსოფლიო მასშტაბით;
- ქარხნებში შესაძლებელი გახდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავება და დაფასოება, რამაც პროდუქტები უფრო მეტად ხელმისაწვდომი (ფიზიკური და მატერიალური თვალსაზრისით) გახადა მომხმარებლისათვის;
- სასურსათო პროდუქტების წარმოებამ სასოფლო დასახლებებიდან გადაინაცვლა საქალაქო დასახლებებში;
- მზარდმა მოსახლეობამ განაპირობა სასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდა, რამაც ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის სექტორში ინოვაციების განვითარებასა და სექტორის ზრდას;
- ქარხნების მუშაობამ გამოიწვია გარემოს დაბინძურება და სხვა ეკოლოგიური პრობლემები, რამაც გავლენა მოახდინა სოფლის მეურნეობაზე;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება რამდენიმე მსხვილი კორპორაციის ხელში მოექცა;
- სხვადასხვა ქვეყნიდან სასურსათო პროდუქტების იმპორტის ზრდამ გამოიწვია სასურსათო პროდუქტების ადგილობრივი წარმოების შემცირება;
- სოფლის მეურნეობა გახდა უფრო მეტად ინდუსტრიული და ნაკლებად დამოკიდებული ბუნებრივ რესურსებზე;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება უფრო ცენტრალიზებული გახდა;
- მანქანა-დანადგარებისა და ქიმიკატების გამოყენებამ გამოიწვია პროდუქტიულობის ზრდა, თუმცა, ამასთანავე გაამწვავა ეკოლოგიური პრობლემები;
- სოფლის მეურნეობაში პესტიციდებისა და ქიმიკატების გამოყენება მომხმარებლებსა და საზოგადოებაში შეშფოთების საგნად იქცა;

- მსხვილმა ფერმერულმა მეურნეობებმა ჩაანაცვლეს/განდევნეს მცირე მეურნეობები, რამაც სამუშაო ადგილების შემცირება და სოციალური ძვრები გამოიწვია.

## ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა

**ინდუსტრია 4.0** – მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციაა XXI საუკუნის დასაწყისიდან დღემდე. ინდუსტრია 4.0-ის განვითარება განპირობებულია მონაცემთა ზრდის სწრაფი ტემპით; დაკავშირებადობის, ანალიტიკისა და ადამიანი-მანქანის ურთიერთქმედების განვითარებით. ინდუსტრია 4.0 წარმოადგენს სამრეწველო პროცესებში ისეთი ტექნოლოგიების ჩართვის შედეგს, როგორიცაა ღრუბლოვანი გამოთვლები, ხელოვნური ინტელექტი, ნივთების ინტერნეტი და რობოტიკა. ყოველივე ეს იძლევა სამრეწველო წარმოების პროცესებისა და მიწოდების ჯაჭვების ავტომატიზების, მათი ურთიერთდაკავშირებული, მაგრამ ამავდროულად ავტონომიური ინტელექტუალური ფუნქციონირების საშუალებას. „ინდუსტრია 4.0“-ის და სოფლის მეურნეობის ინტეგრაციამ შესაძლებელი გახადა ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის შემდეგი თაობის, „სოფლის მეურნეობა 4.0“-ის წარმოშობა (https://www.fao.org/3/-nd262en/nd262en.pdf).

ნახატზე მოცემულია ინდუსტრიული რევოლუციებისა და სასოფლო-სამეურნეო რევოლუციების განვითარების რუკა (*Ye Liu, Xiaoyuan Ma, Lei Shu, Gerhard Petrus Hancke, Adnan M, Abu-Mahfouz -2020).*

**ინდუსტრიული და აგრარული რევოლუციების განვითარების ეტაპების რუკა**



ინდუსტრია 4.0-ის კონტექსტით, მდგრადი და ინტელექტუალური ინდუსტრიული სოფლის მეურნეობა მიიღწევა რეალურ დროში სივრცით/დროითი მონაცემების დეტალიზებული შეგროვებით, გადამუშავებით და ანალიზით, რაც სოფლის მეურნეობის დარგის ყველა ასპექტს მოიცავს, როგორიცაა აგროსასურსათო პროდუქტების წარმოება, გადამუშავება, დისტრიბუცია და მომხმარებლისათვის მაღალხარისხიანი საბოლოო პროდუქტის მიწოდება, რომელიც ეფუძნება მის გემოვნებასა და მოთხოვნილებებს (http://www.fao.org/3/ca7485en/ca7485en.pdf). ამ სახის ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის ეკოსისტემა ფერმერული მეურნეობის რეალურ დროში მართვით, ავტომატიზაციის მაღალი დონით, მონაცემების საფუძველზე ინტელექტუალური გადაწყვეტილების მიღების გზით, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს პროდუქტიულობას, აგროსასურსათო მიწოდების ჯაჭვის ეფექტურობას, სურსათის უვნებლობას და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას (Hrustek L., 2020). პრობლემების სრული ჩამონათვალი თავმოყრილია ცხრილში 2.

**ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა და გამოწვევები**

*ცხრილი 2.*

| | ინდუსტრიული სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოდელი | ინდუსტრიული სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესი | ინდუსტრიული აგრო-სასურსათო პროდუქციის მიწოდების ჯაჭვი |
|---|---|---|---|
| მიმდინარე მდგომარეობა | • მონოკულტურა<br>• ინტენსიური მეცხოველეობა | • მექანიზაცია<br>• ინფორმატიზაცია | • ბიზნესი - ბიზნესი - მომხმარებელი (B2B2C)<br>• ონლაინ - ოფლაინ (O2O)<br>• მომხმარებელი- მომხმარებელი (C2C) |
| გამოწვევები | • ეკოლოგიური პრობლემები<br>  • ნიადაგის დეგრადაცია<br>  • ბიომრავალფეროვნების დაკარგვა<br>  • სინთეტიკური მასალის გადაჭარბებული გამოყენება<br>  • გარემოს დაბინძურება<br>  • კლიმატის ცვლილება<br>• საზოგადოებრივი ჯანმრთელობა<br>• ცხოველთა კეთილდღეობა | • გაციფრების ნაკლებობა<br>  • პრე-ციფრული მანქანები და მოწყობილობები<br>  • ზუსტი მიწათმოქმედების პრაქტიკების გამოყენების სიმცირე<br>  • სოფლად საბაზისო სატელეკომუნიკაციო ინფრასტუქტურის ნაკლებობა<br>• ინტელექტუალური სისტემების ნაკლებობა<br>  • მონაცემების სუსტი ინტეგრაცია<br>  • ელემენტების მიკვლევის სუსტი შესაძლებლობა<br>  • მონაცემების მრავალი წყარო და არაერთგვაროვნება<br>  • მონაცემების უსაფრთხო გაზიარება<br>• ინდუსტრიალიზებული მცირე სასოფლო მეურნეობების საჭიროება | • სურსათის უვნებლობის საკითხი<br>  • დაბინძურებული სასურსათო პროდუქტები<br>  • დაბალ ხარისხიანი სასურსათო პროდუქტები<br>• ასიმეტრიული და ფრაგმენტული ინფორმაცია<br>  • დისბალანსი მიწოდებასა და მოხმარებას შორის<br>  • ფასების ცვალებადობა<br>  • საკვების დეფიციტი<br>  • სურსათის მიკვლევადობის ნაკლებობა<br>• არაეფექტური მიწოდების ჯაჭვი<br>  • სურსათის დანაკარგები<br>  • სურსათის ნარჩენები |

***წყარო:*** *შედგენილია ავტორების მიერ*

ცნობილია, რომ მონოკულტურა და ინტენსიური მეცხოველეობა წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანამედროვე პრაქტიკას. მონო-

კულტურულმა მიწათმოქმედებამ მრავალწლიანი პრაქტიკის მანძილზე წარმოაჩინა თავისი უპირატესობა მოსავლიანობისა და მოგების ზრდაში, თუმცა, ამ მეთოდმა ასევე მრავალი ეკოლოგიური პრობლემაც გამოიწვია. ერთსა და იმავე სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ყოველწლიურად ერთი და იმავე კულტურის მოყვანა, ნიადაგში ამცირებს საკვებ ნივთიერებებს, რისი აღდგენაც გარემოდან ვეღარ ხერხდება მონოკულტურულ მიწათმოქმედებაში ბიომრავალფეროვნების ნაკლებობის გამო. საკვები ნივთიერების გამოლევა და ნიადაგის ეროზია აძლიერებს მცენარეთა დაავადებებსა და მავნებლებს. მცენარეების დასაცავად, ფერმერები იძულებულნი არიან გამოიყენონ ქიმიური სასუქები, ჰერბიციდები და ინსექტიციდები, რომლებიც, თავის მხრივ, აზიანებს სასოფლო-სამეურნეო მიწებს, აბინძურებს წყალს და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას (Baryshnikova N., Altukhov P., Naidenova N. and Shkryabina A. 2022).

ინტენსიური მეცხოველეობის მოდელს შეუძლია საქალაქო დასახლებებში მცხოვრები მზარდი მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილება ფერმერების მცირე რაოდენობით, ამასთანავე აღნიშნული მოდელი არამხოლოდ ზრდის მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას, არამედ ხელს უწყობს პროდუქტის ფასების შემცირებას, თუმცა, ამასთანავე ინტენსიური მეცხოველეობა ნეგატიურ გავლენას ახდენს გარემოზე, კლიმატის ცვლილებასა და ადამიანთა ჯანმრთელობაზე. ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები გადატვირთულია ერთ სივრცეში კონცენტრირებულ ცხოველთა დიდი რაოდენობის მიერ გამომუშავებული ათასობით ტონა ნაკელით. იმის მაგივრად, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს მიეწოდებოდეს საკვები ნივთიერებები, ზედმეტი ნარჩენებით ბინძურდება ნიადაგი და მდინარეები. მეტიც, ინდუსტრიული მეცხოველეობა, სათბურის გაზების გაფრქვევის გამო, კლიმატის ცვლილებების გამომწვევ ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს. დაავადებების გამომწვევი ორგანიზმები, როგორიცაა ბაქტერიები და ვირუსები, მარტივად წარმოიშობა და ვრცელდება მეცხოველეობის ფერმებში. ამასთანავე, ინტენსიურ მეცხოველეობაში, ხშირ შემთხვევაში, საქონელთან არასათანადო მოპყრობა ეთიკის საკითხებს ბადებს (Hrustek L., 2020).

## ინდუსტრიული სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესი

მრავალ ქვეყანაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის რევოლუცია ან დასრულდა ან განიცდის სწრაფ გარდატეხას. სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მოწყობილობები ამჟამად ფართოდ გამოიყენება წარმოების სრულ ციკლში, მათ შორის მიწის მომზადების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების დარგვის, სასუქის შეტანის, მოსავლის აღების, ცხოველების საკვებისა და სასურსათო პროდუქტების გადამუშავების დროს. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია მნიშვნელოვნად ამცირებს ფიზიკურ შრომას და ზრდის პროდუქტიულობას, რის გამოც შედარებით მცირე რაოდენობის ფერ-

მერებს შესაძლებლობა ეძლევათ აწარმოონ დიდი რაოდენობის სასურსათო პროდუქტები და დააკმაყოფილონ სურსათზე ზრდადი გლობალური მოთხოვნა. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინოვაციები და მათი ინტეგრაცია სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესში ხელს უწყობს ციფრული სოფლის მეურნეობის ტრანსფორმაციას.

მოწინავე ინდუსტრიული წარმოების პროცესებთან შედარებით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესებში ავტომატიზაციის შესაძლებლობები შეზღუდულია შემდეგი ორი ბარიერის გამო: გაციფრების ნაკლებობა და სოფლის მეურნეობაში ინტელექტუალური სისტემების ნაკლებობა.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების უმეტესობა, რაც დღესდღეობით გამოიყენება, ჯერ კიდევ არ არის გაციფრებული. ანალოგური მოწყობილობა მუშაობს დამოუკიდებლად და ადამიანების მიერ ხელით იმართება. ავტომატიზაციის შესაძლებლობების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია წარმოების მთელ პროცესში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სრული ურთიერთკავშირი იქნეს უზრუნველყოფილი. „ჭკვიანი" მიწათმოქმედება ჯერ კიდევ მოსამზადებელ ეტაპზე იმყოფება. აუცილებელია სოფლად შესაბამისი სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის და ქსელის არსებობა (FAO Regional Conference, 2020).

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ განვითარებული მექანიზებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სისტემების უმეტესი წილი განკუთვნილია მსხვილი ფერმებისათვის, რადგან ფართომასშტაბიანი მონოკულტურული მეურნეობა მათ მთავარ წარმოების მოდელს წარმოადგენს. თუმცა, სხვადასხვა სახის მცირე ფერმერული მეურნეობები ფართოდ არის გავრცელებული მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით-განვითარებად ქვეყნებში. გარდა ამისა, თანდათანობით ხდება მცირე ფერმერული მეურნეობების სარგებლის აღიარება. დანაწილებული მცირე ზომის ფერმები შესაძლოა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოდელად იქცეს მდგრადი სოფლის მეურნეობის უზრუნველსაყოფად ინდუსტრია 4.0-ის ხანაში.

ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა, მათ შორის ნივთების ინტერნეტი (IoT), მობილური ტექნოლოგიები და მოწყობილობები, მონაცემთა ანალიზის სისტემები, ხელოვნური ინტელექტი (AI), ციფრულად მიწოდებული მომსახურებები და აპლიკაციები – აგროსასურსათო სექტორის ტრანსფორმაციის პოლიტიკის ინსტრუმენტებია და აგროსასურსათო სექტორის ღირებულებათა ჯაჭვის სხვადასხვა საფეხურზე გამოიყენება (Ye Liu, Xiaoyuan Ma, Lei Shu, Gerhard Petrus Hancke, Adnan M, Abu-Mahfouz, 2020):

- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ფუნქციონირების გაციფრება უზრუნველყოფს ხარჯების ოპტიმიზაციას და, როგორც ადამიანური – ასევე მატერიალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას;
- დისტანციური სატელიტური მონაცემები და ადგილზე განთავსებული სენსორები აუმჯობესებს სიზუსტეს და ამცირებს კულტურის ზრდის და მიწის ან წყლის ხარისხის მონიტორინგის ხარჯებს;

- ადრეული გაფრთხილების და პროგნოზირების სისტემები ხელს უწყობს რისკის შემცირებას, პრევენციასა და მზადყოფნას;
- მიკვლევადობის ტექნოლოგია და ციფრული ლოგისტიკური მომსახურებები საშუალებას იძლევა მოხდეს აგროსასურსათო მიწოდების ქსელის ოპტიმიზაცია და ამავდროულად, უზრუნველყოფს მომხმარებლებისათვის სანდო ინფორმაციის მიწოდებას.

აგროსასურსათო სექტორის გაციფრებით იქმნება მაღალპროდუქტიული, პროგნოზირებადი და ცვლილებებისადმი ადაპტირებადი სისტემა, რაც თავის მხრივ, სასურსათო უზრუნველყოფის ზრდას იწვევს. **მეხუთე ინდუსტრიული რევოლუცია** განიხილება ინდუსტრიალიზაციის განვითარების მომავალ ეტაპად, რომლის ხანაშიც უკვე შევაბიჯეთ და ზოგიერთ მაღალტექნოლოგიურ სამრეწველო კომპანიას დაწყებული აქვს ინდუსტრია 5.0-ის კონცეფციების დანერგვა (Ragazou K., Garefalakis A., Zafeiriou E., Passas I., 2022). ახალი და განვითარებადი ინდუსტრიალიზაციის ეტაპზე, სამუშაო პროცესების გასაუმჯობესებლად, ადამიანები მოწინავე ტექნოლოგიებთან და ხელოვნური ინტელექტის მქონე რობოტებთან მხარდამხარ იმუშავებენ. აღნიშნულ პროცესში უფრო მეტად ხდება ფოკუსირება ადამიანზე, უმჯობესდება სისტემის მოქნილობა და მდგრადობა. ამასთანავე, სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებიც ვითარდება ახალი პარადიგმისკენ – „სოფლის მეურნეობა 5.0“, რომელმაც უკეთ უნდა მოახდინოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების შერწყმა სოციალურ თანასწორობასა და მდგრადობასთან. თუმცა, ამჟამად „სოფლის მეურნეობა 5.0“-ის ბევრი საკითხი სადავოა და მათზე პასუხები – მხოლოდ საპროგნოზო (Rohan R. Naikwade, Vishwesh S. Joshi, Saurabh B. Hirwe, Patle B.K., Pagar N.D., 2021).

## ინდუსტრიული აგროსასურსათო პროდუქციის მიწოდების ჯაჭვი

ინდუსტრიული აგროსასურსათო მიწოდების ჯაჭვი – „ფერმიდან ჩანგლამდე“, ჩვეულებრივ ხუთ ეტაპს მოიცავს: (i) სურსათის წარმოებას, (ii) სამრეწველო გადამუშავებას, (iii) დისტრიბუციას, (iv) საცალო ვაჭრობას და (v) მოხმარებას. აღნიშნულ მოდელს **B2B2C** (Business-to-Business-to-Consumer) ეწოდება. ბოლო წლებში ინტერნეტისა და სოფლის მეურნეობის ინტეგრაციამ ხელი შეუწყო სასურსათო პროდუქტების მიწოდების ახალ მოდელებს, როგორიცაა ონლაინ-ოფლაინ (Online-to-Offline, O2O), სოციალური კომერცია და მომხმარებელი-მომხმარებელი (Consumer-to-Consumer, C2C). ეს მოდელები საყიდლების კეთებას მნიშვნელოვნად მოხერხებულს ხდის, რადგან პოტენციურ მომხმარებლებს შეუძლიათ მოძებნონ და შეუკვეთონ სასურველი სასურსათო პროდუქტები ონლაინ რეჟიმში. შემდეგ, პროდუქტების მიღება შესაძლებელია მაღაზიიდან გატანით ან სახლში მიტანის სერვისის გამოყენებით. ინდუსტრიული აგრო-სასურსათო მიწოდების ჯაჭვში არსებული სისუსტეებია: (i) სურსათის უვნებლობის საკითხი, (ii) ასიმეტრიული და ფრაგმენტული ინფორმაცია და (iii) არაეფექტური მიწოდების ჯაჭვი.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში სურსათის შემთხვევითი და მიზანმიმართული დაბინძურება ხშირად ხდებოდა. ეს ინციდენტები ჩვეულებრივ გამოწვეულია აკრძალული ქიმიკატების, სახიფათო ნედლეულის, დაუმტკიცებელი საკვები დანამატების გამოყენებით, აგრეთვე – არასაკმარისი, არასწორი შენახვისა და ტრანსპორტირების არასათანადო პირობების შედეგად. გარდა ამისა, ასიმეტრიული ინფორმაცია სასურსათო პროდუქტების წარმოების სექტორსა და საბოლოო მომხმარებელს შორის იწვევს მიწოდებისა და მოთხოვნის დისბალანსს, ფასების ცვალებადობასა და სურსათის დეფიციტს.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემებით, სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების გამო ყოველწლიურად მსოფლიოში წარმოებული სურსათის 30%-ზე მეტი არ მოიხმარება. სურსათის დანაკარგები აგრო-სასურსათო პროდუქტების მიწოდების ჯაჭვის ყველა ეტაპზე ხდება, განსაკუთრებით მოსავლის აღებისას, დახარისხებისა და გადამუშავებისას. ამას განაპირობებს: აგრო-სასურსათო პროდუქტების მიწოდების არსებულ ჯაჭვებში ტექნოლოგიებისა და სათანადო მენეჯმენტის არარსებობა; მიწოდებისა და მოთხოვნის შეუსაბამობა; სასურსათო პროდუქტების დაბალი ხარისხი და გადამამუშავებელი ტექნიკის ნაკლებობა. ინდუსტრია 4.0-ის ტექნოლოგიების გამოყენება სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და აგროსასურსათო პროდუქტების მიწოდების ჯაჭვის მართვაში იძლევა ყველა ზემოთ აღწერილი შეზღუდვის საბოლოოდ აღმოფხვრის საშუალებას.

## აგროსასურსათო სექტორის გაციფრების პერსპექტივები საქართველოსთვის

აგროსასურსათო სექტორის გაციფრების ხელშეწყობა და აღნიშნული პროცესის დაჩქარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, სადაც აგროსასურსათო სექტორში ინფორმაციის, ცოდნისა და ტექნოლოგიების ნაკლებობა მწვავე პრობლემას წარმოადგენს. ქვეყანაში კვლავაც აქტიურად გამოიყენება მოძველებულ ცოდნაზე დაფუძნებული საქმიანობა, რაც სოფლის მეურნეობაში არსებულ პრობლემებს (მიწის ფრაგმენტაცია, დეგრადირებული სასოფლო ინფრასტრუქტურა, ძვირი ფინანსური რესურსები და სხვა) ამძაფრებს, მძიმე ტვირთად აწვება სოფლის მოსახლეობას და იწვევს სექტორში შრომის დაბალ მწარმოებლურობას, რაც უარყოფითად აისახება სურსათით თვითუზრუნველყოფის დონეზე.

ქვეყნაში არსებული სასურსათო მდგომარეობა დღის წესრიგში აყენებს სიღარიბისა და შიმშილის დაძლევის აუცილებლობას, გაუმჯობესებული კვების მიღწევას და მაღალტექნოლოგიური (ინდუსტრიული) სასურსათო უშიშროების უზრუნველმყოფელი სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებას (კოღუაშვილი პ., არჩვაძე ი., 2020). აღნიშნული მიზნის მისაღწევად აუცილებელია აგროსასურსათო სექტორის გარდაქმნა, ახალი მიდგომე-

ბის გამოყენება, რაც აერთიანებს ინოვაციურ პოლიტიკას, ტექნოლოგიებს, ორგანიზაციულ პროცესებს, პრაქტიკა და ციფრული სახის გადაწყვეტილებებს (ხარაიშვილი ე., კოღუაშვილი პ. შენგელია ნ., 2024).

სოფლის მეურნეობის გაციფრება ფოკუსირებულია „ჭკვიანი" მიწათმოქმედების პრაქტიკის, ავტომატიზაციისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაუმჯობესებასა და, ამ გზით, დარგის ეფექტიანობის ამაღლებაზე. სოფლის მეურნეობა ქართველი ფერმერებისგან უფრო ინტენსიურ ცოდნას მოითხოვს, რადგანაც მათ უწევთ დიდი რაოდენობით კომპლექსური გადაწყვეტილებების მიღება. ციფრული ტექნოლოგიები ზრდის ფერმერების წვდომას საწარმოო დანიშნულების საქონლის ბაზრებზე და მათ წარმოებული პროდუქციის სწრაფი რეალიზაციის შესაძლებლობას აძლევს. ამასთანავე, ამცირებს ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებულ ოპერაციულ ხარჯებს. აღნიშნული გარემოება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე ფერმერული მეურნეობებისათვის. სოფლის მეურნეობაში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა ფერმერებს მისცემს ისეთ კონკურენტულ უპირატესობებს, როგორიცაა: აგრარული პროდუქტის ბაზარზე შესვლის სიმარტივე, საჭირო საბაზრო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; საუკეთესო პარტნიორების შერჩევა; პროდუქტების წარმოებასა და სატრანსპორტო მომსახურებაზე დანახარჯების შემცირება. ამგვარად, გაციფრება საშუალებას აძლევს ფერმერებს დაინახონ ბაზრის განვითარების ტენდენციები, რათა საშუალოვადიან პერიოდში სწორად განსაზღვრონ წარმოებული პროდუქციის ფასი (FAO, 2020).

მდგრადი და ინკლუზიური განვითარების მიზნიდან გამომდინარე, აგროსასურსათო სექტორის გაციფრებას აქვს ეკონომიკური სარგებელი – პროდუქტიულობის ამაღლების, ხარჯების ეკონომიისა და ბაზრებზე წვდომის შესაძლებლობით არამხოლოდ ფერმერთა ეკონომიკური მდგომარეობა უმჯობესდება, არამედ იზრდება ნაციონალური კეთილდღეობაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაციფრების შედეგად მიღწეული სოციალურ-კულტურული და გარემოსდაცვითი სარგებელი – რესურსების ოპტიმალური გამოყენება და კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაცია (FAO Regional Conference, 2020).

## დასკვნა

სოფლის მეურნეობის სექტორში კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად აუცილებელია, ის იყოს ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური. აგროსასურსათო სექტორის გაციფრებით იქმნება მაღალპროდუქტიული, პროგნოზირებადი და ცვლილებებისადმი ადაპტირებადი სისტემა, რაც, თავის მხრივ, სასურსათო უზრუნველყოფის ზრდას იწვევს. ინდუსტრიული სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვნად ზრდის მწარმოებლურობას, თუმცა, ამასთანავე, მონოკულტურა და ინტენსიური მეცხოველეობა, რომელიც თანამედროვე ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის წარმოების ძირითად მოდელს წარმოადგენს,

გარემოს, საზოგადოებრივ ჯანრმთელობას და მოსახლეობის კეთილდღეობას დიდ ზიანსაც აყენებს. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება მექანიზებული და ინფორმატიზებულია, გაციფრებისა და ინტელექტუალური სისტემების ნაკლებობა წარმოადგენს მთავარ დაბრკოლებას, რომელიც აფერხებს ავტომატიზაციის გაუმჯობესების შესაძლებლობას. აგროსასურსათო მიწოდების ჯაჭვი მიმდინარე ეტაპზე არ იმართება გონივრულად. აღნიშნული საკითხების გადასაჭრელად აუცილებელია განვითარებადი ინდუსტრია 4.0-ის ინოვაციური ტექნოლოგიების სოფლის მეურნეობაში ინტეგრირება.

**ლიტერატურა:**


- Ye Liu, Xiaoyuan Ma, Lei Shu, Gerhard Petrus Hancke, Adnan M, Abu-Mahfouz (2020). "From Industry 4.0 to Agriculture 4.0: Current Status, Enabling Technologies, and Research Challenges ", DOI:10.1109/TII.2020.3003910.
- Romania I. de Alcantara, João Guilherme Araújo Schmidt, Eduardo C. de Freitas Vian, Belardo G. (2021). "Agriculture 4.0: Origin and features in the world and Brazil", DOI: 10.22167/2675-441X-20210564.
- Ragazou K., Garefalakis A., Zafeiriou E., Passas I. (2022). "Agriculture 5.0: A New Strategic Management Mode for a Cut Cost and an Energy Efficient Agriculture Sector" DOI:10.3390/en15093113.
- Baryshnikova N., Altukhov P., Naidenova N. and Shkryabina A. (2022). "Ensuring Global Food Security: Transforming Approaches in the Context of Agriculture", DOI:10.1088/1755-1315/988/3/032024.
- Zambon I., Cecchini M., Egidi G., Grazia M. Saporito, Colantoni A. (2019) . "Revolution 4.0: Industry vs. Agriculture in a Future Development for SMEs", DOI.org/-10.3390/pr7010036.
- Peter P. Groumpos (2021). "A Critical Historical and Scientific Overview of all Industrial Revolutions", DOI:10.1016/j.ifacol. 2021.10.492.
- Rohan R. Naikwade, Vishwesh S. Joshi, Saurabh B. Hirwe, B.K.Patle, N.D. Pagar (2021). "Agriculture 5.0: Future of Smart Farming", MITADT School of Engineering,
- FAO Regional Conference (2020). "Digital Innovation for promoting Agriculture 4.0 in the Near East and North Africa", https://www.fao.org/3/nd262en/nd262en.pdf,
- FAO (2020). "Realizing the Potential of Digitalization to Improve the Agri-food System Proposing a New International Digital Council for Food and Agriculture", http://www.fao.org/3/ca7485en/ca7485en.pdf.
- Hrustek L. (2020). "Sustainability Driven by Agriculture through Digital Transformation", DOI.org/10.3390/su12208596.
- კოღუაშვილი პ., არჩვაძე ი. (2020). „საქართველოს სოფლის მეურნეობა აქტუალური გამოწვევების წინაშე“, *ეკონომიკა და ბიზნესი, N3.*
- ხარაიშვილი ე., კოღუაშვილი პ. შენგელია ნ. (2024). „ტრადიციულიდან „ჭკვიან“ სოფლის მეურნეობამდე: ციფრიზაციის უპირატესობები, გამოწვევები და პერსპექტივები“. *ინოვაციური ეკონომიკა და მართვა,* ტომი 11, N 1.

References:


- Ye Liu, Xiaoyuan Ma, Lei Shu, Gerhard Petrus Hancke, Adnan M, Abu-Mahfouz (2020). "From Industry 4.0 to Agriculture 4.0: Current Status, Enabling Technologies, and Research Challenges", DOI:10.1109/TII.2020.3003910.
- Isabela Romania de Alcantara, João Guilherme Araújo Schmidt, Carlos Eduardo de Freitas Vian, Guilherme Belardo (2021). "Agriculture 4.0: Origin and features in the world and Brazil", DOI: 10.22167/2675-441X-20210564.
- Ragazou K., Garefalakis A., Zafeiriou E., Passas I. (2022). "Agriculture 5.0: A New Strategic Management Mode for a Cut Cost and an Energy Efficient Agriculture Sector" DOI:10.3390/en15093113.
- Baryshnikova N., Altukhov P., Naidenova N. and Shkryabina A. (2022). "Ensuring Global Food Security: Transforming Approaches in the Context of Agriculture", DOI:10.1088/1755-1315/988/3/032024.
- Zambon I., Cecchini M., Egidi G., Grazia M. Saporito, Colantoni A. (2019). "Revolution 4.0: Industry vs. Agriculture in a Future Development for SMEs", DOI.org/10.339-0/pr7010036.
- Peter P. Groumpos (2021). "A Critical Historical and Scientific Overview of all Industrial Revolutions", DOI:10.1016/j.ifacol. 2021.10.492.
- Rohan R. Naikwade, Vishwesh S. Joshi, Saurabh B. Hirwe, B.K.Patle, N.D. Pagar (2021). "Agriculture 5.0: Future of Smart Farming", MITADT School of Engineering,
- FAO Regional Conference (2020). "Digital Innovation for promoting Agriculture 4.0 in the Near East and North Africa", https://www.fao.org/3/nd262en/nd262en.pdf.
- FAO (2020). "Realizing the Potential of Digitalization to Improve the Agri-food System Proposing a New International Digital Council for Food and Agriculture", http://-www.fao.org/3/ca7485en/ca7485en.pdf.
- Hrustek L. (2020). "Sustainability Driven by Agriculture through Digital Transformation", DOI.org/10.3390/su12208596.
- Koguashvili P. Archvadze I. (2020). – sakartvelos soplis meurneoba mimdinare gamotsvevebis tsinashe“ ["Georgia’s Agriculture Faces Actual Challenges" *Economics and Business, N3.]* in Georgian
- Kharaishvili E., Koghuashvili P. Shengelia N. (2024). "traditsiulidan chkvian soplis meurneobamde: ciprizaciis upiratesobebi, gamotsvevebi da perspektivebi" ["From Traditional to Smart Agriculture: Advantages, Challenges and Prospects of Digitization". *Innovation Economics and Management*, Vol. 11, No. 1.] in Georgian

# From Traditional Agriculture to Industrial (Digital) Agriculture

**Paata Koghuashvili**
*Professsor*
*Georgian Technical University*
*paata_koguashvili@hotmail.com*

**Eter Kharaishvili**
*Professsor*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*eter.kharaishvili@tsu.ge*

**Nino Shengelia**
*PhD student*
*Georgian Technical University*
*ninooshengelia@gmail.com*

*The Industrial Revolution led to great changes in the world. New technologies were being developed and introduced at a rapid pace, forever changing the way people lived and worked. One of the areas that underwent significant changes due to the Industrial Revolution is agriculture, which is one of the oldest and most traditional form of use of nature and land by humans. Making changes to the agriculture became possible only under the influence of industrial revolutions. Still, even in the early stages, they were not able to radically and visibly transform this important branch of the economy.*

*One of the most visible effects of industrialization on agriculture is the introduction of new technologies. The interdependence between traditional agriculture and modern industrial sectors of the economy is crucial for the overall economic development of the country. The growth of the agricultural sector depends on the growth of industrial demand for agricultural products. Similarly, the growth of the industrial sector depends on an increase in the purchasing power of the agricultural sector for industrial products and an increase in the supply of raw materials for processing. Many developing countries have realized the importance and role of the agricultural sector's industrialization in the country's economic development which ensures food security, optimizes foreign trade balance and raises the welfare of population.*

*The industrial revolutions transformed the agricultural sector from traditional agriculture to mechanized agricultural production and modern precision farming. The fourth industrial revolution stimulated the development of new technologies and methods that changed the global production system. Industry 4.0 has transformed agricultural operations using cyber-physical systems, the Internet of Things, artificial intelligence and machine learning, big data analytics, and the integration of cloud technology into agricultural machinery. Agriculture 4.0 is a digital model of agricultural production, which is based on a highly efficient production process and is the result of long-term technological development. The paper aims to analyze and describe the innovations of Agriculture 4.0, its origin, and characteristics. The paper discusses the current state of the industrial agriculture (industrial agricultural production model, production process, supply chain) sector's strengths and*

*weaknesses. The paper presents the opportunities and challenges of digital agriculture, emphasizing its importance in solving several pressing issues in industrial agriculture.*

*Innovation and technology are essential to maintaining competitiveness in the agricultural sector. Digitization of the agro-food sector creates a highly productive, predictable, and adaptable system to changes. Which, in turn, leads to an increase in food security. Industrial agriculture significantly increases productivity, but at the same time, monoculture and intensive animal husbandry, which is the main production model of modern industrial agriculture, cause great damage to the environment, public health, and animal welfare. In addition, although agricultural production is mechanized and computerized, the lack of digitization and intelligent systems is a major obstacle that hinders the possibility of improving automation. The agri-food supply chain is not managed wisely at the current stage. To solve the mentioned issues, it is necessary to integrate the innovative technologies of the emerging industry 4.0 in agriculture.*

*At the same time, agricultural technologies are also evolving towards a new paradigm – "Agriculture 5.0 ", which should better combine science and technology with social equity and sustainability.*

*The development of bio-economy in the concept of Society 5.0 implies that the most promising areas of agricultural development are the optimal use of resources, mass personalization and individualization of the final product, the development of creative product differentiation, and the introduction of autonomous automatic decision-making systems based on robotic complexes. The absence of communication barriers in human-machine interaction, including the use of bioinformatics technologies, will allow us to focus on increasing heuristics for innovative solutions in agriculture.*

***Keywords:*** *Industry 4.0, agriculture 4.0, digitalization, industrial agriculture, precision farming.*

***JEL Codes:*** *O13, O14, Q10, Q13*

ეკონომიკა და ბიზნესი, 2024, №1, 72-91
Economics and Business, 2024, №1, 72-91

# ეკონომიკური ცნობიერება და ადრეული განათლება

doi.org/10.52340/eab.2024.16.01.04

**ლელა თავდგირიძე**
*პროფესორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*Lela.tavdgiridze@bsu.edu.ge*

**გიორგი ქათამაძე**
*ასისტენტ-პროფესორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*Giorgi.katamadze@bsu.edu.ge*

**მაია ბოლქვაძე**
*ფილოლოგიის დოქტორი,*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*Maia.bolkvadze@bsu.edu.ge*

*ნაშრომში წარმოდგენილია ადრეულ განათლებაში, კერძოდ სკოლამდელი ასაკის ბავშვებში ეკონომიკური განათლებისა და ეკონომიკური ცნობიერების ჩამოყალიბების (გაძლიერების) მნიშვნელობა; გაანალიზებულია ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევები,[1] შესწავლილია ბავშვთა ასაკობრივი კლასიფიკაციის თეორიული და სამართლებრივი მიდგომები ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობაში, განსაზღვრულია სკოლამდელი ასაკის ბავშვებში ეკონომიკური ცნობიერების ჩამოყალიბების (განვითარების) ოპტიმალური ასაკი, წარმოდგენილია ეკონომიკური ცნობიერების ჩამოყალიბების გზები (მეთოდოლოგია) და შემოთავაზებულია ამ ასაკის ბავშვების შესაბამისი სასწავლო მასალების კატეგორია.*

*კვლევა ეყრდნობა კომპლექსურ, ინტერდისციპლინარულ მეთოდოლოგიას, კერძოდ - დოკუმენტური ანალიზის, შედარების, კლასიფიკაცია/სისტემატიზაციის, კონტენტ-ანალიზსა და მონაცემების სინთეზს. კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია სხვადასხვა თეორიული ნაშრომი, რომლებიც ეხება როგორც ეკონომიკურ ცნობიერებას, ასევე ზოგადად ეკონომიკური კონცეპტების შესწავლის პროცესს. შედარებულია მეცნიერთა მიერ ადრეული განათლების პერიოდის ბავშვის განვითარების ეტაპების კლასიფიკაცია და განსაზღვრულია კვლევის სამიზნე ასაკობრივი ჯგუფი. კვლევის პროცესში მოხდა თეორიების დაჯგუფება/კლასიფიკაცია მათი საკვანძო საკითხების მიხედვით და ცალკეული კონცეპტები განხილულია კონტენტ-ანალიზის მეთოდოლოგიით. საბოლოოდ მიღებულია შედეგები, რომელიც ნაშრომის საკვანძო მიმართულებებს-ეკონომიკურ ცნობიერებას, ეკონომიკურ განათლებას და ადრეულ განათლებას ერთიან სინთეზში წარმოაჩენს. კვლევის ჰიპოთეზა კი ადრეულ ასაკში ეკონომიკურ განათლებასა და ეკონომიკური ცნობიერების გაძლიერებას განიხილავს, როგორც წარმატებული მოქალაქის აღზრდა/ჩამოყალიბების ფუნდამენტურ მიმართულებას.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ეკონომიკური ცნობიერება, განათლება, ადრეული განათლება, სწავლება, სკოლამდელი ასაკის ბავშვები.*

[1] კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (SRNSFG), გრანტის N# FR-22-9547. This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG), grant # FR-22-9547)”.

## შესავალი

განათლება და ეკონომიკა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სფეროებია, რაც ურთიერთგავლენისა და ურთიერთდამოკიდებულების მასშტაბების კვლევისათვის ყოველთვის საინტერესო და აქტუალურ ველს ქმნის. ხარისხიანი განათლება უზრუნველყოფს ინოვაციებს და ტექნოლოგიურ პროგრესს, რაც უპირობოდ ეკონომიკური განვითარების საფუძველია. საგანმანათლებლო დაწესებულებები სწავლების სხვადასხვა საფეხურზე მნიშვნელოვან, ფუნდამენტურ როლს ასრულებენ არამხოლოდ ცოდნის გადაცემის მიმართულებით, არამედ ინოვაციური ცოდნის გენერირებაში, რომელიც საბოლოოდ პირდაპირპროპორციულად აისახება ქვეყნის განვითარებაზე. განათლება, თავისი მიზნებითა და შინაარსით, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ უთანასწორობაზე და შეუძლია გაზარდოს ან შეამციროს ის. თანამედროვე მსოფლიოში კი განათლებაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის არასტაბილურობის საფრთხეს შეიცავს. ეკონომიკური პოლიტიკა პირდაპირპროპორციულად ახდენს გავლენას განათლების პოლიტიკაზე, შესაბამისად, განათლება და ეკონომიკა მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან, რაც საბოლოო ანგარიშით, აისახება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

განათლება არის კომპლექსური, სისტემური, ცვლადებსა და კომპონენტებზე დამყარებული ერთობა, რომელიც მოიცავს ცოდნის, უნარების, ღირებულებების და დამოკიდებულების მიღება-შეძენის პროცესს ფორმალური ან არაფორმალური მეთოდებით. განათლების სისტემის უმთავრესი მისიაა ხელი შეუწყოს ადამიანის ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური და ფიზიკური შესაძლებლობების ჩამოყალიბება-განვითარებას და უზრუნველყოს მისი სათანადო მომზადება ყოველდღიურ ცხოვრებაში წარმატებულად ინტეგრირებისათვის. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში ტექნოლოგიური პროგრესის პარალელურად, უფრო და უფრო იზრდება განათლების მნიშვნელობა, ფუნდამენტური ცოდნისა და ძლიერი უნარების ფლობა, რომელზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის განვითარება, სოციალურ-პოლიტიკური მდგრადობა, ეკონომიკური ზრდა და ინკლუზიური ეკონომიკის განვითარება.

ეკონომიკა, პოლიტიკისა და სოციუმის განუყოფელი ნაწილია, რომელიც გარდა მეცნიერული მასშტაბურობისა, ადამიანისათვის ცხოვრების საბაზისო თეორიულ-პრაქტიკული უნარების გამომუშავების კომპლექსური ცოდნის სინთეზია.

ეკონომიკური განათლება, ეკონომიკური ცნობიერება, ხშირად სხვადასხვა ტერმინითაა გამოხატული, მაგალითად, როგორც ეკონომიკური წიგნიერება ან ფინანსური წიგნიერება, ფინანსური განათლება. საბოლოო ანგარიშით ის ასახავს და ეხება ადამიანების უნარს - იცოდნენ და გააცნობიერონ

ძირითადი ეკონომიკური კონცეფციები, რომელიც მათ დაეხმარება იყვნენ მოქნილები და მომზადებული შეხვდნენ ცხოვრებისეულ გამოწვევებს.

ეკონომიკურ პროცესებში ადამიანები ადრეული ასაკიდანვე ერთვებიან – ნებისმიერი არჩევანი, რომელსაც ყოველდღიურად ვაკეთებთ, შესაძლებელია ეკონომიკურ გადაწყვეტილებაში გადაითარგმნოს - იქნება ეს საწვავის დაზოგვის მიზნით საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობასა თუ პირადი ავტომობილით გადაადგილებას შორის არჩევანი, მეგობრებთან ერთად კინოთეატრში წასვლა თუ შინ ფილმის ჩვენების მოწყობა და ა.შ. (Entrepreneur საქართველო, 2023).

როგორც ნ. ქიაბრიშვილი აღნიშნავს, დღეს უკვე აღარავის სჭირდება იმის მტკიცება, რომ ეკონომიკური ცოდნა აუცილებელია – გვინდა თუ არა, ეკონომიკა ჩვენს ცხოვრებაში იჭრება. ბავშვები ჩვენგან დამოუკიდებლად, თავისთავად (სტიქიურად) სწავლობენ ეკონომიკას. ზრდასრულებმა ეს სტიქიური ცოდნა უნდა მოვუწესრიგოთ, სისტემაში მოვუყვანოთ და გავუფართოოთ. დაფანტული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ინფორმაციის ნაცვლად ბავშვებმა უნდა შეძლონ გარემომცველი ეკონომიკური სამყაროსა და ამ სამყაროში მცხოვრებ ადამიანთა ეკონომიკური ურთიერთკავშირის მთლიანი სურათის წარმოდგენა. ეკონომიკის სწავლება მოემსახურება განათლების ეროვნულ მიზანს – „ადამიანი იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე (ქიაბრიშვილი, 2015).

## კვლევის მიზანი

ნაშრომის მიზანია საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევების შედეგებზე დაყრდნობით, განიხილოს ადრეულ, კერძოდ, სკოლამდელი ასაკის ბავშვებში, ეკონომიკური ცნობიერებისა და ეკონომიკური განათლების შესაძლებლობები, შეისწავლოს ადრეული ასაკის ბავშვთა ასაკობრივი კლასიფიკაციის თეორიული მიდგომები ეროვნულ და საერთაშორისო გამოცდილების დონეზე, დაადგინოს სკოლამდელი ასაკის ბავშვებში ეკონომიკური ცნობიერების ჩამოყალიბება/განვითარების შესაძლებლობის ოპტიმალური ასაკი, დასახოს გზები და განსაზღვროს ამ ასაკის შესაბამისი სასწავლო მასალების კატეგორია.

## ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, კვლევის ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის საჭიროების შესაბამისად, ჩვენ მიერ დამუშავებულია ეკონომიკასა და ეკონომიკურ ცნობიერებასთან, ადრეულ განათლებასთან, პედაგოგიკასთან და ფსიქოლოგიასთან დაკავშირებული ნაშრომები. საყურადღებოა ქართველ ავტორთა - დ. უზნაძის, ქ. ჭკუასელის, ივ. ჭკუასელის, ნ. ქიაბრიშვილის, დ. მალაზონიას, ლ. თავდგირიძის, ნ. შეროზიას, ალ. გობრონიძის,

ნ. ანდღულაძის, ა. ჯანელიძის, ნ. ჯიჯავაძის, რ. ირემაშვილის, ი. ბასილაძის და სხვათა შრომები. ასევე, საბაზისო ეკონომიკურ ტერმინებს, ეკონომიკურ პოლიტიკასა და ზოგადად სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს ფუნდამენტურად განიხილავენ მეცნიერები ვ. პაპავა, ე. მექვაბიშვილი, ა. სილაგაძე, ბ. გეჩბაია, ვ. ჭარაია და სხვები.

უცხოური ნაშრომებიდან აღსანიშნავია ჟ. პიაჟეს, ლ. სენეშის, ჰ. ჰანსენის, ლ. ვიგოტსკის, ლორა ბერკის Berk, L. E. (1992), ვ. ბეკერის (Becker W.E., 2001), ბ.ტ. მესზაროსა და ს. ევანსის (Meszaros B. T. and Evans S., 2010), ქ. ნათბრაუნისა და პ. ქლოფის (Nutbrown C. & Clough, P., 2014), ე.ჯ.რიგსის, ა. გილ-გარსიას (Riggs, E. G., & Gil-Garcia, A. 2001), ე. ს. სარვის (Sarv, E. S. 2003), მ. კოურილსკის (Kourilsky, M. (1977), პ. სამუელსონის, ჯ. სტიგლიცის, კ. ჰოფის (Samuelson P.A., Hoff, K., & Stiglitz, J. E., 2000), ა.ლ. შტრაუსის (Strauss, A. L., 1952), ა.ე. ბერტის, ა.ს. ბომბის, გ.ტ. დუვინის (Berti, A. E., Bombi, A. S., & Duveen, G. T., 1988) და სხვათა შრომები.

## მეთოდოლოგია

კვლევა ეყრდნობა კომპლექსურ, ინტერდისციპლინარულ მეთოდოლოგიას, კერძოდ, დოკუმენტური ანალიზის, შედარების, კლასიფიკაცია/სისტემატიზაციის, კონტენტ-ანალიზსა და მონაცემების სინთეზს. კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია სხვადასხვა თეორიული ნაშრომი, რაც ეხება როგორც ეკონომიკურ ცნობიერებას, ასევე ზოგადად, ეკონომიკური კონცეპტების შესწავლის პროცესს. შედარებულია სხვადასხვა მეცნიერის მიერ ადრეული განათლების პერიოდის ბავშვის განვითარების ეტაპების კლასიფიკაცია და გამოკვეთილია კვლევის სამიზნე ასაკობრივი ჯგუფი. კვლევის პროცესში მოხდა თეორიების დაჯგუფება/კლასიფიკაცია მათი საკვანძო საკითხებისა და სხვა კრიტერიუმებით და ცალკეული კონცეპტები განხილულია კონტენტ-ანალიზის მეთოდოლოგიით. საბოლოოდ მიღებულია შედეგები, რომელიც ნაშრომის საკვანძო მიმართულებებს – ეკონომიკურ ცნობიერებას, ეკონომიკურ განათლებას და ადრეულ განათლებას ერთიან სინთეზით წარმოაჩენს.

კვლევის ჰიპოთეზა კი ადრეულ ასაკში ეკონომიკურ განათლებასა და ეკონომიკური ცნობიერების გაძლიერებას განიხილავს, როგორც წარმატებული მოქალაქის აღზრდა/ჩამოყალიბების ფუნდამენტს.

## საბაზისო ეკონომიკური განათლებისა და ეკონომიკური ცნობიერების ჩამოყალიბება ადრეულ ასაკში

ადამიანი დაბადებიდან იწყებს თანდაყოლილი ცალკეული უნარის გამოვლენას, რომელთა განვითარება-ფორმირება ხდება სწავლა/სწავლების პროცესში.

ადრეულ ასაკში განათლება ქმნის საფუძველს ბავშვის შემდგომი ზრდისა და განვითარებისთვის, რომელზეც შენდება განათლების შემდგომი ეტაპები. ბავშვის ადრეულ განვითარებაში ჩადებული ინვესტიცია ადამიანკაპიტალის განვითარების და მოქალაქეთა შესაძლებლობების სრულად რეალიზების, მათი მრავალმხრივი განვითარების, მომავალი ცხოვრებისთვის მომზადების პირობაა და დადებითად აისახება არამარტო ბავშვების ჯანმრთელობაზე, კეთილდღეობასა და სწავლაზე, არამედ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზეც საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში. სწორად დაგეგმილი ადრეული განათლება ხელს უწყობს ბავშვის მრავალმხრივი უნარის განვითარებას, სკოლისთვის მის მომზადებას და წარმატებას მომავალ ცხოვრებაში. ადრეული ასაკიდან იწყება ბავშვებში კოგნიტური, ზნეობრივი, ესთეტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბება, საგნებისა და მოვლენების აღქმა.

„ადამიანის განვითარება გარემოსა და თანდაყოლილი ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგია. გარემო ფაქტორებში მოიაზრება, როგორც ბავშვის გარშემო არსებული ფიზიკური გარემო-ბაზისური უნარების დაკმაყოფილების საშუალებები (საკვები, წყალი, სითბო), სწორად შერჩეული სათამაშოები და ინვენტარი, ასევე სააღმზრდელო გარემოფაქტორები, რომლებშიც იგულისხმება ფსიქოლოგიური კლიმატი, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო მიდგომები, თამაშისა და მეცადინეობის აქტივობა, ის სამეტყველო ლექსიკა, რომელსაც ბავშვთან საუბრისას ვიყენებთ, მისდამი განწყობა, მოლოდინები, მიმართვის ფორმები, მის მიმართ გამოხატული გრძნობები" - აღნიშნავს ფსიქოლოგი თ. ისაკაძე ნაშრომში - „ბავშვთა ფსიქოლოგიის დღიურები" (ისაკაძე, 2017). სწორედ ამიტომ ადრეული განათლების სასწავლო დაწესებულებები უნდა იყოს სივრცე, სადაც ბავშვები მარტივი ტექსტებით, მათთვის გასაგები ენით ეზიარებიან ეკონომიკურ, ფინანსურ ცნებებს, ვინაიდან სწორედ ეკონომიკური ცნობიერება და საბაზისო ფინანსური ცნებების გააზრება უზრუნველყოფს ადრეული ასაკიდან ბავშვის სათანადოდ მომზადებას ცხოვრებისათვის და ზოგადად სოციუმის დამოუკიდებელი წევრობისათვის.

ამასთანავე, საბავშვო ბაღს ჩვენ განვიხილავთ როგორც აკადემიური ინსტიტუციის კატეგორიას და სწორედ ამას ეყრდნობა ჩვენი ძირითადი დებულებები, კერძოდ, ადრეულ ასაკში საბავშვო ბაღს შეუძლია ბავშვის ცნობიერების ჩამოყალიბება/განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს სხვადასხვა კონცეპტის განხილვა-სწავლებით და მათ შორის დამოუკიდებელი ცხოვრების უმთავრესი უნარების გაძლიერებით, რომელიც ეფუძნება ეკონომიკურ ცნობიერებას. ამიტომ, მნიშვნელოვანია გავეცნოთ საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვთა ასაკობრივ კლასიფიკაციას, პედაგოგების, ფსიქოლოგების მოსაზრებებს, განსაკუთრებით კი, უფროსი სკოლამდელი – 4-დან 6-წლის ჩათვლით ასაკის ბავშვთა ინდივიდუალურ თავისებურებებს და მიდგომებს.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საჭიროა განვსაზღვროთ ბავშვებში ადრეული განათლების ის ასაკი, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური ცნობიერების ჩამოყალიბება/გაძლიერება. ჩვენი სამეცნიერო გუნდის მიერ შემოთავაზებულია ბავშვთა 4 დან 6 წლის ჩათვლით ასაკობრივი ჯგუფი, რომელიც ეყრდნობა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა კვლევების მიხედვით ბავშვთა ასაკობრივ პერიოდიზაციას მათი განვითარებისა და კოგნიტური ფუნქციების შესაბამისად, ასევე, საერთაშორისო კვლევებითა და სტანდარტებით ადრეული ასაკის ბავშვთა განსაზღვრებასა და საქართველოს კანონმდებლობით ადრეული ასაკის ბავშვის დეფინიციას.

ისევე როგორც სხვა დანარჩენ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, საქართველოსაც საბაზრო ეკონომიკის დიდი ხნის ისტორია არ აქვს, თუმცა, პოსტკომუნისტური სამყაროს რამდენიმე ქვეყანამ დაასრულა ევროპული ტიპის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა (Papava, 2013). პროფესორი ე. მექვაბიშვილი აღნიშნავს: სახელმწიფო სისტემის ფუნდამენტური ელემენტი ეკონომიკაა, ვინაიდან სწორედ ის განსაზღვრავს ადამიანთა კეთილდღეობას და მასზეა დამოკიდებული ინდივიდთა ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფა (მექვაბიშვილი, 2019), ქვეყნის ეკონომიკური განვითარება სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული განათლებასთან და განათლებულ სოციუმთან. ნებისმიერი ეკონომიკური პროცესის მნიშვნელოვან ფაქტორად ადამიანურ ფაქტორს მიიჩნევს აკადემიკოსი ვლ. პაპავა (Papava, 2006) და აღნიშნავს, რომ დღეისათვის აშკარად არასაკმარისია ადამიანის მხოლოდ *homo economicus* - ის ძალზე გამარტივებული მოდელით ოპერირება. აუცილებელია, ეკონომიკურ კვლევაში სულ უფრო მრავალფეროვნად იქნეს წარმოჩენილი ადამიანისეული ფაქტორი, რაც სოციალურ მეცნიერებათა სხვა დარგების (ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სამართალი, პოლიტოლოგია) მიღწევათა კომპლექსური გამოყენებითაა შესაძლებელი (Papava, 2018). აქვე კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორზე - ადამიანისეული ფაქტორის განვითარებაში უმაღლესი განათლების დაფინანსების განმსაზღვრელ როლზე საყურადღებო ნაშრომია “The Models of Matching Financial Development and Human Capital in National Economy” (Laktionova, Koval, Savina, & Gechbaia, 2021).

წლების წინ, ეკონომიკურ-სოციალური საბაზისო კონცეპტები და ზოგადად საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებული საკითხები, უმაღლესი განათლების საფეხურზე-უნივერსიტეტში ისწავლებოდა. ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და საბაზრო ეკონომიკაზე სრულად გადასვლის პარალელურად, გარდაუვალი და აუცილებელი გახდა სასკოლო ასაკიდან ეკონომიკურ განათლებასა და აღზრდაზე ფიქრი. ამიტომ, ბოლო წლებში უკვე სკოლის სხვადასხვა საგნებსა და სახელმძღვანელოებშიც გაჩნდა საბაზისო ინფორმაცია ეკონომიკასა და ეკონომიკურ ცნებებზე. ადრეული განათლების - „ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტი“ - კი აქცენტირებს ბავშვის განვითარების მხოლოდ ხუთ ძირითად სფეროზე:

1) ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება;
2) სწავლისადმი მიდგომა;
3) სოციალურ-ემოციური განვითარება;
4) შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა;
5) მეტყველება, კომუნიკაცია და წიგნიერება.

სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული ამ დოკუმენტითაც არ არის საბაზისო ეკონომიკური განათლება სასკოლო მზაობის სტანდარტებში, რაც არ არის თანხვედრაში საერთაშორისო თეორიულ დებულებებთან ადრეული განათლების შესახებ, ასევე სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ პრაქტიკასთან.

როგორც განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის (2017-2021წწ) სტრატეგიული ამოცანებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიშში ვკითხულობთ, "2016 წლამდე საქართველოს სკოლამდელი დაწესებულებები მხოლოდ სააღმზრდელო ფუნქციას ასრულებდნენ და ორიენტირებულები იყვნენ ბავშვის მოვლაზე. იგნორირებული იყო განათლების კომპონენტი, შესაბამისად, დაბალი იყო ბავშვების სკოლისათვის მომზადების დონე" (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2017). მაშინ, როცა ადრეული განათლების კლასიკოსები სწორედ ამ პერიოდს მიიჩნევენ განათლების ფუნდამენტურ ასაკად.

ჟ. პიაჟეს „კოგნიტური განვითარების თეორიის" მიხედვით, ბავშვის კოგნიტური განვითარება შეიძლება ოთხ თანმიმდევრულ, ცალკეულ სტადიად დაიყოს, კერძოდ:

1) სენსომოტორული ეტაპი;
2) წინაოპერაციული/პრეოპერაციული ეტაპი;
3) კონკრეტული ოპერაციების ეტაპი;
4) ფორმალურ-ოპერაციული ეტაპი;

ბავშვის ასაკის მატებასთან ერთად, მარტივიდან სქემები რთულ კოგნიტურ სტრუქტურებად გარდაიქმნება. 2-7 წელი არის ის ასაკი, როცა ვხვდებით სიმბოლური ფუნქციის განვითარებას - მეტყველება, სიმბოლური თამაში, გარკვეული ტიპის შინაგანი მიბაძვა, რაც ხატოვანი აზროვნების განვითარების საფუძველს წარმოადგენს. პიაჟეს მოსაზრებით, ბავშვებს სწორედ ამ ასაკში შეუძლიათ, გამოხატონ თავიანთი აზრები და მიიღონ ინფორმაცია ენის საშუალებით, რაც ადრე მათთვის შესაძლებელი არ იყო (მელიქიშვილი, 2012).

დ. უზნაძე ნაშრომში - „ბავშვთა ფსიქოლოგია", ბავშვთა ასაკობრივ კლასიფიკაციაში ბიოლოგიური ნიშნის შესახებ საინტერესო მსჯელობას გვთავაზობს. როგორც ავტორი აღნიშნავს „უდიდესი ჯგუფი ბავშვობის ასაკის პერიოდიზაციის ავტორებისა ბიოლოგიური ფაქტორების თვალსაზრისზე დგას და პერიოდების ჩამოყალიბების საფუძვლად რაიმე, მისი აზრით ძირითად ბიოლოგიურ ნიშანს აყენებს. ამ უკანასკნელის განვითარების პერი-

ოდები, ამისდა მიხედვით, ბავშვის ყოველმხრივი განვითარების პერიოდებად ხდება“ (უზნაძე, 2005).

ამავე ნაშრომში დიმიტრი უზნაძე, ბავშვის 4 წლის შემდეგ 6-7 წლამდე ასაკის პერიოდს, წინასასკოლო პერიოდად მოიხსენიებს და განმარტავს: „ბავშვი ახლა სულ უფრო და უფრო შორდება ოჯახს და შედარებით მეტ დამოუკიდებლობას ეჩვევა, იგი ახალ გარემოში დგება, რაც პედაგოგიკურ მოთხოვნილებათა მიხედვით არის ორგანიზებული და ამდენად მისი განვითარებისთვის შედარებით უფრო რაციონალურ პირობებს შეიცავს. ბავშვი საბავშვო ბაღში შედის, სადაც მისი გარემოს ორგანიზაციას კვლავ ზრდადასრულ, მაგრამ ახლა უკვე უცხო ადამიანები, საბავშვო ბაღის ხელმძღვანელები, ახდენენ. ბავშვი მათი ხელმძღვანელობით იზრდება და ეს ზრდა თანატოლების წრეში წარმოებს, რაც მის წინაშე ახალ ამოცანებს აყენებს. ამრიგად, იწყება განვითარების ახალი პერიოდი, რომელიც 6-7 წლამდე გრძელდება და სკოლის წინა ასაკის სახელწოდებით არის ცნობილი”.

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილულ ქართველ, ასევე უცხოელ მეცნიერთა ნაშრომებზე დაყრდნობით, მიზანშეწონილად მივიჩნევთ, ადრეულ განათლებაში საბაზისო ეკონომიკური განათლებისა და ეკონომიკური ცნობიერების ჩამოყალიბება/გაძლიერების შესაძლებლობის, ოპტიმალური ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფია 4 დან 6 წლის ჩათვლით, ანუ სკოლამდელი ასაკი.

## ბავშვის ასაკის და განვითარების ეტაპების ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო-სამართლებრივი საფუძვლები

განათლების მიღება ადამიანის ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს და სწორედ ადრეული ასაკიდან ამ უფლების დაცვასა და რეალიზებას ეხება საერთაშორისო კონვენციები და შეთანხმებები, რომლის მონაწილეც არის საქართველო. განათლების უფლებას იცავს ჩვენი ქვეყნის უმთავრესი კანონი - კონსტიტუცია (საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი, 1995).

განათლება ბავშვის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც ბავშვის უფლებათა კონვენციის 28-ე მუხლში შემდეგნაირადაა დეკლარირებული:

„1 მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ბავშვს აქვს განათლების უფლება და თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე ამ უფლების თანდათანობით განხორციელების მიზნით ისინი აწესებენ უფასო და სავალდებულო დაწყებით განათლებას; ხელს უწყობენ როგორც ზოგადი, ისე პროფესიული საშუალო განათლების სხვადასხვა ფორმების განვითარებას, უზრუნველყოფენ ყველა ბავშვისათვის მათ ხელმისაწვდომობას და ღებულობენ ისეთ აუცილებელ ზომებს, როგორიცაა უფასო განათლების შემოღება და აუცილებლობის შემთხვევაში ფინანსური დახმარების გაწევა; ყველა აუცილებელი სა-

შუალების გამოყენებით უზრუნველყოფენ უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას ყველასათვის თითოეულის უნარის შესატყვისად; უზრუნველყოფენ განათლებისა და პროფესიული მომზადების სფეროში ინფორმაციისა და მასალების ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვისათვის; ღებულობენ ზომებს სკოლებში რეგულარული დასწრების ხელშესაწყობად და სკოლიდან განთესილ მოსწავლეთა რიცხვის შესამცირებლად“ (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 1989).

ბავშვთა უფლებების კონვენციის მე-12 მუხლი საშუალებას იძლევა ბავშვთა ასაკის კატეგორიზაცია მოხდეს სხვა ნიშნითაც, კერძოდ: „ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად”.

საქართველოს კანონი – „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ”, მე-20 მუხლით განსაზღვრავს სკოლამდელი განათლების ეტაპებს წლების მიხედვით, კერძოდ:

- 2-დან 3 წლამდე – სკოლამდელი განათლების პირველი ეტაპი;
- 3-დან 4 წლამდე – სკოლამდელი განათლების მე-2 ეტაპი;
- 4-დან 5 წლამდე – სკოლამდელი განათლების მე-3 ეტაპი;
- 5 წლიდან სკოლის დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე – სკოლამდელი განათლების მე-4 წელი – ხორციელდება სასკოლო მზაობის პროგრამა (საქართველოს პარლამენტი, 2016).

ასაკობრივ კლასიფიკაციასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ასევე სხვადასხვა დოკუმენტში არსებული დეფინიციები, მაგალითად, 2019 წლის “ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის სტანდარტის გზამკვლევში” ვკითხულობთ: “დაბადებიდან ხუთ წლამდე ასაკი საოცრად სწრაფი და უნიკალური ზრდის ხანაა, სწორედ ამ დროს ვითარდება თავის ტვინი ყველაზე სწრაფად და ინტენსიურად, რაც საფუძვლად ედება ადამიანის შემდგომ ცხოვრებას“ (ჯიჯავაძე & კუხალეიშვილი, 2019).

ადგილობრივი კანონმდებლობისა და სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტის გარდა, ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების სტანდარტები და ზოგადად საერთაშორისო პრაქტიკა. მაგალითად: **UNICEF-ის** განმარტებით, ადრეული ბავშვობა, რომელიც მოიცავს 8 წლამდე პერიოდს, კრიტიკულია კოგნიტური, სოციალური, ემოციური და ფიზიკური განვითარებისთვის (UNICEF, 2023). ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების ეროვნული ასოციაცია (NAEYC) - შეერთებული შტატები: NAEYC განსაზღვრავს ადრეულ ბავშვობას, როგორც პერიოდს დაბადებიდან 8 წლამდე (NAEYC, 2020). საგანგებო სიტუაციებში განათლების უწყებათაშორისი ქსელის (Inter-agency Network for Education in Emergencies (INEE) - განმარტებით ადრეული ასაკის ბავშვის პერიოდი მოიცავს სწრაფი და კრიტიკული განვითარების პერიოდს - ჩასახვიდან 8 წლამდე (INEE, 2018). პედიატრიის ამერიკული აკადემიის მიხედვით (AAP), ადრეული ბავშვობა არის ბავშვის განვითარების მნიშვნელოვანი

პერიოდი, რომელიც იწყება დაბადებიდან 8 წლამდე. ეს არის ტვინის და სხეულის სწრაფი განვითარების პერიოდი. სიცოცხლის პირველი რამდენიმე წლის განმავლობაში ყოველ წამში ყალიბდება 1 მილიონზე მეტი ახალი ნერვული კავშირი (American Academy of Pediatrics). მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) მიერ ადრეული ბავშვობა განიმარტება (განისაზღვრება) როგორც პრენატალური განვითარების პერიოდი რვა წლამდე (World Health Organization, 2007). UNESCO-ს განმარტებით დაბადებიდან რვა წლამდე პერიოდი არის ბავშვების ტვინის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი და წარმოადგენს განათლების შესაძლებლობის მნიშვნელოვან ფანჯარას. იუნესკოს მიაჩნია, რომ ბავშვობის ადრეული ზრუნვა და განათლება (ECCE), რომელიც მართლაც ინკლუზიურია, ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ მომზადება დაწყებითი სკოლისთვის (UNESCO).

კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბავშვის ასაკის და განვითარების ეტაპების ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო-სამართლებრივი საფუძვლები ჰარმონიაშია ერთმანეთთან და სრულიად შეესაბამება საყოველთაოდ დამკვიდრებულ ნორმებს, ამასთანავე, სამეცნიერო ნაშრომების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მეცნიერები ბავშვის განვითარების ეტაპებს ყოფენ სხვადასხვა კრიტერიუმით, მაგრამ ფუნდამენტური კლასიფიკაცია მოიცავს ბავშვის ფიზიკურ, კოგნიტურ, მეტყველების/ენობრივ და სოციალურ-ემოციური განვითარების კატეგორიებს.

### ეკონომიკურ-ფინანსური განათლების მნიშვნელობა ადრეულ ასაკში

ადრეული ასაკის ბავშვებში საბაზისო ელემენტარული ეკონომიკური ინფორმაციის მიწოდებისა და საბაზისო ეკონომიკური ცნებების სწავლების აუცილებლობა არის მრავალი საერთაშორისო კვლევის თეორიულ-პრაქტიკული საფუძველი, რომელმაც არაერთი მეცნიერის ნაშრომში ჰპოვა ასახვა; მათგან საყურადღებოა უცხოელი ავტორები, კერძოდ, ჟ. პიაჟეს (Piaget, J. 1990) მოსაზრებით: „სწორედ ბავშვებთან გვაქვს საუკეთესო შესაძლებლობა შევისწავლოთ ლოგიკური ცოდნის, მათემატიკური ცოდნის, ფიზიკური ცოდნისა და ა. შ. განვითარება". ჰ. ჰანსენის მტკიცებით, ადრეულ ასაკში გაგებული ტერმინოლოგია, მისი მნიშვნელობა და დამოკიდებულებები უფრო ეფექტური სწავლისა და მისტიურობის ტრამპლინად გვევლინება შემდგომ სკოლასა და ცხოვრებაში (Hansen, 1985). ბავშვების ფინანსური განათლების მნიშვნელობა სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს თანამედროვე სამყაროში. ბევრს მიაჩნია, რომ დღევანდელ სამყაროში, ფინანსური განათლება უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო უნარია. განმანათლებლები, სკოლის რეფორმატორები და სხვები ფინანსურ განათლებას 21-ე საუკუნის იმ უნარად მიიჩნევენ, რომელიც უნდა ვასწავლოთ მოსწავლეებს (Masnan & Curugan, 2016).

დაწყებით საფეხურზე ეკონომიკის სწავლების კურიკულუმის ეტალონს „Our Working World“ წარმოადგენდა, რომელიც 1950 წელს ლოურენს სენეშმა (Lawrence Senesh) შეიმუშავა. სახელმძღვანელოების გამოყენებით ეკონომიკის სწავლების გარდა, სენეში ასევე ხაზს უსვამდა საბავშვო ლიტერატურის გამოყენების მნიშვნელობას, როგორც ეკონომიკური ცნებების ილუსტრირების საშუალებას. ის ამტკიცებდა, რომ ძირითადი ცნებები მართლაც შეიძლება ვასწავლოთ ადრეული ასაკის ბავშვებს მარტივი მოთხრობებით, რომლებიც ხშირად დაკავშირებულია ბავშვის რუტინულ ცხოვრებაში პრაქტიკულ საკითხებთან. იგი იყენებდა ისეთ მოთხრობებს, რომლებიც სპეციალურად იყო დაწერილი ეკონომიკის გაკვეთილებისთვის, ზოგადი საბავშვო ლიტერატურისგან განსხვავებით (Rodgers, Hawthorne, & Wheeler, 2004).

ასევე საინტერესოა ავტორთა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ადრეული ასაკის მოსწავლეები დაწყებით საფეხურზე - საბავშვო ბაღიდან მეხუთე კლასის ჩათვლით, უკვე ფართოდ ეცნობიან სხვადასხვა ეკონომიკურ საკითხებს და იძენენ ამ ახალი ცოდნის გამოყენების უნარებს. დაწყებით საფეხურზე ნასწავლი პრინციპები ბავშვებისთვის გადამწყვეტია მათ ირგვლივ არსებული ეკონომიკური სამყაროს შესახებ საბაზისო ცოდნის მისაღებად. ადრეულ საფეხურზე საკვანძო ეკონომიკური პრინციპების გაგება მოსწავლეებს შემდგომ საფეხურზე დაეხმარება გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც საბოლოო ანგარიშით, მათ კეთილდღეობაზე აისახება (Rodgers, Hawthorne, & Wheeler, 2004). ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ცხოვრებისთვის მომზადება ფსიქოლოგიური მუშაობისთვის, შრომის მნიშვნელობის რწმენითა და შეგნებით და აქტიური მონაწილეობით ჩვენი ქვეყნის საზოგადოების მშენებლობის ახალ პროცესში (Tavdgiridze & Sherozia, 2017). ასევე, ეკონომიკური ცნობიერების პარალელურად, მნიშვნელოვანია ბავშვები კარგად იცნობდნენ ეკონომიკასთან მჭიდრო კავშირში მყოფ საბაზისო სამართლებრივ ცნებებს, მაგალითად, შრომით უფლებებსაც, რაც ასევე ბავშვებში შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის საფუძველი იქნება (Katamadze , Tavdgiridze, & Bolkvadze, 2023).

ეკონომიკური განათლება ზოგადად დაკავშირებულია უნივერსიტეტის კურიკულუმთან. თუმცა, ზოგიერთი ეკონომიკური ასპექტის ცოდნა სასურველი და უმნიშვნელოვანესია უკვე დაწყებით დონეებზე. თუკი ვთვლით, რომ მოქალაქეს ეკონომიკის პრინციპების, თუნდაც მინიმალური გაგება უნდა ჰქონდეს, ეს ცოდნა სკოლაში უნდა მიიღოს. ბევრი მათგანისთვის კოლეჯი უკვე დაგვიანებულია, ბევრისთვის უმაღლესი სკოლაც დაგვიანებულია. ზოგჯერ ეს სკოლის დაწყებითი სკოლის დონეზე უნდა გაკეთდეს. ბავშვებს ამ ასაკში უდიდესი ინტერესი აქვთ თუ „როგორ და საიდან“ მოდის ის პროდუქტები თუ მომსახურებები, რომლებთანაც მათ ყოველდღიური შეხება აქვთ (Bruker, 1970).

აღსანიშნავია, რომ ადრეულ განათლებაში ეკონომიკური ცნობიერებისა და ზოგადად ეკონომიკურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები ნაკლებად განიხილება ქართულ სამეცნიერო სივრცეებში. ამ საკითხის მნიშვნელობა და არსი ძირითადად განიხილება სასკოლო განათლების საფეხურზე (ნ. ქიაბრიშვილი, რ. ირემაშვილი და სხვა).

კოლინსისა და ოდერს-უაიტის (2015) თანახმად, „სულ უფრო მეტი მტკიცებულება ჩნდება ეკონომიკური და ფინანსური განათლების ადრეულ წლებში დაწყების სასარგებლოდ. კოგნიტური განვითრების შესახებ კვლევებმა აჩვენეს, რომ ფულის დაგროვებასთან დაკავშირებული კონცეპტების გაგება შეიძლება ჩამოყალიბდეს ადრეული ასაკიდანვე“ (Collins & Odders-White, 2015).

ჰოლდენი ბავშვების მიერ პირად ფინანსებთან და მასთან ერთად ეკონომიკურ ცნობიერებასთან დაკავშირებით კოგნიტური განვითარების სამ გამორჩეულ თეორიულ მიდგომას გვთავაზობს. პირველი მათგანია ჟან პიაჟეს კოგნიტური განვითარება, რომელიც იკვლევს ზოგადი განვითარების პროცესებს და იმ შეზღუდვებს, რომლებიც გამოირჩევა ბავშვის აზროვნებაში განვითარების კონკრეტულ ეტაპზე. მეორე მიდგომას წარმოადგენს გამოცდილებისა და სწავლის როლი, რომელიც ხაზს უსვამს ბავშვების ინდივიდუალური შემეცნების უნარს; ხოლო მესამე კი თეორიული მიდგომაა, რომელიც ფოკუსირებულია მომწიფებაზე, კერძოდ კი - ტვინის განვითარებაზე. ამ სამ თეორიულ მიდგომაზე დაყრდნობით, მკვლევარმა განიხილა ბავშვების ზოგადი კონცეპტუალური განვითარება და ასევე, ისეთი ფინანსური და ფართო გაგებით ეკონომიკური კონცეპტების შეცნობა ბავშვების მიერ, როგორიცაა: რიცხვები, დრო, ფული, შემოსავალი, ბაზარი და საქონლის გაცვლა, რესურსების გადანაწილება, სოციალური ღირებულებები და ჩამოაყალიბა მოსაზრება, ადრეულ ასაკში ფინანსური და ეკონომიკური განათლების სასარგებლოდ (Holden, Kalish, Scheinholz, Dietrich, & Novak, 2009).

ისეთი სასწავლო თეორიები, როგორიცაა: პიაჟეს კოგნიტური სწავლის თეორია, ჯერომე ბრუნერის აღმოჩენებით სწავლის თეორია და ალბერტ ბანდურას სოციალური შესწავლის თეორია, ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადრეულ ასაკში ფინანსური განათლების მხარდასაჭერად. ყველა ეს თეორია მხარს უჭერს ინტეგრაციის პრინციპებს. სწორედ ინტეგრაციის პროცესშია შესაძლებელი ფინანსური კონცეპტების სხვადასხვა სასწავლო სფეროში ჩართვა - ამ შემთხვევაში ბავშვები სწავლობენ ფულის მნიშვნელობას და ამასთან ღებულობენ არსებითი მნიშვნელობის ცოდნასა და უნარებს (Masnan & Curugan, 2016).

ადრეულ ასაკში გაგებული ტერმინოლოგია, მისი მნიშვნელობა და დამოკიდებულებები უფრო ეფექტური სწავლისა და მისტიურობის ტრამპლინად გვევლინება შემდგომ სკოლასა და ცხოვრებაში (Hansen, 1985). ნობელის პრემიის ლაურეატს ჯეიმს ჰეკმანს მიაჩნია, რომ განათლების სხვა საფეხურებ-

თან შედარებით, სწორედ სკოლამდელ განათლებაში ჩადებულ თანხას მოაქვს ყველაზე დიდი "მოგება" წლების შემდეგ, რაც ზოგიერთ შემთხვევაში ყოველ 1 დოლარზე 7 დოლარს უდრის (U.S. Senate, 2014).

ამრიგად, ეკონომიკური ინფორმაციის მიწოდება და საბაზისო ეკონომიკური ცნებების სწავლება ადრეული ასაკის ბავშვებში აუცილებელია, როგორც წარმატებული მოქალაქის აღზრდა/ჩამოყალიბების ფუნდამენტი.

## დასკვნა

- როგორც კვლევამ გამოავლინა, ეკონომიკური ცნობიერების შესახებ სამეცნიერო კვლევები საქართველოში ადრეული განათლების მიმართულებით, თითქმის არ მოგვეპოვება. ვფიქრობთ, ადრეულ ასაკში ეკონომიკური განათლების მნიშვნელობის შესახებ სხვადასხვა კვლევის გათვალისწინებით, საჭიროა საქართველოში უფრო ფართოდ და სიღრმისეულად იქნეს შესწავლილი ეს მიმართულება და კომპლექსურად, მეცნიერების ჩართულობით შემუშავდეს ადრეული ასაკის ბავშვებში ეკონომიკური ცნობიერების განვითარების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო.
- ეკონომიკური ცნობიერების განვითარება-გაძლიერება და საბაზისო ეკონომიკური კონცეპტების მარტივი ენით შესწავლა/განხილვა, ადრეული ასაკის ბავშვებში (ჩვენი კლასიფიკაციით 4-დან 6 წლის ჩათვლით) არის მომავალი წარმატებული მოქალაქეებისა და ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი უნარებით აღჭურვილი ადამიანების ჩამოყალიბების ფუნდამენტი;
- ბავშვის ასაკის და განვითარების ეტაპების ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო-სამართლებრივი საფუძვლები ჰარმონიაშია ერთმანეთთან და სრულიად შეესაბამება საყოველთაოდ დამკვიდრებულ ნორმებს;
- სამეცნიერო ნაშრომების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მეცნიერები ბავშვის განვითარების ეტაპებს სხვადასხვა კრიტერიუმით ყოფენ, მაგრამ ფუნდამენტური კლასიფიკაცია მოიცავს ბავშვის ფიზიკურ, კოგნიტურ, მეტყველების/ენობრივ და სოციალურ-ემოციური განვითარების კატეგორიებს.
- ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი კლასიფიკაცია მათი განვითარებისა და შესაძლებელობების მიხედვით, ფართოდ არის განხილული ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ნაშრომებში, თუმცა, უშუალოდ ეკონომიკური ცნობიერებისა და ეკონომიკური კონცეპტების სწავლა/სწავლებასთან დაკავშირებით კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფი გამოკვეთილი არ არის;
- ჩვენ მიერ განხილულ ქართველ, ასევე უცხოელ მეცნიერთა ნაშრომებზე დაყრდნობით, მიზანშეწონილად მივიჩნევთ, ადრეულ განათლებაში საბაზისო ეკონომიკური განათლებისა და ეკონომიკური ცნობიერების ჩამოყალიბება/გაძლიერებისათვის ოპტიმალურ ბავშვთა ასაკობრივ ჯგუფად განისაზღვროს 4 დან 6 წლის ჩათვლით, სკოლამდელი, ანუ ადრეული განათლების ასაკი.

- ადრეულ ასაკში ეკონომიკური ცნობიერების ჩამოყალიბება და გაძლიერება უზრუნველყოფს განათლების შემდგომი ეტაპებისათვის მოსწავლის/სტუდენტის მზაობას ზოგადად სოციალური მეცნიერებების საკვანძო საკითხების ფუნდამენტურად შესასწავლად.
- მიგვაჩნია, რომ საბავშვო ლიტერატურა, კერძოდ ეკონომიკურ-სოციალური თემატიკის ზღაპრები, ლექსები, მოთხრობები სწორედ ის მასალაა, რომლის სათანადო მეთოდოლოგიით ბავშვებისთვის სწავლება პირდაპირ უზრუნველყოფს ეკონომიკურ განათლებასა და ეკონომიკური ცნობიერების გაძლიერებას.

**ლიტერატურა:**


- გაეროს ბავშვთა ფონდი. (2018). ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები. თბილისი: გაეროს ბავშვთა ფონდი და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
- გაეროს ბავშვთა ფონდი (2018). აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი. თბილისი: გაეროს ბავშვთა ფონდი და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
- ირემაშვილი რ. (2000). ეკონომიკური კულტურის აღზრდა სკოლაში. სკოლაში სააღმზრდელო მუშაობის აქტუალური პრობლემები (გვ. 257-301). ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტი, თბილისი.
- ისაკაძე თ. (2017). ბავშვთა ფსიქოლოგიის დღიურები. თბილისი.
- მელიქიშვილი მ. (2012). ჟან პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორია. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი.
- მექვაბიშვილი ე. (2019). სახელმწიფოს ეკონომიკური როლი გლობალიზაციის პირობებში. *გლობალიზაცია და ბიზნესი*, N8, გვ.22-33. თბილისი.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2017). https://mes.gov.ge/uploads/files/strategiis_angarishi.docx
- საქართველოს პარლამენტი (2016,06.08). საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3310237?publication=13
- საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი (1995,24 აგვისტო). საქართველოს კონსტიტუცია. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო (1989,11,20). კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0
- უზნაძე დ. (2005). ბავშვის ფსიქოლოგია. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი.
- ჯიჯავაძე ნ., & კუხალეიშვილი თ. (2019). ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის სტანდარტის გზამკვლევი. თბილისი: გაეროს ბავშვთა ფონდი.

- ქიაბრიშვილი ნ. (2015, აპრილი 17). ეკონომიკური წიგნიერება როგორც „თამაშის წესების" გაცნობა. mastsavlebeli.ge: https://mastsavlebeli.ge/?p=1714
- American Academy of Pediatrics. (n.d.). Early Childhood. Retrieved from https://www.aap.org/en/patient-care/early-childhood/#:~:text=Early%20childhood%20is%20a%20pivotal,(Center%20for%20Developing%20Child)
- Berti A. E. (1988). The child's Construction of Economics. Editions de la Maison des Sciences de l'Homme.
- Bruker M. R. (1970). Economic Education in the Elementary School. *Peabody Journal of Education*, 47(4), 238-242.
- Berk L. E. (1992). Children's Private Speech: An overview of Theory and the Status of Research. Private speech: From Social Interaction to Self-Regulation, 17-53.
- Collins J. M., & Odders-White, E. (2015). A Framework for Developing and Testing Financial Capability Education Programs Targeted to Elementary School. *The Journal of Economic Education,* 46, 105-120.
- Froebel Web. (2004). Kindergarten. https://www.froebelweb.org/web7020.html
- Entrepreneur საქართველო. (2023, თებერვალი 24). ეკონომიკის ცოდნა, როგორც უკეთესი მომავლის წინაპირობა, https://www.entrepreneur.com/ka/siakhleebi-da-tendentsiebi/ekonomikis-tsodna/446387
- Hansen H. S. (1985). The Economics of Early Childhood Education in Minnesota. *The Journal of Economic Education* Vol. 16, No. 3, 219-224.
- Holden K., Kalish C., Scheinholz L., Dietrich D. & Novak B. (2009). Financial Literacy Programs Targeted on Pre-School Children: Development and Evaluation. University of Wisconsin-Madison.
- INEE (2018). Early Childhood Development. https://inee.org/collections/early-childhood-development.
- Katamadze G., Tavdgiridze L. & Bolkvadze M. (2023). Child Labour Exploatation: Politics, Law and Social Attitudes in Georgia. *Science, Business, Innovation in Digital Economy*, 4, 24-33.
- Laktionova O., Koval V., Savina N., & Gechbaia B. (2021). The Models of Matching Financial Development and Human Capital in National Economy. BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, 177-184.
- Masnan H. A., & Curugan A. A. (2016). Financial Education Program for Early Childhood Education. *International Journal of Academic Research in Business and Social Sciences*, 6(12), 113-120.
- NAEYC (2020). Developmentally Appropriate Practice (DAP) Position Statement.
- Papava V. (2006). Economic Transition to European or Post-Communist Capitalism. SSRN Electronic Journal, 1-16.
- Papava V. (2013). On the Vector of Economic Development of Post-Communist Georgia. SSRN Electronic Journal, 1-19.
- Papava V. (2018). THE CRISIS OF ECONOMICS AND FOR SEARCH OF THE NEW PARADIGM. *Globalization and Buziness,* 3(6), 15-27.

- Piaget J. (2003). Part I: Cognitive Development in Children--Piaget Development and Learning. *Journal of research in science teaching,* 40.
- Rodgers V. Y., Hawthorne S., & Wheeler C. R. (2004). Teaching Economics in the Primary Grades: Standards and Strategies*. *SSRN Electronic Journal,* 1-37.
- Strauss A. L. (1952). The Development and Transformation of Monetary Meanings in the Child. *American Sociological Review,* 17(3), 275-286.
- Tavdgiridze L., & Sherozia N. (2017). Labor as a Condition for Successful Society. VIII International Scientific-Methodological Conference Proceedings (p. 39). Kutaisi Akaki Tsereteli State University.
- Todorova M. (2014). Increasing Economic Literacy in Preschool Children .
- Todorova M. (2011). Mastering of Elementary Knowledge of Economics in Preschool Age as Investment in the Future. *Management and Education,* 7(booklet 4).
- UNESCO (n.d.). Early Childhood Care and Education. https://www.unesco.org/-en/early-childhood-education.
- UNICEF (2023, May). Early Childhood Development. https://data.unicef.org/-topic/early-childhood-development/overview/
- U.S. Senate. (2014). Departments of Labor, Health and Human Services, and Education, and Related Agencies Appropriations for Fiscal Year 2014. Washington : U.S. Government Pronting Office.
- World Health Organization (2007, March 14). Early Child Development : a Powerful Equalizer. https://www.who.int/publications/i/item/early-child-development-a-powerful-equalizer-final-report-for-the-world-health-organization-s-commission-on-the-social-determinants-of-health


References:


- UNICEF. (2018). adreuli da skolamdeli aghzrdisa da ganatlebis sakhelmtsipo standartebi. [State Standards for Early and Preschool Education. Tbilisi: UNICEF and The Ministry of Education and Science.] in Georgian
- UNICEF. (2018). aghmzrdel-pedagogis propesiuli standarti. [Professional Standards for Educators. Tbilisi: UNICEF and The Ministry of Education and Science.] in Georgian
- Iremashvili R. (2000). ekonomikuri kulturis aghzrda skolashi. [Promotion of Economic Culture in Schools. *Actual Problems of Educational Works at School* (pp. 257-301). Tbilisi. I. Gogebashvili National Institute of Pedagogical Sciences.] in Georgian
- Isakadze T. (2017). bavshvta psikologiis dghiurebi. [Diaries of Child Psychology. Tbilisi.] in Georgian
- Melikishvili M. (2012). Jean Piaget's kognituri ganvitarebis teoria. [Jean Piaget's Theory of Cognitive Development. Tbilisi: National Centre for Teacher Professional Development.] in Georgian
- Mekvabishvili E. (2019). sakhelmtsipos ekonomikuri roli globalizatsiis pirobebshi. [The Economic Role of the State in Conditions of Globalization. *Globalization and Business,* N8, 22-33.] in Georgian

- The Ministry of Education and Science of Georgia. (2017). https://mes.-gov.ge/uploads/files/strategiis_angarishi.docx
- The Parliament of Georgia. (2016, 06 08). Law of Georgia on Early and Preschool Education. Retrieved from Legislative Herald of Georgia: https://www.mat-sne.gov.ge/ka/document/view/3310237?publication=13
- The Parliament of the Republic of Georgia. (1995, 24 August). Constitution of Georgia. Retrieved from Legislative Herald of Georgia: https://matsne.gov.ge-/ka/document/view/30346?publication=36
- Ministry of Foreign Affairs of Georgia. (1989, 11 20). Convention on the Rights of the Child. Retrieved from Legislative Herald of Georgia: https://matsne.gov.ge/ka/-document/view/1399901?publication=0
- Uznadze D. (2005). bavshvis psikologia. [Child Psychology. Tbilisi: Georgian SSR Academy of Science D. Uznadze Institute of Psychology] in Georgian
- Jijavadze N., & Kukhaleishvili T. (2019). adreuli da skolis ganatlebis khariskhis standartis gzamkvlevi. [Quality Standard Guide for Early Childhood and Preschool Education. Tbilisi: UNICEF.] in georgian
- Chiabrishvili N. (2015, April 17). ekonomikuri tsigniereba rogorts "tamashis tsesebis" gatsnoba. [Economic Literacy as Familiarization with the "Rules of the Game". Retrieved from mastsavlebeli.ge: https://mastsavlebeli.ge/?p=1714.] in Georgian
- American Academy of Pediatrics. (n.d.). Early Childhood. Retrieved from https://www.aap.org/en/patient-care/early-childhood/#:~:text=Early%20childhood%20is%20a%20pivotal,(Center%20for%20Developing%20Child)
- Berti A. E. (1988). The Child's Construction of Economics. Editions de la Maison des Sciences de l'Homme.
- Bruker M. R. (1970). Economic Education in the Elementary School. Peabody Journal of Education, 47(4), 238-242.
- Berk L. E. (1992). Children’s Private speech: An Overview of Theory and the Status of Research. Private speech: From Social Interaction to Self-Regulation, 17-53.
მთავარია, ზემოაღნიშნული პროგრამებისა და პროექტების რეალიზაციის პროცესი ეფექტიანად გაკონტროლდეს, რათა მათში გათვალისწინებული მიზნები დროულად და ხარისხიანად შესრულდეს.

## გარემოსდაცვითი პროგრამები – ეფექტიანი მწვანე მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი

საქართველოში, საბჭოთადროინდელ და საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდის დასაწყისში დამუშავებულ ქვეყნისა თუ მისი რეგიონების განვითარების გეგმებში, მთავარი ყურადღება ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებზე იყო გადატანილი, გარემოსდაცვით ღონისძიებებს კი ნაკლები ყურადღება ექცეოდა. არადა, როგორც აღვნიშნეთ, სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი მიმართულებების თანაბარი პრიორიტეტულობა, მდგრადი განვითარების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას წარმოადგენს. დიდი ხანია ეს პრობლემა საქართველოშიც გადაწყდა და თითქმის არცერთი მნიშვნელოვანი პროგრამა თუ პროექტი გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ), სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) და სხვა აუცილებელი კვლევების გარეშე აღარ მუშავდება, ასევე მეტი ყურადღება ექცევა პროგრამების შესრულების შეფასების ხარისხსაც, რაც უთუოდ წინგადადგმული ნაბიჯია.

„1960 წლამდე ადამიანების (და ორგანიზაციების) მხოლოდ მცირე ნაწილი აქცევდა ყურადღებას მათი გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების ეკოლოგიურ შედეგებს. მთელმა რიგმა სტიქიურმა უბედურებამ ინდივიდუალურ პირებს, ჯგუფებს და ორგანიზაციებს (და ქვეყნების მთავრობებსაც, მ.ტ.) გარემოს დაცვის (ენვაირონმენტალიზმის) ახალი სული შთაბერა. მენეჯერები სულ უფრო და უფრო მეტად ითვალისწინებენ მათი ორგანიზაციების ზემოქმედებას გარემოზე, რასაც ჩვენ „მწვანე მენეჯმენტს" ვუწოდებთ. მენეჯერებს და ორგანიზაციებს კი ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ ბუნებრივი გარემოს დასაცავად" (რობინსი ს., კოულტერი მ., 158-159).

მწვანე, ანუ გარემოსდაცვითი მენეჯმენტი, რომელსაც ხშირად ეკომენეჯმენტის სახელითაც მოიხსენიებენ, მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკის შემადგენელი ნაწილია, რომლის საბოლოო მიზანია რესურსების რაციონალური გამოყენება ბუნებრივ გარემოზე ზიანის მიუყენებლად, რაც სპეციალური ღონისძიებების შემუშავებისა და რეალიზაციის საფუძველზე მიიღწევა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარემოსდაცვითი საქმიანობა ერთჯერადი აქტი არაა და ის მიზანდასახულად, მუდმივად და ეტაპობრივად უნდა ხორციელდებოდეს, რაც ბუნებრივ გარემოზე ნეგატიური გავლენის თანდათანობით შემცირებას, საბოლოო ანგარიშით კი, მის აღმოფხვრას უზრუნველყოფს.

როგორც აღინიშნა, მწვანე მენეჯმენტის მიზნების მიღწევა მხოლოდ ხელისუფლების საქმიანობაზე დამოკიდებული არაა, მაგრამ ამ მხრივ წარმატების მიღწევაში მისი როლი გამორჩეული და საპასუხისმგებლოა. აუცილებელია ხელისუფლებამ მოთხოვნები შეიმუშაოს და განახორციელოს კარგად დაბალანსებული გარემოსდაცვითი პოლიტიკა, რომელშიც აისახება მთელი რიგი პრინციპული მოთხოვნა, მაგალითად, როგორიცაა: გარემოსდაცვითი მიზნების სრულად გასაცნობიერებლად პროპაგანდისტულ-სააგიტაციო საქმიანობის გააქტიურება, გარემოს დამბინძურებლის დასჯა (ფინანსური სახდელის დაწესება) მათ მიერ გარემოზე მიყენებული ზიანის სიმძიმის პროპორციულად, ბიზნესსაქმიანობასა და გარემოს დაცვას შორის სწორი ბალანსის დამყარება ისე, რომ არცერთი მხარე არ დაზარალდეს, უნდა წახალისდეს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოება ახალი, გარემოზე ნეგატიური გავლენისაგან თავისუფალი ტექნოლოგიების დანერგვის, ახალი კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საფუძველზე, უნდა წახალისდეს ორგანიზაციების საქმიანობა ISO 14001 (გრემოსდაცვითი საქმიანობის სისტემა) სტანდარტის შესაბამისი სერტიფიკატის მოსაპოვებლად და ა.შ. ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს და დანერგოს შესაბამისი გრძელვადიანი და მოკლევადიანი პროგრამები, პროექტები, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების მოძიებაში და ა.შ. ამ მხრივ რეალურად არსებული მდგომარეობის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ქვემოთმოყვანილი ცხრილი.

**საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ფუნქციური კლასიფიკაცია გარემოს დაცვის ნაწილში 2013-2024 წწ. (ათასი ლარი)**

| | 2013 წ. გეგმა | 2023წ. გეგმა | 2024 წ. გეგმა | მ.შ. საბიუჯეტო | არასაბიუჯეტო |
|---|---|---|---|---|---|
| გარემოს დაცვა - სულ | 30 975,0 | 166,540.0 | 189,370.0 | 171,770.0 | 17,600.0 |
| ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | . . . | 42,075.0 | 39,500.0 | 36,900.0 | 2,600.0 |
| ჩამდინარე წყლების მართვა | . . . | 9,300.0 | 11,200.0 | 10,000.0 | 1,200.0 |
| გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა | . . . | 1,375.0 | 1,510.0 | 1,510.0 | 0.0 |
| ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების მართვა | 12 137,1 | 53,150.0 | 59,115.0 | 45,315.0 | 13,800.0 |
| სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში | 18 837,9 | 60,640.0 | 78,045.0 | 78,045.0 | 0.0 |

***წყარო:*** *ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს 2013 და 2024 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების მონაცემების საფუძველზე.*

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2024 წელს გარემოს დაცვის პროგრამების დასაფინანსებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია 189,4 მლნ ლარამდე, მაშინ როცა 2013 წელს ამ მიზნით გამოყოფილი იყო მხოლოდ 30,9 მლნ ლარი, ანუ დაახლოებით 6-ჯერ ნაკლები თანხა. ისიც აღსანიშნავია, რომ 2013 წლის ბიუჯეტში ასიგნებები საერთოდ არ იყო გამოყოფილი გარემოს დაცვის ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა: ნარჩენების შეგროვება და განადგურება, ჩამდინარე წყლების მართვა, გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა და ა.შ. (ტუღუში მ., 2019). საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში კი მხოლოდ ამ მიზნებისათვის გამოყოფილია 52.2 მლნ ლარი, რაც მისასალმებელია. ისიც აღსანიშნავია, რომ ამჟამად, საქართველოში გარემოს დაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრების ძირითადი ნაწილი (90,7%) საბიუჯეტო სახსრებია, არასაბიუჯეტო კი მცირეა-9,3%, რაც საყურადღებოა. მომავალში, როგორც სახელმწიფომ, ასევე, ორგანიზაციებმა უნდა გაააქტიურონ ძალისხმევა გარემოს დაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად უფრო მეტი არასაბიუჯეტო თანხების მოსაზიდად.

ცნობილია, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს ეკონომიკის ტემპების სწრაფი ზრდის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები სწრაფად იზრდება და ასიგნებების მატება გარემოს დაცვის ნაწილშიც საგრძნობია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართვლოს ეკონომიკისა და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა მომავალშიც გაგრძელდება, რაც ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალური სფეროს კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით განვითარების შესაძლებლობას შექმნის.

საქართველოში გარემოს ეფექტიანი დაცვისათვის ფინანსური ბაზის არსებობა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ის ქვეყანაში არსებულ გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან ერთად, ამ მიმართულებით წარმატების მიღწევის კარგ შესაძლებლობას ქმნის, მითუმეტეს, როცა პრობლემის დაძლევა გათვალისწინებულია მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე.

საქართველოს კანონში - „გარემოს დაცვის შესახებ" (მუხლი 13, პუნქტი „ო") ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ხაზგასმითაა აღნიშნული გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული ხუთწლიანი პროგრამის დიდი მნიშვნელობის შესახებ, ამასთან, მითითებულია, რომ მისი მომზადება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციაა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და სრულად რეალიზება ნებისმიერ სფეროში (მაგალითად, დასაქმების სფეროშიც) არსებული პრობლემების დაძლევის ქმედითი ინსტრუმენტია და მოსაწონია, რომ ამჟამად, საქართველოში 2022-2026 წლებისათვის გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული ხუთწლიანი პროგრამა ხორციელდება, რომელშიც სრულადაა გათვალისწინებული მანამდე მიღებული - 2021-2024 წლების სამთავრობო პროგრამის ხედვები და საკვანძო მიმართულებები.

მოკლედ, 2022-2026 წლებისათვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამის (NEAP-4) შესახებ, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის # 1629 განკარგულებით 2022 წლის 7 სექტემბერს. გასულ წელს აღნიშნულ პროგრამაში მცირე ცვლილება შევიდა, რომელიც დაფიქსირებულია საქართველოს მთავრობის 2023 წლის # 1385 განკარგულებაში.

2022-2026 წლებისათვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა პროგრამა წარმოდგენილია 6 თავითა და 3 დანართით. პროგრამაში 13 სექტორული პრიორიტეტის (გარემოსდაცვითი მმართველობა, წყლის რესურსების დაცვა, შავი ზღვის დაცვა, ატმოსფერული ჰაერის დაცვა, მიწის რესურსების დაცვა, ნარჩენების მართვა, ქიმიური ნივთიერებების მართვა, ბიომრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიები, ტყის მართვა, კლიმატის ცვლილება, ბუნებრივი საფრთხეებისა და რისკის მართვა, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება, გარემოსდაცვითი განათლება) მიხედვით ჩატარებული დეტალური სიტუაციური ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია პროგრამის მიზნები და ამოცანები, შესრულების ინდიკატორები, საბაზისო მაჩვენებლები, ვადები, გათვალისწინებული ქმედებების განხორციელებისა და კოორდინაციის, ასევე, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.

რაც შეეხება დანართებს, **პირველი დანართი** წარმოადგენს მოქმედებათა 5-წლიან გეგმას, რომელშიც ზემოაღნიშნული პრიორიტეტების მიხედვით, მოცემულია დასახული მიზნები და ამოცანები, მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებების, პარტნიორი უწყებების, შეფასების კრიტერიუმების, ვადების, დაფინანსების წყაროებისა და დაფინანსების მოცულობის მითითებით. **მეორე დანართში** პრიორიტეტების მიხედვით ასახულია პროგრამით გათვალისწინებული თითოეული აქტივობის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები (ხელფასის, ნედლეულისა და მასალების, საოფისე ინვენტარის შეძენის და ა.შ.) წლების მიხედვით, დაფინანსების წყაროს, ხარჯების კატეგორიის და ა.შ. მითითებით. ხოლო **მესამე დანართში** მოცემულია საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიში. კონკრეტულად კი მასში პროგრამის განხორციელების დასაწყისიდან დასრულებამდე პერიოდში აისახება პრიორიტეტების მიხედვით ჩატარებული კონსულტაციების რაოდენობა წლის, თვისა და რიცხვის, ასევე, განხილული თემების, მონაწილეთა რაოდენობის, შემოსული წინადადებებისა და რეკომენდაციების მითითებით.

საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამიდან ჩანს, რომ მის განსახორციელებლად, სავარაუდოდ[1], საჭირო იქნება 3,035,935,091.0 ლარი, აქედან 1,811,024,352.0 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება, ხოლო 1,168,429,246.0 ლარი სხვა წყაროებიდან შეივსება, და-

1 პროგრამაში წინასწარვეა გათვალისწინებული, რომ მომვალში, აუცილებლობის შემთხვევაში, მისი ესა თუ ის ნაწილი შეიძლება დაზუსტდეს, რამაც, გამორიცხული არაა, დაფინანსების საერთო მოცულობის ცვლილება გამოიწვიოს.

ნარჩენი 56,481,494.0 ლარის (დაფინანსების საერთო მოცულობის 1.86%-ის) მოსაძიებლად გაგრძელდება მუშაობა დონორ ორგანიზაციებთან. სავარაუდოა, რომ საქართველოს, როგორც ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყანას, ქმედითი ღონისძიებების გატარების შედეგად ზემოაღნიშნული ოდენობის თანხების მოძიება არ გაუჭირდება.

როგორც აღვნიშნეთ, ნებისმიერ ქვეყანაში გარემოს დაცვის სფეროში არსებული პრობლემების დაძლევაში სახელმწიფოს ყველა რგოლის (ცენტრალური ხელისუფლების ყველა შტოს, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი თვითმმართველობის) ჩართულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ საერთო წარმატების მიღწევაში არანაკლებ მნიშვნელოვანია ბიზნესისა და მოსახლეობის მონაწილეობა და ეს ზემოაღნიშნული პროგრამიდანაც ჩანს. აღნიშნულ პროგრამაში მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი მის შემუშავებასა და რეალიზაციაში ბიზნესისა და მოსახლეობის ჩართულობის საკითხს. პროგრამიდან ჩანს, რომ ერთი მხრივ, მის განმახორციელებლებს, მეორე მხრივ, კი ბიზნესისა და მოსახლეობის წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობა პროგრამის იმპლემენტაციის ეტაპზეც აქტიურად გაგრძელდება, რაც მას კიდევ უფრო სრულყოფილს გახდის. სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ-ჯერობით, გარემოსდაცვით საქმიანობაში ბიზნესის, განსაკუთრებით საშუალო და მცირე ბიზნესის აქტიურად მონაწილეობაზე მსჯელობა ნაადრევია, მაგრამ ქვეყნის ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან გატარებული ღონისძიებების შედეგად (მხედველობაში გვაქვს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, ქვეყანაში გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელება, მაკონტროლებელი ფუნქციის გაძლიერება და ა.შ.) ფაქტია, რომ ამ მხრივ მდგომარეობა წლითი-წლობით უმჯობესდება, ბიზნესიც და მოსახლეობაც უფრო და უფრო სრულად იზიარებს გარემოსდაცვითი ქმედებების განხორციელების აუცილებლობას.

დღეს უკვე არასაკმარისია მიმართვა: - „არ დაანაგვიანო“. ქვეყნის ცენტრსა თუ რეგიონებში გარემოსდაცვითი პროგრამა-პროექტების შემუშავება-რეალიზაციაში მოსახლეობა მეტი აქტიურობით უნდა ჩაებას, მითუმეტეს, რომ ამას პირდაპირ მოითხოვს საქართველოს კანონი - გარემოსდაცვითი კოდექსი (მუხლი 12, &1,4.). ამიტომ, ამ მიმართულებით საჭიროა ახსნა-განმარტებითი საქმიანობის ფართოდ გაშლა, იმ სიკეთის თითოეულ მოქალაქემდე დაყვანა, რაც, მათ, ჯანსაღი გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებამ შეიძლება მოუტანოს. ხელისუფლებასთან ერთად, ამ მხრივ, ძალზე მნიშვნელოვანია მასმედიის როლი.

მოსახლეობასთან და შესაბამის მუნიციპალიტეტებთან არასათანადო კომუნიკაცია ზრდის უნდობლობას დაგეგმილი პროექტების მიმართ, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ-ს) დოკუმენტაციის საჯარო განხილვების ჩაშლის საფრთხეს და საჯარო განხილვებზე კონფლიქტური სიტუაციების

წარმოშობის რისკს, განსაკუთრებით, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების შემთხვევაში[1].

ამიტომაც არის, რომ წარმოდგენილ პროგრამაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების, გარემოსდაცვითი ქცევის ცვლილებისა და შესაბამისი უნარების განვითარება მიჩნეულია ერთ-ერთ პრიორიტეტულ და ამავე დროს მეტად რთულ მიმართულებად. ადვილი არაა, გარემოსადმი გარკვეული ზომით ნიჰილისტური დამოკიდებულება, რომელიც მოსახლეობაში ათეულ წლობით ყალიბდებოდა, ერთბაშად შეიცვალოს, ამიტომ პროგრამაში გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიების გატარება, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ და უმაღლესი განათლების სისტემაში, ასევე, მოსახლეობაში. კერძოდ, „ჩატარდება კვლევა პროგრამის - „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება" - განხორციელების შეფასებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, საქართველოს ყველა სკოლისთვის იქნება ხელმისაწვდომი სპეციალურად დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისთვის შექმნილი დამხმარე სახელმძღვანელო გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ, რომლის მიხედვითაც გადამზადდებიან პედაგოგები მთელი ქვეყნის მასშტაბით, გარემოსდაცვითი მიმართულების პროფესიების განვითარების ხელშეწყობის მიზნით გაძლიერდება თანამშრომლობა პროფესიული უნარების სააგენტოსთან დარგობრივი უნარების ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის ჩართულობის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მიმართულებით, ახალი კვალიფიკაციების შემუშავებისა და არსებული კვალიფიკაციების გადახედვის მიზნით, რის საფუძველზეც შემუშავდება/გადაიხედება პროფესიული და საგანმანათლებლო სტანდარტები და პროფესიული პროგრამები" https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/34047).

სასაწავლო პროგრამების სრულყოფასთან ერთად გააქტიურდება სააგიტაციო-პროპაგანდისტული საქმიანობა იმ მიზნით, რომ „არ დაანაგვიანოს" შეხსენება არავისთვის საჭირო აღარ გახდეს და გარემოს დაცვა ყველასათვის სასიცოცხლო მოთხოვნილებად გადაიქცეს.

ცალკე უნდა აღინიშნოს გარემოსდაცვითი სფეროს შესაბამისი კადრებით უზრუნველყოფის შესახებ. საქართველოში, დასაქმების სფეროში ზოგადად კურიოზული ვითარება შეიქმნა, უმუშევრობის მაღალ დონესთან ერთად რიგი პროფესიის სპეციალისტებზე მწვავე დეფიციტიც შეინიშნება. ასეთ მდგომარეობაშია გარემოსდაცვითი სფეროც. ამიტომ, აუცილებელია, ერთი მხრივ, საქართველოს პროფესიულ და უმაღლესი განათლების სისტემაში დროულად დაიხვეწოს შესაბამისი ტიპის არსებული პროგრამები (შეიქმნას ახალიც), სათანადო ყურადღება დაეთმოს პედაგოგიური პერსონალის გადამზადების პროცესის სრულყოფას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ქვეყანაშიც და მის ფარგლებს გარეთაც. მეორე მხრივ, სახელმწიფოს ხარჯზე უნდა გაგრძელდეს ახალგაზრდების უშუალოდ საზღვარგარეთ მომზადება გა-

[1] აღნიშნულ პროგრამაში ხაზგასმულია სხვა რისკის შესახებაც, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მსხვილი გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელებას.

რემოსდაცვითი მიმართულებებით, ამასთან, საქართველოში დაბრუნებისა და დასაქმების პირობით.

შესაბამისი კვლევების საფუძველზე საქართველოს გარემოსდაცვით პროგრამაში აღნიშნულია, რომ „შრომის ბაზარზე დეფიციტურ პროფესიებზე მზარდი მოთხოვნის შესაბამისად მოსახლეობის ზრდასრულ სეგმენტში იზრდება გადამზადების მსურველთა რაოდენობა. შესაბამისად, დაგეგმილია როგორც მოკლევადიანი სასერტიფიკატო კურსების შექმნა/განახლება, ასევე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ მომზადება/გადამზადების კურსების განხორციელების უფლების მოპოვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან".

## საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამის (*NEAP-4)* მართვის ზოგიერთი საკითხი (2022-2026წწ)

როგორც უკვე აღინიშნა, მწვანე, ანუ გარემოსდაცვითი მენეჯმენტის საბოლოო მიზანია რესურსების რაციონალური გამოყენება ბუნებრივ გარემოზე ზიანის მიუყენებლად, რაც მიიღწევა სპეციალური ღონისძიებების გეგმის (პროგრამის) შემუშავებისა და რეალიზაციის საფუძველზე. ისიც აღინიშნა, რომ ჩვენი ხელისუფლება, ბოლო წლებში, „მწვანე მენეჯმენტის" საკითხებს ჯეროვან ყურადღებას უთმობს, მუშავდება მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამები, წლითი-წლობით იზრდება შესაბამისი ღონისძიებების დასაფინანსებლად ქვეყნის ბიუჯეტებიდან გამოყოფილი ასიგნებების ოდენობა.

ამჟამად, საქართველოში მწვანე მენეჯმენტის მთავარი ობიექტია 2022-2026 წლებისათვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა - *(NEAP-4)*, ამიტომ, საინტერესოა მისი მართვის მექანიზმი.

პროგრამაში აღნიშნულია, რომ მისი განხორციელების მთავარი მაკოორდინირებელი ორგანოა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ხოლო სამდივნოს ფუნქციას ასრულებს ამავე სამინისტროს პოლიტიკის კოორდინაციისა და ანალიტიკის დეპარტამენტი. იმის გამო, რომ პროგრამაში ჩართულია სხვადასხვა სამინისტროს (განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სხვა უწყებების) დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მუნიციპალიტეტები, ასევე, მოსახლეობა[1] საქართველოს გარემოს დაცვისა და

[1] პროგრამაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „საკითხების კომპლექსურობისა და ინტერსექტორული თავისებურების გამო, გარემოსდაცვითი მმართველობის აქტორები არიან არა მარტო სამთავრობო, არამედ არასამთავრობო და ბიზნეს-ორგანიზაციები, ასევე ადგილობრივი თემები და მოსახლეობა".

სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით შეიქმნა პროგრამის განხორციელების სამუშაო ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულია როგორც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ასევე, სხვა უწყებების წარმომადგენლები. გაწერილია პროგრამის განხორციელების 5-წლიანი სამოქმედო გეგმა (დანართი 1), რომელიც მის მართვას აადვილებს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკის კოორდინაციისა და ანალიტიკის დეპარტამენტი (პროგრამის სამდივნო) პროგრამის განხორციელების მონიტორინგის მიზნით, 6 თვეში ერთხელ, პროგრამის პასუხისმგებელი შემსრულებლებიდან (უწყებებიდან), დადგენილი წესის შესაბამისად, გამოითხოვს ინფორმაციას დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების მდგომარეობის შესახებ (რა შესრულდა, რა ვერ შესრულდა და რატომ ვერ შესრულდა). სამდივნოსთან ერთად შეფასების პროცესში მონაწილეობას ღებულობენ დამოუკიდებელი ექსპერტები ან კომპეტენტური ორგანიზაციები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე იბადება კითხვა: როცა ქვეყნისათვის ასეთი მნიშვნელოვნი პროგრამა ხორციელდება, რომელშიც ჩართულია ქვეყნის სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურები, მუნიციპალიტეტები, ასევე ბიზნესორგანიზაციები და რაც მთავარია, მოსახლეობა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ან სამდივნოს, ან ერთი სამინისტროს დეპარტამენტის უფლებამოსილება საკმარისი იქნება ამ მეტად რთული პროგრამის მართვისათვის? გასაგებია, რომ აუცილებლობის შემთხვევაში, მართვის პროცესში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრიც ჩაერთვება (მითუმეტეს, რომ შესაბამისი კანონით, გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება ამ სამინისტროს კომპეტენციაა), მაგრამ მას, უფლებამოსილებიდან გამომდინარე, შეუძლია პირდაპირი გავლენა მოახდინოს, მაგალითად, მუნიციპალიტეტებზე, რომელთა როლი აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში მეტად მნიშვნელოვანია (განსაკუთრებით მოსახლეობასთან ურთიერთობის ნაწილში)?.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ სამართავი სისტემის სირთულის, მრავალფეროვნებისა და მრავალასპექტიანობის გამო, მართებული იქნებოდა აღნიშნული პროგრამის საერთო ხელმძღვანელობა დაკისრებოდა სამთავრობო ჯგუფს ან კომისიას, რომლის თავმჯდომარე ქვეყნის ვიცე-პრემიერი იქნებოდა, რაც ზემოაღნიშნული სამუშაო ჯგუფის თუ სამდივნოს მუშაობის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად აამაღლებდა. საქმე ისაა, რომ გარემოს დაცვის სფეროში შერჩეული 13 პრიორიტეტის მიხედვით დაგეგმილი ღონისისძიებების სრულად განხორციელება, როგორც უკვე აღინიშნა, წარმოუდგენელია სამინისტროების, მუნიციპალიტეტების და ა.შ. აქტიური ჩართულობის გარეშე, რომლებზეც მინისტრს, განსხვავებით ვიცე--პრემიერისაგან, პირდაპირი გავლენის ბერკეტები არ გააჩნია. ვიცე-პრემიერს კი სამინისტროებსა და მუნიციპალიტეტებზე (სახელმწიფო რწმუნებულის

სამსახურის მეშვეობით) პირდაპირი გავლენის მოხდენა შეუძლია. გასაგებია, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს კოლეგიალური ურთიერთობები აქვს სხვა სამინისტროების ხელმძღვანელებთან, მაგრამ ასეთი რთული სახელმწიფო პროგრამის წარმატებით განხორციელებას უფრო მნიშვნელოვანი გარანტიები ესაჭიროება, ვიდრე თუნდაც მინისტრებს შორის კარგი პირადი ურთიერთობებია.

კიდევ უფრო რთულადაა საქმე არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის საკითხში. სამწუხაროდ, საქართველოში არსებულ რიგ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ურთიერთობა, სხვადასხვა მიზეზის გამო, არათუ მინისტრს, არამედ მთავრობასაც კი უჭირს, მაგრამ მაინც უკეთესი იქნება თუ მათთან საერთო ენის გამონახვას მთავრობა შეეცდება და არა მინისტრი, რომელსაც, ამ მხრივ, წარმატების მიღწევის ბევრად ნაკლები შანსი აქვს.

სტატიაში უკვე აღინიშნა გარემოდაცვითი ღონისძიებების რეალიზებაში მუნიციპალიტეტების მნიშვნელოვანი როლის შესახებ. ეს, 2022-2026 წლებისათვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნულ პროგრამიდანაც *(NEAP-4)* ჩანს. გარემოსდაცვით პროგრამებში, მათ შორის მიმდინარე მეოთხე პროგრამის სამოქმედო გეგმაში (უმეტესად პარტნიორ უწყებად, ნაკლებად კი პასუხისმგებელ უწყებად) მოხსენიებულია 15 -მდე მუნიციპალიტეტი, მხოლოდ 5-მდე დავალება (ღონისძიება) ეხება ყველა მუნიციპალიტეტს. სამწუხაროდ, პროგრამულ დავალებებში მოხსენიებული არაა „მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება“, რაც მართებული არ უნდა იყოს. ასეთი დავალება, შესაბამის ორგანიზაციებთან ერთად ყველა მუნიციპალიტეტს უნდა მიეცეს.

მუნიციპალიტეტებმა, ცენტრალური ხელისუფლების სტრუქტურებთან ერთად, აქტიურად უნდა იმუშაონ, რომ მოსახლეობამ სრულად გააცნობიეროს გარემოს დაცვის სფეროში მისი როგორც უფლებები - ცხოვრობდეს თავისი ჯანმრთელობისათვის უვნებელ და ჯანსაღ გარემოში, მიიღოს გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური განათლება, აიმაღლოს გარემოსდაცვითი ცნობიერების დონე, მონაწილეობდეს გარემოს დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვისა და მიღების პროცესში და ა.შ. ასევე ვალდებულებები - რომ კარგად უნდა გააცნობიეროს და შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები გარემოს დაცვის სფეროში; გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს და ა.შ. (კანონი გარემოს დაცვის შესახებ, მუხლი 6-7). სამწუხაროდ, ჩვენი მოსახლობის ნაწილს გარემოს დაცვის სფეროში მისი არც უფლებები და არც მოვალეობები სათანადოდ გაცნობიერებული არა აქვს, რაც მნიშვნელოვანი პრობლემაა. მართალია, უკანასკნელ წლებში, მუნიციპალიტეტებმა გარემოს დაცვის მიმართულებით სასარგებლო ღონისძიებები განახორციელეს (სოფლად საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებლად ურნების დადგმა, სხვადასხვა მიმართულებით გარემოს დაცვაზე კონტროლის გაძლიერება და სხვა), რაც მოსაწო-

ნია, მაგრამ მათ, მოსახლეობის მიერ ზემოაღნიშნული უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობიერების საქმეში უფრო წონადი წვლილი უნდა შეიტანონ.

მუნიციპალიტეტებს მეტი აქტიურობა სხვა მხრივაც მართებთ. მხედველობაში გვაქვს არაერთი ფაქტი, როცა მოსახლეობის ერთმა ნაწილმა ამა თუ იმ პროექტის განხორციელებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების მცდარად აღქმის გამო, სრულიად დაუსაბუთებლად ჩათვალა, რომ ამა თუ იმ პროექტის რეალიზება გარემოსთვის დიდი ზიანის მომტანი იქნება და ქვეყნისათვის, ასევე, თვით რეგიონისათვის მეტად სასარგებლო არაერთი პროექტი დაიბლოკა უსაფუძვლო, არაერთი პროტესტის გამო. თუ გარემოზე ზემოქმედების მხრივ პროექტის განსახორციელებლად საჭირო ყველა კვლევა საფუძვლიანადაა ჩატარებული და დამტკიცებულია, რომ პროექტის განხორციელებით, გარემოს არსებითი ხასიათის ზიანი არ მიადგება, მაგრამ მოსახლეობის ერთი ნაწილი მას მაინც ეწინააღმდეგება, შეიძლება ითქვას, რომ ისინი პროექტის განხორციელებით გრემოზე მოსალოდნელ ზემოქმედებას ან სათანადოდ ვერ აცნობიერებენ, ან წინასწარი განზრახვით, სხვადასხვა მიზეზით, სინამდვილის გაყალბებას შეგნებულად ცდილობენ. პირველ შემთხვევაში, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით მუნიციპალიტეტების მხრიდან (ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან, პროექტის ავტორებსა და განმახორციელებლებთან ერთად) დამატებითი ახსნა-განმარტებითი მუშაობაა საჭირო, მეორე შემთხვევა კი, შესაბამისი სამსახურების მოკვლევის საგანი უნდა გახდეს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტების უმეტესობას (თუ ყველას არა) გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაფინანსების შესაძლებლობა არა აქვს. ამიტომ, ქვეყანაში გარემოსდაცვითი პროგრამების განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფის პრობლემა სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს, გარემოსდაცვითი ღონისძიებები ან თვითონ, უშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დააფინანსოს, ან მუნიციპალიტეტები მიზნობრივი ტრანსფერით უზრუნველყოს, ან დაეხმაროს მათ დაფინანსების სხვა წყაროების მოძიებაში.

მაშასადამე, მომავალში, გარემოსდაცვითი საქმიანობის მართვა, როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონულ გარემოსდაცვით სამსახურებთან ერთად მუნიციპალიტეტების საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულება უნდა გახდეს.

გარემოს დაცვის ხუთწლიანი მიზნობრივი პროგრამის საფუძვლიანად დამუშავებას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მის წარმატებით განხორციელებაში არანაკლებ მნიშვნელოვანია საგეგმო დავალებების ყოველწლიური შესრულების ეფექტიანი მონიტორინგი. ამ მიზნით ზემოაღნიშნული პროგრამის მართვის რგოლი - სამდივნო, ყოველ 6 თვეში ერთხელ, შემსრულებლებისგან გამოითხოვს ინფორმაციას მათზე გაპიროვნებული ამოცანების შესრულების მდგომარეობის შესახებ და ამ საფუძველზე ამზადებს 6 თვიან და წლიურ ანგარიშებს. მონიტორინგის მასალების ანალიზის საფუძველზე ხდება პროგრა-

მის მიმდინარეობის საბოლოო შეფასება, რომელშიც სამდივნოსთან ერთად მონაწილობენ დამოუკიდებელი ექსპერტები ან ორგანიზაციები. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიმდინარეობის შეფასების შედეგების საფუძველზე შესაძლებელია მომდევნო წლების საგეგმო დავალებების პარამეტრების დაზუსტება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოში გარემოსთან დაკავშირებით არსებული სიტუაციით დაინტერესებული ორგანიზაციების, ასევე ფართო საზოგადოების ინფორმირების მიზნით, გარემოს დაცვის შესახებ კანონის შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობით, 4 წელიწადში ერთხელ მუშავდება შემაჯამებელი დოკუმენტი - ეროვნული მოხსენება გარემოს მდგომარეობის შესახებ. 2018-2021 წლებში გარემოს მდგომარეობის შესახებ ვრცელი (451 გვერდიანი) მოხსენების დამუშავებაში მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ეროვნული ცენტრის (REC Caucasus) ექსპერტებმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, ფინანსთა სამინისტრომ, ოკუპირებული რეგიონებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, აფხაზეთისა და აჭარის ა/რ მთავრობებმა, ქ.თბილისისა და ქ.ბათუმის, ახმეტის, ქედის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, შუახევის, ხულოს, მუნიციპალიტეტების მერიებმა. მოხსენებაში დეტალურადაა გაანალიზებული გარემოს ისეთი მიმართულებები, როგორიცაა: გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობა (ატმოსფერული ჰაერი, წყლის რესურსები, მიწის რესურსები, ნიადაგი და სხვ); სხვა გარემოსდაცვითი საკითხები და რისკი (კლიმატის ცვლილება, სტიქიური მოვლენები, ნარჩენები და სხვ); ეკონომიკის სექტორების ზემოქმედება გარემოზე (ნადირობა და თევზჭერა, ტყით სარგებლობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, მრეწველობა და ენერგეტიკა); გარემოსდაცვითი მმართველობა (გარემოსდაცვითი პოლიტიკა და დაგეგმვა, გარემოსდაცვითი რეგულირება და კონტროლი, გარემოსდაცვითი კვლევები, განათლება, ცნობიერების ამაღლება).

ზოგადად, ასეთი ტიპის მოხსენებებს, სტრატეგიული გარემოსდაცვითი გეგმების პარამეტრების დაზუსტებისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომაც იყო, რომ მასში ასახული ძირითადი დასკვნებისა და რეკომენდაციების უმეტესობა გათვალისწინებულ იქნა 2022-2026 წლებისათვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნულ პროგრამაში *(NEAP-4)* , რაც ძალიან კარგია. მაგრამ, ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნებოდა ასეთი მოხსენებების ან გარემოსდაცვითი პროგრამების დამუშავებაში მონაწილეობას ღებულობდეს საქართველოს მონიციპალიტეტების არა შეზღუდული წრე (არამხოლოდ ისინი, სადაც, უშუალოდ, რომელიმე გარემოსდაცვითი ღონისძი-

ება ხორციელდება), არამედ ყველა მუნიციპალიტეტი, რადგან გარემოს დაცვის პრობლემების დიდი ნაწილი (მაგალითად, გარემოს დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლება, წყლის, ჰაერის, მიწის რესურსების, ნიადაგის და ა.შ. დაბინძურება, ნარჩენების მართვა და ბევრი სხვა), მართალია, მეტ-ნაკლები ზომით, მაგრამ ყველა მუნიციპალიტეტს ეხება.

## დასკვნა და რეკომენდაციები

- მისასალმებელია, რომ საქართველოში გარემოსდაცვითი პროგრამების დამუშავება, ტრადიციად ჩამოყალიბდა. ქვეყანაში ამჟამად მიმდინარე გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამის *(NEAP-4)* შედეგების შეჯამებისა და შეფასების შემდეგ ნავარაუდევია 2027-2031 წლებისათვის მეხუთე ეროვნული პროგრამის დამუშავება.
- საქართველოში გარემოსდაცვითი გრძელვადიანი პროგრამების მსგავსად უნდა დამუშავდეს და რეალიზებულ იქნეს დასაქმების, სიღარიბის დაძლევის და სხვა მიმართულების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები;
- სამართავი სისტემის სირთულის, მრავალფეროვნებისა და მრავალასპექტიანობის გამო, მართებული იქნებოდა აღნიშნული პროგრამის საერთო ხელმძღვანელობა სამთავრობო ჯგუფს ან კომისიას დაკისრებოდა, რომლის ხელმძღვანელი ქვეყნის ვიცე-პრემიერი იქნებოდა. საქმე ისაა, რომ არც ზემოაღნიშნულ სამდივნოს ან სამუშაო ჯგუფს, თვით მინისტრსაც, ვიცე პრემიერისაგან განსხვავებით, სამინისტროებზე, მუნიციპალიტეტებზე, არასამთავრობო ორგანიზაციებზე, პირდაპირი გავლენის ბერკეტები არ გააჩნია;
- გარემოს დაცვის ხუთწლიანი მიზნობრივი პროგრამების საფუძვლიანად დამუშავებასა და წარმატებით განხორციელებაში მნიშვნელოვანია ყოველწლიური საგეგმო დავალებების შესრულების მიმდინარეობის ეფექტიანი მონიტორინგი და მისი შედეგების სრულფასოვანი შეფასება. შესაბამისი ინფორმაციიდან ჩანს, რომ ამ მხრივ საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკა ცუდი არაა, მაგრამ ვფიქრობთ, თუ გარემოსდაცვითი პროგრამის შესრულების მონიტორინგის შედეგების შეჯამებასა და შეფასებაში გარე აუდიტი ჩაერთვება, საბოლოო შედეგები უკეთესი იქნება;
- გარემოსდაცვით სფეროში განსახორციელებელი პროგრამების დამუშავებასა და რეალიზაციაში, ასევე, გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების მომზადებაში მუნიციპალიტეტების სრული შემადგენლობა უნდა მონაწილეობდეს, რადგან გარემოს დაცვის ესა თუ ის საკითხი, მეტ-ნაკლები ზომით, თითქმის ყველა მუნიციპალიტეტს ეხება;
- მთლიანობაში უნდა ითქვას, რომ 2022-2026 წლებისათვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამის წარმატებით განხორციელება, ერთი მხრივ, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და მდგრადი განვითარების საქმეში, მეო-

რე მხრივ კი, მძლავრი წინგადადგული ნაბიჯი იქნება საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების გზაზე.

**ლიტერატურა:**


- საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, 22/01/1997. https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340?publication=33 (ბოლო ნახვა 3 თებერვალი,2024)
- საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, 2017, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3691981?publication=13 (ბოლო ნახვა 3 თებერვალი, 2024)
- 2022-2026 წლებისათვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა, https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/34047 (ბოლო ნახვა 3 თებერვალი, 2024)
- საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს განკარგულება № 1385, 2022-2026 წლებისათვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 7 სექტემბრის №1629 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე; https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/-5899519?publication=0 (ბოლო ნახვა 3 თებერვალი,2024)
- საქართველოს 2013 და 2024 წლების სახელმწიფო ბიუჯეტები, https://www.mof.ge/saxelmwifo_biujeti_wlebis_mixedvit (ბოლო ნახვა 3 თებერვალი,2024)
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულება, საქართველოს მთავრობის დადგენილება №112, ქ. თბილისი, 2018 წლის 6 მარტი; https://matsne.gov.ge/ka/document/view/4093329?publication=0 (ბოლო ნახვა 3 თებერვალი,2024)
- რობინსი ს., კოულტერი მ., (2019), მენეჯმენტი, მეთორმეტე გამოცემა, ქართული თარგმანი, თსუ-ს გამომცემლობა, გვ.796. https://tsu.ge/assets/media/files/7/biblioteka/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A1.%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0.%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%AF.%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%AB%E1%83%95%E1%83%9A_compressed.pdf (ბოლო ნახვა 3 თებერვალი,2024)
- ტუღუში მ. (2019),„მწვანე მენეჯმენტის" ზოგიერთი საკითხი საქართველოში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული -„მწვანე ეკონომიკის" ფორმირების თანამედროვე პრობლემები", თბ., 21-22 ივნისი. https://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=0&cat=arq&leng=ge&adgi=844&title; (ბოლო ნახვა 3 თებერვალი,2024)
- Green Management – Concept and Strategies; National Conference on Marketing and Sustainable Development, October-13-14, 2017; https://www.researchgate.net/publication/330089504_Green_Management-Concept_and_Strategies (ბოლო ნახვა 3 თებერვალი,2024)

References:


- Law of Georgiaon Environmental Protection-22/01/1997 https://www.m-atsne.gov.ge/en/document/view/33340?publication=21 (Last seen 3 February, 2024) in Georgian
- Law of Georgia Environmental Assessment Code, 01.06.2017 https://matsne.gov.ge/en/document/view/3691981?publication=10(Last seen 3 February, 2024) in Georgian
- The Fourth National Environmental Action Programme of Georgia for 2022-2026; https://www.google.com/search?q=Fourth+National+Environmental+Protection+Actions+of+Georgia+for+2022-2026+program%2C&oq=Fourth+National+Environmental+Protection+Actions+of+Georgia+for+2022-2026+program%2C&aqs=chrome..69i57.3196j0j7&sourceid=chrome&ie=UTF-8#ip=1 (Last seen 3 February,2024) in Georgian
- Decree No. 1385 of the Government of Georgia dated August 3, 2023, for the years 2022-2026 On the approval of the Fourth National Program of Environmental Protection Actions of Georgia" https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/-5899519?publication=0 (Last seen 3 February,2024) in Georgian
- State Budget of Georgia for 2013-2024 https://www.google.com/search?q=State+-budget+of+Georgia+for+2024&oq=State+budget+of+Georgia+for+2024&aqs=chrome..69i57j69i59j0i22i30l2j0i390i512i650l2.6037j0j7&sourceid=chrome&ie=UTF-8 (Last seen 3 February,2024) in Georgian
- Regulation of the Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia, Resolution of the Government of Georgia No. 112, St. Tbilisi, March 6, 2018. in Georgian https://leap.unep.org/en/countries/ge/national-legislation/resol (Last seen 3 February,2024)
- Robbins St., Coulter M., (2019). Menejmenti [Management, twelfth edition, translation, TSU Publishing House.] in Georgian https://tsu.ge/assets/media/-files/7/biblioteka/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A1.%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0.%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%AF.%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%AB%E1%83%95%E1%83%9A_compressed.pdf (Last seen 3 February,2024)
- Tugushi M., (2019). – mcvane menejmentis zogierti sakitxi saqartveloshi ["Some Issues of "Green Management" in Georgia " International Scientific Conference „Modern Problems of the Formation of "Green Economy". TSU, Tbilisi, June.] in Georgian https://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=0&cat=arq&leng=ge&adgi=844&title (Last seen 3 February, 2024)
- Green Management – Concept and Strategies;( 2017) National Conference on Marketing and Sustainable Development October 13-14,; https://-www.researchgate.net/publication/330089504_Green_ManagementConcept_and_Strategies (Last seen 3 February, 2024)

# Green Management - the Most Important Condition for the Revival of Green Economy

**Miron Tugushi**
*Associate Professor*
*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*
*Miron.tugushi@tsu.ge*

*Green or environmental management, which is often referred to as eco-management, is a component of management theory and practice, the ultimate goal of which is the rational use of resources without harming the natural environment.*

*In the development plans of the country or its regions developed at the beginning of the transition period to Soviet-era and market relations in Georgia, the main attention was shifted to economic and social aspects, and less attention was paid to environmental measures. Currently, the situation in this regard has changed radically, almost no important program or project is developed without environmental impact assessment (EIA), strategic environmental assessment (SEA) and other necessary studies. The amount of funding for environmental measures has also increased, for example, 189.4 million GEL has been allocated from the state budget of Georgia to finance environmental protection programs in 2024, while only 30.9 million GEL was allocated for this purpose in 2013, i.e. approximately 6 times less. It should also be noted that in the 2013 budget there were no allocations at all for environmental protection, such as waste collection and disposal, wastewater management, pollution control, etc. This is undoubtedly a step forward.*

*It should be noted here that the development and full implementation of state targeted programs in any area (for example, in the field of employment) is an effective tool for overcoming existing problems, and it is gratifying that the fourth national program of environmental measures for 2022-2026 is currently being implemented in Georgia and after summing up its results, the implementation of the fifth national program (2027-2031) is expected.*

*The Georgian Environmental Action Program for 2022-2026 is presented in 6 chapters and 3 annexes. The program presents its goals and objectives, performance indicators, key indicators, time frames for implementation and coordination of planned actions, as well as monitoring and evaluation mechanisms based on a detailed situational analysis carried out across 13 sectoral priorities.*

*In overcoming environmental problems in any country, the involvement of all parts of the state is of particular importance, but in achieving overall success, the participation of business and the population is equally important, and this is evident from the above-mentioned program. It is a fact that in this regard, in Georgia, the situation is improving*

*year by year, both business and the population increasingly share the need to implement environmental actions.*

*The management mechanism of the above program deserves attention. It is mentioned that the main coordinating body for the implementation of the program is the Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia, and the policy coordination and analysis department of the same ministry performs the function of the secretariat. Due to the fact that the program involves services under the jurisdiction of various ministries, non-governmental organizations, municipalities, as well as the population, by order of the Minister of Environment and Agriculture of Georgia, a working group for the implementation of the program was created, which includes representatives of the Ministry environment and agriculture, as well as other departments. A five-year action plan for the implementation of the program has been written (Anex 1), which facilitates its management.*

*In view of the complexity, diversity and versatility of the management system, in our opinion, it would be advisable to entrust the overall management of this program to a government group or commission, the head of which would be the country's Deputy Prime Minister. The fact is that neither the aforementioned secretariat, nor the working group, nor even the minister, unlike the deputy prime minister, have any levers of direct influence on ministries, municipalities, and non-governmental organizations.*

*When carefully developing and successfully implementing five-year targeted environmental protection programs, it is important to effectively monitor the progress of annual planning tasks and fully evaluate their results. From the relevant information it is clear that the current practice in Georgia in this regard is not bad, but we believe that if an external audit is included in the summing up and evaluation of the results of monitoring the implementation of the environmental program, the final result will be better.*

*The entire composition of municipalities (and not just a few) should participate in the development and realization of programs to be implemented in the environmental field, as well as in the preparation of the national report on the state of the environment, because this or that issue of environmental protection concerns almost all municipalities of greater or lesser size;*

*In general, it should be noted that the successful implementation of the fourth national environmental protection action program of Georgia for the years 2022-2026 will, on the one hand, play an important role in the socio-economic and sustainable development of the country, and on the other hand, it will be a powerful step forward on the way to the integration of our country into the European Union.*

***Keywords***: *Green economy, green management, sustainable development, environmental impact, environmental program.*

***JEL Codes:*** *Q00, Q01, Q15, Q51, Q52*

ეკონომიკა და ბიზნესი, 2024, №1, 125-140
Economics and Business, 2024, №1, 125-140

# კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა დაინტერესებული მხარეების კონტექსტით

doi.org/10.52340/eab.2024.16.01.07

**ლეილა ქადაგიშვილი**

*ასისტენტ-პროფესორი*
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*leila.kadagishvili@tsu.ge*

*სტატიაში ბიბლიოგრაფიულ კვლევაზე დაყრდნობით შესწავლილია ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა დაინტერესებული მხარეების კონტექსტით. გაანალიზებულია ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობისა და დაინტერესებული მხარეების შესახებ არსებული მიდგომები და კონცეფციები, მათ შორის ურთიერთობის გარკვევის პერსპექტივით. დასაბუთებულია, რომ თანამედროვე კონკურენტულ საბაზრო გარემოში ბიზნესის გრძელვადიანი, სტრატეგიული მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესმა იზრუნოს არამხოლოდ საკუთარ მოგებაზე, არამედ აიღოს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (კსპ) და გაატაროს ისეთი პოლიტიკა, რომელიც დაინტერესებული მხარეების ინტერესების შესატყვისია. ბიბლიოგრაფიული კვლევით გამოვლინდა, რომ დაინტერესებულ მხარეები გავლენას ახდენენ კომპანიების საქმიანობის ეფექტიანობაზე და მათი შეხედულებების გათვალისწინება საშუალებას აძლევს კომპანიას, უკეთ შეუთავსოს საკუთარი ამოცანები საერთო საზოგადოებრივ მიზნებს. სტატიაში, კომპანიებზე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პოტენციურ გავლენასთან დაკავშირებით დაინტერესებული მხარეების შეხედულებების შესწავლის მიზნით, ჩატარებულია რაოდენობრივი კვლევა, რომლის საფუძველზე დადგენილია, რომ კსპ სოციალური პასუხისმგებლობა აძლიერებს კომპანიის იმიჯსა და რეპუტაციას, ამაღლებს თანამშრომელთა და მომხმარებელთა კმაყოფილებას, აყალიბებს ძლიერ და ჯანსაღ საზოგადოებას, ზრდის შემოსავალს, რაც ადასტურებს მეცნიერ-მკვლევარების მოსაზრებებს კსპ-ის და დაინტერესებული მხარეების ურთიერთობის შესახებ.*

***საკვანძო სიტყვები:*** *კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (კსპ), კსპ-ის მახასიათებლები, ბიზნესი, კომპანია, დაინტერესებული მხარეები, რაოდენობრივი კვლევა.*

## შესავალი

კსპ თანამედროვე ბიზნესში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. იმისთვის, რომ კონკურენტულ საბაზრო გარემოში ბიზნესმა გრძელვადიანი, სტრატეგიული მიზნები წარმატებით განახორციელოს, უმნიშვნელოვანესია, მან იზრუნოს არამხოლოდ საკუთარ მოგებაზე, არამედ გაატაროს საზოგადო-

ებრივ მიზნებსა და ინტერესებზე მორგებული პოლიტიკა. კსპ არ არის მხოლოდ საზოგადოების წინაშე აღებული მორალური ვალდებულების შესრულება ან ფინანსური დანახარჯი კომპანიისთვის. ის კომპანიის მიერ ნებაყოფლობით ნაკისრი ვალდებულებაა, იმოქმედოს მდგრადი განვითარების სამი ძირითადი - ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი - განზომილებით და ბიზნესის განხორციელებისას გაითვალისწინოს ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესები.

თანამედროვე გაგებით, კსპ-ს აქვს უნარი, გააუმჯობესოს კომპანიის იმიჯი და რეპუტაცია, აამაღლოს სამუშაო ძალის მოტივაცია, გაზარდოს მომხმარებელთა კმაყოფილება, უზრუნველყოს კომპანიის გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობა ბაზარზე, ხელი შეუწყოს ძლიერი და ჯანსაღი საზოგადოების შექმნას, შეუსაბამოს ბიზნესი კანონმდებლობას და საერთაშორისო სტანდარტებს, გაზარდოს შემოსავლები, აამაღლოს ცნობიერება გარემოს შესახებ, წაახალისოს ბიზნესი, აიღოს პასუხისმგებლობა კომპანიაში მიმდინარე პროცესების შედეგებზე და შეიტანოს წვლილი ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში (Sadik - Zada 2021, 402-434). კსპ-ის პრაქტიკა უკვე დანერგილია განვითარებულ ქვეყნებში და ბიზნესიც წარმატებით ითვისებს ამ კონცეფციას, წამყვანი ქართული კომპანიებიც სულ უფრო მეტად ცდილობენ კსპ-ის მახასიათებლების ინტეგრირებას ყოველდღიურ საქმიანობაში.

მკვლევართა მოსაზრებით, კსპ უკავშირდება „ბიზნესის ეკონომიკური წარმატების უზრუნველყოფას კომპანიის საქმიანობაში სოციალური და გარემოსდაცვითი განზომილებების გათვალისწინებით. ეს ნიშნავს, რომ თქვენ არამხოლოდ აკმაყოფილებთ თქვენი მომხმარებლის მოთხოვნებს, არამედ ითვალისწინებთ, აგრეთვე, სხვა ადამიანების - თანამშრომლების, მომწოდებლების, მეზობლად, თემში, მცხოვრები ადამიანების მოლოდინებს. შესაბამისად, კსპ ნიშნავს საზოგადოების კეთილდღეობაში დადებითი წვლილის შეტანას და იმ ზემოქმედების მართვას, რასაც ახდენს ბიზნესი გარემოსა და ადამიანებზე“ (ხოფერია, ჩხეიძე 2018, 5-6).

კსპ-ის სიძლიერეს თანამედროვე ბიზნესში ადასტურებს 2020 წელს გლობალური საკონსულტაციო კომპანიის - „რეპუტაციის ინსტიტუტის“ მიერ გამოქვეყნებული კვლევის შედეგები, სადაც ნათლად ჩანს, რომ კომპანიის რეპუტაციის 40% მოდის კ ს პ -ზე. აღნიშნულ კვლევაზე დაყრდნობით, რეპუტაციის ინსტიტუტის ხელმძღვანელი სტივენ ჰან-გრიფისტი ასკვნის, რომ გაიმარჯვებენ ის კომპანიები, რომლებიც საწარმოს პოზიტიურ აღქმას აამაღლებენ, პრიორიტეტს ანიჭებენ კორპორაციულ პასუხისმგებლობას, ძლიერ ლიდერობას, ეთიკურნი არიან, მსჯელობენ კორპორაციული ბრენდის მიზნებზე და ბაზრის დაინტერესებულ მხარეებს (Stakeholder) რთავენ საქმიანობაში (მჭედლიძე 2020).

დღეისათვის, კომპანიათა უმრავლესობა აცნობიერებს, რომ მხოლოდ კანონით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილებით ვერ შემოიფარგლები-

ან. გარდა ამისა, აუცილებელია, კომპანიების მენეჯერებმა აღიარონ სოციალური ვალდებულებები და აქციონერების ფინანსური ინტერესების გარდა, საკუთარი შეხედულებებისამებრ, დაინტერესებული მხარეების ინტერესებიც მიიღონ მხედველობაში, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას, რომ „სხვისი თვალით შეხედოს საკუთარ საქმიანობას, გამოავლინოს არსებული პრობლემები, ახალი პერსპექტივები და უკეთ შეუთავსოს საკუთარი ამოცანები საერთო საზოგადოებრივ მიზნებს" (ხოფერია, 2012, გვ. 126).

ზემოთ მოყვანილი მოკლე მიმოხილვა ნათლად წარმოაჩენს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესწავლის დიდ მნიშვნელობას დაინტერესებული მხარეების კონტექსტით, რაც კვლევის აქტუალურობის ხარისხს ზრდის. წინამდებარე ნაშრომის მიზანია დაინტერესებული მხარეების შეხედულებების შესწავლა ფირმებზე კსპ-ის მახასიათებლების პოტენციურ გავლენასთან დაკავშირებით.

ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, პირველ ეტაპზე შევისწავლეთ კსპ-ისა და დაინტერესებული მხარეების კონცეფციები, მათ შორის არსებული ურთიერთობის გარკვევის პერსპექტივით. ეს კვლევა თვისებრივი ხასიათისაა და ეფუძნება მოხსენიებული ლიტერატურის შინაარსობრივ ანალიზს, როგორც კსპ, ასევე დაინტერესებული მხარეების თეორიების შესახებ. შემდგომ ეტაპზე, რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით, შესწავლილ იქნა დაინტერესებული მხარეების კონკრეტული ჯგუფის - კომპანიის მენეჯერებისა და თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის დასაქმებული სტუდენტების - შეხედულებები კომპანიებზე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პოტენციურ გავლენასთან დაკავშირებით.

## ლიტერატურის მიმოხილვა

**კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა.** კსპ-ის არსი ასოცირდება ისეთ კონცეფციებთან, როგორიცაა კორპორაციული მოქალაქეობა, კორპორაციული სოციალური რეაგირება, კორპორაციული სოციალური აქტივობა და დაინტერესებული მხარეების მენეჯმენტი. კსპ-ის არსის ასეთი კომპლექსური ხასიათის ძირითადი ფაქტორია სწორედ ის, რომ ის აკავშირებს ბიზნესსა და შესაბამის საზოგადოებრივ ჯგუფებს (Löber 2012, 5). კსპ-ის თეორიის ფუძემდებელი აშშ-ის ილინოისის უნივერსიტეტის პროფესორი ჰოვარდ ბოუენია. ნაშრომში - „ბიზნესმენის სოციალური პასუხისმგებლობა", ბოუენმა ჩამოაყალიბა სოციალური პასუხისმგებლობის დოქტრინა და შემოგვთავაზა მოსაზრება, რომლის თანახმად, „მსხვილი კორპორაციების ხელში დიდი ძალაუფლებაა და მათ ქმედებებს მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია საზოგადოებაზე, ამიტომ ბიზნესმენთა პასუხისმგებლობაა, ყოველი გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინონ ეს ზეგავლენა და გაატარონ პოლიტიკა, რომელიც საზოგადოების მიზნებისა და ღირებულებების შესატყვისია (Bowen 1953). კსპ-ის პროგრამებს შეუძლია გაზარდოს ბრენდის ან კომ-

პანიის სახელის აღიარება და რეპუტაცია მომხმარებლებში; გააუმჯობესოს ცხოვრების ხარისხი, ხელი შეუწყოს ეკონომიკურ განვითარებას და შედეგად მყიდველობითუნარიანი კლიენტის ბაზის შექმნას. მას ასევე შეუძლია ინოვაციების სტიმულირება, რადგან უნივერსიტეტებისა და სხვა ორგანიზაციებისთვის გაცემული გრანტები კომპანიებს აძლევს ახალ იდეებს და კვლევისა და განვითარების შესაძლებლობებს (Baron 2004).

კსპ-ის ერთადერთი კონკრეტული განმარტება არ არსებობს. რამდენიმე ათეული წელი დასჭირდა ამ ცნების იმ სახით ჩამოყალიბებას, როგორითაც დღეს ის არსებობს. ვილიამსი და სიეგლი (Williams, Siegel 2011, 117) კსპ-ის ცნებაში გულისხმობდნენ „ქმედებებს, რომლებიც გამომდინარეობს არა მხოლოდ კომპანიის ინტერესებიდან, მიიღოს ეკონომიკური სარგებელი, არამედ კანონით დაწესებულ მოთხოვნათა მიღმა ნებაყოფლობით ვალდებულებას, რომელიც მიმართულია სოციალური კეთილდღეობის შესაქმნელად“. დევისი და ბლომსტრომი კსპ-ს განმარტავენ, როგორც აქტივობას, რომელიც მიმართულია როგორც საზოგადოების, ასევე ორგანიზაციის კეთილდღეობის მისაღწევად (Davis, Blomstrom 1975, 5). ქეროლი თვლის, რომ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა აერთიანებს ეკონომიკურ, სამართლებრივ, ეთიკურ და საქველმოქმედო მოლოდინებს, რომელიც აქვს საზოგადოებას, კომპანიის მიმართ განსაზღვრულ პერიოდში (Carroll 1979, 500).

ევროკავშირის განმარტებით, კსპ არის ბიზნესის პასუხისმგებლობა ქმედებისათვის, რითაც ის გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. კსპ-ის ჭრილში განხორციელებული აქტივობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: იყოს მიმართული მდგრადი განვითარებისკენ (ეკონომიკური, სოციალური განვითარება, გარემოს დაცვა), შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და საერთაშორისო სტანდარტებს, მოიცავდეს დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციას და იყოს ინტეგრირებული საწარმოს ბიზნესსტრატეგიაში და ყოველდღიურ ოპერაციებში (CSR Georgia 2015, 1).

მიუხედავად იმისა, რომ კსპ-ის არაერთი განმარტება არსებობს, ცხადია, ყველას აერთიანებს საერთო ხედვა - ბიზნესის წარმართვა სოციალური, გარემოსდაცვითი და ფართო ეკონომიკური მიზნების გათვალისწინებით (CSR n.d.), თუმცა ზოგადად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა სადავო თემაა და ყველა არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ის არის მნიშვნელოვანი და შესაბამისი თანამედროვე ბიზნესისათვის.

ბიზნესის ტრადიციულ ცნებაზე დაყრდნობით, ექსპერტთა და ანალიტიკოსთა გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ კომპანიის მენეჯმენტის მთავარი საზრუნავია კაპიტალის მფლობელებისთვის - განსაკუთრებით კომპანიის აქციონერებისათვის, მაქსიმალურად მაღალი შემოსავლის უზრუნველყოფა. შესაბამისად, სახსრებისა და რესურსების ნებისმიერი სხვა მიზნებისთვის, მათ შორის სოციალური მიმართულებით, გადამისამართება მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ. ამ პოზიციას ემხრობა ცნობილი მეცნიერი მილტონ

ფრიდმანი თავის მიმდევრებთან ერთად და აღნიშნავს: „თუ თავისუფალ კონკურენციაში ჩართული კომპანია მოქმედებს სამართლებრივი ნორმების ფარგლებში, მას აქვს მხოლოდ ერთი სოციალური პასუხისმგებლობა, გამოიყენოს საკუთარი რესურსები და განახორციელოს საქმიანობები, რომელთა მიზანი მოგების გაზრდაა“ (Friedman 1970, 32-33).

- IASB (2020, July 15). *https://www.ifrs.org*. Retrieved from https://www.ifrs.org/content/-dam/ifrs/meetings/2020/july/iasb/ap15d-management-measures-and-indicators.pdf.

- IASB (2022, January). *https://www.ifrs.org/content/dam/ifrs/meetings/2022/january/iasb/ap21a-pfs-management-performance-measures-disclosures-usefulness-and-reconciliations.pdf*. https://www.ifrs.org/.
- IASB (2023). *https://www.ifrs.org/projects/work-plan/primary-financial-statements/ed-primary-financial-statements/*. https://www.ifrs.org/.
- Sabauri L., Kvatashidze N. (2023). Sustainability Reporting Issues. *Entrepreneurship and Sustainability Issues*, 282-289.
- Reporting B. C. (2021, August 11). Top 18 Management Reporting Best Practices To Create Effective Reports.
- Novyye podkhody k predstavleniyu pokazateley upravlencheskoy otchetnosti. [Новые подходы к представлению показателей управленческой отчетности. 2020, Сентябрь 15.
- New Approaches to Presenting Management Reporting Indicators. (2020, September 15). in Russian


## მმართველობითი ანგარიშგების მომზადების საკითხები


**ლევან საბაური**
*პროფესორი*
*ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*levan.sabauri@tsu.ge*

**ნადეჟდა კვატაშიძე**
*ასოცირებული პროფესორი*
*ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*nadejda.kvatashidze@tsu.ge*



*უკანასკნელი წლების განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (IASB) აქტიურად მუშაობს მმართველობითი ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საკითხებზე, მათ შორის მმართველობის ეფექტიანობის შეფასებასა და მდგრადობაზე. ჩატარებული ხანგრძლივი კვლევების შედეგად საბჭომ შეიმუშავა დოკუმენტთა პაკეტი, რომელიც მოიცავს პროექტს – „ეფექტიანობის მართვა – ინფორმაციის გამჟღავნება – სარგებლიანობა და შეჯერება“. ამ დოკუმენტში აღწერილია მმართველობითი ანგარიშგების მომხმარებლებისათვის ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციასთან შესაბამისობაში გამჭვირვალე და სასარგებლო ინფორმაციის რეკომენდაციები. ამასთან ერთად, ევროკომისიის დირექტივით ამოქმედდა მდგრადი ანგარიშგების ევროპული სტანდარტები.*

*IASB რეკომენდაციით მმართველობით ანგარიშგებაში უნდა გამჟღავნდეს: ბიზნესის ხელმძღვანელობის მოსაზრება, თუ რატომ ასახავენ მათ მიერ წარდგენილი მაჩვენებლები მმართველობის ეფექტიანობას, მათი გამოთვლის ტექნიკა და სარგებლიანობა; მმართველობითი ეფექტიანობის მაჩვენებლებისა და ფასს-ე-*

ბით დადგენილი ფინანსური ანგარიშგების მეტად შესადარ ქვეჯამს ან ჯამს შორის შეჯერება; ყოველი შეჯერებული მუხლისათვის ინფორმაციის გამჟღავნება.

მმართველობითი ანგარიშგების ნაწილად შეიძლება მივიჩნიოთ მდგრადობის ანგარიშგება, რომლის მაჩვენებლები უნდა გამჟღავნდეს არსებითობის ორმაგი პრინციპზე დაფუძნებული მდგრადობის ანგარიშგების ევროპული სტანდარტებით (ESRS).

ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ არ არის დადგენილი მმართველობის ეფექტიანობის შეფასების მაჩვენებლები (ე.წ. "MPMs"-ის – "management performance measures", რომლებსაც კიდევ უწოდებენ "non-GAAP") და შედეგად კომპანიები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ ამ მაჩვენებლებს. კერძოდ, საბჭოს კვლევებით დადგინდა, რომ კომპანიები მმართველობის ეფექტიანობის შესაფასებლად იყენებენ შემდეგ მაჩვენებლებს:

- 33 % – კორექტირებულ მოგებას (adjusted profit);
- 29% – კორექტირებულ საოპერაციო მოგებას (adjusted operating profit);
- 20% – კორექტირებულ EBITDA- ს (adjusted EBITDA);
- 11% – კორექტირებულ EBIT-ს (adjusted EBIT).

ბიზნესის მმართველობის ეფექტიანობისა და მდგრადობის შეფასება ხდება არამხოლოდ ფინანსური, არამედ არაფინანსური მაჩვენებლებითაც. არაფინანური ინფორმაცია გახდა წლიური ანგარიშის ნაწილი და ასევე ექვემდებარება გარე აუდიტის მოთხოვნას. ამ კონტექსტში, კომპანიებს უნდა შეეძლოთ ახსნან, თუ როგორ შეგროვდა გარკვეული მდგრადობის ანგარიშგების ევროპული სტანდარტების (ESRS – European sustainability reporting standards) მოთხოვნების შესაბამისად ESG (Environmental, social and governance) მონაცემები და როგორ შეგროვდა ESRS KPI. ამრიგად, მდგრადობის KPI-ები ერთ დონეზეა ფინანსური ანგარიშგების სხვა ინფორმაციასთან ერთად, რასაც ახალ დონეზე აყავს მდგრადობის ინფორმაციის გამჟღავნების მნიშვნელობა.

პრაქტიკაში, ფინანსური მაჩვენებლების განსაზღვრის მსგავსად აქაც არსებობდა არაფინანსური მაჩვენებლების შეფასების განსხვავებული მიდგომები და მოსაზრებები, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ინფორმაციის ხარისხსა და შესადარისობაზე. ამასთან დაკავშირებით, ევროკომისიის დირექტივით EFRAG[1]-ის მიერ PTF-NFRS-ის რეკომენდაციების საფუძველზე დაიწყო ESRS-ის პროექტის შემუშავება. შედეგად, 2023 წლის მარტში გამოქვეყნდა PTF-ESRS კლასტერის ბოლო სამუშაო დოკუმენტი (Working Paper), ხოლო 2023 წლის ივლისში ევროკომისიამ გამოსცა ESRS-ის სავალდებულო გამოყენების დირექტივა, რომლის დანერგვა დაიწყო 2024 წლიდან ოთხ ეტაპად 2028 წლის ჩათვლით.

ESRS არის სტანდარტების ნაკრები – ESRS 1 და ESRS 2 – ზოგადი დებულება და განმარტებები (General Provisions and its cover note), რომელიც 2023 წ. აგვისტოს

---

[1] FRAG – European Financial Reporting Advisory Group – ევროპის ფინანსური ანგარიშგების მრჩეველთა ჯგუფი

*მდგრადობით მოიცავს სამი მაკროჯგუფის 12 თემატურ სტანდარტს: ეკოლოგიის (E), სოციალურს (S) და მმართველობის (G). 2024 წლის ბოლოსათვის გამოქვეყნდება დარგობრივი სტანდარტები, მცირე და საშუალო ბიზნესის სტანდარტები, ხოლო 2028 წელს არაევროკავშირის ქვეყნების კომპანიებისათვის, რომლებსაც აქვთ შვილობილი საწარმოები და წარმომადგენლობები ევროკავშირის ქვეყნებში. სტანდარტებით მომზადებული ანგარიშგების წარდგენის ვადები განსაზღვრულია ეკონომიკური სუბიექტების ზომისა და ეკონომიკის სექტორის მიხედვით.*

*ESRS 1 ზოგადი მოთხოვნები: შეიცავს მდგრადობის ანგარიშგების CSRD-ის (Corporate Sustainability Reporting Directive – 2022/2464/EU) მოთხოვნების შესაბამისად მომზადებისა და გამჟღავნებისთვის სავალდებულო პრინციპებს. ESRS 1 არ მოიცავს მითითებებს ანგარიშგების კონკრეტულ საკითხებზე, მაგრამ უზრუნველყოფს ანგარიშების მომზადებისა და კომპლექსური შემოწმების ვალდებულებების, ღირებულების შექმნის ჯაჭვში არსებითობის შეფასების, მდგრადობის ინფორმაციის შეგროვებისა და გამჟღავნების საკითხებს.*

*ESRS 2 მოიცავს მდგრადობის სხვადასხვა თემასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს, რაც განსაზღვრავს კონკრეტულ თემებთან დაკავშირებული გამჟღავნების ზოგად სტრუქტურას, შინაარსს, პრინციპებს და მიზნებს. ის განსაზღვრავს ოთხი სფეროს ინფორმაციის გამჟღავნების საკითხს: მმართველობა (Governance); სტრატეგია (Strategy); ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მართვა (Management of impacts, risks and opportunities); მეტრიკები და მიზანები. (Metrics and targets)*

*სტანდარტების მთავარი მახასიათებელია არსებითობის ორმაგი პრინციპი (the principle of double materiality), ანუ სტანდარტები ეფუძნება მდგრადობის არსებითობას და ფინანსების არსებითობას. ორმაგი პრინციპი მოითხოვს ასახვას, თუ როგორია კომპანიის ფინანსების გავლენა მდგრადობაზე* ***(მდგრადობის არსებითობა)*** *და მდგრადობის გავლენა ფინანსურ მაჩვენებლებზე* ***(ფინანსების არსებითობა).*** *ამდენად, კომპანიებმა უნდა განიხილონ მდგრადობის ასპექტი ორივე მხრიდან. ერთი მხრივ, მათ უნდა განიხილონ კომპანიის გავლენა „შიგნიდან გარეთ“ პერსპექტივის მიხედვით. ამ განზომილებას „ემოქმედების არსებითობა“ ეწოდება. მეორე მხრივ, არსებითობის შეფასებაში კომპანიებმა უნდა ჩართონ ფინანსების არსებითობა – „გარედან-შიგნით“ პერსპექტივის მიხედვით.*

***საკვანძო სიტყვები:*** *მმართველობის ეფექტიანობის შეფასება; მმართველობის ეფექტიანობის მაჩვენებლების შეჯერება; მდგრადობის ანგარიშგების ევროპული სტანდარტები.*

ეკონომიკა და ბიზნესი, 2024, №1, 153-167
Economics and Business, 2024, №1, 153-167

# ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთკავშირის საკითხისათვის

doi.org/10.52340/eab.2024.16.01.09

**მაია გოგოხია**

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*
*mayagogokhia@gmail.com*

*ფინანსური ბაზარი, სადაც ურთიერთქმედებენ ფულადი რესურსების მყიდველები და გამყიდველები, მრავალფორმატიანი წარმონაქმნია. ფინანსური კონტრაქტების ტიპების მრავალფეროვნების გამო, ის სხვადასხვა სექტორისაგან შედგება (საკრედიტო ბაზარი, ფასიანი ქაღალდების ბაზარი, სადაზღვევო ბაზარი). სწორედ გარკვეული წესით სტრუქტურირებული ფინანსური სისტემის მეშვეობით ინვესტორები, ემიტენტები და ფინანსური შუამავლები ურთიერთქმედებენ, დებენ რა გარიგებებს, ვაჭრობენ, განათავსებენ ფასიან ქაღალდებს.*

*თავდაპირველად, ფინანსური ბაზრის ცალკეული სეგმენტების ჩამოყალიბება ასახავდა მათ სპეციალიზაციას და მკვეთრად იყო გამიჯნული, რაც აისახებოდა მარეგულირებელ სისტემასა და კანონმდებლობაში. დღეისათვის შეინიშნება საფინანსო სისტემის სექტორების სულ უფრო მეტი დაახლოება. აწმყოში ფინანსური სტრუქტურის ტრანსფორმაცია ვლინდება, როგორც მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფენომენი, მისი ცალკეული სერვისების სფეროში აქტიურად აღწევენ მსხვილი, მაღალტექნოლოგიური კომპანიები, ადგილი აქვს ახალგაზრდა, ზოგჯერ შედარებით მცირე ფინტექ-კომპანიების ექსპანსიას. ფინანსური სისტემის მექანიზმები რთული და მრავალფეროვანია.*

*ისევე, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე აყალიბებს წინაპირობებს საფონდო ბაზრის განვითარებისათვის, თავის მხრივ, ფასიანი ქაღალდების ბაზარი რეალური ეკონომიკის განვითარების და ზრდის მნიშვნელოვანი წყაროა. წინამდებარე სტატიის მიზანია წარმოვაჩინოთ საფონდო ბაზრის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და კავშირურთიერთობა ფინანსურ და ეკონომიკურ ზრდას შორის.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ეკონომიკური ზრდა, ფინანსური ბაზრის ფუნქციები, საფონდო ინდუსტრია, ეკონომიკური ზრდის რისკის მიდგომა.*

## შესავალი

კანონზომიერად განვითარებად ეკონომიკაში ტენდენციებიც ობიექტურია, ნაკლებადაა დამოკიდებული ადამიანთა ნება-სურვილზე. მაგრამ მათი ცოდნა ადამიანს შესაძლებლობას აძლევს განსაზღვროს განვითარების მიმართულებები, რაც მოვლენათა ბუნებრივ განვითარებას არ ეწინააღმდეგე-

ბა. მოკლევადიანი (პრაქტიკული) ტენდენციები დაკავშირებულია ადამიანის დღევანდელ, კონკრეტულ საქმიანობასთან. გრძელვადიან (ისტორიულ) ტენდენციებს კი მიეკუთვნება: ფიქტიური კაპიტალის შეუზღუდავი ზრდა; ფასიანი ქაღალდებით გამოხატული სიმდიდრის ზრდა მატერიალურ სიმდიდრესთან შედარებით (ცალკეული პირების სიმდიდრე დღეს იზომება არა მატერიალური სიკეთეების მოცულობით, არამედ მათი კუთვნილი საკონტროლო პაკეტების სიდიდით), თუმცა, ეს ტენდენციები დამახასიათებელია მხოლოდ იმ ქვეყნებისათვის, სადაც ფასიანი ქაღალდების ბაზარი თამაშობს მნიშვნელოვან როლს ეკონომიკაში; ფასიანი ქაღალდების კონცენტრაცია იურიდიული და არა – ფიზიკური პირების ხელში (აქციონერულ საზოგადოებებში კონცენტრირდება არამხოლოდ რეალური კაპიტალი, არამედ – ფიქტიურიც). მეორე მხრივ, იქმნება კოლექტიური საინვესტიციო ფონდები და მათთან ერთად ფასიანი ქაღალდების ბაზარზე გამოდის დამატებითი კაპიტალი ეკონომიკის სხვა სექტორებიდან – სადაზღვევო, საბანკო, არასაინვესტიციო ფონდები (საპენსიო, საქველმოქმედო). საერთო საბაზრო ტენდენციებს მიეკუთვნება: კომპიუტერიზაცია, რეგულირების დონის ზრდა, ინტერნაციონალიზაცია და გლობალიზაცია. ამასთან, აუცილებელია აღვნიშნოთ მეორეული ფასიანი ქაღალდების ხვედრითი წონის ზრდა და წარმოებული ინსტრუმენტების შექმნა. ბაზარზე მუდმივად გამოდის ახალი, ადრე არარსებული ფასიანი ქაღალდების სახეობები, რაც ფლობს ადრე არარსებულ მახსიათებლებს. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია პრივილეგიური აქციებისათვის. ასეთი ფასიანი ქაღალდების შექმნით დაკავებულია ფინანსური საქმიანობის ახალი მიმართულება, რამაც მიიღო სახელწოდება – „ფინანსური ინჟინირინგი“.

ფასიანი ქაღალდებისა და ფინანსური ბაზრის ფუნქციების ჩამონათვალი ფართოა, მათ შორის შეიძლება ხაზი გავუსვათ: კორპორაციული კონტროლის ფუნქციას, რისკ-მენეჯმენტის განხორციელების ფუნქციას; მეწარმეობის სტიმულირების ფუნქციას; საქონლით, მომსახურებით, კონტრაქტებით ვაჭრობის გამარტივების ფუნქციას.

ფასიანი ქაღალდებისა და მთლიანობაში ფინანსური ბაზრის ერთ-ერთი ფუნქციაა ალოკაციური ფუნქცია, რაც იმით გამოიხატება, რომ ის უზრუნველყოფს დროთაშორის ალოკაციას შინამეურნეობათა მოხმარებისა და კაპიტალის გადანაწილებას მისი პროდუქტიული გამოყენებისათვის ბიზნეს სექტორში (Merton. 1993).

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე კრიზისული მოვლენების განვითარების სპეციფიკური მიზეზებია: საბაზრო რისკის მართვის სისტემის ნაკლოვანებები, არასწორი მიდგომა ამ რისკების შეფასებისადმი, გარესაბირჟო ბაზრის განვითარება, ფინანსურ ინსტრუმენტებზე ფასწარმოქმნის მექანიზმის შეცვლა. იმის გამო, რომ ინვესტორებს აინტერესებთ არა დივიდენდები, არამედ – აქციათა კურსი, ბაზარმა შეიძლება შეიძინოს სპეკულაციური მიმართულება (შემოსავალი დივიდენდების სახით ხდება რამდენჯერმე ნაკლები შემოსა-

ვალზე სპეკულაციისგან და აღარ აინტერესებს ახალ ინვესტორებს). აღნიშნულის შედეგად ბაზარზე ფორმირდება მექანიზმები, რაც მოკლე დროში მაქსიმალური მოგების მიღების შესაძლებლობას იძლევა რეალურ წარმოებასთან ყოველგვარი კავშირის გარეშე. ფასიანი ქაღალდების ღირებულება აღარ უკავშირდება წარმოების ეფექტიანობას და მიღებულ დივიდენდებს.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისათვის დიდად მნიშვნელოვანია ინფორმაციის გახსნის სისტემა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აქციონერული საზოგადოების საკუთრების სტრუქტურის გახსნას, ასევე, ინფორმაციის გახსნას საწარმოების ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისას და უცხოური ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობისას.

## საფონდო ინდუსტრიის გამოწვევები

ზემოთ უკვე გაესვა ხაზი ფასიანი ქაღალდების ბაზრის გამართული ფუნქციონირებისათვის ფასიანი ქაღალდების ემიტენტების შესახებ ინფორმაციის მაქსიმალური გახსნის მნიშვნელობას, რაც გამყარებული უნდა იყოს შესაბამისი მარეგულირებელი მოთხოვნებითა და პრაქტიკით, მაგ., კორპორაციების მიერ ინვესტორებთან ურთიერთქმედების სისტემის ფორმირება (investor relations, shareholder relations). ღია უნდა იყოს ინფორმაცია სპეციალიზებული მომსახურების შესახებ, რასაც გასწევენ სარეიტინგო სააგენტოები, აუდიტორული კომპანიები, საინვესტიციო კონსულტანტები, საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტოები.

რეგულატორების მიერ რეალიზდება ერთიანი, დეფრაგმენტიზებული ბაზრის შექმნის პრინციპები, რაც, კერძოდ, საფუძვლად დაედო აშშ-ში „ფასიანი ქაღალდებისათვის ეროვნული საბაზრო სისტემის“ აგებას. ის ითვალისწინებს სავალდებულო ხასიათს შესაბამისობისა – ინვესტორების დავალების შესრულების ფასებისა, საუკეთესო კოტირებებთან კონკრეტულ ფასიან ქაღალდზე ვაჭრობის ყველა ორგანიზატორს შორის, რომლებთანაც უზრუნველყოფილია მყისიერი წვდომა და სადაც გარიგებები ავტომატურად სრულდება. პრინციპები ინერგება SEC-ის (ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომპანია) ინიციატივათა პაკეტის ფარგლებში.

ისეთი გამოწვევის დაძლევას, როგორიცაა ოპორტუნისტული ქცევის ხარჯები, ემსახურება კარგად დამუშავებული მოთხოვნები ფასიანი ქაღალდების ემიტენტების მიერ ინფორმაციის გახსნისათვის, კერძოდ, მისი მესაკუთრეების, აფილირებული პირების შესახებ. აგრეთვე, ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონალი მონაწილის საქმიანობის სახეობების შეთავსებაზე შეზღუდვები, საბროკერო კომპანიების მიერ კლიენტების დავალებათა შესრულების რეგლამენტები და სხვ. თანამედროვე ეტაპზე საჯარო ვაჭრობა საფონდო ბირჟაზე ხდება არასავალდებულო და ვაჭრობის ფაქტობრივი ადგილია მთელი მსოფლიო. ფასიანი ქაღალდების ბაზარი გადაიქცევა გლობალურ მსოფლიო

ბაზრად. ვაჭრობის პროცესი უწყვეტი ხდება, ის შეიძლება გრძელდებოდეს სადღეღამისო რეჟიმით და, რადგან ვაჭრობის ავტომატიზებული პროცესი უფრო იაფი ჯდება, ვიდრე საჯარო ვაჭრობა, არსებობს იმის ალბათობა, რომ მომავალში საჯარო ვაჭრობა თანდათანობით მთლიანად ჩანაცვლდება.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი არსებითად ზემოქმედებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ტემპზე, მიმართულებებსა და ტენდენციებზე. უპირველეს ყოვლისა კი, ფასიანი ქაღალდების ბაზარი გამოიყენება ეკონომიკაში ინვესტიციების ზრდისათვის.

ეკონომიკის განვითარების პროცესს თან ახლავს ახალი დარგების, წარმოების აღმოცენება, კაპიტალის კონცენტრაცია. მსხვილი წარმოების განვითარება გარკვეულ ეტაპზე აწყდება ინდივიდუალური კაპიტალის სიდიდის შეზღუდულობას, რის გადასაჭრელადაც შესაძლებელია ინდივიდუალური კაპიტალების გაერთიანება და მეწარმეობის ახალი, კოლექტიური სუბიექტის აღმოცენება, რომელიც ყველაზე ხშირად სააქციო საზოგადოების ფორმისაა. ფასიანი ქაღალდის (აქციის) არსებობა, მოთხოვნა მასზე, მისი მიწოდება, ფასწარმოქმნა, განაპირობებს ეკონომიკაში ფასიანი ქაღალდების ბაზრის აღმოცენებას.

ბაზარი, სადაც ფასიანი ქაღალდები მიმოიქცევა, ყველაზე აქტიურ როლს ასრულებს საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე, როდესაც წარმოებაში დომინირებს მსხვილი კაპიტალი და მისი განვითარება ხორციელდება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა საფუძველზე, რაც მოითხოვს სულ უფრო მეტ დანახარჯებს მათ რეალიზაციაზე.

როგორც წესი, ბანკები არ ჩქარობენ კრედიტების გაცემას სარისკო პროექტებზე, თუმცა მომავალში მათ შეიძლება ყველაზე დიდი მოგება მოიტანონ, ამიტომ უნდა მოიძებნოს პროექტების დაფინანსების ალტერნატიული წყაროები. ამ შემთხვევაში საწარმოები უშვებენ აქციებს, რაც გამოდის ბაზარზე.

პრაქტიკულად, ფასიანი ქაღალდების რაოდენობა ყოველთვის აღემატება რეალურად ფუნქციონირებადი კაპიტალის მოცულობას, რეალურად ფუნქციონირებადი კაპიტალი მხოლოდ ბაზაა, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზრდის მასშტაბების ქვედა ზღვარი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შესაძლებელია ფასიანი ქაღალდების შეუზღუდავი რაოდენობით გამოშვება. მას უშვებენ იმისთვის, რომ იყიდონ, ეს კი მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ მას დამატებითი შემოსავალი მოაქვთ.

ამგვარად, ქვეყნის განვითარება, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა და, საბოლოო ანგარიშით, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება პირდაპირ კავშირშია ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითრებასთან.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი წარმოადგენს საბანკო დაკრედიტების ალტერნატივას. ფინანსური ბაზრის ეს ორი სეგმენტი განსხვავდება ერთმანეთისგან ორგანიზების დონითა და ფორმით. ფაქტობრივად, საბანკო კრედიტების ბაზარი უკვე ორგანიზებულია მასზე სპეციალური საკრედიტო ორგანიზაციების,

უპირველეს ყოვლისა, ბანკების არსებობით, ანუ ის ყოველთვის ორგანიზებული ბაზარია.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი სხვა წესებით ფუნქციონირებს. ურთიერთობები ყალიბდება ბევრ ემიტენტსა და ინვესტორს შორის, ან მხოლოდ ინვესტორებს შორის, როგორც ეს ხდება მეორად ბაზარზე. ერთიან ორგანიზებას თვით ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის პროცესი ობიექტურად არ გულისხმობს. ის შეიძლება არსებობდეს მკაცრად ორგანიზებული ბაზრის სახით – საფონდო ბირჟები და ნაკლებად ორგანიზებულის (არასაბირჟო ბაზარი).

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ყველა მონაწილეს აქვს ვიწრო სპეციალიზაცია, რომელიც გასწევს კონკრეტულ შეზღუდულ მომსახურებას.

მეწარმეები იყენებენ დამატებითი ინვესტიციის ორივე წყაროს, მაგრამ ისინი განსხვავდება თავისი ეკონომიკური, ორგანიზაციული, სამართლებრივი, საგადასახადო და სხვა მახასიათებლებით. და რაც უფრო მეტია განსხვავება, მრავალფეროვანია სასესხო კაპიტალის ფორმა, მით უკეთესი მეწარმისათვის – მას შეუძლია აირჩიოს ზუსტად ის, რაც პასუხობს დღეს მის მოთხოვნებს.

მაგრამ, ბანკებს აქვთ გრძელვადიანი დაკრედიტების შეზღუდული შესაძლებლობები, ისინი ძირითადად მოკლე და საშუალოვადიან სესხებს გასცემენ. მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდების გამოშვება არარაციონალურია, რადგან ეს, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია გამოშვებისა და გავრცელების მაღალ ხარჯებთან, ამიტომ, უფრო ხშირად უშვებენ გრძელვადიან ფასიან ქაღალდებს შესაბამისად, სასესხო კაპიტალი, რომელიც მეწარმეებთან მიდის ფასიანი ქაღალდების მეშვეობით, გამოიყენება უფრო ხანგრძლივ პერიოდში, ვიდრე – საბანკო კრედიტი.

ამასთან, საბანკო სესხი შეზღუდულია, გაიცემა დიდი პროცენტებით. მის მისაღებად საჭიროა ხელშეკრულების დადებისა და სესხის მიღების ხანგრძლივი პროცედურის გავლა. ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში არსებობს აუცილებელი თანხების მიღების სხვა გზაც – ფასიანი ქაღალდების ბაზარი.

სამწუხაროდ, საქართველოში ის არასაკმარისადაა განვითარებული. თუმცა ეს საწარმოების განვითარების დაფინანსების საუკეთესო და ყველაზე ხელმისაწვდომი წყაროა. აქედან გამომდინარეობს მისი გამყარებისა და სრულყოფის აუცილებლობა.

## ფინანსური პირობები და ეკონომიკური ზრდა

ეკონომისტებიდან ერთ-ერთი პირველი, ვინც ყურადღება მიაქცია საფინანსო სისტემებისა და ეკონომიკური ზრდის კავშირს, იყო ი. შუმპეტერი, რომლის ცნობილ ნაშრომზე – „ეკონომიკური განვითარების თეორია,“ მხოლოდ 1980-იან წლებში გაამახვილეს ყურადღება ეკონომიკური ზრდის თეორიის პრობლემების მკვლევრებმა.

1990-იან წლებში, აღნიშნული პრობლემისადმი მიძღვნილი ლიტერატურა მნიშვნელოვნად გაფართოვდა სხვადასხვა თეორიული კონცეფციით. რ. კინგმა და რ. ლივაინმა (King R., Levine G., 1993) ჩაატარეს რა კორელაციური ანალიზი, აღმოაჩინეს დადებითი, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაცია მოსახლეობის ერთ სულზე რეალურ მშპ-სა და ფინანსური განვითარების ინდიკატორებს შორის.

რ. ლივაინმა და ს. ზევროსმა 1998 წელს, ზრდის რეგრესიის დახმარებით, 46 ქვეყნისათვის 1976-1993 წწ. პერიოდში ჩამოაყალიბეს, რომ გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა დადებით დამოკიდებულებაშია როგორც საბანკო საქმის განვითარებასთან, ასევე – აქციების ბაზრის განვითარებასთან (Levine R., Zevros. S. 1998). ავტორების კვლევაში მნიშვნელოვანი სტატისტიკური და ეკონომიკური ეფექტი აჩვენა ისეთმა მაჩვენებელმა, როგორიცაა ადგილობრივი (სამამულო) აქციებით გარიგებების ღირებულება საშინაო ბირჟებზე. ბევრი ავტორის აზრით, მოცემული ინდიკატორი ახასიათებს ეროვნული საფონდო ბაზრის ლიკვიდურობას, მისი ზრდა მოწმობს თავად ბაზრის პოზიტიური ცვლილებებს და. შესაძლოა, აქციების ბაზრის როლის გაძლიერებას ეკონომიკაში.

სულ უფრო მეტი მკვლევარი პოულობს რთულ კავშირებს ფინანსური ბაზრის სხვადასხვა სექტორის განვითარებასა, ერთი მხრივ, და ზრდის ცვლადებს შორის, მეორე მხრივ. რ. ლა პორტამ, დ. ლოპეს-დე-სილანესმა, ა. შლეიფერმა და რ.ვ. ვიშნიმ 1997 წ. წარმოაჩნეს, რომ თავის მხრივ, საფინანსო სისტემების განვითარება დამოკიდებულია ტრადიციებსა და სამართლებრივ ინსტიტუტებზე (ანგლო-საქსური საერთო, კონტინენტური სამოქალაქო, სკანდინავიური სამართალი). მათი შედეგი მოწმობს ანგლო-საქსური სისტემის უპირატესობებზე ფინანსური სისტემის განვითარებისათვის და ეკონომიკური ზრდისათვის შესაბამისი ჯგუფის ქვეყნებში (La Porta R., Lopes-de-Silanes F., Shlaifer A., Vishny K.W. 1997).

ჯ. კეივის 2020 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში (თანაავტორებთან ერთად) წარმოდგენილია ეკონომიკური კვლევის შედეგები, რის თანახმადაც კავშირი საბანკო სექტორის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის, აღმოჩნდება მდგრადად უარყოფითი, მაშინ როცა საფონდო ბაზრის განვითარების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე – დადებითია, თუმცა, დადებით ეფექტს აქვს გარკვეული ზღვარი, რის შემდეგაც შეინიშნება ეკონომიკურ ზრდაზე საფონდო ბაზრის უარყოფითი გავლენა (Cave J. 2020).

თუ ფინანსური სტრუქტურის ანალიზისადმი მიძღვნილი ადრეული ნაშრომების ძირითადი დასკვნა ის იყო, რომ როგორც საბანკო სექტორი, ასევე, ფასიანი ქაღალდების ბაზარი მნიშვნელოვან როლს თამაშობს და ეფექტიანია ეკონომიკური აქტივობისათვის, შემდგომი პერიოდის ლიტერატურა უფრო მეტად იხრება საფონდო ბაზრის მხარეს, ხაზს უსვამს რა ამით აქციებისა და ობლიგაციების ლიკვიდური, განვითარებული ბაზრის მძლავრ შესაძლებლობებს, სტიმული მისცეს მწარმოებლურობის ზრდას ეკონომიკაში (იხ. Teng I.-Z., Liang Q. 2014).

მსოფლიო პრაქტიკაში ფინანსური სტრუქტურის აგების ბევრი ვარიაციაა. კერძოდ, ის თუ როგორია თანაფარდობა ეკონომიკის პირდაპირი და არაპირდაპირი დაფინანსების მექანიზმებს შორის, სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულ სურათს იძლევა. ზემოაღნიშნულში მოიაზრება, ერთი მხრივ, კარგად განვითარებული, ლიკვიდური ფასიანი ქაღალდების ბაზარი, მეორე მხრივ, კი, საკრედიტო ინსტიტუტები და მათი წამყვანი როლი.

საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ-ი) ზრუნავს გრძელვადიან სტაბილურობაზე ფინანსურ ბაზარზე. მნიშვნელოვანია, რომ ინვესტორები ენდობოდნენ მოქმედ ინსტიტუტებს, ხოლო რეგულატორის მიერ შემუშავებული წესები შეძლებისდაგვარად ახდენდნენ მონაწილეთა სეგრეგირებას, განასხვავებენ რა ნაკლებად გამოცდილებს – კვალიფიციური ინვესტორებისგან. პირველ შემთხვევაში, ინვესტორები უნდა დაიცვან პოტენციური რისკისგან, რაც დაკავშირებულია რთულ ოპერაციებთან და რთული პროდუქტების შეძენასთან. ინვესტორების კატეგორიებად დაყოფას მოჰყვა ისეთი ცნების აღმოცენება, როგორიცაა – გამოცდილი ინვესტორი.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებად მონაწილეებს, რომლებიც ახორციელებენ პროფესიულ მომსახურებას ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, წაეყენებათ სერიოზული მოთხოვნები, რომელთაგან ბევრი პრუდენციული ხასიათისაა. მსჯელობაა მოთხოვნებზე, რაც ეხება საკუთარი კაპიტალის სიდიდეს, ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, სპეციალისტთა კვალიფიკაციას, ინფორმაციის გახსნას, კლიენტების ინფორმაციის დაცვას და სხვ.

2017 წ. ოქტომბერში საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მიერ გამოქვეყნებული გლობალური ფინანსური სტაბილურობის ანგარიშის მე-3 თავი კონცეპტუალურ ჩარჩოს ეთმობა, რომელიც მაკროეკონომიკური ბმების გათვალისწინებით, ფინანსურ სექტორში არსებულ რისკებს მშპ-ის ზრდასთან აკავშირებს. აღნიშნული ჩარჩო გამოყენებულია როგორც განვითარებული, ასევე – განვითარებადი ქვეყნებისათვის და ორივე შემთხვევაში გამოვლინდა, რომ ფინანსური პირობები მშპ-ის ზრდის რისკის შესაფასებლად ადრეული გაფრთხილების სანდო ინდიკატორებს წარმოადგენს.

სავალუტო ფონდის კვლევამ აჩვენა, რომ რისკის ფასის ტიპის ინდიკატორი (მოიცავს ისეთ ფინანსურ ცვლადებს, როგორიცაა საკრედიტო და ვადიანობის სპრედები, აქციებისა და უძრავი ქონების ფასები) უფრო ძლიერია ეკონომიკური ზრდის მოკლევადიანი რისკის შეფასებისას, ხოლო ზრდადი ლევერიჯი და დაკრედიტების მაღალი ზრდა – საშუალოვადიანი რისკის შეფასებისას.

დროთა განმავლობაში, ეკონომიკური ზრდის რისკის მიდგომა ჩამოყალიბდა, როგორც რისკის ანალიზის ინსტრუმენტი და ფართოდ გამოიყენება სსფ-ის ქვეყნების რეგულარულ ანალიზში (Country Surveillance).

აღნიშნულ მიდგომას აქვს სუსტი მხარეებიც, კერძოდ, ეკონომიკური ზრდის რისკის მიდგომა არ არის სტრუქტურული მოდელი და, აქედან გამომ-

დინარე, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესაფასებლად ის ვერ იქნება გამოყენებული. ამასთან, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი შედეგების მისაღებად, ის მონაცემთა დიდ მასივს მოითხოვს. დღეისათვის მიდგომა აქტიურად ვითარდება და გამოიყენება. შესაძლებელია მისი განვრცობა და სხვა შედეგობრივი ცვლადების შემოტანა (მაგ. აქტივების ფასები). ეკონომიკური ზრდის მიდგომაში შედეგობრივ ცვლადს წარმოადგენს რეალური მშპ-ის წლიური ზრდა.

საქართველოს რეალობაში ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო განაწილების ასაგებად გამოიყენება ფინანსური პირობების ინდექსები, რაც მაკრო ფინანსურ ინდიკატორებს ეფუძნება, რომელთა კატეგორიებია: რისკის ფასი, ლევერიჯი და საგარეო პირობები. აქედან პირველი ორი კატეგორია ადგილობრივ გარემოზეა კონცენტრირებული და საბანკო სისტემის დინამიკას ასახავს (საპროცენტო სპრედები, რისკის პრემია, საბალანსო უწყისი), ხოლო საგარეო პირობების კატეგორიაში შედის გლობალური მაკრო-ფინანსური ინდიკატორები.

ზოგადად, საგარეო პირობები (მაგ. აშშ-ისათვის) გულისხმობს:

- აშშ-ის საფონდო ბირჟებზე მოსალოდნელი მერყეობის გათვალისწინებას, როგორც შესაძლო სტრესის ადრეული ინდიკატორი (Chicago Board Options Exchange);
- MSCI ინდექსის წლიურ ცვლილებას, რაც ასახავს გლობალურ ბაზრებზე აქციების ფასების დინამიკას და, შესაბამისად, გლობალურ ეკონომიკურ აქტივობასთან დაკავშირებულ მოლოდინებს;
- აშშ BBB რეიტინგის მქონე კორპორაციული ობლიგაციების ოფციონით შესწორებულ სპრედს (ასახავს ლიკვიდობას და საკრედიტო რისკს საინვესტიციო რეიტინგის მქონე კორპორატიული მსესხებლებისათვის).

2018-2021 წლებში, სებ-მა საქართველოს მთავრობასთან ურთიერთთანამშრომლობით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების კუთხით და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი ჩარჩოს „პირველი თაობის რეფორმა“ განახორციელა, რამაც ხელი შეუწყო სებ-ის მიერ ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის (IOSCO) მუდმივი წევრობის მოპოვებას. საკანონმდებლო სიახლეებს მიეკუთვნება „დაგროვებითი პენსიის შესახებ “საქართველოს კანონი (2018წ.), „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ საქართველოს კანონი (2019 წ.), „აინვესტიციო ფონდების შესახებ“ აქართველოს კანონი (2020 წ.), „პოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ აქართველოს კანონი (2023 წ.), „კანონი ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ“ (2023 წ.), „კანონი ფასიან ქაღალდებად გარდაქმნის შესახებ“ (2024წ.).

საქართველოს საფონდო ბაზრის ჯამურმა კაპიტალიზაციამ 2023 წლის ბოლოსათვის 3 548 293 006, 56 ლარი შეადგინა. დღეისათვის საქართველოში ორი საფონდო ბირჟაა: თბილისის საფონდო ბირჟა და ერთადერთი ფუნქციონირებადი საფონდო ბირჟა – საქართველოს საფონდო ბირჟა. ფუნქციონირებს 1 ცენტრალური დეპოზიტარი, 3 ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, 9 საბროკერო კომპანია, 5 რეგისტრირებული საინვესტიციო ფონდი, 4 აქტივების მმართველი კომპანია. საპენსიო და საინვესტიციო ფონდების სპეციალიზებული დეპოზიტარისათვის უფლებამოსილი პირები არიან თიბისი ბანკი და საქართველოს ბანკი.

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის უცხოელი ინვესტორებისათვის მიმზიდველობის მნიშვნელოვანი ფაქტორია 2016 წ. საქართველოში Clearstream-ის შემოსვლა, რომლის სათავო ოფისი ლუქსემბურგშია. ის ევროპაში ერთ-ერთი უმსხვილესი, საერთაშორისო ცენტრალური დეპოზიტარის სტატუსის მქონე ფინანსური ინსტიტუტი და გლობალური ბაზრის მნიშვნელოვანი მოთამაშეა.

2020 წ. საქართველოში პირველად განხორციელდა დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვება სს „სილქნეტის“ ევროობლიგაციების საფუძველზე. აღნიშნული ობლიგაციების სალისტინგო დოკუმენტი (Listing Particulars) დამტკიცებულია ირლანდიის საფონდო ბირჟის „ევრონექსტ დუბლინის“ მიერ 2019 წ. 29 მარტს. აღნიშნული ფასიანი ქაღალდების შეძენის მინიმალური ლოტია 200 ათასი აშშ დოლარი, შესაბამისი დეპოზიტარული ხელწერილის ნომინალური ღირებულება კი 1000 აშშ დოლარია. მათი განაღდების თარიღია 2024 წლის აპრილი.

ადგილობრივ ბაზარზე გამოშვებული ფასიანი ქაღალდების მოცულობამ 2021წ. 7,5 მლრდ ლარი შეადგინა, აქედან: 73% – სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებია, 20% – საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, 7% – ადგილობრივი კომპანიების. ადგილობრივი კომპანიებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ფასიანი ქაღალდების მოცულობამ მშპ-ის 3,8% შეადგინა.

საპენსიო სააგენტოს მიერ აკუმულირებულმა საპენსიო აქტივებმა 2022 წლის ნოემბერში შეადგინა 2,78 მლრდ ლარი, მონაწილეთა რიცხოვნობამ – 1 მლნ 337 ათასი, დაგროვებული პენსიით ისარგებლა 2701 პირმა, გაცემულმა თანხამ 6,698,273 ლარი შეადგინა. საინვესტიციო პორტფელის სტრუქტურა შემდეგი იყო: ადგილობრივი ბანკების სადეპოზიტო სერტიფიკატები და ვადიანი ანაბრები – 65,4%, ადგილობრივი სახელმწიფო ობლიგაციები – 13,5%, აშშ-ის სახაზინო ობლიგაციები – 8,7%, გლობალური აქციები – 7,9%, მიმდინარე სარგებლიანი ანგარიშები – 3,6%, ევროობლიგაციები – 0,9%.

კორპორაციული ობლიგაციების ბაზარი ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა – 2023 წლის ბოლოს 1,9 მლრდ ლარს გადააჭარბა. თუმცა, რომ შევადაროთ ევროკავშირში კომპანიების დაფინანსების ჭრილით საბანკო სესხებისა და ობლიგაციებით მოზიდული სახსრების მოცულობა, ობლიგაციების წილი ევროპაში საშუალოდ 24%-ია, შესაბამისად, კორპორაციული ობ-

ლიგაციების ბაზარს საქართველოში შემდგომი ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია (მიქაბაძე ე. 2024). ადგილობრივი ემიტენტების ფასიან ქაღალდებს მინიჭებული აქვს საერთაშორისო რეიტინგი ყველაზე პრესტიჟული სარეიტინგო სააგენტოების მიერ (იხ. ცხრილი).

**რეიტინგები ემიტენტების სასესხო ფასიანი ქაღალდებისათვის**

| სასესხო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების დასახელება | გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგის დონე | | | |
|---|---|---|---|---|
| | Fitch | S & P | Moody's | Scope Rating |
| ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი | B+ | | | |
| ევექსის ჰოსპიტლები | | | | BB |
| სილქნეტი | B+ | | B1 | |
| ნიკორა ტრეიდი | | | | BB- |
| ქართული ლუდის კომპანია | | | | BB- |
| თეგეტა მოტორსი | | | | BB- |
| ნიკორა | | | | BB- |
| თიბისი ლიზინგი | BB | | | |
| მიკრო რიკო ექსპრესი | | | | B+ |

***წყარო:*** *nbg.gov.ge*

საქართველოს საფონდო ბირჟაზე 2024 წ. თებერვალში წარმოდგენილი იყო 40 ფასიანი ქაღალდი, მათ შორის 8 აქცია, 32 ობლიგაცია. მათ შორის ისეთი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ფასიანი ქაღალდები, როგორიცაა: აზიის განვითარების ბანკი და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია.

საფონდო ბაზრის განვითარება პირდაპირაა დაკავშირებული წარმოების განვითარებასთან, რადგან ამ ბაზრის ძირითადი მონაწილეები (ემიტენტები და ინვესტორები) ფუნქციონირებადი წარმოების პირმშოა. ემიტენტების მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებს ბაზარზე იყიდიან მხოლოდ მაშინ, თუ შემოსავალს მოიტანს, ეს კი მხოლოდ ეფექტიან წარმოებას ხელეწიფება. ინვესტორები შეძლებენ ფასიანი ქაღალდების ყიდვას, როცა მათ ექნებათ თავისუფალი ფულადი სახსრები, რაც შესაძლებელია უწინარესად ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში.

## დასკვნა

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში იკვეთება ფასიანი ქაღალდების ეროვნული ბაზრების თანდათანობით შემცირების ტენდენცია. ის ბაზრები კი, რომლებიც რჩება, ფინანსურ ცენტრებად გადაიქცევა. ქვეყნები, სადაც ასეთი

ცენტრებია, ხასიათდება როგორც მაღალკონკურენტუნარიანი, ეკონომიკურად და პოლიტიკურად სტაბილური. საქართველოში მსგავსი რეგიონული ფინანსური ცენტრის ჩამოყალიბება მოითხოვს საკმაოდ ხანგრძლივ დროს და ძალისხმევას ფასიანი ქაღალდების ბაზრის ყველა მონაწილისა და მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან.

მოსახლეობის გაზრდილი ყურადღება ფასიანი ქაღალდების ბაზრისადმი, არამხოლოდ ქვეყანაში ცხოვრების დონის ამაღლების, არამედ, აღნიშნული ბაზრის, მისი ფუნქციონირების ძირითადი პრინციპების შესახებ ცოდნის ზრდის შედეგია.

მნიშვნელოვანია ფასიანი ქაღალდების ბაზრის პოზიტიური იმიჯის შექმნა ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების თვალში. ამისათვის აუცილებელია ქართული ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ ცოდნისა და ინფორმაციის გავრცელების სისტემის შექმნა, ნდობის მოპოვება მთლიანობაში – მისდამი, მასზე მიმოქცევადი ინსტრუმენტებისადმი. ამ მიზნით შეიძლება შეიქმნას ინტერნეტ-პორტალი, რაც ქართული ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას ასახავს. აქ განთავსდება ბაზრის ფუნქციონირების სტატისტიკა, წარმატებული გარიგებების შესახებ ინფორმაცია. ასევე ინფორმაცია არაკეთილსინდისიერ ქმედებათა თავიდან აცილების შესახებ, საერთაშორისო ოპერაციები და ურთიერთობები. ცალკეული განყოფილება დაეთმობა ინდივიდუალურ ინვესტორებსა და კომპანია-ემიტენტებს.

დღეისათვის აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს ბოროტმოქმედებათა არსებობა ფინანსურ ბაზარზე. აუცილებელია საჯარო განხილვა რიგი საკითხისა ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეების ქცევის ეთიკის, დადგენილი წესების და იმ ზომების შესახებ, რაც თავიდან აგვაცილებდა მათ დარღვევას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ინოვაციური და მეცნიერებატევადი საწარმოების გასვლის პროცედურის გამარტივებას. მათ ფასიან ქაღალდებს აქვთ რისკის მაღალი დონე, მაგრამ საკმაოდ მიმზიდველია გამოცდილი, კვალიფიციური ინვესტორებისათვის. უნდა შეიქმნას სპეციალიზებული ბაზარი ასეთი ფასიანი ქაღალდებისათვის, შემცირდეს მასზე გასვლის ხარჯები ვენჩურული და საინვესტიციო კომპანიებისათვის, გათვალისწინებულ იქნეს ემისიების რეგისტრაციის გამარტივებული წესი და შეიქმნას ინფორმაციის გახსნის სპეციალური რეჟიმი.

ქართული ფასიანი ქაღალდების ბაზრის წინაშე მდგარი ყველა პრობლემის ერთბაშად გადაწყვეტა შეუძლებელია, თუმცა, შეიძლება გამოვყოთ პრიორიტეტული ამოცანები, რაც უახლოეს დროში უნდა გადაწყდეს: ფინანსური ბაზრის მოცულობისა და გამჭვირვალობის გაზრდა, საბაზრო ინფრასტრუქტურის ეფექტიანობის უზრუნველყოფა, ხელსაყრელი საგადასახადო გარემოს შექმნა მონაწილეებისათვის, ფინანსური ბაზრის სამართლებრივი რეგულირების სრულყოფა.

ერთ-ერთი ძირეული ამოცანის – ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურის სრულყოფის მისაღწევად რეგისტრატორების საკუთარი სახსრების ზრდას, თან უნდა ახლდეს მათი რისკის დაზღვევა, მომსახურების ტარიფები სრულად უნდა ასახავდეს რეალურ ხარჯებსა და მომსახურების ეკონომიკურ შინაარსს. მათი კონტროლის ფუნქცია ნაწილობრივ შეიძლება გადაეცეს თვითრეგულირებად ორგანიზაციებს, რომლის წევრებიც ისინი გახდებიან.

ლიტერატურა:


- ლიქოკელი ა. (2020). ფინანსური პირობების გავლენა ეკონომიკური ზრდის რისკებზე საქართველოში, „ეკონომიკა და საბანკო საქმე“, ტ. 7, #1, გვ. 54-68.
- მიქაბაძე ე. (2021). კორპორაციული ობლიგაციების ბაზარს საქართველოში შემდგომი ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია, nbg.gov.ge
- ქოქიაური ლ., შონია ნ. (2008). ფასიანი ქაღალდების ბაზარი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- Cave J., Chaudhuri K., Kumbhaker S.C. (1993). Do banking sector and stock market development matter for economic growth?//Empirial Economics, Springer. Vol. 59(4), pp. 1513-1535.
- King K.G., Levine R. (1993). Finance and growth: Shumpeter might be right//Quarterly Journal of Economics. Vol. 108(3), pp. 717-787.
- Levine K., Zeveros S. (1998). Economic Review. Vol. 88, pp. 537-558.
- Rioja F., Valev N. (2014). Stock markets. banks and the sources of economic grouth in low and high income countries//Journal of Economics and Finance. Vol. 38(2), pp. 302-320.
- Teng J. Z., Liang Q. (2010). Reassessment of the Finance – Growth Nexus in the Presence of Structural Breaks//Journal of Appliead Economics. Vol. 42(8), pp. 977-988.
- International Monetary Fund (2017). Global Financial Stability Report. October 2017. Is Growth at Risk? pp. 91-116, https:/www.inof.org/en/Publiotations/GFSK/Issues/2017/09/27/global-financial-stability-report-october-2017.
- Regulation N MS. https:/www.sec.gov/rules/proposed (34-50870.htm).


References:


- Likokeli A. (2020). Finansuri pirobebis gavlena ekonomikuri zrdis riskebze sakartveloshi. [The Impact of Financial Conditions on Risks to Economic Growth in Georgia. Economics and Banking. Vol. 7. No1. pp. 54-68.] in Georgian
- Mikabadze E. (2024). Korporaciuli obligaciebis bazars sakartveloshi shemdgomi zrdis mnishvnelovani potenciali gaachnia. [Georgian Corporate Bond Market Has Significant Potential for Future Growth.] in Georgian https:/www.ngb.gov.ge
- Qoqiauri L., Shonia N. (2008). Fasiani qagaldebis bazari [Securities Market.] in Georgian.

- Cave J., Chaudhuri K., Kumbhaker S.C. (1993). Do Banking Sector and Stock Market Development Matter for Economic Growth?//Empirial Economics, Springer. Vol. 59(4), pp. 1513-1535.
- King K.G., Levine R. (1993). Finance and Growth: Shumpeter might be right//Quarterly Journal of Economics. Vol. 108(3), pp. 717-787.
- Rioja F., Valev N. (2014). Stock Markets. Banks and the Sources of Economic Grouth in low and Nigh Income Countries//Journal of Economics and Finance. Vol. 38(2), pp. 302-320.
- International Monetary Fund (2017). Global Financial Stability Report. October 2017. Is Growth at Risk? pp. 91-116, https:/www.inof.org/en/Publiotations/GFSK/Issues/2017/09/27/global-financial-stability-report-october-2017 Regulation NMS. https:/www.sec.gov/rules/proposed (34-50870.htm).
- Regulation N MS. https:/www.sec.gov/rules/proposed (34-50870.htm).
- https://nbg.gov.ge
- https://gse.ge

## On the Issue of the Mutual Connection between the Securities Market and Economic growth

**Maya Gogokhia**
*Academic Doctor of Economic Sciences*
*mayagogokhi@gmail.com*

*On the one hand, the level of economic development of the country creates the prerequisites for the development of the stock market, and on the other hand, the securities market itself is an important factor in the development and growth of the real economy.*

*The mechanisms of the financial system are complex and varied. The list of securities and functions of the financial market is extensive. Among them we can highlight: the function of corporate control, the function of implementing risk management; function of stimulating entrepreneurship: function of promoting trade in goods, services, contracts. The principles of creating a single defragmented market are being implemented by regulators.*

*The securities market will transform into a global market. The trading process becomes continuous. Nowadays, public trading on the stock exchange is becoming optional.*

*Growth theorists have focused on the relationship between financial systems and economic growth since the 1990s. According to their findings, long-term economic growth is positively related to both banking development and stock market development. In the authors' study, indicators such as the cost of transactions in domestic stocks on domestic markets showed a significant statistical and economic effect. According to many authors, this indicator characterizes the liquidity of the national stock market, its growth indicates positive changes in the market itself and, possibly, a strengthening of the role of the stock market in the economy.*

*Recently, some authors have favored the stock market. This highlights the powerful potential of liquid, mature equity and bond markets to drive productivity growth in the economy.*

*At the same time, the growth risk approach has become established as a risk analysis tool and is widely used in the regular analysis of countries by the International Monetary Fund (Country Surveillance). The mentioned approach also has weaknesses: the economic growth risk approach is not a structural model and, therefore, cannot be used to assess cause-and-effect relationships. However, to obtain strategically important results, a large amount of data is required, the approach is currently being actively developed and there is the possibility of expanding it.*

*The Georgian corporate bond market at the end of 2023 exceeded GEL 1.9 billion. If we compare the volume of funds raised by bank loans and bonds in terms of company financing in the European Union, bonds account for an average of 24%, while in Georgia the banking sector clearly dominates the financial market.*

*The increased attention of the population to the securities market is the result of not only an increase in the standard of living in the country, but also an increase in knowledge about the basic principles of this market and its functioning. It is important to create a positive image of the securities market for local and foreign investors. For this sake, it is necessary to create a system for disseminating knowledge and information about the Georgian securities market, to gain trust in it and in the instruments traded on it.*

*Particular attention should be paid to simplifying the procedures for introducing innovative and scientific products to the securities market.*

*It is impossible to solve all the problems facing the Georgian securities market at once, but in the near future such tasks must be solved as: increasing the volume and complexity of the financial market; effective provision of market infrastructure; creating a favorable tax environment for participants, improving the legal regulation of the financial market.*

*The information disclosure system is very important for the development of the securities market. Particular attention should be paid to disclosing the ownership structure of the company's shareholders, as well as disclosing information during the public offering of securities of enterprises and when trading foreign securities.*

*Nowadays, there is a tendency to reduce national securities markets in the world. Those markets that remain will turn into financial centers. Creating such a regional center in Georgia requires a lot of time and effort on the part of securities market participants and regulatory authorities.*

***Keywords:*** *Economic growth, functions of the financial market, stock industry, approach to the risks of economic growth.*

***JEL Codes:*** *E44, G15, G32, O47*

ეკონომიკა და ბიზნესი, 2024, №1, 168-184
Economics and Business, 2024, №1, 168-184

# საქართველოში სახელმწიფო საბიუჯეტო ფონდების გამოყენების ოპტიმიზაციის საკითხები

doi.org/10.52340/eab.2024.16.01.10

**მარინა ტაბატაძე**

*ასისტენტ-პროფესორი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*tabatadze_marina@yahoo.com*

*საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფინანსებლად „საბიუჯეტო სისტემის შესახებ კანონი“, 2005 წლიდან მთავრობის სარეზერვო ფონდების შექმნას ითვალისწინებდა. ფისკალურ დატვირთვასთან ერთად, ამ ფონდს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტების ფინანსურ უზრუნველყოფაში, ამდენად, მისი ფუნქციონირება ფისკალური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევა.*

*სტატიაში განხილულია სარეზერვო ფონდების როლი საქართველოს ეკონომიკის მართვის ერთიან სისტემაში, გაანალიზებულია მისი ფუნქციონირების გარკვეული თავისებურებები, ბიუჯეტის ვერტიკალური სეგმენტირების ოპტიმიზაციის და სწორი კოორდინირების საკითხები.*

*საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ევროსტანდარტებთან შესაბამისობის მიუხედავად, სარეზერვო ფონდების მართვას ჯერ კიდევ ახასიათებს გარკვეული პრობლემები. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მისი სტრუქტურირების და მიზნობრიობის განსაზღვრის საკითხები. სტატიაში განხილულია სარეზერვო ფონდების ფორმირების და ეფექტიანი მართვის ცალკეული პრობლემა, მისი დაძლევის ეკონომიკური მნიშვნელობა და ძირითადი მექანიზმები.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ფისკალური უსაფრთხოება, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი, ბიუჯეტის დეცენტრალიზაცია, ბიუჯეტის დანახარჯები, ბიუჯეტის მმართველობითი სტანდარტები.*

## შესავალი

ეკონომიკური განვითარების სახელმწიფოს მხარდაჭერის თანამედროვე პოლიტიკის რეალიზებაში, პრიორიტეტულია სახელმწიფო სახსრების რაციონალური დაგეგმვა და ბიუჯეტის სწორი ადმინისტრირება, რაც ბიუჯეტის დეფიციტის კონტროლს, ფინანსების ხარჯვის ეფექტიანობის ზრდას, ფისკალური პოლიტიკის ციკლურობის პრევენციას და სხვა აქტუალურ საკითხს ითვალისწინებს.

სახელმწიფო ბიუჯეტის ეფექტიანი მართვა ქვეყნის ფინანსური სტაბილიზაციის და სწორი პროგნოზირების მნიშვნელოვანი ფაქტორია, მისი საფუძ-

ველია საბიუჯეტო სისტემის თანამედროვე მმართველობითი პრინციპების დანერგვა, ევროსტანდარტების შესაბამისი ინსტიტუციური და სამართლებრივი ბაზის ფორმირება.

საქართველოს საბიუჯეტო პოლიტიკის საფუძველია მმართველობის ვერტიკალიზაცია და ხელისუფლების უფლებამოსილებათა იერარქიული გრადაცია. პროცესის სამართლებრივ ბაზას ქმნის შემდეგი ნორმატიული აქტები: ორგანული კანონები „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" (1997 წ.) და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" (2007წ.), კანონები „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ" (2006წ.) „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ" (2006წ.) და სხვა.

საბიუჯეტო რეფორმა საქართველოს ფისკალური სისტემის გლობალური სტანდარტების შესაბამის სამართლებრივ უზრუნველყოფას და ინსტიტუციურ სტრუქტურირებას მოითხოვს. მნიშვნელოვანი სეგმენტი ამ ტრანსფორმაციულ პროცესში სახელმწიფო ფინანსური რესურსების სწორი მენეჯმენტი, საბიუჯეტო დონეებს შორის მათი რაციონალური განაწილება და ფინანსური კომუნიკაციის ეფექტიანი ადმინისტრირებაა. მიმდინარე ეტაპზე საკმაოდ მწვავედ დგას სახელმწიფო ბიუჯეტის სარეზერვო ფონდების რესურსული უზრუნველყოფის და მისი გამოყენების ოპტიმიზაციის საკითხები, სადაც, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არსებობს პრობლემები, რაც პრაქტიკულ დანიშნულებასთან ერთად, ღრმა მეცნიერულ კვლევას მოითხოვს.

### საბიუჯეტო რეფორმის ძირითადი შედეგები საქართველოში

საქართველოს თანამედროვე საბიუჯეტო სისტემის ფორმირებას საფუძველი საჯარო ფინანსების მართვის რეფორმამ ჩაუყარა (2004 წ.), ის „ღია მმართველობის პარტნიორობის" (OGP) პრინციპებს ემყარება, რაც საჯარო მომსახურების გაუმჯობესებას, საჯარო რესურსების მართვის სრულყოფას, განვითარების უსაფრთხო გარემოს შექმნასა და კორპორაციული პასუხისმგებლობის ზრდას ითვალისწინებს (სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი, 2022). რეფორმა საშუალოვადიანი დაგეგმვის პრიორიტეტს და საერთაშორისო GFSM-2001 სტანდარტებს ემყარება, რომლის ამოსავალი პრინციპებია პროგრამული ბიუჯეტირების სისტემის დანერგვა, საჯარო ფინანსების გამჭვირვალობა, მის მართვაში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა და სხვ.

2011 წელს მიღებულმა ორგანულმა კანონმა „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ", საჯარო ფინანსების მართვისთვის აუცილებელი ფისკალური წესები განსაზღვრა, რამაც საქართველოს საბიუჯეტო სისტემის სამართლებრივი ნორმების ევროსტანდარტებთან შესაბამისობა უზრუნველყო. საბიუჯეტო პროცესის ძირითადი რეგულაციები 2010 წლის ახალ საბიუჯეტო კოდექსში აისახა (ფისკალური მდგრადობის ძირითად მექანიზმად ფისკალური რისკის იდენტიფიცირება და მისი ეფექტიანი მართვა განისაზღვრა. საბიუჯეტო მოწყობის

ეფექტიანი ადმინისტრირების და საჯარო ფინანსების მართვის საკითხში მნიშვნელოვანი სამართლებრივი ბაზა შექმნა დადგენილებამ - „საჯარო მმართველობის რეფორმა“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება, 2019).

გატარებული რეფორმების შედეგად, ბიუჯეტის გამჭვირვალობის 2021 კვლევის მიხედვით, საქართველომ მსოფლიოს 120 ქვეყანას შორის პირველი ადგილი დაიკავა, ამ წარმატებას კიდევ უფრო განამტკიცებს საჯარო რეფორმის ფარგლებში 2024 წელს საქართველოში ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული საკანონმდებლო ვალდებულებების 85%-ის დანერგვა, მათ შორის, სრულად იქნება შესრულებული სახელმწიფო შესყიდვების, საბაჟოსა და ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების მიმართულებით ნაკისრი ყველა ვალდებულება, მიუხედავად ამისა, კვლავ რჩება გარკვეული სირთულეები ბიუჯეტის დაგეგმვის ეფექტიანობის და ფისკალური სტაბილურობის თვალსაზრისით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, საქართველოს ფისკალური სისტემა სტაბილურია, მისი ინდექსები არ აჭარბებს მდგრადობის ზღვრულ დონეს და დაცულია ფისკალური უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტები (სსფ, 2022), ამასთან, სსფ-ის მიერ იდენტიფიცირებულია რიგი გამოწვევა, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ფინანსური სექტორის მდგრადობისთვის და ეკონომიკის მარეგულირებელი ფისკალური მექანიზმების ეფექტური ფუნქციონირებისთვის, კერძოდ, საქართველოს საბიუჯეტო სისტემაში პრიორიტეტულად განიხილება:

- ფინანსური რისკის იდენტიფიცირება;
- ფისკალური მდგრადობის გრძელვადიანი უზრუნველყოფა;
- სარეზერვო ფონდების ეფექტური გამოყენება;
- სახელმწიფო საწარმოების ფინანსური მართვა.

სსფ-მა დომინანტური ფუნქცია ფისკალური მდგრადობის გრძელვადიანი ფაქტორების შეფასებას მიანიჭა, რაც აისახა საერთაშორისო ნორმატიულ დოკუმენტში - „მრავალწლიანი ინდიკატური პროგრამა - MTP“ (2020 წ.). ეს დოკუმენტისახელისუფლებო და ფისკალურ ინსტიტუტებს შორის უფლებამოსილებათა დელეგირებასთან ერთად, ოპტიმალური ეკონომიკური კავშირების ფორმირებას ითვალისწინებს, რაც შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო მართვის ეფექტიანი დეცენტრალზაციის პოლიტიკის პირობებში. ამ საკითხში სსფ-ის რეკომენდაციები ემყარება საზოგადოებრივი განვითარების ფუნდამენტურ დებულებას მმართველობითი სისტემის იერარქიზაციის და ცალკეული დონის ფუნქციების ჰარმონიზაციის შესახებ (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, 2022).

2023 წელს საქართველოს მაღალმა ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა, რაც ეკონომიკური ზრდის 7,5%-ით აისახა, მნიშვნელოვანი ფისკალური კონსოლიდაცია განაპირობა, რამაც 2024 წელს კიდევ უფრო გაზრდილი ბიუჯეტის დაგეგმვა გახადა შესაძლებელი, კერძოდ, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 21,2 მლრდ ლარით (მშპ-ის 24,9%), ხარჯვითი ნაწილი 27,8 მლრდ

ლარით (32.5%), საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელე-ბი 4 665.6 მლნ ლარით განისაზღვრა (ზრდა 17.1%), მათ შორის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის მოცულობა 80.0 მლნ ლარით დაიგეგმა (წლიური ზრდა 33.3%) (ცხრილი 1).

**საერთოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები**

*ცხრილი 1.*

| 1. | | 2023 მლნ.ლ | 2023 % | 2024 მლნ.ლ. | 2024 % | ცვლილ % |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2. | **მთლიანი მოცულობა** | 3985.8 | 100.0 | 4 665.6 | 100.0 | 17.1 |
| 3. | საგარეოსახელმწ. ვალდე-ბულ. მომსახ. დადაფარვა | 1692.0 | 42.5 | 2125.0 | 45.5 | 25.6 |
| 4. | საშინაოსახ.ვალდებმომსახუ რება დადაფარვა | 715.0 | 18.0 | 830,0 | 17.8 | 16.1 |
| 5. | ავტონომიური რესპუბლიკე-ბისა და ადგ. თვითმმართვე-ლობებისთვის გადასაცემი ტრანსფერები | 515.0 | 13.0 | 570.0 | 12.2 | 10.2 |
| 6. | საქ.რეგიონებში განსახორც. პროექტების ფონდი | 400.0 | 10.0 | 450.0 | 9.6 | 12.5 |
| 7. | დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება | 310.0 | 7.7 | 430.0 | 9.2 | 38.7 |
| 8. | დონორების მიერ დაფინანს. საერთო-სახ. გადასახდელები | 211.0 | 5.3 | 106,0 | 2.3 | -50.0 |
| 9. | **საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი** | **60.0** | **1.5** | **80.0** | **1.7** | **33.3** |
| 10. | მაღალმთიანი დასახლებე-ბის განვითარების ფონდი | 20.0 | 0.5 | 20.0 | 0.4 | -- |
| 11. | წინა წლებში წარმოქმნ.და-ვალიანების დაფარვის და სასამართლო გადაწყვ. აღსრულების ფონდი | 40.0 | 1.0 | 20.0 | 0.4 | -50.0 |
| 12. | საერთაშ.პარტნიორებთანთა ნამშრომლობითმუნც-შიდაგეგმილირეფორმებისფ ინანურიმხარდაჭერა | 15.0 | 0.4 | 20.0 | 0.4 | 33.3 |

***წყარო:*** *ავტორის კვლევა – ფინანსთა სამინისტრო. https://www.mof.ge/5677*

## სახელმწიფო ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ეკონომიკური არსი

საქართველოს საბიუჯეტო სისტემაში არსებულ გამოწვევებს შორის, სსფ-მა მნიშვნელოვანი როლი სახელმწიფო ბიუჯეტის სარეზერვო ფონდების მართვის პრობლემას მიანიჭა, განსაკუთრებით გაესვა ხაზი სარეზერვო ფონ-დების დანახარჯების მიზნობრიობის დასაბუთების და მისი განმსაზღვრელი ერთიანი სტანდარტის შემუშავების პრობლემას. „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის“ მიხედვით, სარეზერვო ფონდების მოცულობა წლიური სა-ბიუჯეტო ასიგნებების 2%-ს არ უნდა აღემატებოდეს (საქართველოს მთავრო-ბა, 2019). 2015 წელს ბიუჯეტის კანონში შესული ცვლილების თანახმად, პრეზი-დენტის სარეზერვო ფონდი 5 მლნ ლარით, მთავრობის სარეზერვო ფონდი კი, 85 მლნ ლარით განისაზღვრა (საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუ-ჯეტო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, 2018).

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაქვემდებარებაშია მთავრობის სარეზერვო ფონდი, რომლის თანხები, ფისკალურ ფუნქციასთან ერთად, არსებით როლს ასრულებს სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტების ფინანსურ უზრუნველყოფაში. ფონდი, ძირითა-დად, შემდეგი საქმიანობების დაფინანსებას ემსახურება:

- გაუთვალისწინებელი ხარჯები - 28%
- სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების ჩატარება - 26%
- საბიუჯეტო ორგანიზაციების შეუფერხებელი ფუნქციონირება - 13%
- სოციალური ხარჯები - 7% (ელექტროენერგიის სუბსიდირება, მოქალა-ქეების ერთჯერადი ფულადი და მატერიალური დახმარება, დევნილი ოჯახე-ბისთვის სხვადასხვა დახმარების გაწევა, ოკუპირებული ტერიტორიების მიმ-დებარე სოფლებში მცხოვრებთა ფინანსური და მატერიალური დახმარება და სხვა)
- საარჩევნო პროცესის მომსახურება - 3%
- ევროინტეგრაციის ღონისძიებების და პოლიტიკური პარტიების დაფინანსება - 2% და სხვა.

სარეზერვო ფონდის ძირითადი ბენეფიციარები საქართველოს მთავ-რობის ადმინისტრაცია, ცენტრალური საარჩევნო კომისია და აღმასრულე-ბელი ხელისუფლების სხვა უწყებებია (იხ. ცხრილი 2).

**სარეზერვო ფონდის ხარჯვის უწყებრივი სტრუქტურა**

*ცხრილი 2.*

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | მთავრობის ადმინისტრაცია 38% | 9 | ეკონომიკის და მდგრ. განვ. სამინ. 2% |
| 2 | ცენტრალური საარჩ. კომისია 23% | 10 | საერთო სახელმწ. გადასახდელები 2% |
| 3 | შინაგან საქმეთა სამინისტრო 12% | 11 | საგარეო საქმეთა სამინისტრო 1% |
| 4 | ფინანსთა სამინისტრო 9% | 12 | რეგ. განვით. და და ინფრას. სამინ. 1% |
| 5 | თავდაცვის სამინისტრო 3 % | 13 | ჯანდაცვის სამინისტრო 1 % |
| 6 | სახელმწიფო დაცვის სპეც. სამს. 3% | 14 | საქართველოს პროკურატურა 1% |
| 7 | პრეზიდენტის ადმინისტრაცია 3 % | 15 | იუსტიციის სამინისტრო 1% |
| 8 | სახელმწ. უსაფრ. სამსახური 2% | | |

***წყარო:** ავტორის კვლევა ფინანსთა სამინისტრო. https://www.mof.ge/5677*

საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, უცხოეთის ქვეყნების სარეზერვო ფონდის ფინანსების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩვენი სტანდარტისგან განსხვავებით, ბიუჯეტში გაუთვალისწინებლის ნაცვლად, მხოლოდ ფორსმაჟორული გარემოებით გამოწვეული ხარჯების დასაფინანსებლად გამოიყენება, ამასთან, დაშვებულია გარკვეული გამონაკლისები, კერძოდ:

1) სარეზერვო ფონდებიდან დაფინანსება ხდება ისეთი გადაუდებელიაუცილებლობის შემთხვევაშიც, როდესაც ხელისუფლების მხრიდან რეაგირების გარეშე დატოვებამ შეიძლება მნიშვნელოვანი პრობლემა შეუქმნას სახელმწიფოს რეპუტაციას ან მის ქონებას;

2) სარეზერვო ფონდის სახსრები გამოიყენება სახელმწიფოს გარანტიით აღებული სესხების გადაუხდელობის დროსაც, რაც წინასწარ, პრაქტიკულად, ვერ იქნებოდა დაგეგმილი.

საქართველოში მთავრობის სარეზერვო ფონდის ხარჯები ყოველწლიურად მნიშვნელოვნად აჭარბებს დადგენილ ნორმას, რამდენადაც მხარჯავი დაწესებულებები, ცალკეულ შემთხვევაში, წინასწარ სათანადოდ ვერ გეგმავენ საკუთარ ბიუჯეტს, არ ითვალისწინებენ ყველა დეტალს და მოსალოდნელ ხარჯს, რაც შემდეგ, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ხდება დასაფინანსებელი. საეჭვოა ზოგიერთი დანახარჯის მიზნობრიობაც, მაგ. საბიუჯეტო კოდექსის 28-ემუხლის თანახმად, საქართველოს რეგიონული პროექტების ფონდი (300 მლნ ლარი) არ შედის სარეზერვო ფონდებში, რეალურად კი, სწორედ ასეთი ფუნქციური დატვირთვა აქვს მას. სარეზერვო ფონდებში ამ თანხის გაერთიანების შემთხვევაში, ფონდის მოცულობა მნიშვნელოვნად გადააჭარბებდა საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ 2%-იან ზღვარს, რაც ფისკალური უსაფრთხოების სტანდარტებს დაარღვევდა და უარყოფითად აისახებოდა ქვეყნის საკრედიტო იმიჯზე.

რამდენადაც, საქართველოს კანონმდებლობით, მთავრობის სარეზერვო - ფონდიდან თანხა მხოლოდ ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ხარჯების და საფინანსებლად გამოიყოფა, შესაბამისად არსებობს სახსრების არაეფექტიანი განკარგვის და სარეზერვო ფონდის ასიგნებების მრავალგზის ცვლილებით გამოწვეული არასტაბილურობის მაღალი რისკი. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის შეფასებით, როგორც წესი, ფონდის დანახარჯები დაგეგმილს 80%-ზე მეტად აჭარბებს (IDFE,2019).ამ დეფიციტის შევსება საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისთვის გათვალისწინებული ასიგნებების შემცირების, ტენდერებიდან წარმოქმნილი ეკონომიის, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ვალდებულებებისათვის გათვალისწინებული დანახარჯების ან ბიუჯეტის სხვა კატეგორიის ასიგნებების შემცირების ხარჯზე ხდება. ასეთი ცვლელებები ხელს უშლის ბიუჯეტის სწორ დაგეგმვას და მისი შესრულების ეფექტურ კონტროლს.

აღნიშნული პრობლემების დასაძლევად, საბიუჯეტო კოდექსში სარეზერვო ფონდის ფუნქციის ახალი სტანდარტი უნდა შევიდეს, რომლის თანახმადაც, მისი გამოყენება გაუთვალისწინებელი ხარჯების ნაცვლად, მხოლოდ ფორსმაჟორულ სიტუაციაში და ისეთი გადაუდებელი ხარჯების დასაფინანსებლად იქნება განკუთვნილი, რისი პროგნოზირებაც წინასწარ შეუძლებელი იყო.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მიზანს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების და სამოქალაქო ინტეგრაციის ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა წარმოადგენს, ეს არის დემოკრატიული ფასეულობების განვითარების, სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების დამკვიდრების, სამოქალაქო ორგანიზაციების ინსტიტუციური მხარდაჭერის, ინოვაციური და სამეწარმეო გარემოს ფორმირების ხელშეწყობის, ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობები (პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი, 2023). 2019 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდთან დაკავშირებით, – პრეზიდენტის უფლებამოსილებათა შესასრულებლად სარეზერვო ფონდიდან სახსრების გამოყოფის ნაცვლად, დაწესდა თითოეული ღონისძიების ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსება საქართველოს მთავრობის დადგენილებების საფუძველზე. საბიუჯეტო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის სახელმწიფო ასიგნებამ 2022 წელს 8 900.4 ათასი ლარი შეადგინა, 2023-2024 წლებში კი, ამ დანიშნულების ხარჯები 9 600.0 ათასი ლარით განისაზღვრა (საქართველოს კანონი, 2018).

ადგილობრივი თვითმმართველობის სარეზერვო ფონდი წლის განმავლობაში წარმოქმნილი ისეთი ადგილობრივი მნიშვნელობის ღონისძიებების დაფინანსებას ემსახურება, რომელთა გათვალისწინებაც ობიექტური გარემოებების გამო შეუძლებელი იყო ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში. მუნიციპალიტეტების სარეზერვო ფონდების 30% ფინანსურ დახმარებაზეა გათვლილი, 25% სტიქიის, ეპიდემიების, ეკოლოგიური კატასტროფების ან სხვა უბედური შემთხვევების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებას ხმარდება (კუკავა მ., 2016).

საბიუჯეტო რეფორმის ფარგლებში, 2019 წლიდან გათანაბრებითი ტრანსფერის ნაცვლად, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსავლის წყაროდ ბიუჯეტში მობილიზებული დამატებული ღირებულების გადასახადის 19% განისაზღვრა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მუნიციპალიტეტების შემოსავლები. „ახალი მოდელით შემოსავლების წყარო უფრო მრავალფეროვანი და სტაბილური გახდა, რასაც „ევროპული ქარტია“ ფისკალური დეცენტრალიზაციის მნიშვნელოვან პირობად განიხილავს და შემოსავლების ალტერნატიული წყაროების მოძიებას ავალდებულებს მუნიციპალიტეტებს“ (ტაბატაძე მ., 2020).

2023 წელს დასრულდა აღნიშნული რეფორმის გარდამავალი ეტაპი, ამის შედეგად, სავარაუდოდ, ზოგ მუნიციპალიტეტს ფინანსური დეფიციტი შეექმნება. მის დასაძლევად და სხვა გაუთვალისწინებელი დანახარჯების დასაფინანსებლად სახელმწიფო ბიუჯეტში შექმნილია „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი“, რომლის განკარგვა ხდება საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული სპეციალური გადაწყვეტილებების საფუძველზე (ცხრილი 3).

**ფინანსური დახმარება ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტში, 2023 წ. (ათასი ლარი)**

*ცხრილი 3.*

| ავტონომიური რესპუბლიკები და რეგიონები | სულ ტრანსფერი | | მიზნობრივი ტრანსფერი | | სპეციალური ტრანსფერი | | კაპიტალური ტრანსფერი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გეგმა | 6 თვის ფაქტ. | გეგმა | 6თვის ფაქტ. | გეგმა | 6 თვის ფაქტ. | გეგმა | 6 თვის ფაქტ. |
| აფხაზეთის ა. რ. | 14,000.0 | 7,000.0 | 0.0 | 0.0 | 14,000.0 | 7,000.0 | 0.0 | 0.0 |
| აჭარის ა. რ. | 6,900.0 | 6,900.0 | 0.0 | 0.0 | 6,400.0 | 6,400.0 | 500.0 | 500.0 |
| თბილისი | 473,755. | 165,477. | 555.0 | 277.8 | 440,000. | 165,000. | 33,200.0 | 200.0 |
| კახეთი | 52,247.6 | 24,561.2 | 3,035.0 | 1,518.6 | 1,500.0 | 950.0 | 47,712.6 | 22,092.6 |
| იმერეთი | 95,177.7 | 60,475.3 | 3,835.0 | 1,918.2 | 24,486.0 | 18,848.0 | 66,856.7 | 39,709.1 |
| სამეგრ. ზ. სვანეთი | 75,667.3 | 44,995.3 | 2,985.0 | 1,492.2 | 24,390.0 | 16,069.3 | 48,292.3 | 27,433.7 |
| შიდა ქართლი | 40,411.6 | 21,334.4 | 1,910.0 | 954.6 | 7,140.0 | 3,695.2 | 31,361.6 | 16,684.6 |
| ქვემო ქართლი | 45,766.3 | 14,359.9 | 2,755.0 | 1,378.2 | 55.0 | 0.0 | 42,956.3 | 12,981.7 |
| გურია | 33,230.3 | 18,819.2 | 1,105.0 | 552.6 | 14,800.0 | 7,451.6 | 17,325.3 | 10,814.9 |
| სამცხე-ჯავახეთი | 38,812.7 | 12,340.5 | 1,905.0 | 952.2 | 5,200.0 | 1,600.0 | 31,707.7 | 9,788.3 |
| მცხეთა-მთიანეთ | 35,229.4 | 12,199.1 | 1,390.0 | 695.4 | 11,750.0 | 1,885.9 | 22,089.4 | 9,617.8 |
| რაჭა-ლეჩხ-ქვ. სვან. | 22,986.1 | 6,177.4 | 985.0 | 492.0 | 3,765.0 | 689.1 | 18,236.1 | 4,996.3 |
| ჯამი | 947,673.9 | 395,309.6 | 25,000.0 | 10,251.6 | 562,436.0 | 230,238.9 | 360,237.9 | 154,819.1 |

***წყარო:*** *ავტორის კვლევა. საქ. ფინანსთა სამინისტრ. https://www.mof.ge/5677*

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერების მოცულობა 516 000 ათასი ლარით განისაზღვრა, თითოეულ ტრანსფერს კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქცია გააჩნია და ტერიტორიულ ერთეულებში განსახორციელებელი პროგრამების დაფინანსებას ემსახურება, ამ პროცესს იურიდიულ-სამართლებრივად უზრუნველყოფს საქართველოს კანონები და კანონქვემდებარე აქტები. კერძოდ, კანონები „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ", „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ", „თავდაცვის ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ", „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ", „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ", საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ", ბავშვის უფლებათა კოდექსი და სხვ. 2024 წლის ბიუჯეტის შესახებ კანონში შესულია სიახლე, კერძოდ, ის, რომ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიმდინარე წელს პირველად დაფინანსდება მუნიციპალიტეტებში საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციის და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამები (განმარტებითი ბარათი, 2023).

გასათვალისწინებელია ის, რომ მთავრობის სარეზერვო ფონდის მესამედი ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის გადასაცემ სამთავრობო ტრანსფერებზე მოდის, ამდენად, ის სავსებით უნდა შეესაბამებოდეს ხელისუფლების მიერ დეკლარირებულ რეგიონულ პოლიტიკას, რაც დღეისთვის ცალსახად პრობლემატურ საკითხად რჩება.

## სარეზერვო ფონდის ფუნქციონირების სრულყოფის ძირითადი მიმართულებები

სახელმწიფო ბიუჯეტის სარეზერვო ფონდების ადმინისტრირების პროცესში განსაკუთრებით პრობლემატურია მისი დანახარჯების მიზნობრიობის დასაბუთება და ერთიანი სტანდარტის შემუშავება. უაღრესად მნიშვნელოვანია და სათანადო სამართლებრივ სრულყოფას მოითხოვს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველობისთვის გადაცემული ტრანსფერების მიზნობრიობის საკითხი, რამდენადაც რიგ შემთხვევაში, ისინი მიზნობრივი, კაპიტალური ან სპეციალური ტრანსფერების ფუნქციას ვერ ასრულებენ, კერძოდ:

- მიზნობრივი ტრანსფერი - (2.6%), მუნიციპალიტეტებზე დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით სახლმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული ფინანსური დახმარებაა, შესაბამისად, სარეზერვო ფონდის ასიგნება სატრანსფერო სახსრებად არ უნდა ჩაითვალოს;

- კაპიტალური ტრანსფერი - (39.2%), ეს ტრანსფერი მიმღების აქტივებს უნდა ზრდიდეს, მაშინ, როდესაც რეალურად, იგი ღონისძიებებს აფინანსებს და, შესაბამისად, ვერ გაზრდის აქტივების მოცულობას. ცალკეულ შემთხვევაში ადგილი აქვს ისეთი კაპიტალურიპროექტების დაფინანსებასაც, რისი გათვალისწინებაც შესაძლებელი იყო ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში, რაც ფონდის სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის საფრთხეს ქმნის;
- სპეციალური ტრანსფერი - (58.2%) კანონის მიხედვით, ფორსმაჟორული სიტუაციის შედეგების სალიკვიდაციოდ უნდა გამოიყენებოდეს, ამდენად მისი ასიგნება ბუნებით, სწორედ, სარეზერვო ფონდის ფუნქციას შეესაბამება და უნდა მიეკუთვნებოდეს კიდეც ამ კატეგორიას, თუმცა, რეალურად, ხშირად, მისი სახსრები კანონმდებლობით განსაზღვრული ფონდის მიზნებისაგან განსხვავებული დანიშნულებით გამოიყენება.

სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების განკარგვის პრაქტიკა გარკვეულ შემთხვევებში ნაკლებად შეესაბამება ფონდის მიზნებს და პრინციპებს, რამდენადაც, შესაძლებელი იყო ამ თანხების წინასწარ ბიუჯეტში ასახვა. მაგალითად:

- 2017-2022 წწ. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების ფულადი წახალისებისთვის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 20.5 მლნ ლარი გამოიყო, მ.შ. 2022 წ. სამინისტროსთვის გამოყოფილი საერთო თანხიდან (5.3 მლნ ლარი) 5 მლნ ლარი თანამშრომელთა პრემირებისთვის იყო განკუთვნილი, 300000 ლარი კი, - ცხელი ხაზის გამართული მუშაობისთვის, რაც, ასევე, შეიძლება არამიზნობრივ ხარჯებს მიეკუთვნოს, რამდენადაც, ეს თანხა თავიდანვე უნდა ასახულიყო ბიუჯეტში და სადავო არ გამხდარიყო თანამშრომლების ფინანსური წახალისების მიზნით დამატებით თანხების სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფის საჭიროება;
- მთავრობის ადმინისტრაციისთვის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხის (17.3 მლნლარი) ყველაზე დიდი ნაწილი იხარჯება ისეთი აქტივობის დასაფინანსებლად, რაც თავისი შინაარსით, არ წარმოადგენს გაუთვალისწინებელ ხარჯს, რამდენადაც, შესაძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტში წინასწარ მისი გათვალისწინება. მაგალითად, მთავრობის ადმინისტრაციისათვის გამოყოფილი თანხების თითქმის ნახევარი საახალწლო ღონისძიებებზე გაიცემა, რაც გარდაუვალი/ტრადიციული ხარჯია და თავიდანვე უნდა იყოს ასახული ბიუჯეტში;
- მთავრობის ადმინისტრაციის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის დამატებით ყოველწლიურად გამოიყოფა მილიონობით ლარი, რაც შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს ბიუჯეტის დაგეგმვის დროს;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა (1.4 მლნ ლარი) 26 მაისისადმი მიძღვნილი ზოგიერთი - ღონისძიების დაფინანსებას ითვალისწინებს. ეს ხარჯები, სავსებით შესაძლებელია, დაგეგმილი იყოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში;

- იუსტიციის სამინისტროზე გადაცემული თანხების უდიდესი ნაწილი წლების მანძილზე ხმარდებოდა საერთაშორისო საარბიტრაჟო დავებსა და უცხო ქვეყნების სასამართლოებში მიმდინარე საქმეების წარმართვის პროცესებს, რაც არ ატარებს არც გაუთვალისწინებელ და არც ფორსმაჟორულ ხასიათს, შესაბამისად, ის არ შეესაბამება სარეზერვო ფონდის დანიშნულებას;
- საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა ქართული დიასპორისა და საქართველოს საელჩოების საჭიროებებს ხმარდება, რაც, ასევე, შეიძლება წინასწარ აისახოს საბიუჯეტო ხარჯებში.

სარეზერვო ფონდის ასიგნებები ბიუჯეტის დაგეგმვისას შეიძლება გარკვეული მანიპულირების საგანი გახდეს, რამდენადაც, ბიუჯეტის შედგენის დროს კონკრეტული უწყებისთვის გათვალისწინებული ხარჯები შეიძლება წინასწარ შემცირდეს, მოგვიანებით კი, სარეზერვო ფონდიდან გამოიყოს მისთვის დამატებითი თანხები, ამის საფრთხეს ქმნის არასათანადო საკანონმდებლო რეგულაციები, რაც არ ზღუდავს გადაუდებელი აუცილებლობის გარეშე ფონდის სახსრების გამოყენებას, ამისი მაგალითია 2023 წელს სარეზერვო ფონდის თანხების 33,5%-ით გაზრდა (60 მლნ ლარიდან 100 მლნ ლარამდე). მნიშვნელოვანია სარეზერვო ფონდი მხოლოდ ფორსმაჟორული სიტუაციებისათვის გამოიყენებოდეს. მკაცრად ფორმულირებული მიზნობრიობა ხელს შეუწყობს უწყებების მხრიდან ბიუჯეტის სწორად დაგეგმვას და სარეზერვო ფონდის ზუსტი მოცულობის განსაზღვრას, რაც საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მდგრადობის მნიშვნელოვანი პირობაა.

## დასკვნა

სისტემური რეფორმირების პროცესში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი საბიუჯეტო უფლებამოსილებათა სწორი იერარქიზაცია და განვითარების პროგრამების ეფექტური ფინანსური უზრუნველყოფაა. საქართველოს ხელისუფლებისათვის მმართველობითი პრინციპების პრიორიტეტი ევროპული სტანდარტების შესაბამისი მართვის სისტემის ფორმირებაა, რაშიც განმსაზღვრელი ადგილობრივი თვითმმართველობის ინტერესების დომინირება და ცენტრალიზებული დარგობრივი მმართველობითი სისტემის ნაცვლად, ტერიტორიული პროგრამული მართვის სისტემის დამკვიდრება ხდება.

ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკის გატარება საჯარო ფინანსების სწორ ადმინისტრირებას მოითხოვს, ამ პროცესში ერთ-ერთი პრობლემატური სარეზერვო ფონდების მართვის საკითხია. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობაში სარეზერვო ფონდების მიზნობრიობის უცხოურ ანალოგთან შესაბამისობაში მოყვანა, რის საფუძველზეც სარეზერვო ფონდებიდან ფინანსები გამოიყოფა მხოლოდ ფორსმაჟორული შემთხვევების და არა - გაუთვალისწი-

ნებელი ხარჯების დასაფარავად, რამდენადაც აღნიშნული ხარჯების კატეგორიაში შეიძლება შევიდეს ყველა ის ხარჯი, რომელიც ცუდი დაგეგმვის გამო მხარჯავმა ორგანიზაციამ არ გაითვალისწინა ბიუჯეტის შედგენის დროს და რაც, თავისთავად, არ უნდა ხდებოდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური მხარდაჭერის საგანი.

არის ცალკეული შემთხვევა, რომლის პროგნოზირება უწყებას წინასწარ არ შეუძლია. ასეთი ხარჯები შეიძლება დაიფაროს სარეზერვო ფონდიდან, ამასთან, ეს დასაშვებია მხოლოდ ისეთ გადაუდებელ ვითარებაში, როცა სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე დატოვებამ შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს.

სარეზერვო ფონდების ადმინისტრირება საბიუჯეტო ურთიერთობების სრულყოფის მნიშვნელოვანი საკითხია, დიდია მისი, როგორც ფისკალური სტაბილიზატორის როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ეფექტიანად წარმართვასა და საერთაშორისო სტანდარტებთან ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის ჰარმონიზების საკითხში. ეს პროცესი ჯერ ჯიდევ მოითხოვს მეცნიერულ კვლევებს და კონკრეტულ გადაწყვეტილებებს ხელისუფლების მხრიდან.

**ლიტერატურა:**


- კუკავა მ. (2016). სარეზერვო ფონდებიდან ხარჯვა კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება, ფონდი „საერთაშორისო გამჭვირვალება, საქართველო". თბილისი
- პაპავა ი. (2019). დეცენტრალიზაციის ქართული პარადოქსი: ცენტრალიზაცია დეცენტრალიზაციის სახელით. https://droa.ge/?p=41594
- ტაბატაძე მ. (2017). სახელმწიფო მართვის დეცენტრალიზაციის ინსტიტუციური სეგმენტირების თეორიული საკითხები, თსუ, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი. https://opac.sciencelib.ge/bib/179808
- ტაბატაძე მ. (2020). სივრცითი ეკონომიკის პრიორიტეტები და დეცენტრალიზაციის ფისკალური მექანიზმი, (ინგლ.), საერთაშორისო ეკონომიკური კვლევების ჟურნალი (JIER). ტ. 6 (1). გვ.13-22, ISSN 2500-9737 https://irissymposium.wixsite.com/jier
- ტაბატაძე მ. (2022). ფინანსური სტაბილიზაციის სახელმწიფო ანტიკრიზისული სტრატეგია, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, გვ. 330-338. http://conferenceconomics.tsu.ge/uploads/images/konfkreb2022.pdf
- IDFE (2019). „ადგილობრივი თვითმმართველობის სარეზერვო ფონდების ხარჯვა 2020 წელს", LUMUNATE, თბილისი. https://idfi.ge/ge/expenditures of contingency funds of local municipalities in 2020
- ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობა, IBP (2021).
- OECD (2019). Making Decentralization Work, a Handbook for Policy-Makers. http://www.oecd.org/regional/making-decentralisation-work-g2g9faa7-en.htm
- საერთაშორისო სავალუტო ფონდი (2022). ფისკალური დეცენტრალიზაცია.

https://data.imf.org/?sk=1c28ebfb-62b3-4b0c-aed3-048eeebb684f
- საქართველოს მთავრობა (2019). დადგენილება „საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, თბილისი, https://parliament.ge
- საქართველოს მთავრობა (2023). დადგენილება „საჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიისა და საჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“. თბილისი https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5723982?publication=0
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (2022). „სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი; „მოქალაქის გზამკვლევი“. https://www.mof.ge/images/File/gzamkvlevi/-2022/30-12-2021/Citizens% 20Guide%20-%202022-kanoni.pdf
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (2023). „სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი „მოქალაქის გზამკვლევი“. თბილისი, https://www.mof.ge/5677
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (2023). პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი. თბილისი https://president.gov.ge/
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (2017). საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა საქართველოში, - ევროკავშირი საქართველოს შესახებ, გვ. 8. https://bit.ly/3wKcWi9
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (2023). საქართველოს კანონი „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“. განმარტებითი ბარათი. https://www.mof.ge/5677

ყველა ელექტრონული წყაროს ბოლოს ნახვა: 15 თებერვალი, 2024 წ.

References:

- Kukava M. (2016). Sarezervo pondebidan kharjva kvlav seriozul problemad rcheba, [Spending from Reserve Funds Remains a Serious Problem Transparency. International Foundation- Georgia, Tbilisi.] in Georgian
- Papava I. (2019). Detsentralizatsiis kartuli paradoksi: tsentralizatsia detsentralizatsiis sakhelit. [Georgian Paradox of Decentralisation: Centralisation Instead of Decentralisation.] in Georgian https://droa.ge/?p=41594.
- Tabatadze M. (2017). sakhelmtsipo martvis detsentralizatsiis institutsiuri segmentirebis teoriuli sakitkhebi [Theoretical Issues of Institutional Segmentation of State Management Decentralization.] TSU, II International Scientific Conference, Tbilisi.] in Georgian https://opac.sciencelib.ge/bib/179808
- Tabatadze M. (2020). sivrtsiti ekonomikis prioritetebi da detsentralizatsiis piskaluri mekanizmebi [Priorities of Spatial Economy and Fiscal Mechanism of Decentralisation. Journal of International Economic Research, vol. 6(1), p. 13-22, ISSN 2500-9737.] in Georgian https://irissymposium.wixsite.com/jier
- Tabatadze M. (2022). pinansuri stabilizatsiis sakhelmtsipo antikrizisuli strategia [State Anti-crisis Strategy for Financial Stabilization. Collection of Materials of the International Scientific Conference of the Institute of Economics Named after Paata Gugushvili TSU, pp. 330-338. Tbilisi.] in Georgian.
http://conferenceconomics.tsu.ge/uploads/images/konfkreb2022.pdf\
- IDFE (2019). adgilobrivi tvitmmartvelobis sarezervo pondebis kharjva 2020 tsels, [Expenditure of local Self-Government Reserve Funds in 2020. LUMUNATE, Tbilisi.] in

Georgian. https://idfi.ge/ge/expenditures of contingency funds of local municipalities in 2020

- International Budget Partnership, IBP (2021).
- OECD (2019). Making Decentralization Work, a Handbook for Policy-Makers. Retrieved from http://www.oecd.org/regional/making-decentralisation-work-g2g-9faa7-en.htm
- International Monetary Fund (2022). piskaluri detsentralizatsia. [Fiscal Decentralization]. in Georgian. https://data.imf.org/?sk=1c28ebfb-62b3-4b0c-aed3-048eeebb684f.
- Government of Georgia (2019). dadgenileba „Sajaro mmartvelobis repormis 2019-2020 tslebis samokmedo gegmis damtkitsebis shesakheb“, [Resolution "On Approval of the 2019-2020 Public Administration Reform Action Plan".] in Georgian.
- Government of Georgia (2023). dadgenileba “Sajaro mmartvelobis repormis 2023-2026 tlebis strategiisa da sajaro mmartvelobis repormis 2023-2024 tslebis samokmedo gegmis damtitsebis shesakheb” [Resolution on "Approving the Public Administration Reform Strategy for 2023-2026 and the Public Administration Reform Action Plan for 2023-2024".] in Georgian.
- Ministry of Finance of Georgia (2022). „sakhelmtsipo biujetis kanoni,- mokalakis gzamkvlevi“ ["State Budget Law,- Citizen's Guide"] in Georgian. https://www.-mof.ge/images/File/gzamkvlevi/2022/30-12-2021/Citizens% 20Guide%20-%202022-kanoni.pdf
- Ministry of Finance of Georgia (2023). “sakhelmtsipo biujetis kanoni, Mokalakis gzamkvlevi” ["State Budget Law, - Citizen's Guide.] in Georgian. https://www.mof.-ge/5677
- Ministry of Finance of Georgia (2023). prezidentis sarezervo pondi [President's Reserve Fund.] in Georgian. https://president.gov.ge/, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5723982?publication=0
- Ministry of Finance of Georgia (2017). „sajaro pinansuri martvis reporma saqartveloshi“ ["Public Finance Management Reform in Georgia". The European Union for Georgia, pp. 8.] in Georgian. https://bit.ly/3wKcWi9
- Ministry of Finance of Georgia (2018). sakartvelos kanoni „sakhelmtsipo biujetis shesakheb“,- Ganmartebiti barati. [Law of Georgia "On the State Budget”,- Explanatory Card.] in Georgian.
  https://www.mof.ge/5677
  https://parliament.ge
  http://sa.gov.ge
  https://mof.ge/5177
  www.geostat.ge

All electronic sources were last viewed on February 15, 2024

# Issues of Optimizing the Use of State Budget Funds in Georgia

**Marina Tabatadze**
*Assistant Professor*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*tabatadze_marina@yahoo.com*

*Effective management of the state budget is an important factor of the country's financial stabilization and correct forecasting, its basis is the introduction of modern management principles of the budget system, the formation of an institutional and legal base corresponding to European standards. The article discusses the role of the budget system in the unified process of managing the economy of Georgia and certain features of its functioning, the issues of optimization of vertical budget segmentation and proper coordination.*

*On the basis of the Law on Budgetary Systems, government reserve funds have been created within the state budget of Georgia since 2005 to cover unforeseen expenses. The operation of this fund is one of the important issues of the state budget, as, along with the fiscal burden, the Reserve Fund plays a significant role in financial support for the main priorities of the state's social policy.*

*Despite the compliance of the budget system of Georgia with the European standards, the issue of reserve funds still involves a certain problem. The issues of structuring and targeting of reserve funds, its legal and institutional provision require special attention. The problems of formation and effective management of reserve funds are discussed in the presented report.*

*The foundation for the formation of Georgia's modern budget system was placed by the public financial management reform (2004), which was based on the principles of the Open Government Partnership (OGP) and on the international standards of GFSM-2001. The compliance of the legal norms of the budget system of Georgia with European standards was ensured by the Organic Law "On Economic Freedom" (2011). An important legal basis for the effective administration of the budget structure and public finance management was created by the government decree - "Public Administration Reform" (2019).*

*The legal basis for the process of harmonizing the functions of budgets at individual levels in Georgia is made up by the following regulations: Organic laws "On Local Self-Government and Management" (1997) and "On Local Self-Government" (2007), Laws "On the Budget of Local Self-Government Units" (2006), "On local government bodies "On Property" (2006) and others.*

*According to the budget transparency, which was published in 2021, Georgia was on the first place from 120 countries in the whole world [20]. According to the future forecasts, this success will be further consolidated by the implementation of 85% of the legislative obligations provided for the agreement on a deep and comprehensive free trade zone with the European Union in 2024, in addition to it, all*

*the obligations in the field of public procurement will be fully implemented, as well, as on customs and technical barriers to trade.*

*In accordance with the IMF, the fiscal system of Georgia today is normal and its indicators do not exceed the threshold level of sustainability. The international standards of fiscal security are also observed, while it has identified a number of problems, which are necessary to be considered for the stability of the financial sector and the effective functioning of fiscal mechanisms for regulating the economy. Here is the list of the following problems, such as:*

- *Long-term provision of financial stability*
- *Effective use of reserve funds*
- *Financial management of state-owned enterprises.*

*The IMF has given priority for assessing long-term factors of fiscal sustainability, which are reflected in the international regulatory document - "Multi-year Indicative Program - MTP" (2020). This document about the delegation of powers between government and fiscal institutions, provides the formation of the optimal economic ties, which is only possible while using the conditions of an effective policy of decentralization of public administration.*

*The reserve fund of the Georgian government is subordinate to the executive branch and its volume. According to the state budget for 2024, is set at 80 million laris (an increase of 33.4%). The fund's expense structure contains:*

- *Unforeseen expenses – 28%*
- *Carrying out events of national importance – 26%*
- *Uninterrupted functioning of budgetary organizations – 13%*
- *Social expenses - 7%*
- *Electoral process services – 3%*
- *Financing of European integration events and political parties -2% and others.*

*According to the Georgian legislation, money from the government's reserve is only allocated to finance expenses. But, not provided for the budget, so, in our days , there is a high risk of inefficient use of funds and instability caused by multiple changes in the distribution of the reserve's fund, which prevents propering the budget planning and effective control of its execution.*

*The process of managing reserve funds of the state budget, is especially problematic. Similar as to justify the intended purpose of expenses; therefore , it is necessary to develop a unified standard, which helps us to control the fund funds instead of unforeseen expenses . In addition to it, it is only recommend to use it in a force majeure situation and finances such an emergency expenses that could not be predicted in advance, this will significantly increase the responsibility of spending organizations for taking into account all the expected expenses when drawing up the budget, which will eliminate the bad practice of requesting additional funds from the reserve fund during the year. Also, in emergency situations, it will be allowed to finance from the reserve fund such unplanned expenses when leaving them without*

*financial support from the state could cause irreparable damage to the country's international reputation or its propert.*

*The issue of targeting transfers transferred from the reserve fund to local government also requires legal revision, since in some cases, they do not correspond to the purpose of the targeted, capital or special transfers which are existing today. To summarize, strictly formulated targeting system will help departments to plan the budget correctly and determine the exact size of the reserve fund itself, which is an important condition for the sustainability of Georgia's budget system.*

**Keywords:** *Fiscal security; budget reserve fund; budget decentralization; budget expenditures; budget governance standards.*

***JEL Codes:*** *E62, H60, H61, O23*

ეკონომიკა და ბიზნესი, 2024, №1, 185-202
Economics and Business, 2024, №1, 185-202

# პირველადი ჯანდაცვის დაფინანსების მეთოდები საქართველოში: გამოწვევები და პერსპექტივები

doi.org/10.52340/eab.2024.16.01.11

**თენგიზ ვერულავა**
*პროფესორი*
*კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლა*
*tverulava@cu.edu.ge*

*სამედიცინო მომსახურების შემთხვევათა მეტი წილი ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დონეზე ხორციელდება, რაც მომსახურების ყველაზე მასობრივი ფორმაა, რომელსაც მიმართავს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური სამედიცინო მომსახურებით, როგორც წესი, იწყება და მთავრდება პაციენტის მიმართვა ჯანდაცვის სისტემაში. მას გააჩნია ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების მნიშვნელოვანი შესაძლებლობები. აქედან გამომდინარე, პირველადი ჯანდაცვის ანაზღაურების მეთოდების შერჩევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. პირველადი ჯანდაცვის დაფინანსების შემდეგი ძირითადი მეთოდები გამოიყენება: სულადობრივი ანაზღაურების მეთოდი, ფიქსირებული ხელფასით ანაზღაურების მეთოდი, სერვისების მიხედვით ანაზღაურების მეთოდი.*

*საქართველოში პირველადი ჯანდაცვის განვითარების ხელშესაწყობად საჭიროა ოჯახის ექიმის და ექთნის სათანადო ანაზღაურება. ბევრ ქვეყანაში პირველადი ჯანდაცვის გუნდის დაფინანსებისას გათვალისწინებულია მოტივაცია, რაც გულისხმობს არამხოლოდ რაც შეიძლება მეტი პაციენტის მიღების სტიმულირებას, არამედ შესრულებული სამუშაოს ხარისხს, ადრეულ სტადიაზე დაავადებების გამოვლენას. განსაკუთრებით საყურადღებოა ექიმების სტიმულირებადი ანაზღაურების მეთოდები ბენეფიციარებზე პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩასატარებლად. ამ მხრივ, ექიმის დაფინანსების მეთოდი წარმოადგენს ჯანდაცვის სერვისების ეფექტურად განხორციელების ერთ-ერთ მთავარ ბერკეტს.*

*მიზანშეწონილია პირველადი ჯანდაცვის ანაზღაურების ეფექტური კომბინირებული მეთოდების დანერგვა, რაც გულისხმობს სულადობრივი მეთოდის გარდა, ანაზღაურების სხვა მეთოდების (გაწეული მომსახურების მიხედვით, მიზნობრივი ანზღაურება და ა.შ.) გამოყენებას. ეს სტიმულს აძლევს ექიმებს გააფართოვონ დიაგნოსტიკური და სამკურნალო მომსახურების სპექტრი, უზრუნველყონ სამედიცინო დახმარების უწყვეტობა.*

***საკვანძო სიტყვები:*** *სულადობრივი დაფინანსება, პირველადი ჯანდაცვა, ოჯახის ექიმი, მიზნობრივი დაფინანსება*

## შესავალი

პირველადი ჯანდაცვის სერვისებით იწყება და მთავრდება პაციენტის მიმართვა ჯანდაცვის სისტემაში, რაც, უმეტეს ქვეყნებში, პაციენტისათვის არის პირველი კონტაქტი ჯანდაცვის სისტემასთან.

ხელმისაწვდომი, სამართლიანი და მაღალი ხარისხის პირველადი ჯანდაცვა აუცილებელია, ჯანდაცვის სერვისებით დაფარვის მისაღწევად ქვეყნის მასშტაბით. კვლევები ადასტურებს, რომ ძლიერი პირველადი ჯანდაცვის სექტორი ასოცირდება ჯანდაცვის მეტად ხელმისაწვდომობასთან, პაციენტების კმაყოფილებასთან და დაბალ დანახარჯებთან. პირველად ჯანდაცვას გააჩნია ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების მნიშვნელოვანი შესაძლებლობები.

გამომდინარე აქედან, პირველადი ჯანდაცვის ანაზღაურების მეთოდების შერჩევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. პირველადი ჯანდაცვის დაფინანსების მოდელები მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ჯანდაცვის სფეროში ხელმისაწვდომობის, ხარისხისა და თანასწორობის საკითხების გადასაჭრელად. დაფინანსების მოდელებმა უნდა უზრუნველყოს რესურსების ეფექტურად მართვა, ასევე უნდა შექმნას სტიმული ჯანდაცვის სისტემაში, რათა თავიდან აიცილონ არასაჭირო ხარჯები მეორად და მესამე დონეზე.

პირველადი ჯანდაცვის დაფინანსების ძირითადი მეთოდებია: სულადობრივი ანაზღაურება, ფიქსირებული ხელფასით ანაზღაურება და სერვისების მიხედვით ანაზღაურება. საქართველოში არსებული დაფინანსების მეთოდები არ აძლიერებს პირველად ჯანდაცვას, რითაც ხელს უწყობენ ძვირადღირებული მეორეული და მესამეული დონის საავადმყოფოებს. აღნიშნული კი ნეგატიურად მოქმედებს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ზრდის ჯანდაცვის ხარჯებს, რაც ტვირთად აწვება შინამეურნეობების ფინანსებს.

საქართველოში ვერ შემუშავდა პირველადი ჯანდაცვის დაფინანსების ეფექტიანი სისტემა, რაც სტიმული იქნებოდა უკეთესი პირველადი ჯანდაცვის უზრუნველსაყოფად. საქართველოში არასაკმარისია ჩატარებული კვლევები პირველადი ჯანდაცვის დაფინანსების ეფექტურ მეთოდებზე, რაც სწრაფად უნდა გამოსწორდეს, რათა ხელი შეეწყოს პირველადი ჯანდაცვის რესურსების და სერვისების გამოყენების ბალანსის შეცვლას და პრევენციის გაფართოებას მოსახლეობის ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად. ნაშრომის მიზანია მსოფლიოში არსებული პირველადი ჯანდაცვის დაფინანსების მეთოდების შეფასება, საქართველოში ამ მხრივ არსებული გამოწვევების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება.

## სულადობრივი ანაზღაურების მეთოდი

სულადობრივი (კაპიტაციური) ანაზღაურება გულისხმობს სამედიცინო პერსონალის ან სამედიცინო დაწესებულების დაფინანსებას სულადობრივი

განაკვეთის (თითოეულ პირზე ანაზღაურება) მიხედვით, რომელიც ფიქსირებულია და დამოკიდებულია იმ მოსახლეობის რაოდენობაზე, რომელსაც ის ემსახურება.

სულადობრივი ანაზღაურების ორი ფორმა არსებობს: მარტივი და რთული. მარტივი ფორმის დროს, სამედიცინო დაწესებულება ყველა რეგისტრირებული პაციენტის მომსახურებისათვის ერთსა და იმავე თანხას იღებს. რთული ფორმის დროს, სამედიცინო დაწესებულების მომსახურების ზონაში მყოფი თითოეული პაციენტის მომსახურებისათვის განსხვავებული თანხა დგინდება. კერძოდ, რთული ფორმა ითვალისწინებს არა მარტო პაციენტთა რაოდენობას, არამედ ისეთ პარამეტრებს, როგორიცაა: ასაკი, სქესი, სოციალური სტატუსი, საცხოვრებლის ადგილმდებარეობა, ეთნიკური ფაქტორი, განათლების დონე, ინვალიდობა, ურბანიზაცია.

ბავშვების, მოხუცების, რეპროდუქციულ ასაკში მყოფი ქალების, ასევე ღარიბების სამედიცინო მომსახურებაზე სამედიცინო ორგანიზაციების დასაფინანსებლად გამოიყენება კაპიტაციური ანაზღაურების რთული სახე, რადგან ისინი უფრო მეტჯერ მიმართავენ ექიმებს, ვიდრე მოსახლეობის სხვა ჯგუფები. შესაბამისად, მიზანშეწონილია ამ კატეგორიის პირებზე მეთვალყურეობისათვის, სამედიცინო პერსონალისათვის შედარებით მაღალი სულადობრივი ანაზღაურების დადგენა. ცხადია, ანაზღაურების რთული ფორმა ხელს უწყობს სამედიცინო პერსონალის უფრო აქტიურ მუშაობას ასეთი სახის პაციენტებთან. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, აგრეთვე, პაციენტის დიაგნოსტიკური ინფორმაცია, რომელიც გვიჩვენებს წინათ გაწეულ სამედიცინო დახმარებას, შეზღუდული შესაძლებლობის დონეს, ჯანმრთელობის მდგომარეობას, ქრონიკულ ავადმყოფობას.

მაგალითად, დიდ ბრიტანეთში პირველადი ჯანდაცვის ექიმების ანაზღაურება ხორციელდება სულადობრივი მეთოდის რთული ფორმის გამოყენებით. ექიმთა შემოსავლების 60% სულადობრივი მეთოდით ფინანსდება. თითო სულზე გამოყოფილი თანხა დამოკიდებულია პაციენტის ასაკზე, სქესზე, ხოლო სოციალურად ღარიბ რაიონებში თითოეულ პაციენტზე დამატებითი სახსრებია გამოყოფილი. სულადობრივი ანაზღაურების ანალოგიურ, რთულ ფორმას იყენებენ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.

ნიდერლანდებში სავალდებულო ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდებიდან ზოგადი პრაქტიკის ექიმების ანაზღაურება ხორციელდება სულადობრივი (კაპიტაციური) მეთოდით. სულადობრივი ანაზღაურების ზომა დგინდება სადაზღვევო ფონდების ასოციაციებისა და ექიმთა ასოციაციების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. სადაზღვევო კომპანიები ცენტრალური ფონდიდან ღებულობენ რისკზე გათვლილ სულადობრივ ნორმატივს, რომელიც წარმოადგენს ერთ სულზე გათვლილ მოსალოდნელ დანახარჯებს იმ რისკის ჯგუფის ჩარჩოებში, რომელსაც ეკუთვნის დაზღვეული, გამოკლებული ფიქსირებული თანხა. ფიქსირებული თანხა წარმოადგენს ერთიდაიგივეს ყველა დაზღვეუ-

ლისათვის და შეადგენს თითო სულზე მოსალოდნელი საშუალო სავალდებულო სამედიცინო დანახარჯების დაახლოებით 10%-ს. დეფიციტი ივსება მინიმალური ფიქსირებული შენატანით, რომელსაც დაზღვეული უშუალოდ მის მიერ ამორჩეულ სადაზღვევო კომპანიაში იხდის. ნიდერლანდებში რისკზე გათვლილი სულადობრივი ნორმატივის გამოსათვლელი ფორმულა ეფუძნება ასაკს, სქესს, შრომისუნარიანობას და რეგიონს. რისკზე გათვლილი სულადობრივი ნორმატივი დამზღვევებისათვის წარმოადგენს რესურსების ეფექტური გამოყენების სტიმულს.

### სულადობრივი დაფინანსების დადებითი მხარეები

***კონკურენციის ზრდა.*** სულადობრივი დაფინანსების მეთოდის გამოყენებებისას ექიმი ცდილობს, მაღალი ანაზღაურების მიღების მიზნით, გაზარდოს მასთან რეგისტრირებული პაციენტების რაოდენობა. აღნიშნული განაპირობებს ექიმებს შორის კონკურენციის გაზრდას, რაც, თავის მხრივ, სამედიცინო დახმარების მაღალი ხარისხით ჩატარების სტიმულს იძლევა. ამ გარემოებას ხელს უწყობს დაზღვეულის უფლება - საკუთარი სურვილით აირჩიოს სამედიცინო დაწესებულება და ექიმი.

***ხარჯების ზრდის შეკავება.*** დაფინანსება სამედიცინო დახმარების მოცულობაზე არაა დამოკიდებული. სამედიცინო დაწესებულებას და პერსონალს არ გააჩნია დაუსაბუთებელი, პაციენტისათვის არა აუცილებელი სამედიცინო დახმარების გაწევის სტიმული, რაც მკვეთრად ამცირებს ჯანდაცვის ხარჯებს. ამ მეთოდის გამოყენებისას დანახარჯები ადვილად პროგნოზირებადია.

***ანგარიშსწორების სიმარტივე.*** სულადობრივი ანაზღაურებისათვის დამახასიათებელია ანგარიშსწორების სიმარტივე. ის არ მოითხოვს სამედიცინო დახმარების თითოეული შემთხვევისათვის ანგარიშის დამუშავებას. შესაბამისად ნაკლებია საქმის წარმოებისათვის საჭირო ხარჯები. სულადობრივი ანაზღაურება ნაკლებად მოითხოვს ძვირადღირებული საინფორმაციო სისტემების გამოყენებას. მკვეთრად მცირდება დიდი რაოდენობით საფინანსო-ეკონომიკური პერსონალის საჭიროება.

***პრევენციული ღონისძიებების გააქტიურება.*** ექიმი დაინტერესებულია დროულად და ხარისხიანად განახორციელოს დაავადებათა პროფილაქტიკა, ვინაიდან მწვავე კონკურენტულ ბრძოლაში იგი ცდილობს დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ყველა წარმოჩენილი პრობლემა. რაც თავისთავად უფრო გაადვილებულია მოსახლეობის შედარებით ჯანმრთელ კონტინგენტში.

***სამედიცინო დახმარების ხარისხი.*** ექიმი დაინტერესებულია მასთან რეგისტრირებული პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობით. იგი ცდილობს ხანგრძლივი კონტაქტი იქონიოს ერთიდაიგივე პაციენტთან, უკეთესად გაერკვეს დაავადების მიმდინარეობაში, რათა უზრუნველყოს სათანადო სამედიცინო დახმარების გაწევა. ასევე, დაზღვეული პირი დაინტერესებულია ისარ-

გებლოს ერთი ექიმის მომსახურეობით და ურთიერთობა დაამყაროს იმ დაწესებულებასთან, სადაც მისი ავადმყოფობის ისტორია ინახება. ეს მეთოდი განსაკუთრებით ეფექტურია ქრონიკული დაავადებების სამკურნალოდ.

***ექიმის, როგორც "მეკარიბჭის" როლის გაძლიერება.*** ოჯახის ექიმთან ხანგრძლივი კონტაქტის გამო, პაციენტი ცდილობს მხოლოდ მისი რჩევის შემდეგ მიმართოს ექიმ-სპეციალისტს. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა დანია, ირლანდია, იტალია, ნიდერლანდები, დიდი ბრიტანეთი, ფინეთი, ნორვეგია, პორტუგალია, ესპანეთი, სპეციალისტთან კონსულტაციის მისაღებად აუცილებელია ოჯახის ექიმის მიმართვა. ოჯახის ექიმი, როგორც „მეკარიბჭე", პაციენტისთვის შესაბამისი მომსახურების უზრუნველყოფასა და მკურნალობის კოორდინაციაზეა პასუხისმგებელი. იგი უზრუნველყოფს პირველი დონის სამედიცინო მომსახურებას. პაციენტის ჰოსპიტალიზაცია ან სამკურნალოდ სპეციალისტთან გაგზავნა მხოლოდ მისი მიმართვის საფუძველზე ხდება.

## სულადობრივი დაფინანსების უარყოფითი მხარეები

***სამედიცინო დახმარების ხარისხი.*** რადგან ყველა რეგისტრირებულ პაციენტზე ექიმს გარანტირებული ფიქსირებული ანაზღაურება ეძლევა, მას უჩნდება უარყოფითი სტიმული - ხარჯების შემცირების მიზნით თავიდან მოიშოროს მძიმე პაციენტი, გააგზავნოს სპეციალისტთან ან სტაციონარში სამკურნალოდ, შეამციროს პაციენტთან კონსულტაციის დრო, ჩასატარებელი გამოკვლევების მოცულობა. აღნიშნული ნეგატიური სტიმული უარყოფითად მოქმედებს სამედიცინო დახმარების მაღალი ხარისხით უზრუნველყოფაზე (Langenbrunner და სხვ., 2002).

აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს პაციენტისათვის სამედიცინო დაწესებულების თავისუფალი არჩევანის უფლების მიცემა. იმ შემთხვევაში, როდესაც პაციენტს არ ჩაუტარებენ სათანადო ხარისხის სამედიცინო დახმარებას, მას უფლება აქვს აირჩიოს სხვა სამედიცინო დაწესებულება. ამასთან, დამფინანსებელსაც აქვს უფლება სამედიცინო დახმარების დაბალი ხარისხით გაწევის ან განსაზღვრული სტანდარტის დარღვევის შემთხვევაში, დაწესებულებასთან გაწყვიტოს ხელშეკრულება და მისთვის სასურველ სხვა დაწესებულებასთან გააფორმოს კონტრაქტი.

შესაძლებებელია, აგრეთვე, სულადობრივი ანაზღაურებისა და შესრულებული სამუშაოს მეთოდების კომბინირებული გამოყენება, რომელიც გულისხმობს მომსახურების პრიორიტეტულ სახეობებზე (მაგ; პრევენციული ღონისძიებები) სერვისების მიხედვით ანაზღაურების მეთოდის გამოყენებას. ასე, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, ზოგადი პრაქტიკის ექიმის ანაზღაურება გარდა სულადობრივი მეთოდისა, ხორციელდება ფიქსირებული ხელფასის, სერვისების მიხედვით ანაზღაურების და მიზნობრივი ანაზღაურების მეთოდებით.

*კონკურენციის ხელშემშლელი ფაქტორები.* კონკურენციის ეფექტურად განხორციელებას ხელს უშლის ორი ფაქტორი: ერთი მხრივ, პაციენტები ექიმს აფასებენ არა სამედიცინო დახმარების ხარისხის მიხედვით, არამედ ისეთი მარტივი კრიტერიუმებით, როგორიცაა: ექიმთან რიგების არსებობა ან ავადმყოფობის ფურცლის შედარებით იოლად გამოწერა. ის დაკავშირებულია სამედიცინო ბაზარზე არსებული ინფორმაციის სიმეტრიასთან, სადაც ექიმი გვევლინება აგენტის როლში, ხოლო პაციენტს დამოუკიდებლად არ შეუძლია გადაწყვიტოს თუ რა სახის სამედიცინო დახმარება სჭირდება და როგორ მიიღოს ის.

მეორე მხრივ, თუ მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში ექიმებს შორის კონკურენცია მაღალია, ნაკლებად დასახლებული სოფლის პირობებში ის შედარებით დაბალია. სოფლად შესაძლებელია მხოლოდ ერთი ექიმი იყოს დასაქმებული, რაც ამცირებს კონკურენციას და შესაბამისად, თავისუფალი არჩევანის პრინციპის განხორციელებას. აღნიშნული პრობლემა კიდევ უფრო ძლიერდება ზოგადი პრაქტიკის ექიმების მსხვილ ჯგუფად გაერთიანების შემთხვევაში, რომელიც გარკვეულწილად ეფექტურ მონოპოლიურ კარტელს წარმოადგენს და შესაბამისად ამცირებს პაციენტის მხრიდან არჩევანის შესაძლებლობას. ამ პრობლემის მოსაგვარებლად გამოიყენება მონიტორინგის ისეთი მექანიზმები, როგორიცაა: ექიმთა სამედიცინო აუდიტი, ლიცენზირება და აკრედიტაცია.

*მაღალი რისკის პაციენტების თავიდან მოშორება.* სულადობრივი ანაზრაურების ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოდგენს ის გარემოება, რომ ზოგადი პრაქტიკის ექიმები ცდილობენ თავიდან მოიშორონ და მათთან არ დააზღვიონ მაღალი რისკის პაციენტები (მოხუცები, ქრონიკული ავადმყოფები...). აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს სულადობრივი ანაზღაურების რთული ფორმის დანერგვა, რომელიც სამუშაოს დიდი მოცულობისა და შესაბამისად მაღალი ხარჯების საკომპენსაციოდ ითვალისწინებს ისეთ რისკფაქტორებს, როგორიცაა: პაციენტის სქესი, ასაკი, სოციალური სტატუსი...

პრობლემის გადაწყვეტის სხვა გზას წარმოადგენს მაღალი რისკის პაციენტების გარკვეული დროით ოჯახის ექიმებში გადანაწილების სქემა. ექიმები შეთანხმდებიან გარკვეული დროით ერთმანეთში გადაინაწილონ მაღალი რისკის პაციენტები. მაგალითად, მაღალი რისკის პაციენტების ერთი ნაწილი ნახევარი წლით ერთი ოჯახის ექიმთანაა დარეგისტრირებული, შემდგომ ეტაპზე სხვა ოჯახის ექიმთან და ა. შ.

*რისკის დაბალი პროგნოზირება.* სულადობრივი ანაზღაურების მეთოდის გამოყენებისას რისკის პროგნოზირება დაბალია, რადგან დაზღვეულთა გარკვეულმა ნაწილმა შეიძლება საერთოდ არ ისარგებლოს მომსახურებით მოცემულ პერიოდში, ამავე დროს, მაღალი რისკის პაციენტებს, შესაძლებელია, დროის იმავე პერიოდში რამდენჯერმე დასჭირდეთ ძვირადღირებული სამედიცინო დახმარება.

ზემოაღნიშნული უარყოფითი მხარეების აღმოსაფხვრელად შემდეგ მეთოდებს მიმართავენ:

- პაციენტების მიერ სამედიცინო პერსონალის და დაწესებულების თავისუფალი არჩევანი:
- პაციენტთა მომსახურების სპეციალური სამსახური, სადაც მათ შეეძლებათ მიმართონ სამედიცინო მომსახურებაზე უარის შემთხვევაში;
- სამედიცინო მომსახურების ხარისხზე კონტროლი;
- სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვა და სამედიცინო მომსახურების გაწევაზე დაუსაბუთებელი უარისას საჯარიმო სანქციების დაწესება.

## მიზნობრივი ანაზღაურება

მიზნობრივი დაფინანსების მეთოდი გამოიყენება სამედიცინო დახმარების გარკვეული, სპეციფიკური სახეობების (მაგ., იმუნიზაცია, პროფილაქტიკური შემოწმების ჩატარება და ა. შ.) დასაფინანსებლად, უმთავრესად - დიდი მოცულობის სამედიცინო მომსახურების (მაგ., პროფილაქტიკური აცრების) ჩატარებისას. ექიმს სტიმული ეძლევა რაც შეიძლება მეტ პაციენტს ჩაუტაროს პროფილაქტიკური აცრები, რადგან მიზნობრივი დაფინანსების შემთხვევაში დამატებით ანაზღაურებას ღებულობს.

მიზნობრივი მეთოდით ანაზღაურება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზოგიერთი დაავადების სკრინინგისათვის (მაგ., საშვილოსნოს ყელის ან მკერდის ჯირკვლის კიბო). დიდ ბრიტანეთში მიზნობრივი ანაზღაურების მეთოდის შემოღებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პროფილაქტიკური პროგრამების განხორციელება. ინფექციური დაავადებების საპროფილაქტიკოდ მიზნობრივი ანაზღაურება გამოიყენებოდა მოსახლეობის 95 %-ის ვაქცინაციის ჩატარებისას.

## სერვისების მიხედვით ანაზღაურების მეთოდი

სერვისების მიხედვით ანაზღაურების მეთოდი წარმოადგენს სამედიცინო დახმარების თითოეული ერთეულის (შესრულებული პროცედურების, დიაგნოსტიკური გამოკვლევების, ნამკურნალევი პაციენტების რაოდენობის) მიხედვით დაფინანსებას.

სერვისების მიხედვით ანაზღაურების მეთოდი ყველაზე გავრცელებულ საბაზრო მეთოდს წარმოადგენს. დაფინანსება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც რეტროსპექტული ასევე, პროსპექტული პრინციპით (სამედიცინო დახმარების მიმწოდებელსა და დამფინანსებელს შორის მომსახურების მოცულობასა და ხარჯებზე წინასწარი შეთანხმების შესაბამისად). ის გამოიყენება როგორც სამედიცინო დაწესებულების, ასევე პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს ასანაზღაურებლად.

*სერვისების მიხედვით ანაზღაურების დადებითი მხარეები*

ექიმი დაინტერესებულია პაციენტს მაქსიმალური მოცულობით გაუწიოს სამედიცინო მომსახურება. სერვისების მიხედვით ანაზღაურების მეთოდის გამოყენებისას მაღალია სამედიცინო მომსახურების ხარისხი, რადგან ექიმი ცდილობს რაც შეიძლება მიმზიდველი გახდეს მის მიერ გაწეული სამედიცინო დახმარება. პაციენტს ფართო საშუალება ეძლევა აირჩიოს ექიმი, სტაციონარში მკურნალობისას მოითხოვოს დამატებითი მომსახურება (ცალკე პალატაში განთავსება, ტელევიზორი, ტელეფონი...).

ამგვარად, ექიმს სტიმული აქვს პაციენტს მაქსიმალური მოცულობით და ხარისხით გაუწიოს სამედიცინო დახმარება. იმ ქვეყნებში, სადაც სერვისების მიხედვით ანაზღაურების მეთოდია გავრცელებული, ექიმთან მიმართვიანობის მაღალი დონე შეინიშნება.

*სერვისების მიხედვით ანაზღაურების უარყოფითი მხარეები, ხარჯების ზრდა.*

სერვისების მიხედვით ანაზღაურების მეთოდი მნიშვნელოვნად ზრდის ჯანდაცვის ხარჯებს, რაც უმთავრესად გამოწვეულია სამედიცინო პერსონალის ფინანსური სტიმულით, შემოსავლების მომატების მიზნით, გაზარდოს მომსახურების მოცულობა. ექიმები არ არიან დაინტერესებული ეფექტურად გამოიყენონ ფინანსური რესურსები. აღნიშნულის გამო, სერვისების მიხედვით ანაზღაურების მეთოდი ექიმებისათვის ყველაზე უფრო სასურველი მეთოდია. ამას ხელს უწყობს სამედიცინო ბაზარზე არსებული ინფორმაციის ასიმეტრია. პაციენტის ნაკლებად ინფორმირებულობის გამო, ექიმი განსაზღვრავს სამედიცინო დახმარების მოთხოვნილებას. ამასთან საყურადღებოა, რომ ექიმის მხრიდან მორალური საფრთხე უფრო მეტად სერვისების მიხედვით ანაზღაურების მეთოდის გამოყენებისას შეინიშნება.

ექსპერტთა აზრით, იმ ქვეყნებში, სადაც აღნიშნული მეთოდია გავრცელებული, მნიშვნელოვნად მაღალია როგორც დიაგნოსტიკური გამოკვლევების, ასევე გამოწერილი მედიკამენტების რაოდენობა. კვლევები ადასტურებს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც გამოიყენება შესრულებული სამუშაოს მიხედვით ანაზღაურების მეთოდი, წელიწადში საშუალოდ 11 %-ით იზრდება ჯანდაცვის ხარჯები (Gerdtham და სხვ., 1992).

*არასაჭირო სამედიცინო მომსახურების ჩატარება.* სერვისების მიხედვით ანაზღაურების მეთოდის გამოყენებისას ექიმებს შეიძლება გაუჩნდეთ ნეგატიური სტიმული, მოახდინონ დადგენილი სტანდარტის გარკვეული მანიპულირება. სამედიცინო მომსახურების ზოგიერთი სახეობა მათთვის უფრო შემოსავლიანი ხდება. მაგალითად, ბრაზილიაში, სადაც სერვისების მიხედვით ანაზღაურების მეთოდია გავრცელებული, მკვეთრად გაიზარდა საკეისრო კვეთების რაოდენობა.

მოთხოვნილების პროვიცირების ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ექიმის მიერ პაციენტისათვის დაუსაბუთებლად განმეორებითი ვიზიტის დანიშვნა. გერმანია ექიმთან მიმართვიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება. გერმანელი ზოგადი პრაქტიკის ექიმი კვირაში საშუალოდ 220 ვიზიტს ახორციელებს (მათგან 35 ბინაზეა). დღეში ექიმი საშუალოდ 44 პაციენტს ნახულობს (37 ოფისში და 7 ბინაზე), წლიურად კი, ერთ პაციენტზე 10-12 კონსულტაცია ტარდება. ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ყოველი პაციენტის ვიზიტი ექიმის შემოსავალს საშუალოდ 50-70 ევროთი ზრდის. ამის გამო, გერმანიაში სადაზღვევო კომპანიების მიერ ყოველწლიურად 5-7 მლრდ მარკა იხარჯება დაუსაბუთებლად. აქვე აღსანიშნავია პროფესიული ასოციაციების როლი, რომლებიც აქტიურ წინააღმდეგობას უწევენ ექიმის შრომის ანაზღაურების მეთოდის შეცვლას.

***პრევენციულ ღონისძიებებზე ნაკლები ყურადღება.*** ამ მეთოდის გამოყენებისას უფრო მეტი ყურადღება ექცევა პაციენტის მკურნალობას, ვიდრე პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებას. ეს გამოწვეულია ექიმის მცირე ეკონომიკური სტიმულით, ჰყავდეს ჯანმრთელი პაციენტი, რადგან მისი ყოველი ვიზიტი და სადიაგნოსტიკო სამკურნალო ღონისძიება ექიმს დამატებითი შემოსავლის მიღების საშუალებას აძლევს.

*აღნიშნულ ნაკლოვანებებთან ერთად* ***ნაკლებია სამედიცინო მომსახურების სხვა ეტაპებთან ეკონომიკური კავშირი.*** მცირდება ოჯახის ექიმის მაკოორდინირებელი, როგორც „მეკარიბჭის“ ფუნქცია. იგი ნაკლებადაა დაინტერესებული რაციონალურად აირჩიოს მკურნალობის შემდგომი ეტაპები და ამ ეტაპებზე მეთვალყურეობა გაუწიოს პაციენტს, შეაფასოს სხვა ექიმების მიერ გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხი.

***ანგარიშსწორების სირთულე.*** ამ მეთოდისთვის დამახასიათებელია ანგარიშსწორების სირთულე, რადგან ის მოითხოვს სამედიცინო დახმარების თითოეული შემთხვევისათვის ანგარიშსწორების დამუშავებას. შესაბამისად, იზრდება საქმის წარმოებისათვის საჭირო ხარჯები. მეთოდის დანერგვა მოითხოვს ძვირადღირებული საინფორმაციო სისტემების გამოყენებას, ცენტრალიზებული მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბებას, რაც აუცილებელია გათვლების საწარმოებლად. მკვეთრად იზრდება საფინანსო-ეკონომიკური პერსონალის საჭიროება.

***მაღალი ადმინისტრაციული ხარჯები.*** სერვისების მიხედვით ანაზღაურების მეთოდის გამოყენებისას მაღალია ადმინისტრაციული ხარჯები, ვინაიდან ის ძვირადღირებული ეკონომიკური კონტროლის (მიწერების გამოვლენა, საავადმყოფოში მიმართვის ადეკვატურობის შესწავლა და ა. შ.) სისტემის შექმნას მოითხოვს.

### ფიქსირებული ხელფასით ანაზღაურების მეთოდი

ფიქსირებული ხელფასით ანაზღაურება წარმოადგენს სამედიცინო პერსონალის საერთო და არა კონკრეტული სამუშაოების შესრულებისათვის ფიქსირებულ დაფინანსებას შეთანხმებული პერიოდის განმავლობაში. ფიქსირებული ანაზღაურებისას ექიმის შემოსავალი დამოკიდებული არ არის გაწეული სამედიცინო დახმარების მოცულობაზე. ხელფასის ზომას ადგენს დამფინანსებელი მხარე, ზოგ ქვეყანაში ის შეთანხმებულია პროფკავშირებთან, ექიმთა ასოციაციებთან. ხელფასის ზომა შეიძლება დამოკიდებული იყოს პერსონალის ასაკზე, სპეციალობასა და გამოცდილებაზე, ან არ ითვალისწინებდეს აღნიშნულ კრიტერიუმებს (საერთოეროვნული თანრიგობრივი ხელფასი).

სამედიცინო პერსონალთან ხელშეკრულება იდება სრული ან არასრული დროით. არასრული დროით დადებული ხელშეკრულება ექიმს საშუალებას აძლევს დამატებით სხვა სამუშაოები ჩაატაროს (მაგ., კერძო კონსულტაციები). ხელშეკრულება შეიძლება განახლდეს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასების საფუძველზე. ხელშეკრულებაში ზოგჯერ ითვალისწინებენ პერსონალის დამატებითი ანაზღაურების სახით წახალისებას (მაგალითად, ვაქცინაციის მაღალი მოცვის მიღწევისას). შესაძლებელია პერსონალის სტიმულირება დამატებითი შვებულებისა და სატრანსპორტო შეღავათების სახით ან დამატებითი წახალისება ისეთი სამუშაოების ჩატარებისათვის, როგორიცაა: სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, სამეცნიერო კონფერენციებზე მონაწილეობა საზღვარგარეთ.

ფიქსირებული ხელფასით ანაზღაურების მეთოდი ფართოდ გამოიყენება მრავალი ქვეყნის როგორც საავადმყოფოს, ასევე - ამბულატორიულ დაწესებულებებში სამედიცინო პერსონალის შრომის ასანაზღაურებლად (ფინეთი, შვედეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, ესპანეთი, თურქეთი, ისრაელი, აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები).

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, სხვადასხვა სპეციალობის სამედიცინო პერსონალის შემოსავლებს შორის, მცირე განსხვავება აღინიშნებოდა, რაც მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ნაკლებ შესაძლებლობას იძლეოდა. აღნიშნული მდგომარეობა ხელს უწყობდა სამედიცინო პერსონალის მიერ არალეგალური შემოსავლების მიღებას. ექსპერტთა შეფასებით, იმ ქვეყნებში, სადაც სამედიცინო პერსონალის ხელფასი დაბალია, არალეგალური ანაზღაურება გაცილებით აღემატება კანონით დადგენილ ანაზღაურებას.

აღნიშნულის გამო, მნიშვნელობა ენიჭება პერსონალის ანაზღაურების დონეს. თუ ექიმს შეუძლია არალეგალური შემოსავლების ხარჯზე გააორმაგოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ხელფასი, მაშინ გარკვეული მიზნის მისაღწევად (მაგ., ვაქცინაციის მაღალი მოცვის მიღწევა) გამოყოფილი მცირე ოფიციალური დამატებითი ანაზღაურება მისთვის აღარ იქნება მიმზიდველი. ასე. მაგალითად, ბრიტანეთის ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმე-

ბის პერიოდში, ექიმებისათვის ზოგადი პრაქტიკის ექიმი-ფონდის მესაკუთრედ გახდომის ყველაზე დამაჯერებელ მოტივს წარმოადგენდა არა სულადობრივი დაფინანსება, არამედ დამატებითი წახალისების მნიშვნელოვნად გაზრდა. აღსანიშნავია, რომ დიდ ბრიტანეთში, პერსონალის მუშაობის სტიმულირების მიზნით, იყენებენ დამატებით წამახალისებელი ანაზღაურების სხვადასხვა ფორმას.

ფიქსირებული ანაზღაურების მეთოდის ეფექტურობის გაზრდის თვალსაზრისით, ზოგიერთ ქვეყანაში შემოღებულია დაფინანსების რამდენიმე მეთოდის კომბინაცია. მაგალითად, ნორვეგიაში ექიმის შემოსავლების 35%-ს ფიქსირებული ხელფასი შეადგენს, ხოლო დანარჩენი 65%-ის ანაზღაურება სერვისების მიხედვით ხდება.

*ფიქსირებული ხელფასით ანაზღაურების დადებითი მხარეებია:*

- ჯანდაცვის სისტემის ადვილი დაგეგმარება და სტაბილურობა, რადგანაც სამედიცინო დახმარების ხარჯები წინასწარ განსაზღვრულია;
- ფიქსირებული ხელფასით ანაზღაურების გამო, ექიმი არ არის დაინტერესებული არააუცილებელი სამედიცინო დახმარების განხორციელებით;
- დაბალია ადმინისტრაციული და საქმის წარმოებისათვის საჭირო ხარჯები;
- ადვილია სამედიცინო დაწესებულების საფინანსო მუშაობის მონიტორინგი;
- ხელს უწყობს პერსონალის გადანაწილებას ცენტრისაგან მოშორებულ რეგიონებში, რაიონებში, ან სოფლებში;
- იზრდება სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობა.

*ფიქსირებული ხელფასით ანაზღაურების უარყოფითი მხარეები*

- ექიმებს შორის კონკურენციის დაბალი დონე;
- დაბალია სამედიცინო დახმარების ხარისხი, რადგან ექიმის ანაზღაურება მცირედაა დამოკიდებული მის კვალიფიციურობაზე;
- ექიმი ნაკლებადაა დაინტერესებული იმუშაოს მაქსიმალური დატვირთვით. იგი თავიდან იშორებს მძიმე ავადმყოფებს და საავადმყოფოში ან სხვა განყოფილებებში აგზავნის სამკურნალოდ, რაც მნიშვნელოვნად აძვირებს სამედიცინო დახმარების ღირებულებას;
- მეთოდი სტიმულს აძლევს სამედიცინო დაწესებულების ბიუროკრატიული აპარატის ზრდას, ფორმალიზმს, მოუქნელობას და ამით აიძულებს დამფინანსებელს გაზარდოს საბიუჯეტო ხარჯები;
- თუ ანაზღაურების ზომა დაბალია, ხელს უწყობს სამედიცინო პერსონალის მიერ არალეგალური შემოსავლების მიღებას.

**შედარებისთვის აქვე წარმოვადგენთ პირველადი ჯანდაცვის დაფინანსების ესტონეთის გამოცდილებას**

ესტონეთის ჯანდაცვის სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგად შემუშავებულ იქნა ოჯახის ექიმზე დაფუძნებული პირველადი ჯანდაცვის სისტემის მოდელი. ოჯახის ექიმს სამედიცინო სადაზღვევო ფონდთან აქვს დადებული ხელშეკრულება. ერთ ოჯახის ექიმთან რეგისტრაციისათვის საჭირო პაციენტთა რაოდენობა შეადგენს 1500 – 2300-ს. გამონაკლია შორეული რეგიონები. ქვეყნის მასშტაბით პირველადი სამედიცინო მომსახურებისათვის ფუნქციონირებს 808 ოჯახის ექიმი.

ოჯახის ექიმი ჯანდაცვის სისტემაში მეკარიბჭეს წარმოადგენს, სპეციალისტებთან კონსულტაცია მხოლოდ მისი მიმართვის შემდეგაა შესაძლებელი. თუმცა, ზოგ შემთხვევაში (ოფთალმოლოგთან, დერმატო-ვენეროლოგთან, გინეკოლოგთან, ფსიქიატრთან, ფთიზიატრთან, სტომატოლოგთან და ტრავმის დროს ქირურგთან ვიზიტები) ის არ ატარებს სავალდებულო ხასიათს. ოჯახის ექიმებმა რომ არ გაართულონ პაციენტის სპეციალისტებთან მიმართვიანობის პროცესი, სადაზღვევო ფონდი ცალკე აფინანსებს ექიმ-სპეციალისტებთან ვიზიტებს.

ოჯახის ექიმის ანაზღაურება ხორციელდება შერეული მეთოდით, რომელიც მოიცავს დაფინანსების შემდეგ მეთოდებს:

- ყოველთვიური სულადობრივი ანაზღაურება თითოეული დარეგისტრირებული პირისათვის, რომელიც ფარავს მომსახურების უმრავლეს სახეობას;
- შესრულებელი სამუშაოს მიხედვით ანაზრაურება;
- ფიქსირებული ყოველთვიური დაფინანსება ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის (მოწყობილობები);
- ყოველთვიური დანამატები (ოჯახის ექიმის განათლების დონის ამაღლებისათვის საჭირო ხარჯები, გეოგრაფიულად მოშორებულ რაიონებში მომუშავე ოჯახის ექიმებისათვის დამატებითი ანაზღაურება).

**ოჯახის ექიმების ყოველთვიური ანაზღაურება ესტონეთში**

| დაფინანსების მეთოდი | პაციენტის ასაკი | 2001 ევრო | 2002 ევრო | 2003 ევრო |
|---|---|---|---|---|
| ყოველთვიური სულადობრივი ანაზღაურება თითოეული დარეგისტრირებული პირისათვის | 0-2 წლ | 1,33 | 1,53 | 1,76 |
| | 2-70 წლ | 1,06 | 1,22 | 1,35 |
| | 70 წელს ზევით | 1,2 | 1,37 | 1,57 |
| სერვისების მიხედვით (მაქსიმუმ სულადობრივი ანაზღაურების %) | | 18 % | 18,4 % | 18,4 % |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფიქსირებული ყოველთვიური თანხა ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის (მოწყობილობები) | | 319,6 | 338,1 | 338,1 |
| ყოველთვიური დანამატები | სამედიცინო დაწესებულებიდან 20-40 კმ-ის მოშორებით | 44,7 | 44,7 | 44,7 |
| | სამედიცინო დაწესებულებიდან 40 კმ-ზე მეტი მოშორებით | 89,5 | 89,5 | 89,5 |
| | ოჯახის ექიმის განათლების დონის ამაღლებისათვის საჭირო ხარჯები | 63,9 | 63,9 | 63,9 |

***წყარო:*** *ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ*

1998 წლამდე სულადობრივი ანაზღაურების მარტივი ფორმა იყო გავრცელებული, ანუ ის ერთნაირი იყო მთელი ქვეყნის მასშტაბით, 1998 წლიდან შემოღებულ იქნა რთული ფორმა, რომელიც ითვალისწინებს დაფინანსების დიფერენცირებას ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (0-დან 2 წლამდე; 2-70 წლამდე; 70 წელს ზევით). დამატებითი მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება სერვისების მიხედვით ანაზღაურების მეთოდით, რომელიც ლიმიტირებულია და შეადგენს მაქსიმალური სულადობრივი ანაზღაურების 18,4 %-ს. ოჯახის ექიმების კავშირისა და სამედიცინო სადაზღვევო ფონდების შეთანხმებით, წინდაწინაა დადგენილი დამატებითი მომსახურების ჩამონათვალი. გარდა ამისა, ექიმებს ეძლევათ ყოველთვიური დანამატი სამედიცინო დაწესებულებიდან გეოგრაფიულად მოშორებულ ადგილებში მუშაობისათვის, განათლების დონის ამაღლებისათვის, მუშაობის წარმოებისათვის საჭირო ფიქსირებული თანხა. ამგვარად, ოჯახის ექიმის ანაზღაურება დამოკიდებულია არამარტო მასთან რეგისტრირებული პაციენტების რაოდენობაზე, არამედ განხორციელებულ აქტივობაზე. ექიმები დაინტერესებული არიან გააფართოვონ დიაგნოსტიკური და სამკურნალო მომსახურების სპექტრი, უზრუნველყონ სამედიცინო დახმარების უწყვეტობა, ხანდაზმული ასაკის პირთა მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯების რისკი კომპენსირებულია სულადობრივი დაფინანსების რთული ფორმის დაწესებით, რომელიც დიფერენცირებულია ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, წახალისებულია სოფლად ოჯახის ექიმის მუშაობა.

სპეციალიზებულ ამბულატორიულ მომსახურებას ეწევიან პოლიკლინიკები და სამედიცინო ცენტრები, საავადმყოფოების ამბულატორიული განყოფილებები და დამოუკიდებელი ექიმი-სპეციალისტები. დამოუკიდებელ ექიმი--სპეციალისტებს ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული სამედიცინო სადაზღვევო ფონდთან და ანაზღაურებას ღებულობენ სერვისების მიხედვით ანაზღაურების მეთოდით. ხელფასის საერთო დონე ლიმიტირებულია ხელშეკრულებით.

## რეკომენდაციები საქართველოსთვის

დღეისათვის, საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით, ოჯახის ექიმის ანაზღაურება ხდება მასთან აღრიცხვაზე მყოფი ბენეფიციარების რაოდენობის მიხედვით. კვლევები ადასტურებს, რომ პირველადი ჯანდაცვის სერვისებისთვის სახელმწიფოს მიერ დადგენილი კაპიტაცია არასაკმარისია და არ არის გაწეული შრომის ადეკვატური (მიქავა, გაბრიჭიძე 2019; ვერულავა, ბერუაშვილი 2019).

ოჯახის ექიმის ინსტიტუტის განვითარების ხელშესაწყობად საჭიროა პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო პერსონალის სათანადო ანაზღაურება. ბევრ ქვეყანაში პირველადი ჯანდაცვის გუნდის დაფინანსებისას, უპირატესობას ანიჭებენ მოტივაციაზე მიბმულ დაფინანსებას. სამედიცინო პერსონალის ანაზღაურება ხდება სპეციალური ინდიკატორების მიხედვით, რაც გულისხმობს მათ სტიმულირებას არამხოლოდ მიიღოს ბევრი პაციენტი, არამედ შესრულებული სამუშაოს ხარისხს: ადრეულ სტადიაზე გამოავლინოს დაავადებები და ა.შ. განსაკუთრებით ყურადსაღებია ექიმების მასტიმულირებელი ანაზღაურების მეთოდები ბენეფიციარებზე პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩასატარებლად. ამ მხრივ, ექიმის დაფინანსების მეთოდი წარმოადგენს ჯანდაცვის სერვისების ეფექტურად განხორციელების ერთ-ერთ მთავარ ბერკეტს.

მიზანშეწონილია პირველადი ჯანდაცვის ანაზღაურების ეფექტური მეთოდების გამოყენება, კერძოდ, კომბინირებული მეთოდების დანერგვა, რაც გულისხმობს სულადობრივი მეთოდის გარდა, ანაზღაურების სხვა მეთოდით დაფინანსებას (გაწეული მომსახურების მიხედვით, მიზნობრივ ანზღაურება და ა.შ.). ამ შემთხვევაში ექიმები დაინტერესებული იქნებიან გააფართოვონ დიაგნოსტიკური და სამკურნალო მომსახურების სპექტრი, უზრუნველყონ სამედიცინო დახმარების უწყვეტობა.

**ლიტერატურა:**


- მიქავა ნ., გაბრიჭიძე ს. (2019). სუსტი პირველადი ჯანდაცვა - ჯანდაცვაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მიღწევის ძირითადი ბარიერი. საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი.

- ვერულავა თ., ბერუაშვილი დ. (2019). ოჯახის ექიმთან მიმართვიანობის პრობლემები საქართველოში. *ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია*, 3 (1).
- ვერულავა თ. (2023). ჯანდაცვის სისტემის მიზნები და ფუნქციები. *ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია*, 7 (2).
- ვერულავა თ., ქილაძე გ., ბარკალაია თ. (2022). პირველადი ჯანდაცვის პერსონალის მოტივაციის და სამუშაოთი კმაყოფილების გამოწვევები საქართველოში. *ეკონომისტი, 3.*
- ვერულავა თ., ჯორბენაძე ა. (2022). პირველადი ჯანდაცვის რეფორმირების 1995-2003 წლების გამოცდილება და რეკომენდაციები. ეკონომისტი. 2:23-41.
- ჯორბენაძე ა., ვერულავა თ. (2021). დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით (DRG) საავადმყოფოს დაფინანსების მეთოდი და 1995 წლის ჯანდაცვის რეფორმები. *ეკონომისტი.* XVII (4): 31-41
- ვერულავა თ., ჯორბენაძე რ. (2020). პირველადი ჯანდაცვის მეკარიბჭეობა და მიმართვიანობა: პაციენტების თვალსაზრისი ოჯახის ექიმის როლზე. *ეკონომიკა და ბიზნესი.* 12 (1).
- ვერულავა თ. (2018). პირველადი ჯანდაცვის გამოწვევები საქართველოში. *გლობალიზაცია და ბიზნესი.* (5): 259-262, ევროპის უნივერსიტეტი.
- ვარდუკაძე მ., ვერულავა თ. (2023). საპენსიო ასაკის პირების ფინანსური ხელმისაწვდომობა გადაუდებელ ონკო-ჰემატოლოგიურ მომსახურეობაზე DRG მოდელის დანერგვის შემდეგ. *ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია*, 7(2).
- აბაშიძე გ. (2023). ოჯახის ექიმის სისტემის განვითარება ტაივანში. *ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, 6.*
- მიქიაშვილი გ., ვერულავა თ. (2021). ჯანდაცვის სისტემის წარმატებული რეფორმები: თურქეთის მაგალითი. *ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, 5.*
- Verulava T. (2023). Barriers to Effective Communication between Family Physicians and Patients in Georgia. *Family Medicine & Primary Care Review* 25(1): 80–85
- Verulava T., Jorbenadze A. (2022). Primary Health care Reforms in Georgia: the Experience and Challenges. Arch Balk Med Union. 57(4):384-389.
- Verulava T., Jorbenadze R., Karimi L. (2020). Patients' Perceptions about Access to Health Care and Referrals to Family Physicians in Georgia. Archives of the Balkan Medical Union. 55(4): 642-650.
- Verulava T. (2022). Factors Influencing Medical Students' Choice of Family Medicine. *Family Medicine & Primary Care Review.* 24(1):66-70
- Langenbrunner JC and Wiley MM. (2002). "Hospital Payment Mechanisms: Theory and Practice in Transition Countries," Chapter 8 in McKee, M. and Healy, J., eds., Hospitals in a Changing Europe (Buckingham, UK: Open University Press,).
- Gerdtham UG, Søgaard J, et al. (1992). A Pooled Cross Section Analysis of the Health Care Expenditures of the OECD Countries. In P. Zweifel & H. E. Frech, eds. Health Economics Worldwide. Boston: Kluwer Academic Publishers: Dordrecht, The Netherlands, 287-310.

References:


- Mikava N, Gabrichidze S. (2019). susti pirveladi jandatsva – jandatsvis saqoveltao khelmisatsvdomobis mightsevis mtavari barieri. [Weak Primary Health Care - the Main Barrier to Achieving Universal Access to Health Care. Open Society Foundation of Georgia.] in Georgian
- Verulava T., Beruashvili D. (2019). ojakhis ekimtan mimartvianobis problemebi sakartveloshi. [Problems of Contacting a Family Doctor in Georgia. *Health Policy, Economics and Sociology*, 3 (1).] in Georgian
- Verulava T. (2023). jandatsvis sistemis miznebi da punktsiebi. [Objectives and Functions of the Health Care System. *Health Policy, Economics and Sociology*, 7 (2).] in Georgian
- Verulava T., Chiladze G., Barkalaya T. (2022). pirveli jandatsvis personalis mushaoba da samushao momsakhureobis gamotsveva sakartveloshi [Challenges of Primary Health Care Staff Motivation and Job Satisfaction in Georgia. *Economist. 3.]* in Georgian
- Verulava T., Jorbenadze A. (2022). pirveli jandatsvis repormirebis 1995-2003 tslebis teknika da dizaini. [1995-2003 Experience and Recommendations of Reforming Primary Health Care. *Economist,* 2:23-41.] in Georgian
- Jorbenadze A., Verulava T. (2021). diagnoztan shechiduli jgupit (DRG) saavadmqopos pinansuri metodi da 1995 tslis jandatsvis repormebi. [The Diagnosis-Restricted Group (DRG) Method of Hospital Financing and the 1995 Health Care Reforms. *Economist,* XVII (4): 31-41.] in Georgian
- Verulava T., Jorbenadze R. (2020). pirveli jandatsvis mekaribcheoba da mimar-tvianoba: patsientebis tvalsazrisis ojakhis ekimis rolze. [Gatekeeping and Referral in Primary Care: Patients' Perspectives on the Role of the Family Physician. *Economics and business.* 12 (1).] in Georgian
- Verulava T. (2018). pirveli jandatsvis gamotsvevebi sakartveloshi. [Primary Health Care Challenges in Georgia. *Globalization and business.* University of Europe. (5): 259-262.] in Georgian
- Vardukadze M., Verulava T. (2023). sapensio asakis pirebis khelmisatsvdomoba ga-daudebel onko-hematologiur momsakhureobaze DRG modelis danergvis shemdeg. [Financial Access of Pensioners to Urgent Onco-hematological Services After the Implementation of the DRG Model. *Health Policy, Economics and Sociology,* 7(2).] in Georgian
- Abashidze G. (2023). ojakhis ekimis sistemis ganvitareba taivanshi. [The Develop-ment of the Family Physician System in Taiwan. *Health Policy, Economics and Sociology*, 6.] in Georgian
- Mikiashvili G., Verulava T. (2021). jandatsvis sistemis repormebi: turketis magaliti. [Successful Reforms of the Health Care System: the Example of Turkey. *Health Policy, Economics and Sociology, 5.]* in Georgian
- Verulava T. (2023). Barriers to Effective Communication between Family Physicians and Patients in Georgia. Family Medicine & Primary Care Review 25(1): 80–85

- Verulava T., Jorbenadze A. (2022). Primary Health care Reforms in Georgia: the Experience and Challenges. Arch Balk Med Union. 57(4):384-389.
- Verulava T., Jorbenadze R., Karimi L. (2020). Patients' Perceptions about Access to Health Care and Referrals to Family Physicians in Georgia. Archives of the Balkan Medical Union. 55(4): 642-650.
- Verulava T. (2022). Factors Influencing Medical Students' Choice of Family Medicine. Family Medicine & Primary Care Review. 24(1):66-70
- Langenbrunner JC and Wiley MM. (2002). "Hospital Payment Mechanisms: Theory and Practice in Transition Countries," Chapter 8 in McKee, M. and Healy, J., eds., Hospitals in a Changing Europe (Buckingham, UK: Open University Press,).
- Gerdtham UG, Søgaard J, et al. (1992). A Pooled Cross Section Analysis of the Health Care Expenditures of the OECD Countries. In P. Zweifel & H. E. Frech, eds. Health Economics Worldwide. Boston: Kluwer Academic Publishers: Dordrecht, The Netherlands, 287-310.


# Primary Health Care Financing Methods in Georgia: Challenges and Prospects


## Tengiz Verulava

*Professor*
*School of Business, Caucasus University*
*tverulava@cu.edu.ge*



*Most of the cases of medical services are performed at the ambulatory-polyclinic level. Outpatient-polyclinic medical services represent the most massive type of services that the majority of the population applies to. Ambulatory-polyclinic medical services, as a rule, begin and end the patient's referral to the health care system, it has significant opportunities for efficient use of financial resources. Therefore, the selection of payment methods for primary care is of particular importance. The following main methods of financing primary health care are used: lump-sum payment method, fixed-salary payment method, fee-for-service method.*

*In order to promote the development of primary health care in Georgia, it is necessary to pay family doctors and nurses properly. In many countries, the primary health care team is funded by motivation, which means not only stimulating the acceptance of as many patients as possible, but also the quality of the work performed, the detection of diseases at an early stage. Incentive payment methods for doctors to provide preventive measures to beneficiaries are particularly noteworthy. In this regard, the method of financing the doctor is one of the main levers for the effective implementation of health services.*

*It is advisable to use effective methods of payment for primary care, in particular, the introduction of combined methods, which implies the use of other payment methods (based on services rendered, targeted payment, etc.) in addition to the basic method. This gives an incentive to doctors to expand the range of diagnostic and treatment services, to ensure the continuity of medical care.*

*Keywords: social financing, primary health care, family doctor, targeted financing.*

*Capitation refers to the financing of medical staff or a medical facility based on a capitation rate (pay per person) that is fixed and depends on the size of the population it serves.*

*The positive aspects of voluntary financing are: an increase in competition, as the doctor tries to increase the number of patients registered with him in order to receive a high remuneration; containment of cost growth; ease of settlement; activation of preventive measures; Strengthening the role of the doctor as a "gatekeeper".*

*The targeted financing method is used to finance certain, specific types of medical care (eg, immunizations, preventive examinations, etc.). The method of targeted financing is mainly used in the provision of large-scale medical services (eg, preventive vaccinations). The doctor is incentivized to administer prophylactic vaccinations to as many patients as possible because he receives additional compensation in case of targeted funding.*

*The fee-for-service method is financing based on each unit of medical care (procedures performed, diagnostic tests, number of patients treated). The doctor has an incentive to provide the patient with the maximum amount and quality of medical care.*

*Fixed-salary remuneration is a fixed financing of medical personnel for the performance of general and not specific tasks during an agreed period of time. In case of fixed remuneration, the doctor's income does not depend on the volume of medical care provided.*

***Keywords:*** *Social financing, primary health care, family doctor, targeted financing.*

***JEL Codes:*** *H51, I11, I18, P36*

ეკონომიკა და ბიზნესი, 2024, №1, 203-220
Economics and Business, 2024, №1, 203-220

# საქართველოში საგადასახადო სისტემის მიმართ გადასახადის გადამხდელების ცნობიერების დონის განსაზღვრა

doi.org/10.52340/eab.2024.16.01.12

**თამარ ბარბაქაძე**

*დოქტორანტი*
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის*
*სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*tamarbarbakadze14@gmail.com*

*საგადასახადო კანონმდებლობის ხშირი ცვლილებები ბიზნესის განვითარებისთვის არასტაბილური გარემოს ფორმირების საფრთხის მატარებელია. ერთი მხრივ, საგადასახადო კანონმდებლობის დახვეწამ და მეორე მხრივ, გადასახადის გადამხდელების ცნობიერებისა და საგადასახადო კულტურის ამაღლებამ, უნდა უზრუნველყოს ბიზნესის მეტი თავსებადობა სახელმწიფოსა და საზოგადოების ძირეულ ინტერესებთან. შესაბამისად, ეფექტიანი საგადასახადო პოლიტიკა და საგადასახადო ადმინისტრირება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. აუცილებელია გადასახადების ფისკალურ და მასტიმულირებელ ფუნქციებს შორის ოპტიმალური თანაფარდობის უზრუნველყოფა, გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო კანონმდებლობის ცოდნისა და კულტურის დონის ამაღლება. წინამდებარე კვლევაში შეფასებულია გადასახადის გადამხდელთა და საგადასახადო სისტემაში დასაქმებულ პირთა კანონმდებლობის ნორმებისა და სტანდარტების შესახებ ცოდნის დონე, რისთვისაც ჩატარდა სპეციალური კვლევა. რაოდენობრივი გამოკითხვის საშუალებით გამოიკვეთა საქართველოში საგადასახადო სისტემის მიმართ გადასახადის გადამხდელების დამოკიდებულების, ცნობიერებისა და სანდოობის დონე.*

***საკვანძო სიტყვები:*** *გადასახადები, საგადასახადო კულტურა, საგადასახადო რეფორმა, საგადასახადო სამართალდარღვევა.*

## შესავალი

საგადასახადო სისტემა წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან ასპექტს. არსებული საგადასახადო პოლიტიკის მიზანია კერძო სექტორისა და უცხოური ინვესტიციებისათვის, ასევე ბიზნესის დაწყების და განვითარებისათვის, მიმზიდველი და ხელსაყრელი საგადასახადო გარემოს შექმნა (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2019). შესაბამისად, საგადასახადო ადმინისტრირების პროცესში გამოვლენილი პრობლემების გათვალისწინებით, ხორციელდება გადასახადის მართვის გამარტივება, ეროვნული საგადასახადო კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია და საგადასახადო კანონმდებლობის დახვეწა (ბახტაძე ლ., 2007, გვ. 349).

აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია საგადასახადო სისტემის მართვა, რაც გულისხმობს მისი შემადგენელი ელემენტების სახელმწიფო რეგულირებას (როგავა ზ. 2018, 37). აქ იგულისხმება გადასახადების დაწესება, დაბეგვრის ობიექტების და საგნების, გადახდის და ანგარიშგების ფორმების და მეთოდების, დაბეგვრის პრინციპებისა და პროცედურების, გადამხდელებისა და საგადასახადო ორგანოთა თანამშრომლების უფლებების და ვალდებულებების, საგადასახადო კონტროლის სახეობებისა და სხვადასხვა სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობის ზომების განსაზღვრა (საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო; საქართველოს საგადასახადო სისტემის მიმოხილვა). ამდენად, საგადასახადო სისტემის მართვა ეფუძნება სამ ძირითად კომპონენტს: საგადასახადო კანონმდებლობას (ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს), საგადასახადო ურთიერთობების ორგანიზაციულ ფორმებს და საგადასახადო კონტროლს (ნადარაია ლ. 2012, გვ. 47).

საქართველოში არსებული საგადასახადო პოლიტიკის მიზანია კერძო სექტორისა და უცხოური ინვესტიციებისათვის მიმზიდველი და ხელსაყრელი საგადასახადო გარემოს შექმნა, რის საფუძველზეც, საგადასახადო ადმინისტრირების პროცესში გამოვლენილი პრობლემების გათვალისწინებით, ხორციელდება გადასახადის ადმინისტრირების გამარტივება, საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან და საგადასახადო კანონმდებლობის დახვეწა (ჩიკვილაძე მ., 2017). თუმცა, გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობის მიხედვით, საქართველოს საგადასახადო სისტემის მიერ შემუშავებული საგადასახადო რეფორმები (პირადი საგადასახადო აგენტი, წინასწარი გადაწყვეტილება და სხვა) და საგადასახადო პოლიტიკის მიზნების განხორციელებისთვის გატარებული ღონისძიებები ნაკლებად მუშაობს. შესაბამისად, აღნიშნული ღონისძიებების ეფექტიანობის ასამაღლებლად, აუცილებელია გადასახადის გადამხდელთა და საგადასახადო სისტემაში დასაქმებულ პირთა კანონმდებლობის ნორმებისა და სტანდარტების შესახებ ცოდნის დონის შეფასება.

ქვეყანაში გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა და საგადასახადო სისტემის რეფორმების არასაკმარისი ეფექტიანობა ქმნის საკმაოდ მყარ საფუძველს ჰიპოთეზისათვის, რომლითაც დასახელებული გარემოებები შეიძლება გამოწვეული იყოს კონკრეტული ხარვეზებით, განსაკუთრებით გადასახადის გადამხდელთა განათლებისა და ცნობიერების არასაკმარისი დონით და ამ უკანასკნელის ამაღლების პროგრამების დეფიციტით.

აღნიშნულის თაობაზე სისტემური ინფორმაციის მიღება იქცა ჩვენი კვლევის ძირითად მიზნად, რასაც საფუძვლად დაედო რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. კერძოდ, შეიქმნა სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც დაგვეხმარა საქართველოში საგადასახადო სისტემის მიმართ გადასახადის გადამხდელების დამოკიდებულების, ცნობიერებისა და სანდოობის დონეზე სრულყოფილი წარმოდგენის შექმნაში.

## საქართველოში არსებული საგადასახადო კულტურა

საგადასახადო კულტურა გულისხმობს გადასახადის გადამხდელის ინფორმირებულობას: ეკონომიკური საქმიანობის სამართლებრივ წარმართვაზე, მის სახეობებზე, კანონით რეგულირებად ვალდებულებებზე, ეკონომიკურ რისკზე, იმ სარგებელზე, რაც თავად ბიზნესისთვის მოაქვს საგადასახადო კულტურის ამაღლებას (Al-Shareaa I., 2020). საგადასახადო კულტურის ამაღლება მნიშვნელოვანია, როგორც გადასახადის გადამხდელის, ასევე სახელმწიფოს მდგრადი და სტაბილური განვითარებისათვის.

სსიპ შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებული წლიური ანგარიშების თანახმად, გადასახადის გადამხდელის ინფორმირების არსებული ხერხების (წერილობითი/ელექტრონული ფორმით ინფორმირება, (საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №12, 2012) ეფექტიანობა დაბალია. ყოველწლიურად, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, გადასახადის გადამხდელებზე დაკისრებული ჯარიმების ოდენობა ასეულობით მლნ ლარს შეადგენს. გადამხდელებს, ხშირ შემთხვევაში, აქვთ განცდა, რომ მათ მიერ კანონით ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებების შესრულება არა სახელმწიფო კეთილდღეობას, არამედ, კონკრეტული პირების პირად ინტერესებს ემსახურება. შესაბამისად, საგადასახადო კულტურის ამაღლება უნდა გულისხმობდეს როგორც გადასახადის გადამხდელთა, ასევე საგადასახადო სისტემაში დასაქმებულ პირთა კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმებისა და სტანდარტების შესახებ ცოდნის დონის ამაღლებას (Gaber S. 2018). შემოსავლების სამსახურის ანგარიშის მიხედვით, 2019 წელს, საბაჟო მიმართულებით გამოვლინდა - 28 147 სამართალდარღვევის ფაქტი, 20 867 საბაჟო სამართალდარღვევის ფაქტზე სანქციის სახით დარიცხულმა თანხამ - 22 239 297 ლარი, ხოლო 6 918 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე სანქციის სახით დარიცხულმა თანხამ - 1 177 106 ლარი შეადგინა. გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, გაზრდილია 35%-ით (შემოსავლების სამსახურის 2019 წლის ანგარიში). წარმოდგენილი შედეგები პანდემიამდე პერიოდს ახასიათებს. 2020-2021 წლებში პანდემიის მიზეზით საგადასახადო აუდიტის, მიმდინარე კონტროლისა და მონიტორინგის ღონისძიებები სრული მოცულობით ვერ განხორციელდა. თუმცა, შემოსავლების სამსახურის 2022 წლის ანგარიშში წარმოდგენილ მონაცემებში საბაჟო კონტროლის შედეგად გამოვლინდა 54 739 სამართალდარღვევის ფაქტი, 47 212 საბაჟო სამართალდარღვევის ფაქტზე სანქციის სახით დარიცხულმა თანხამ შეადგინა 48 884 297 ლარი, ხოლო 7 372 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე სანქციის სახით დარიცხულმა თანხამ - 1 554 038 ლარი. გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 13%-ით, ამასთან, 14%-ით გაიზარდა საბაჟო

სამართალდარღვევების რაოდენობა. (იხ.ცხრილი). (შემოსავლების სამსახურის 2022 წლის ანგარიში)

**საქართველოს საგადასახადო სისტემაში ადმინისტრაციული და საბაჟო სამართალდარღვევების შედარება (2019-2022 წწ.)**

| წელი | გამოვლენილი სამართალდარღვევები | საბაჟო სამართალდარღვევები | საბაჟო სამართალდარღვევისთვის სანქციის ოდენობა (ლარი) | ადმინისტრაციული სამართალდარღვევები | ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის სანქციის ოდენობა (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 2019 | 28,147 | 20,867 | 22,239,297 | 6,918 | 1,177,106 |
| 2022 | 54,739 | 47,212 | 48,884,297 | 7,372 | 1,554,038 |
| შეფასება | 94.1% ზრდა | 126.9% ზრდა | 119.8% ზრდა | 6.5% ზრდა | 31.8% ზრდა |

***წყარო:*** *ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ შემოსავლების სამსახურის 2019 და 2022 წლის ანგარიშზე დაყრდნობით.*

2019-2022 წლებში საბაჟო კანონმდებლობაში გამოვლენილი დარღვევების არსებითი ზრდა ხაზს უსვამს შემოსავლების სამსახურის მიერ გატარებული სააღსრულებო ღონისძიებების ზრდას, რაც მიუთითებს გადასახადის გადამხდელებისა და საგადასახადო სისტემის თანამშრომლების ცოდნის ყოვლისმომცველი შეფასების აუცილებლობაზე კანონმდებლობის ნორმებსა და სტანდარტებთან დაკავშირებით.

შემოსავლების სამსახურის მიერ ბოლო წლებში გატარდა მრავალი რეფორმა და დაინერგა ახალი ინსტიტუტები, როგორიცაა: პირადი საგადასახადო მრჩეველი, წინასწარი გადაწყვეტილება, საგადასახადო შეთანხმება, სპეციალური საგადასახადო რეჟიმები - მიკრო და მცირე ბიზნესისათვის, უბნის საგადასახადო ოფიცერი და სხვა (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2011). პირადი საგადასახადო მრჩეველი გადასახადის გადამხდელს ეხმარება კანონმდებლობაში შეტანილი სიახლეების გაცნობაში, უადვილებს საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობას, აძლევს რჩევებს, უზოგავს დროსა და ენერგიას. თითოეული აგენტი პასუხისმგებელია საკუთარ რეკომენდაციაზე და მეწარმეები დაზღვეულები არიან შეცდომებისაგან. პირადი საგადასახადო აგენტი არის შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი, რომელიც იცავს გადასახადის გადამხდელის ინტერესებს და ცდილობს მაქსიმალური კომფორტი შეუქმნას მას (შემოსავლების სამსახური, 2020).

შემოსავლების სამსახურმა, 2010 წლის აგვისტოდან, მომსახურების ახალი ფორმა შესთავაზა გადასახადის გადამხდელებს. ეს ინსტიტუტი მნიშვნელოვანია გადასახადის იმ გადამხდელებისათვის, რომლებიც ცდილობენ თავიანთი საქმიანობა ააგონ სამართლიან, ნათელ და შეთანხმებულ პროცესებზე, რათა გამოირიცხოს რისკი, რომელმაც შესაძლოა პრობლემა შეუქმნას ბიზნესის კეთილდღეობას. წინასწარი გადაწყვეტილების საფუძველზე, გადამხდელები შემოსავლების სამსახურთან ათანხმებენ მომავალში განსახორციელებელი საქმიანობის/ოპერაციის დაბეგვრის პირობებსა და შესაბამისად წარმოშობილ საგადასახადო ვალდებულებებს, რაც მთლიანად გამორიცხავს გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოს შორის უთანხმოებებსა და გაუგებრობებს. აღსანიშნავია, რომ წინასწარ გადაწყვეტილებას კანონის ძალა აქვს (შემოსავლების სამსახური, 2020).

შემოსავლების სამსახურმა, USAID-ის და EBRD-ის მხარდაჭერით, შექმნა ერთიანი მეთოდოლოგიური ბაზა (ელექტრონული საძიებო სისტემა), რომელშიც განთავსდება მუდმივად განახლებადი ინფორმაცია, მათ შორის: საკანონმდებლო აქტები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, ფინანსთა მინისტრის ბრძანებები, შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებები, მთავრობის დადგენილებები, მეთოდური მითითებები, საჯარო გადაწყვეტილებები, სიტუაციური სახელმძღვანელოები, საგადასახადო/საბაჟო დავის განმხილველი ორგანოების გადაწყვეტილებები და სხვა (საინფორმაციო და მეთოდოლოგიური ჰაბი, 2023).

შემოსავლების სამსახურმა ბოლო პერიოდში გადადგა ისეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯები, როგორიცაა კანონშესაბამისობის და საგადასახადო რისკების მართვის გაძლიერება, განაახლა „კანონშესაბამისობის გაუმჯობესების გეგმა“, რომელიც ეფუძნება სამსახურის სტრატეგიას და გადასახადის გადამხდელის ოთხ ფუნდამენტურ ვალდებულებას: რეგისტრაციას, საგადასახადო ვალდებულებების დროულ დეკლარირებას, დეკლარირებული მონაცემების სისწორეს და კუთვნილი გადასახადების დროულ გადახდას. აღნიშნული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები აუმჯობესებს და ქმნის ჯანსაღ საგადასახადო გარემოს (შემოსავლების სამსახურის 2022 წლის ანგარიში).

მიუხედავად გატარებული რეფორმებისა, საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობის საკითხების ცოდნის დონე გადამხდელებში ჯერჯერობით მაინც დაბალია. ბევრი მათგანი ვერ აცნობიერებს, თუ რატომ უნდა გადაიხადოს გადასახადები. აღნიშნულ პრობლემას ართულებს საგადასახადო კანონმდებლობის მუხლები, რომელთა შინაარსი ბუნდოვანია და არაერთგვაროვნად შეიძლება იყოს ინტერპრეტირებული.

## მეთოდოლოგია

კვლევის მიზნებისთვის ჩვენ მიერ შეირჩა რაოდენობრივი მეთოდი, კერძოდ, გამოკითხვა კვლევის ფარგლებში შემუშავებული კითხვარით. შეიქ-

მნა სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც მოიცავს 37 კითხვას, სადაც 32 დახურული და 5 ღია კითხვაა. კვლევისას გამოყენებული იყო შემთხვევითი შერჩევის მეთოდი. კვლევის მეორე ეტაპზე ჩატარდა რაოდენობრივი ინტერვიუ 87 რესპონდენტთან. რაოდენობრივი გამოკითხვის საშუალებით გამოიკვეთა საქართველოში საგადასახადო სისტემის მიმართ გადასახადის გადამხდელების დამოკიდებულების, ცნობიერებისა და სანდოობის დონე. კითხვარი საშუალებას იძლევა განისაზღვროს გადასახადის გადამხდელის ცნობიერების დონე საგადასახადო სიახლეების, რეფორმების, ინფორმაციისა და უფლებების შესახებ.

რესპონდენტები შეირჩა შემთხვევითი მეთოდით. გამომდინარე იქიდან, რომ ყველა სრულწლოვანი, დასაქმებული ადამიანი გადასახადის გადამხდელია, ყველას აქვს შეხება რაღაც დოზით გადასახადებსა და საგადასახადო ვალდებულებებთან. რესპონდენტები ერთმანეთისგან განსხვავდებიან პროფესიულად და ყველა მათგანის მონაწილეობა მნიშვნელოვანია კვლევისთვის. რესპონდენტებიდან იდენტიფიცირებულია ეკონომისტები, რაც ასახავს ეკონომიკურ საკითხებში გამოცდილების მქონე პირების არსებობას. გამოკითხვა მოიცავს ფინანსისტ რესპონდენტებს, რომლებსაც აქვთ ფინანსური გამოცდილება. ასევე არიან იურისტები, რომლებიც გვთავაზობენ გამოკითხვის სამართლებრივ და მარეგულირებელ კონტექსტს. რესპონდენტების უმეტესობა ბუღალტერია, რაც მნიშვნელოვანია კვლევისთვის, რადგან ბუღალტერს ყველაზე დიდი და მრავალფეროვანი შეხება აქვს საგადასახადო საკითხებთან. გამოკითხვა მოიცავს რესპონდენტებს სხვადასხვა სფეროდან, როგორიცაა მენეჯმენტი, ფსიქოლოგია, ფილოლოგია, მარკეტინგი, მონაცემთა ანალიზი, კომუნიკაციები, IT, ხელოვნების კრიტიკა, ქორეოგრაფია და საერთაშორისო განვითარება. რესპონდენტებში შედის სპეციალისტები და ექსპერტები ისეთ სფეროებში, როგორიცაა ენერგეტიკა, ციფრული მარკეტინგი, საჯარო ადმინისტრირება, საერთაშორისო სამართალი და განათლების სფეროსთან დაკავშირებული პიროვნებები. რამდენიმე რესპონდენტი იდენტიფიცირებულია როგორც თვითდასაქმებული.

რესპონდენტები განსხვავდებიან საქმიანობის ტიპების მიხედვით. მათგან 32.9% მუშაობს სახელმწიფო სექტორში, 35.3% - კერძო სექტორში, 27,1% საერთაშორისო ორგანიზაციაშია დასაქმებული, 4.7% კი საკუთარი ბიზნესის მფლობელი, დროებით უმუშევარი ან თვითდასაქმებულია. გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტები საქმიანობენ როგორც თბილისში, ასევე დუშეთში, რუსთავში, ქუთაისში, ონსა და წალკაში.

კითხვარის ძირითადი ნაწილი მოიცავს გადასახადის გადამხდელების ცნობიერების ბლოკს, სადაც 34 კითხვაა წარმოდგენილი. აღნიშნული კითხვები ეხება შემოსავლების სამსახურში მიმდინარე ინფორმაციებს, სიახლეებს და რეფორმებს.

შემოსავლების სამსახურში მიმდინარე სიახლეებისა და რეფორმების შესახებ ინფორმაციის მიღება მრავალი წყაროდან არის შესაძლებელი, მათ შორის: ვებ-გვერდი - www.rs.ge, საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრი 2 299 299, RS ჩათი, RS კომუნიკატორი, მოქალაქეთა მომსახურების სერვისცენტრებში მიღებული სერვისი (Face to Face), მეილი - Info@rs.ge, ავტორიზებული მომხმარებლის გვერდი Eservices.rs.ge, მედიის, ინტერნეტ-მედიის, მეგობრების და კოლეგების, ოჯახის წევრებისა და მეზობლების საშუალებით, RS - დან მიღებული SMS-ების საშუალებით.

რესპონდენტების მიერ ინფორმაციის/სიახლეების/რეფორმების მისაღებად კომუნიკაციის საშუალება საკმაოდ მრავალფეროვანია. უმრავლესობა - 67.1% ეყრდნობა ოფიციალურ ვებ-გვერდს www.rs.ge, რაც მიუთითებს ონლაინ პლატფორმის მნიშვნელობაზე. გარდა ამისა, 34.1% მიმართავს ინტერნეტ მედიას, რაც ხაზს უსვამს ონლაინ საინფორმაციო წყაროების სანდოობას. მეგობრებისა და კოლეგების საინფორმაციო წყაროს ნდობა შეადგენს 43.5%-ს, რაც ხაზს უსვამს პერსონალური ურთიერთობების გავლენიან როლს ინფორმაციის გავრცელებაში. შემოსავლების სამსახურისგან SMS-ების გამოყენება მინიმალურია, მხოლოდ 1.2% ირჩევს ამ კომუნიკაციის მეთოდს. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა ნაწილმა - 9.4%-მა გამოთქვა უინტერესობა ინფორმირებულობისადმი. პრეფერენციების განაწილება გვიჩვენებს მრავალმხრივ მიდგომას, რაც ხაზს უსვამს ყოვლისმომცველი კომუნიკაციის სტრატეგიის მნიშვნელობას, რომელიც ითვალისწინებს აუდიტორიის სხვადასხვა არხს.

კითხვაზე - რა სიხშირით იღებენ ინფორმაციას/ეცნობიან სიახლეებს, პასუხები ასეთია: რესპონდენტთა 50.6% - მხოლოდ კონკრეტული საკითხით დაინტერესებისას, 18.8% - ყოველდღიურად, 10.6% - წელიწადში რამდენჯერმე, დანარჩენი 20% - თვეში რამდენჯერმე იღებს ინფორმაციას.

შემოსავლების სამსახურის მიერ შექმნილი ერთიანი მეთოდოლოგიური ბაზა (ელექტრონული საძიებო სისტემა) გადასახადის გადამხდელებისთვის მნიშვნელოვან რეფორმას წარმოადგენს, რადგან აქ განთავსებულია მუდმივად განახლებადი ინფორმაცია, მათ შორის: საკანონმდებლო აქტები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, ფინანსთა მინისტრის ბრძანებები, შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებები, მთავრობის დადგენილებები, მეთოდური მითითებები, საჯარო გადაწყვეტილებები, სიტუაციური სახელმძღვანელოები, საგადასახადო/საბაჟო დავის განმხილველი ორგანოების გადაწყვეტილებები და სხვა. პლატფორმის საცდელი ვერსიის გაშვება 2023 წელს განხორციელდა (საინფორმაციო და მეთოდოლოგიური ჰაბი, 2023), თუმცა, კითხვაზე - „გაქვთ თუ არა ინფორმაცია infohub.rs.ge-ზე, რომელიც წარმოადგენს ელექტრონული ინფორმაციის მართვის ერთიან სისტემას და აერთიანებს სხვადასხვა ტიპის მონაცემს", რესპონდენტების 67.1%-მა აღნიშნა, რომ არ აქვთ ინფორმაცია, 14.1%-ს - აქვს ნაწილობრივი ინფორმაცია და მხოლოდ 18.8%-მა იცოდა აღნიშნული ბაზის შესახებ.

კვლევისთვის მნიშვნელოვანი იყო ინფორმაცია - რესპონდენტებს გაუვლიათ თუ არა კონსულტაცია შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებთან. გამოკითხულთა 65.9%-ის (56 რესპოდენტის) პასუხი იყო „დიახ“. შემდეგი კითხვა იყო თვისებრივი - თუ როგორ დაახასიათებდნენ რესპონდენტები შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებთან ურთიერთობას პროფესიული კუთხით. მნიშვნელოვანი ნაწილი - 24 რესპონდენტი, ახასიათებს მათ ურთიერთობას, როგორც „კარგს“, რაც მიუთითებს პოზიტიურ და მეგობრულ პროფესიულ კავშირზე. ამავდროულად, 10-მა რესპონდენტმა მიიჩნია მათი კომუნიკაცია როგორც "ნორმალური", რაც მიუთითებს ნეიტრალურ პოზიციაზე მათ ურთიერთობაში. 11-მა რესპონდენტმა შეაფასა „დამაკმაყოფილებლად“. 5-მა რესპონდენტმა დაასახელა თავისი პროფესიული ურთიერთობა, როგორც „ცუდი“, რაც მიუთითებს უარყოფით ან არადამაკმაყოფილებელ გამოცდილებაზე. პასუხების განაწილება ხაზს უსვამს გამოცდილების მრავალფეროვნებას, პოზიტიური ურთიერთქმედების ხელშეწყობის მნიშვნელობას გადასახადის გადამხდელებსა და შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებს შორის საერთო კმაყოფილებისა და თანამშრომლობის გასაძლიერებლად. პროფესიული ურთიერთობების გაუმჯობესების სტრატეგიები შეიძლება მორგებული იყოს ამ შეხედულებებზე დაყრდნობით, რათა ხელი შეუწყოს უფრო პოზიტიურ და კონსტრუქციულ ჩართულობას ორ მხარეს შორის.

კვლევის შედეგები აჩვენებს რესპონდენტთა ინფორმირებულობის მნიშვნელოვან დონეს საქართველოში გადასახადის გადამხდელთა უფლებებზე. უმრავლესობა - 64.7% აცნობიერებს თავის უფლებას, მიიღოს ინფორმაცია კანონით დადგენილი წესით საგადასახადო ორგანოში; ამასთან, 61.2%-მა იცის თავისი უფლება, ისარგებლოს საგადასახადო შეღავათებით, რაც მიუთითებს საგადასახადო სისტემაში პოტენციური სარგებლის გააზრებაზე. გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (55.3%), ფლობს ინფორმაციას უფლებაზე დაიბრუნოს ან/და მომავალ საგადასახადო ვალდებულებათა ანგარიშში ჩაითვალოს ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის (მათ შორის, საბაჟო სანქციის) თანხა, რაც ხაზს უსვამს მნიშვნელოვან გარემოებებზე ცოდნას. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმირებულობა არსებითია გარკვეული უფლებებისთვის, როგორიცაა საგადასახადო კონტროლის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა (42.4%) და საგადასახადო კონტროლის დროს განმარტებების წარდგენა (36.5%), პასუხის გაცემაზე უარი მხოლოდ 9 რესპონდენტმა (10.6%) განაცხადა. ეს დასკვნები გვთავაზობს მიზნობრივი განათლებისა და საკომუნიკაციო ძალისხმევის შესაძლებლობებს შემოსავლების სამსახურის მხრიდან, რათა გაზარდოს ცნობიერება და გააძლიეროს გადასახადის გადამხდელები თავიანთი უფლებების საგადასახადო ჩარჩოში განხორციელებისას (შესაძლოა ჯამი 100%-ზე მეტი იყოს, რადგან რესპონდენტებს შეეძლოთ ერთზე მეტი პასუხის დაფიქსირება).

კვლევის შედეგები მიუთითებს რესპონდენტთა ცოდნის სხვადასხვა დონეზე საქართველოში საგადასახადო სისტემის კონკრეტულ ასპექტებთან დაკავშირებით. კითხვაზე - რა შემთხვევაში შეუძლია ისარგებლოს ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხის დაბრუნების პროცედურით (B7), რესპონდენტთა 35.3% დადებითად აცხადებს ინფორმირებულობას, ხოლო 36.5% გამოხატავს გაურკვევლობას და 27.1% მიუთითებს ნაწილობრივ ცოდნაზე. ანალოგიურად, ზედმეტად გადახდილი დღგ-ის (B8) ავტომატური დაბრუნება ესმის 47.1%-ს, 27.1%-ს არ აქვს ინფორმაცია, ხოლო 23.5%-ს აქვს ნაწილობრივი ცოდნა. საშემოსავლო გადასახადის ინფორმირებულობის თვალსაზრისით (B10), უმეტესობა - 85.9% - აცხადებს ცოდნას, მხოლოდ 3.5% მიუთითებს, რომ არ აქვს ინფორმაცია და 9.4% აცხადებს ნაწილობრივ ინფორმირებულობას. რეზიდენტი ფიზიკური პირების დაბეგვრის პირებზე (B11) ინფორმირებულობა აქვს 61.2%-ს, 15.3%-ს არ აქვს ინფორმაცია, ხოლო 24.7%-ს აქვს ნაწილობრივი ცოდნა. თუ რომელი შემოსავლები ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას, ინფორმირებულობას (B12) აფიქსირებს 57.6%; 15.3%-ს არ აქვს ცოდნა, ხოლო 24.7%-ს აქვს ნაწილობრივი ინფორმირება.

რა განაკვეთით იბეგრება შემოსავლები, რაც ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას (B13): 54.1%-ს აქვს ცოდნა, 24.7%-ს არ აქვს, ხოლო 18.8% ნაწილობრივ ინფორმირებულია.

რა საგადასახადო შეღავათებით სარგებლობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური პირები (B14), ცნობილია 28.2%-ისთვის, უცნობია - 41.2%-ისთვის, ნაწილობრივ იცის 29.4%-ია, ხოლო 1.2%-მა უარი თქვა პასუხზე.

თუ ვინ სარგებლობს კალენდარული წლის განმავლობაში 3000 ლარამდე მიღებულ დასაბეგრ შემოსავალზე საშემოსავლო გადასახადში დაწესებული საგადასახადო შეღავათით (B15), რესპონდენტთა 41.2%-ს აქვს ინფორმაცია, 47.1%-ს არ აქვს, ნაწილობრივ ინფორმირებულია - 10.6%, ხოლო 1.2% უარს ამბობს პასუხზე.

რესპონდენტთა მნიშვნელოვანი რაოდენობა - 83.5% აცხადებს (B16), რომ იცის, თუ ვინ არის ქონების გადასახადის გადამხდელი, რაც აჩვენებს ამ სფეროში ინფორმირებულობის მაღალ დონეს. ანალოგიურად, B19-ში, გამოკითხულთა 67.1% არის ინფორმირებული ვინ არის დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გადამხდელი.

ამასთან, გადამხდელთა ცნობიერების დონეში შესამჩნევი ხარვეზებია (B17), სადაც მხოლოდ 62.4%-მა იცის გარემოებები, თუ რა შემთხვევაში შეუძლია ფიზიკურ პირს არ წარადგინოს ქონების დეკლარაცია. გარდა ამისა, ქონების გადასახადის შეღავათების შესახებ ინფორმირებულობა (B18) შედარებით დაბალია (31.8%), რაც მიუთითებს ინფორმაციის გავრცელების მიზნობრიობაზე. B30-ში 80%-ს ესმის რა არის აუდიტი.

მიმდინარე კონტროლის პროცედურების შესახებ ინფორმირებულობა (B29), თითქმის თანაბრად ნაწილდება - 40% აცხადებს, რომ აქვთ ინფორმაცია, ხოლო 45%-ისთვის უცნობია აღნიშნული კონტროლის ღონისძიებები.

მთლიანობაში, როგორც ჩანს, აუცილებელია გადასახადის გადამხდელების ინფორმირებულობა საგადასახადო სიახლეებითა და მიმდინარე ღონისძიებებით, განსაკუთრებით კონკრეტულ შეღავათებთან, გამონაკლისებთან და საგადასახადო სისტემის გარკვეულ პროცედურულ ასპექტებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საგადასახადო რეფორმების (შეღავათები, დახმარებები, ცვლილებები) შედარებით დაბალი ცოდნის დონე (B31), საგადასახადო ორგანოებს აძლევს შესაძლებლობას გააუმჯობესონ საკომუნიკაციო არხები, რათა უზრუნველყონ გადასახადის გადამხდელების ინფორმირება საგადასახადო სისტემაში ცვლილებებისა და სიახლეების შესახებ.

შეკითხვაზე - „შეგიძლიათ გაიხსენოთ რამდენიმე რეფორმა? (B32) (ამ შეკითხვას უპასუხეთ იმ შემთხვევაში, თუ წინა შეკითხვაზე გაეცით დადებითი პასუხი), პასუხები, იძლევა რესპონდენტთა ინფორმირებულობას საქართველოში საგადასახადო სისტემაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

რამდენიმე რესპონდენტმა აჩვენა, რომ ნათლად ესმის კონკრეტული რეფორმების შინაარსი, მათ შორის ესტონურ მოდელზე გადასვლა, ელექტრონული ზედნადების დაწესება, დღგ-ის დაბრუნების რეფორმა და საგადასახადო რეფორმა საერთაშორისო კომპანიებისთვის. ზოგიერთმა რესპონდენტმა ასევე ხაზი გაუსვა საწვავზე აქციზის ცვლილებას და ქონების გადასახადის წესებში მოსალოდნელ ცვლილებებს, რაც დაგეგმილია 2024 წელს. თუმცა, რესპონდენტთა ნაწილმა მიუთითა მეტწილად ზოგადი რეფორმები, როგორიცაა დღგ-ის კარის შეცვლა (საგადასახადო კოდექსში) და მოგების გადასახადის რეფორმა.

პასუხების მრავალფეროვნება აფიქსირებს საგადასახადო სისტემაში განხორციელებული რეფორმების სირთულეს, რაც ხაზს უსვამს გადასახადის გადამხდელებთან ცვლილებების უწყვეტი რეჟიმით მიწოდების აუცილებლობას. გარდა ამისა, „ესტონურ მოდელზე გადასვლასთან" დაკავშირებული სიახლის გავრცელება მიუთითებს ამ რეფორმის მნიშვნელობაზე რესპონდენტთა აღქმაში, რაც ხაზს უსვამს მკაფიო კომუნიკაციისა და განათლების აუცილებლობას ძირითადი პოლიტიკის ცვლილებებთან დაკავშირებით.

ზოგადად, მიღებული პასუხები ხაზს უსვამს საქართველოს საგადასახადო რეფორმების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაუმჯობესების ძლიერ მხარეებს და სფეროებს.

რესპონდენტთა უმრავლესობა (87.1%) მიუთითებს, რომ მათ პირადად არ უსარგებლიათ რაიმე სახის საგადასახადო შეღავათით (B33). მხოლოდ მცირე პროცენტი (9.4%) აცხადებს, რომ მიიღო ასეთი შეღავათები, 1.2% აღნიშნავს ნაწილობრივ სარგებელს, ხოლო 2.4% უარს ამბობს პასუხზე.

მათ შორის, ვინც ისარგებლა (B34), პასუხები ასახავს გამოყენებული საგადასახადო შეღავათის მექანიზმების მთელ რიგს. გამოცდილება მოიცავს სახელმწიფო გრანტის ფარგლებში მიღებული დაფინანსებით იმპორტირებულ საქონელზე დღგ-სგან გათავისუფლებას, საგრანტო თანხებით შესყიდულ საქონელზე გადახდილი დღგ-ის თანხის დაბრუნებას, ქონების გადასახადისგან განთავისუფლებას და პანდემიის დროს შეღავათებით გადასახადების გადავადებას. თუმცა, რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა (87.1%) აღნიშნა, რომ მათ არ უსარგებლიათ საგადასახადო შეღავათებით.

ეს მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ მაშინ, როცა რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილს (9.4%) უსარგებლია საგადასახადო შეღავათებით. ნახსენები საგადასახადო შეღავათების მრავალფეროვნება გულისხმობს, რომ პირებს შეუძლიათ ისარგებლონ სხვადასხვა სახის წახალისებით, სხვადასხვა გადასახადისგან განთავისუფლებით, შეღავათებით მათი გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული საგადასახადო შეღავათების კონკრეტული ტიპების ანალიზი იძლევა ღირებულ შეხედულებებს გადასახადების გადამხდელთა სასარგებლოდ, საგადასახადო პოლიტიკის პრაქტიკული გამოყენების გაუმჯობესების მიმართულებით.

## დასკვნა

სტატიაში განხილული კვლევის შედეგები ასახავს რესპონდენტთა ინფორმირებულობის დონეს, საქართველოში, გადასახადის გადამხდელის ცნობიერების შესახებ. უმრავლესობა ამჟღავნებს ფუნდამენტური უფლებების ცოდნას, როგორიცაა საგადასახადო შეღავათების შესახებ ზოგადი ინფორმაცია, ზედმეტად გადახდილი დღგ-ის დაბრუნება, ვინ არიან საშემოსავლო გადასახადისა და ქონების გადასახადის გადამხდელები, თუმცა, კონკრეტული სფეროები, როგორიცაა *საგადასახადო კონტროლის სახეობები (მაგ., მიმდინარე კონტროლის ღონისძიებები), რა არის მომსახურების საფასური და რა შემთხვევაში ბრუნდება გადახდილი მომსახურების საფასური, რა საგადასახადო შეღავათებით სარგებლობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური პირები, ვინ სარგებლობს კალენდარული წლის განმავლობაში 3000 ლარამდე მიღებულ დასაბეგრ შემოსავალზე საშემოსავლო გადასახადში დაწესებული საგადასახადო შეღავათით, როგორი შეღავათით სარგებლობენ ფიზიკური პირები ქონების გადასახადისას, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის მიზნებისთვის დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ჯამური თანხის (100 000 ლარის) განსაზღვრისას გაითვალისწინება თუ არა დღგ-ისგან გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციები ან/და ავანსი, რა შეღავათებს ითვალისწინებს საგადასახადო კოდექსი უცხოეთის დიპლომატიური ან მასთან გათანაბრებული წარმომადგენლობის, აგრეთვე ამ წარმომადგენლობის წევრის პირადი სარგებლობისთვის საქონლის მიწოდებისას ან/და მომსახურების გაწევისას,* ხაზს უსვამს შემოსავლების სამსახურის მიზნობრივი განათლებისა და კომუნიკაციის მნიშვნელობას, გადასახადის გადამ-

ხდელთა ინფორმირებულობის უზრუნველყოფაში ამ უკანასკნელთა უფლებებზე. რესპონდენტთა ცოდნა გადასახადებთან დაკავშირებული კონკრეტული ცნებების შესახებ განსხვავებულია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ სფეროს აქვს მკაფიო ინფორმირებულობა, სხვები, როგორიცაა ქონების გადასახადის შეღავათები და სპეციფიკური პროცედურული ცოდნა, ავლენს ხარვეზებს, რაც იმსახურებს ფოკუსირებულ საინფორმაციო კამპანიებს. აუცილებელია მუდმივი კომუნიკაცია, რათა გადასახადის გადამხდელები იყვნენ ინფორმირებულნი საგადასახადო სისტემაში ცვლილებების, რეფორმებისა და სიახლეების შესახებ.

მიგვაჩნია, რომ შემოსავლების სამსახურმა უნდა გააძლიეროს და გააფართოვოს ინიციატივები საგადასახადო საკითხების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გასაუმჯობესებლად, ხაზი გაუსვას გადასახადის გადამხდელთათვის ხელმისაწვდომ კონკრეტულ უფლებებსა და შეღავათებს.

მნიშვნელოვანია დაინერგოს მიზანმიმართული კომუნიკაციის სტრატეგიები დაბალი ინფორმირებულობის სპეციფიკური სფეროების მოსაგვარებლად, საგადასახადო რეფორმების, შეღავათებისა და პროცედურული ასპექტების შესახებ მკაფიო და ლაკონური ინფორმაციის მიწოდებით.

უნდა ჩამოყალიბდეს რეგულარული საკომუნიკაციო არხები, რათა გადასახადის გადამხდელები იყვნენ ინფორმირებულნი საგადასახადო სისტემაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ, რათა უზრუნველყონ მისი ადვილად ხელმისაწვდომობა მრავალფეროვანი აუდიტორიისთვის.

კარგი იქნებოდა თანამშრომლობა სხვა შესაბამის ინსტიტუტებთან, როგორიცაა საგანმანათლებლო დაწესებულებები და ბიზნეს-ასოციაციები, რათა გაფართოვდეს საგადასახადო განათლების ინიციატივები და გაიზარდოს საერთო საგადასახადო წიგნიერება.

მიზანშეწონილია, შეიქმნას გადასახადის გადამხდელებისგან უკუკავშირის მიღების მექანიზმები საგანმანათლებლო კამპანიების ეფექტურობის მუდმივი შეფასებისა და მომხმარებლის გამოცდილებისა და საჭიროებების საფუძველზე კორექტირების შესასრულებლად.

აღნიშნული რეკომენდაციების განხორციელებით, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ თავისი წვლილი შეიტანონ გადასახადის გადამხდელთა ცნობიერების დონის ამაღლებაში, ხელი შეუწყონ კომუნიკაციას და ურთიერთგაგებას საქართველოში საგადასახადო სისტემასა და გადასახადის გადამხდელებს შორის.

**ლიტერატურა:**


- ბახტაძე ლ. კაკულია რ. ჩიკვილაძე მ. (2007). საგადასახადო საქმე, გვ. 349. https://www.researchgate.net/publication/351056856_GLOBAL_CHALLENGES_FOR_THE_TAX_SYSTEM_DURING_THE_PANDEMIC_AND_THE_RESPONSE_OF_THE_GEORGIAN_TAX_ADMINISTRATION_TO_COVID-19 /last seen Nov 23, 2023/

- ნადარაია ლ., როგავა ზ., რუხაძე კ., ბოლქვაძე ბ. (2012). საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი. წიგნი პირველი, გვ. 47. http://tbsakrebulo.gov.ge/uploads/Tax_Code_Commentaries_I1.pdf / ბოლო ნახვა 28 დეკემბერი, 2023/
- როგავა ზ. (2018). საგადასახადო სამართალი, დამხმარე გზამკვლევი, წიგნი პირველი, გვ. 37.
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (2011). შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული რეფორმები. https://www.coursehero.com/file/62814066/rer-eformsNew-1pdf/ /ბოლო ნახვა 18 სექტემბერი, 2023/
- საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (2010). საქ. საგადასახადო სისტემის მიმოხილვა https://www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Taxation%20in%20Georgia_GEO.pdf / ბოლო ნახვა 12 ნოემბერი, 2023/
